

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ანთროპოლოგია

ქეთევან ციმინტია

სამეგრელოს სოფელი პოსტსაბჭოთა პერიოდში (წალენჯიხის
მუნიციპალიტეტი)

ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი თეიმურაზ გვიმრაძე

თბილისი
2024

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ სამეგრელოს სოფლებში არსებული ანთროპოლოგიურ-ეთნოლოგიური ვითარების კვლევას წარმოადგენს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების მაგალითზე. პოსტსაბჭოთა პერიოდში სამეგრელოს სოფელში არსებული მდგომარეობის წარმოჩენა უფრო ადრინდელი - საბჭოთამდელი და საბჭოთა პერიოდის კვლევის გარეშე სრულყოფილი არ იქნებოდა; შესაბამისად, ადრეული პერიოდიც შევისწავლეთ და პოსტსაბჭოთა პერიოდში მომხდარი ცვლილებები გამოვლინდა სწორედ ადრინდელი ვითარების გათვალისწინებით. ამასთან, რიგ საკითხებში უწყვეტი განვითარება დაფიქსირდა, რაც ასევე ადრინდელ ვითარების კვლევით და პოსტსაბჭოთა პერიოდთან შედარებით გახდა შესაძლებელი.

სადისერტაციო კვლევა ჩატარდა დასავლეთ საქართველოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების მაგალითზე. კვლევის ძირითადი ამოცანა იყო სამეგრელოს სოფლის პოსტსაბჭოთა რეალობის შესწავლა, ცვლილებების და მდგრადი განვითარების, ასევე პერსპექტივების დანახვა. დისერტაციაში დასმული საკითხები ეხება პოსტსაბჭოთა პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლის ყოფას, სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას.

კვლევის საგანი იყო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული: ა) დასახლების ფორმები; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა გვარსახელები და მათთან დაკავშირებული მიგრაციული პროცესები; გ) ხალხური დღეობები; დ) ქორწინებასთან და გარდაცვალებასთან დაკავშირებული ტრადიციები და ნოვაციები; ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საერო, სასულიერო, ბუნებრივ და ეთნოგრაფიულ ძეგლებთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პოტენციალი პოსტსაბჭოთა პერიოდში; ვ) სოფლებში არსებული ეკონომიკური ვითარება. შესაბამისად, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, დისერტაციაში შევეხეთ სამეგრელოს სოფლის საბჭოთამდელ, საბჭოთა და განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა ანთროპოლოგიურ ყოფას.

საკითხის კვლევა მოხდა სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო და სხვა მუშაობის ჩატარებისას მოპოვებული მასალების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა რამდენიმე მეთოდისა და შესაბამისად მეთოდოლოგიის, ძირითადად – ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური კვლევის მიდგომებით განხორციელდა. კვლევა ჩატარებულია ძირითადად, ემპირიული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ანთროპოლოგიური ყოფა დროსთან ერთად იცვლება. ყველა ეპოქაში ცვლილებები შესამჩნევია და ის შეეხება სოციალურ, კულტურულ და მატერიალურ ასპექტებს.

შეიცვალა დასახლების ფორმა და მასთან დაკავშირებული ვითარება. მოსახლეობა ცხოვრობს როგორც ვაკე ადგილებსა და მდინარეების ნაპირებზე, ასევე – გორაკ-ბორცვებზე. სოფლების უმეტესობას აქვს როგორც დაბლობი, ასევე მაღლობი დასახლება. შეცვლილია დასახლების მორფოლოგია. ის განსხვავებულია ისტორიულიდან. კარ-მიდამოს მოწყობის წესი მორგებულია თანამედროვე მოთხოვნილებებს და ცხოვრების წესს.

შეცვლილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა გვარსახელების რაოდენობა და სოციალური უფლება-მოვალეობები.

ეკონომიკური საქმიანობა ყველა ეპოქაში იცვლებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა დემოკრატიული პოლიტიკური მმართველობის და თავისუფალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რამაც შეცვალა ქვეყანის ეკონომიკური პოლიტიკა. ცვლილებები მუნიციპალიტეტშიც მოხდა: შეიცვალა საკუთრების ფორმა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების გზები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე პერიოდში შემორჩენილია სხვადასხვა სახის ნაგებობები: სასულიერო, საფორტიფიკაციო, მემორიალურ-მონუმენტური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძეგლები.

თანამედროვე ყოფამ, ცხოვრების დონის ამაღლებამ, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ, გამარტივებულმა კომუნიკაციამ განაპირობა ისტორიულად არსებული საქორწინო ჩვეულებების შეცვლა ან გაქრობა. ჯერ საბჭოთა

დროს და შემდეგ პოსტსაბჭოთა პერიოდში ხალხურ შეხედულებებზე მოქმედებდა სახელმწიფო იდეოლოგია, დღეს - ქრისტიანული რელიგია და ტრადიციები.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ძველ დროსთან შედარებით, შემცირდა ხალხური ტრადიციული საოჯახო დღეობები. ხალხური დღეობების შესრულების პრაქტიკის შემცირება საბჭოთა დროს დაიწყო და პოსტსაბჭოთა პერიოდში საოჯახო ლოცვები მცირე მასშტაბით სრულდება. ძირითადად იხდიან „დუნაპირსა“ (დანაპირების ლოცვა) და „გვარიშ ხვამას“ (საგვარეულო ლოცვებს).

გარდაცვალებასთან, დაკრძალვასთან, მიცვალებულთან დაკავშირებული ტრადიციები პოსტსაბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა. პოლიტიკურმა ცვლილებებმა და საზოგადოებაში ქრისტიანული რელიგიის როლის ზრდამ განაპირობა მღვდლის მონაწილეობა მიცვალებულთან დაკავშირებულ რიტუალებში. დაკრძალვასთან დაკავშირებული საწესო სუფრები ძირითადად, ქრისტიანული წესის მიხედვით იმართება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მუნიციპალური დაქვემდებარების ქალაქი ჯვარი. ის არის სიმბიოზი საქალაქო და სასოფლო ცხოვრებისა. მოსახლეობის ნაწილი ქალაქური წესით ცხოვრობს, ნაწილი კი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა, ზოგი კი - ორივეს. საკვლევი მუნიციპალიტეტი სანიმუშოა სამეგრელოს სოფელში პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებული ვითარების გამოკვლევის თვალსაზრისით.

Summary

The thesis is the anthropological-ethnological study of Samegrelo village after the declaration of the independence on the example of Tsalenjikha municipality. Illustration of the post-soviet condition in the village of Samegrelo would not be complete without studying earlier pre-soviet and the soviet period. Therefore, the changes that took place in post-soviet period were emphasized precisely by taking into account the previous situation too. Furthermore, continuities and changes over time were observed in a number of cases which became possible by researching previous cases and comparing it to the soviet period. The research was conducted on the example of the villages of Tsalenjikha municipality, western Georgia.

The main task of the research was to study the post-soviet reality of the Samegrelo village as well as to see the changes, sustainable development and perspectives.

The issues addresses were as follows: a) forms of settlement; b) clans settled in Tsalenjikha municipality and migrations connected to them; c) folk holidays; d) traditions and innovations connected to the marriage and burial; i) perspectives that are connected to the religious, secular natural and ethnographical monuments and their use in the territory of municipality. f) economic conditions – agriculture and industrial affairs in the villages. As a result, chronological framework of our thesis is pre-soviet, soviet and most importantly post-soviet period in Samegrelo village.

The issue was studied by the analysis of scientific literature, archival documents, materials obtained from the ethnographic field work. The research was done by some methods and methodology, mainly ethnological/anthropological approaches and mostly we used empirical research methods.

The result of the research revealed, that anthropological life of the Tsalenjikha municipality is changing over time. Changes are noticeable in every era and it concerns social, cultural and material aspects of life. Settlements and its forms were changed. The population was initially located on the plain and hills as well as on the banks of rivers. Most of the villages have both highlands and lowlands. Morphology of the settlements have changed as well and is different from the historical one. The arrangement of the yards is adapted to modern needs and lifestyle. Quantity of representatives of the same family names have changes alongside with social rights of clans. Economic activity has been changing in every era. The collapse of the Soviet Union led Georgia to the establishment of the democratic political government, the transition to a market economy, which changed the economic policy in the country. It also changed forms of ownership and ways of carrying out agricultural activities in the municipality.

In modern era, on the territory of the municipality a variety of monuments are preserved, including religious buildings, fortifications, memorials, archeological sites and ethnographic monuments.

Historically existing marriage customs have changed or disappeared as a result of modernization, caused by increased standard of living, simplified communication, improvement of technology and infrastructures. In the Soviet Union, state manipulated the popular views on the later, in post-soviet era orthodox church played also its role.

In comparison to the previous time traditional family holidays have been decreased in number in Tsalenjikha municipality. Reduction of the family prayers and several practices connected to the folk rituals began during the Soviet era and they are performed on the small scale in the post-soviet era. People mainly celebrate “*dunapiri*” (prayers of promise) and “*gvarish khvama*” (clan prayers).

Views and practices related to the deceased have changed significantly in the post-soviet era. Political change and the revival of the Christian religion led to the orthodox priests’ participation in the rituals connected to the dead. Nowadays the feasts dedicated to the deceased ancestors are in compliance with the Christian religious rules.

On the territory of the municipality there is a town Jvari which is under the jurisdiction of municipality. Life in Jvari is a symbiosis of urban and rural life. One part of the population lives in an urban manner, another part lives in a rural manner, some – both. Tsalenjikha municipality is one of the exemplary municipality in terms of investigating post-soviet life in villages of Georgia.

სარჩევი

შესავალი	1
თავი I. დასახლების ფორმები და ინდივიდუალური კარ-მიდამოს მოწყობა	20
ა) დასახლების ისტორიული ფორმები	20
ბ) თანამედროვე განსახლების სტრუქტურა	23
გ) დასახლების მორფოლოგია	32
დ) კარ-მიდამოს მოწყობა	34
1.1. საცხოვრებელი ნაგებობები	34
1.2. ეზო-კარი, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები	40
თავი II. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გავრცელებული გვარები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური ასპექტი	45
ა) გვარსახელის მნიშვნელობის საკითხისათვის	45
ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული გვარები	48
გ) გამქრალი გვარსახელები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში	52
დ) ტოპონიმებიდან აღდგენილი გვარსახელები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში	57
ე) გვარების დანაყოფების („თური“, „გამნარყი“, „ნაარი“) და მისი სოციალური ფუნქციის შესახებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში	61
თავი III. ეკონომიკური საქმიანობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში	73
თავი IV. მატერიალური კულტურის და ბუნების ძეგლები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	87
ა) მატერიალური კულტურის ძეგლების ზოგადი დახასიათება	87
ბ) საბჭოთა დრომდე აშენებული სასულიერო ნაგებობები	89
გ) პოსტსაბჭოთა პერიოდში აგებული ტაძრები	95
დ) საფორტიფიკაციო ნაგებობები	98
ე) ეთნოგრაფიული ძეგლები	100
ვ) სხვა მატერიალური და ბუნების ძეგლები	101
თავი V. საქორწინო ტრადიციები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ..	109
ა) ქორწინება - ზოგადი ანთროპოლოგიური მიმოხილვა	109
ბ) ქორწინების ამკრძალავი და დამაბრკოლებელი გარემოებები	114
გ) ქორწინების წინაპირობა, ქორწილი და ქორწილის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი	126

თავი VI. დღეობები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში.....	139
თავი VII. გარდაცვალებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები.....	160
თავი VIII. ურბანიზაცია-დეურბანიზაცია-რეურბანიზაციის პროცესი ჯვარის დასახლების მაგალითზე	174
დასკვნა.....	196
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	203

შესავალი

სამეგრელოს სოფლის სოციალური და ეკონომიკური ყოფა ეპოქასთან ერთად იცვლებოდა. საბჭოთა კავშირის ნგრევას, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას სამეგრელოს სოფლებში მოჰყვა ეკონომიკური სირთულეები, სოციალური ცვლილებები, განსაკუთრებით – ღირებულებათა გადაფასება. ყოველივე ეს პოსტსაბჭოთა პერიოდში, დღემდე ნელ-ნელა იცვლება და ვითარდება.

საბჭოთა პერიოდამდე და საბჭოთა დროსაც სოფლის ცხოვრებაში შეიმჩნევა ცვლილებები როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ კულტურაში. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის გავლენამ, შემდეგ – საბჭოთა კავშირის ფორმირებამ და აქ შექმნილმა სოციალ-ეკონომიკურმა და მატერიალურ-კულტურულმა ცვლილებებმა ძალიან დიდი გავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო, სულიერი თუ მატერიალური კულტურისა და ყოფის განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის სირთულეებმა თავისი კვალი დაამჩნია სოფლის ცხოვრებას, რაც განაპირობა პირველ რიგში ეკონომიკურმა ცვლილებებმა. შეიცვალა სოციალური და კულტურული ყოფა. 1990-იანი და 2000-იანი წლები სამეგრელოს სოფლისთვის იყო კრიზისული პერიოდი, რომელსაც მოჰყვა პოსტკრიზისული რეაბილიტაციის პერიოდი. დღეისათვის სამეგრელოს სოფელი ნელ-ნელა ვითარდება.

საკითხი თავისთავად ახალია და მეცნიერულად შესასწავლია. ქვეყნის განვითარებისთვის სოფლის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. პოსტსაბჭოთა პერიოდში სოფელი ანთროპოლოგიურად არ გამოკვლეულა, ამიტომ ჩვენი სადისერტაციო თემა აქტუალურია და ამასთან, საჭირო ქვეყნის სოციალური ყოფის შესწავლის თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ანთროპოლოგიურ-ეთნოლოგიური ვითარების კვლევაა. ჩვენი კვლევის არეალი ამით არ შემოიფარგლება. სამეგრელოს სოფლის დღევანდელი მდგომარეობის წარმოჩენა უფრო უპრიანი იქნებოდა თუ ადრინდელ ვითარებასაც შევისწავლიდით და

მომხდარი ცვლილებების შესწავლის საფუძველზე დინამიკას ვაჩვენებდით. შესაბამისად, ჩვენი კვლევის ობიექტი სამეგრელოს სოფლის უფრო ადრეული ვითარებაც გახდა: კონკრეტულად საბჭოთამდელი და საბჭოთა პერიოდები.

სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში არსებული შვიდი მუნიციპალიტეტიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთია. მას როგორც მხარისთვის, ასევე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მდებარეობს ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – აფხაზეთის და სვანეთის – მეზობლად. ესაზღვრება ჩხოროწყუსა, ზუგდიდის, მესტიის მუნიციპალიტეტები და გალის რაიონი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტს, მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ გადიოდა გზა და უკავშირდებოდა ზემოთაღნიშნულ მუნიციპალიტეტებს. დღეს ზემო სვანეთთან დამაკავშირებელი ძირითადი მაგისტრალი სამეგრელოში კერძოდ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის. საკვლევ მუნიციპალიტეტში მდებარეობს აფხაზეთთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი ობიექტი – ენგურჰესი – რომელიც, შეიძლება ითქვას, დღესდღეობით ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლია ოკუპირებულ ტერიტორიებთან.

სამეგრელოს სოფელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების მაგალითზე ანთროპოლოგიურად შევისწავლეთ და სადისერტაციო კვლევის ობიექტად ავირჩიეთ, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს არეალი მრავალი ფაქტორის გამო სამეცნიერო თვალსაზრისით უნიკალური და საინტერესოა. ის მდებარეობს სამეგრელოს მთიან ნაწილში. აქ სამეგრელოში არსებული თითქმის ყველა სახის დასახლების ფორმა გვხვდება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ტრადიციები, რომელთაგან ზოგი ტრანსფორმირდა, ზოგი კი – ავთენტური სახით შემორჩა ყოფას, ზოგიერთი – საერთოდ გაქრა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს მთიანი მუნიციპალიტეტების, მათ შორის – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან მიგრაცია მასშტაბურია და სოფლები იცლება კიდევ, აქ მცხოვრები მოსახლეობა მუნიციპალიტეტის, ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობს. კიდევ ერთი ფაქტორი ჩემ მიერ

ამ თემის არჩევისა გახლავთ მეგრული ენის სრულფასოვნად ცოდნა და მასალების ამ ენაზე მოპოვების შესაძლებლობა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მეზობელ ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებლებთან აქვს როგორც კულტურული, ასევე ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა.

სამეგრელოს სოფელი პოსტსაბჭოთა პერიოდში შესწავლილი არ ყოფილა, უპრიანი იყო კვლევა ჩრდილოეთ ნაწილით დაგვეწყო – აქ სამეგრელოს სოფლის ყოფა შედარებით კონსერვირებულია და მაქსიმალურად ავთენტური სახითაა შეორჩენილი.

საკითხთან დაკავშირებით მთავარი საკვლევი კითხვებია: **როგორია სამეგრელოს სოფლის თანამედროვე ცხოვრება? რა შეიცვალა დროსთან ერთად და რა – არა?** კვლევის საგანია: ა) დასახლების ფორმები; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა გვარსახელები და მათთან დაკავშირებული მიგრაციული პროცესები; გ) ხალხური დღეობები; დ) ქორწინებასთან და გარდაცვალებასთან დაკავშირებული ტრადიციები და ნოვაციები; ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საერო, სასულიერო, ბუნებრივ და ეთნოგრაფიულ ძეგლებთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პოტენციალი პოსტსაბჭოთა პერიოდში; ვ) სოფლებში არსებული ეკონომიკური ვითარება. შესაბამისად, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, თემაში შევხებით სამეგრელოს სოფლის საბჭოთამდელ, საბჭოთა და განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა ანთროპოლოგიურ ყოფას.

საკითხის კვლევა მოხდა სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო და სხვა მუშაობის ჩატარებისას მოპოვებული მასალების შესწავლისა და გააანალიზების საფუძველზე. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა რამდენიმე მეთოდის, ძირითადად – ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით განხორციელდა.

ანთროპოლოგიური კვლევის სამუშაო ველი სამეგრელო იყო, კონკრეტულად – წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სადაც კვლევა ვაწარმოეთ ყველა სოფელში.

კვლევა ჩატარებულია **ემპირიული** მეთოდების გამოყენებით. კვლევისას გამოვიყენეთ **გამოკითხვის მეთოდი**. ვერბალური ინფორმაცია მივიღეთ უშუალოდ **ინტერვიუს პროცესში**. ინტერვიუ იყო **ზოგჯერ ფორმალიზებული, ზოგჯერ კი-არაფორმალიზებულიც**. კვლევისას ვიყავი რამდენიმე თემის ირგვლივ

კონცენტრირებული. ფორმალიზებული ინტერვიუს გამოყენებით ჩავიწერეთ ქორწინების, დაკრძალვის, დღეობების, ტრადიციული ჩვევების, ურთიერთობების შესახებ მასალა.

კვლევისას გამოვიყენეთ ბიოგრაფირების მეთოდიც. გამოვიკითხეთ პიროვნების და ოჯახის ბიოგრაფია, რაც დაგვებმარა ჩვენთვის საინტერესო მოვლენების გარკვევასა და ანალიზში. ინტერვიუების მეთოდი იყო როგორც **ფოკუსირებული**, ასევე **ნახევრადფოკუსირებული**.

გამოვიყენეთ **დაკვირვების მეთოდი** და **ვიზუალური მეთოდი**. ამა თუ იმ რიტუალის შესრულებისას ვაკვირდებოდი პროცესს; მონაწილეობა მივიღეთ ზოგიერთ რიტუალში, მაგალითად – „დუნაპირის“ (დანაპირები) შესრულებაში.

დღეს საოჯახო ლოცვების დაფიქსირება რთულია, ვინაიდან ეს კულტურა ქრება. მას ანაცვლებს საეკლესიო დღეობები ან სხვადასხვა სახის საერო შეკრებები. ჩვენ დავაკვირდით ერთ-ერთ საოჯახო ლოცვას – „**საღმრთოს**“. ამ დღეობის ჩატარების პროცესში მივიღეთ მონაწილეობა და დავესწარიტ ლოცვის პროცესს და ტრაპეზს. მოვიპოვეთ ამის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალა.

მოპოვებული მასალა დავამუშავეთ დოკუმენტებისა და მეორეული ანალიზის მეთოდით. ზოგჯერ, ეთნოგრაფიულ ველზე შეკრებილი მასალა გადავამოწმეთ საარქივო მასალის გამოყენებით. მაგალითად, ქორწინებასთან დაკავშირებული აკრძალვებისთვის შევეცადეთ მოგვეძებნა ახსნა. ყველა ჩაწერილი მასალის გადამოწმება საარქივო მასალით ვერ მოხერხდა, მათი არარსებობის გამო, თუმცა, შევძელიტ მოგვეძია თანამედროვე ეპოქაში არსებული ჩვეულებების ისტორიული ახსნა.

საარქივო მასალა დაგვებმარა, გამოგვეჩვია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გვარების გავრცელების არეალი. გამოვავლინეთ XIX საუკუნეში და საბჭოთა პერიოდში აქ მცხოვრებთა გვარსახელები. მათი ნაწილი დღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში აღარ ცხოვრობს. უფრო მეტიც, ზოგიერთი გვარსახელი ფიზიკურად აღარ არსებობს. შევეცადეთ გამოგვევლინა გამქრალი გვარების მასშტაბები და მიზეზები, რაც თანამედროვე სოციუმებს საშუალებას მისცემს დაადგინოს, თუ რა არის გვარსახელის მიგრაციის, შემცირების, ან გაქრობის მიზეზი.

კვლევისას მოპოვებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალის კლასიფიკაციისთვის ნაშრომში გამოყენებულია უახლესი ტექნოლოგიური რესურსები. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემების სწრაფ და ვალიდურ დამუშავებაში დაგვეხმარა სპეციალური პროგრამები „Kwic“ (Key Word in Context)¹ და „Voyant Tools“². ლიტერატურაში ბეჭდური სახით არსებული, არქივში მოძიებული და ველზე მოპოვებული მასალა მოვათავსეთ ზემოაღნიშნულ პროგრამებში და შევადგინეთ სტატისტიკური მონაცემების ცხრილი; შევქმენით ვიზუალიზაციის სხვადასხვა ნიმუში, გრაფიკები და ა.შ. კვლევისას თანამედროვე დიგიტალური-ციფრული მეთოდების გამოყენება სტატისტიკური მონაცემების ვიზუალურ აღქმაში დაგვეხმარა, რამაც, თავის მხრივ, სწორი დასკვნების გაკეთებაში შეგვიწყო ხელი. ამდენად, კვლევისას გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდები ტექნიკური ბაზების გამოყენებით, ასევე მასალაზე დაფუძნებული (material-based) მიდგომები.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოების, მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში, სამედიცინო და განათლების სფეროებში დასაქმებულ ადამიანებზე საინტერესო სტატისტიკური მასალა – ინფორმაცია მოვიპოვეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის რესურს-ცენტრში, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს წალენჯიხის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში. თითოეული ეს მასალა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით დამუშავდა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რაოდენობრივი მასალის გაანალიზება მოხდა **კონტექსტუალისტური მიდგომით**. რაოდენობრივი მეთოდებით შედგენილი ტექსტის გაანალიზება მოხდა **ინსტიტუციონალური მიდგომით**.

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური და სოციალური გარემო, როგორც თანამედროვე ეკონომიკური პირობების განმაპირობებელი გარემოება.

კომპარატივისტული მეთოდის დახმარებით პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებული სამეურნეო გარემო, მეურნეობის ფორმები შედარებულია საბჭოთა და

¹ რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://nuchscorpus.japanwest.cloudapp.azure.com/kwic/?fbclid=IwAR1UKq0afsTSjXMsUE8fq2pF6MMr8P7Z4Nm-N9do8NntpVF5VP2Uv5gyCPM>

² რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://voyant-tools.org/?lang=en&fbclid=IwAR3JTJkW3pevI97Hb9U10dqmeyveqPfEqE2VJIHmIYn9LGJKIZxfo1qEBxmQ>

საბჭოთამდელ დროს არსებულთან. შედარებისთვის გამოყენებულია საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის რაიონული განყოფილების მიერ შედგენილი სტატისტიკური კრებული.

საბჭოთა დრომდე არსებული სამეურნეო ყოფის ამსახველი მასალა გაანალიზებულია ეთნოგრაფიული ლიტერატურის გამოყენებითაც.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკური განვითარების პროცესზე დაკვირვებამ, კვლევამ გვიჩვენა, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში ამ სფეროში რამდენჯერმე მკვეთრად შეიცვალა ვითარება.

შინაგანი ანუ იზოლაციონისტური მიდგომით შესწავლილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავცელებული საერო, სასულიერო, მატერიალური, ბუნებრივი და ეთნოგრაფიული ძეგლები, რისთვისაც გამოვიყენე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული სტატისტიკური და აღწერილობითი მონაცემები, კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ტურიზმის და ძეგლთა დაცვის საკითხებში უფროსი სპეციალისტის ანგარიშები. ამ საკითხის შესწავლისთვის გათვალისწინებულია სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები. მასალა გაანალიზებულია **კონტენტ ანალიზის** და **მეორეული ანალიზის** მეთოდების გამოყენებით, რის საფუძველზეც დანახულია, თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად, მატერიალური და ბუნებრივი ძეგლების გამოყენების პერსპექტივები და ამის მიხედვით გაკეთებულია რეკომენდაციები.

დისერტაციის კვლევაში დასკვნები, ძირითადად, ინდუქციურ მეთოდს ეფუძნება. ეთნოგრაფიულ ველზე მოპოვებული, სტატისტიკური და საარქივო ემპირიული მასალების შეჯერდა და კვლევის ფარგლებში მიღებული დასკვნები დაეფუძნა **ინდუქციურ** მეთოდს. გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტული საკითხი სამეცნიერო კვლევის ობიექტი სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად გამხდარა, ლიტერატურის განხილვის საფუძველზე გამოტანილი დედუქციური დასკვნები შედარებით ნაკლებია – დედუქციური მეთოდები გამოყენებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ლიტერატურაში არსებული მასალის და ჩვენ მიერ შეკრებილი ემპირიული მასალის შეჯერება და საერთო დასკვნის გამოტანა შევძელით.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო კვლევა, სამეგრელოს სოფელი პოსტსაბჭოთა პერიოდში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), ძირითადად ეთნოგრაფიულ ველზე შეკრებილ მასალას, საარქივო მონაცემებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, საგაზეთო სტატიებსა და ცნობებს, სამეცნიერო და მემუარულ ლიტერატურას ეყრდნობა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ანთროპოლოგიური ყოფის შესწავლა საველე ექსპედიციების დროს მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის შედეგია, რომელიც შედარებული, გაანალიზებული და გამოკვლეულია საარქივო და სამეცნიერო მასალასთან მიმართებით და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

სადისერტაციო საკითხის გამოკვლევისას გამოვიყენეთ საქართველოს ეროვნულ არქივში საისტორიო ცენტრალურ არქივის ფონდებში დაცული მასალები: კონკრეტულად, დავამუშავეთ წალენჯიხის ყველა სოფლის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერები, რის საფუძველზეც გამოვავლინეთ საბჭოთა წყობილებამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიები, აქ მცხოვრებთა გვარები; გამოვიყენეთ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცული ფილმები, კონკრეტულად, ვნახეთ ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული ფილმები, რამაც საშუალება მოგვცა გვენახა იმდროინდელი ჯვარისა და ხუდონის თემის დასახლება და მიმდებარე ტერიტორიები. გარდა ამისა, გამოვიყენეთ ქუთაისის ცენტრალური არქივის ფონდებში დაცულ მოსახლეობის აღწერის დავთრები და დავამუშავეთ სამეგრელოს რეგიონალურ არქივში დაცული მასალები –1930-იან, 1940-იანი და 1950-იანი წლების წალენჯიხის ყველა სოფლის სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნები, რის შედეგადაც მოვიპოვეთ ინფორმაცია აქ მცხოვრებ მოსახლეობაზე, მათ გვარსახელებზე, ქონებრივი მდგომარეობაზე და მეურნეობის ძირითადი დარგებზე; 1950 წლის მონაცემები სამრეწველო საწარმოებზე და წვრილი მეწარმეობის აღრიცხვის მასალები; ვნახეთ 1979 წლის „მიმოწერა არქიტექტურის და კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმეთა სამმართველოსადმი და სხვა საარქივო დოკუმენტები.

სადისერტაციო კვლევისას გამოვიყენეთ ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდიც, რომელიც დაცულია ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

საბჭოთა დროს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სამრეწველო პროდუქციის წლიური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენეთ 1988 წელს გამოქვეყნებული საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ჩხოროწყუს სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული განყოფილების სტატისტიკური მონაცემების კრებული, სადაც მოცემულია სამეგრელოს შვიდივე რაიონის სტატისტიკური მონაცემები.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დღეისათვის გავრცელებული მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების, ერთწლიანი კულტურების, კაკლოვანი და კენკროვანი ხილის, თესლოვანი და კურკოვანი ხილის, სუბტროპიკული ხილის, ჩაისა და ციტრუსის, ყურძნის ჯიშების, მეცხოველეობისა და მეთევზეობის, საკვლევ მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი მსხვილი და საშუალო ფერმების შესახებ მონაცემები, ასევე ინფორმაცია წვრილ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოთა შესახებ, დავამუშავეთ და გავაანალიზეთ საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალენჯიხის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში, 2021 წლის მონაცემების მიხედვით.

კვლევისას გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიურ რაოდენობაზე (2014-2020 წლის მონაცემები); წალენჯიხის მუნიციპალიტეტში კერძო შინამეურნეობების რაოდენობასა და მოსახლეობის რიცხოვნობაზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (2024 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით); მონაცემები საჯარო, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შესახებ (2020-2021 წლის მონაცემები); მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია; რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა თვითმართველი ერთეულების მიხედვით 1994-2020 წლებში.

კვლევისას გამოვიყენეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგისტრირებული პირების გვარების შესახებ (2022 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით).

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის უძრავი ძეგლების/ობიექტების საბაზისო მონაცემები 2022 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ მუნიციპალიტეტში აღრიცხული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხა 2022 წლის მდგომარეობით; ასევე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში უფროსი სპეციალისტის 2020 წლის მოხსენებითი ბარათი.

კვლევისას გამოვიყენეთ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ოფიციალური ინფორმაცია სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მონაცემები საჯარო და კერძო სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების სტატისტიკის შესახებ, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრების შესახებ, მუნიციპალიტეტში არსებული მემორიალების, ძეგლებისა და მონუმენტების სია.

გავეცანით 2022 წელს გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმს სს. „ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, შპს „ენგურჰესსა“ და შპს „ენგური ატრაქციას“ შორის, დამატებით შეთანხმებას თანამშრომლობისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საბჭოთამდელ პერიოდზე არსებული მასალა მოპოვებულია გაზეთებიდან: „მწყემსი“, „ისარი“, „თემი“, „კვალი“, „სამშობლო“. გარდა ამისა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის რეგიონული გაზეთის - „კომუნიზმის დროში“ მეშვეობით, რომლის ყველა ნომერი დავამუშავეთ. პერიოდული მონაცემების ნაწილი ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნაწილი კი – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ეგრისის“ გამომცემლობაში.

გამოვიყენეთ ასევე სასურველი ინფორმაცია მივიღეთ ასევე გაზეთიდან: „კომუნისტი“. სრულად დავამუშავეთ ენგურჰესის მშენებლობის დროს გამოცემული გაზეთი – „ენგურის ჩირაღდანი“, პოტსაბჰოთა დროს გამოსული გაზეთები: „საქართველოს რესპუბლიკა“, ასევე, სამეგრელოს რეგიონის სიახლეების ამსახველი გაზეთი „ილორი“. გარდა ამისა, მასალების ნაწილი მოვიპოვეთ ელექტრონული გაზეთიდან **livepress.ge**. გარდა ამისა, დავამუშავეთ საბჰოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოსული წალენჯიხის რეგიონული გაზეთი „ეგრისი“, თუმცა, გაზეთ უფრო მეტად პოლიტიკურ სიახლეებზე იყო კონცენტრირებული და შესაბამისად, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ყოფის კვლევისთვის ნაკლებად გამოსადეგია. პრესაში მოპოვებული მასალა დაგვეხმარა სხვადასხვა საკითხის კვლევაში და თანამედროვე ყოფის გაანალიზებაში.

საქართველოს მხარეების ისტორიისა და ყოფის კვლევის უპირველესი ნაშრომია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მკვლევარი ისტორიასა და გეოგრაფიასთან ერთად, ეთნოგრაფიულ მასალასაც გვაწვდის: ადამიანების ხასიაზე, ჩაცმა-დახურვაზე, ანთროპოლოგიურ ტიპზე და სხვა (ყაუხჩიშვილი, 1973).

ფეოდალიზმის ხანის ქართული სოფლის სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია გამოკვლეულია დერმიშა გოგოლაძის ორ ტომად გამოცემულ მონოგრაფიაში „ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.)“. ავტორს პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე შესწავლილი აქვს ფეოდალური ხანის სასოფლო-ტერიტორიული თემის სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია, სამოხელეო წყობა, იურიდიული სტატუსი, სოციალური და რელიგიური სახე, მოხელეთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, სათემო მფლობელობის აგრარული ინსტიტუტები. (გოგოლაძე 1992; გოგოლაძე 1997).

დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ხანის სოფლის სტრუქტურის, მოწყობისა და სოციალური ვითარების საკითხები გამოკვლეულია მ. სანაძის 1979 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში“. ავტორს შესწავლილი აქვს გლეხის წოდებრივი, ქონებრივი, სოციალური მდგომარეობა რაც სოფლის ცხოვრებაზეც გვიქმნის წარმოდგენას (სანიძე, 1979).

1965 წელს დაბეჭდილ ალ. ბენდიანიშვილის წიგნში „აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში“, შესწავლილია 1861 წლის მანიფესტის საფუძველზე გატარებული საგლეხო რეფორმა; საქართველოზე მიწით სარგებლობის და საკუთრების შესახებ გლეხთა უფლებები და ვალდებულებები. მიწის გამოსყიდვის, საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებობის პირობები... (ბენდიანიშვილი 1965).

საბჭოთა დრომდე, სოფლის სოციალური ყოფის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის 1916 წელს ქუთაისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში დაბეჭდილი წიგნი „თანამედროვე სოფელი და მისი საჭიროებანი“. ავტორი სოფელში არსებული მდგომარეობის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას (ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა, მიწის საკითხი, კოოპერაციებში გლეხის მონაწილეობა, გლეხის კულტურული და საგანმანათლებლო მისწრაფებები, გლეხის პოლიტიკური შეხედულებები). წიგნში სოფლის მდგომარეობა ზოგადაა განხილული და ავტორს არ აქვს დასახელებული კონკრეტული სოფელი (ქუთაისი, 1916).

საბჭოთა პერიოდში ქართველი მეცნიერები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის კვლევას. ამ პერიოდში მეტ-ნაკლებად გამოიკვლიეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სოფლები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მთის რეგიონებს და სოფლებს, რადგან მიიჩნევა, რომ მთაში მცხოვრები ადამიანები კონსერვატიულობით გამოირჩევიან და აქ შედარებით ავთენტური ფორმითაა შემონახული ერის ისტორია და ეთნოგრაფია, ყოფა, კულტურა და ტრადიციები.

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში გამოსაყოფია რუსუდან ხარაძის და ალექსი რობაქიძის გამოკვლევა „სვანეთის სოფელი ძველად“. 1964 წელს დაბეჭდილი წიგნი ეხება ბალსხემო, ბალსქემო და ქვემო სვანეთში არსებულ დასახლების ფორმას, დასახლების მორფოლოგიას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ მოსახლეობას და ტერიტორიის მთლიანობას. შესწავლილია საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, დასახლების ფორმა, მიწის ნაკვეთები. მკვლევრებს გაანალიზებული აქვთ სოციალური ურთიერთობები, სამეზობლო და საოჯახო თემი,

მათ შორის არსებული ქონებრივი უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები (ხარაძე, რობაქიძე 1964).

ამავე ავტორების კიდევ ერთ მნიშვნელოვანი ნაშრომია „მთიულეთის სოფელი მველად“. 1965 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში მკვლევრებს შესწავლილი აქვთ მთიულეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხი უძველესი დროიდან საკვლევ პერიოდამდე, სოფლების სტრუქტურა, უბნების გამოყოფის, შექმნის და დასახლებული პუნქტის ცალკე უბნებად დაყოფის სპეციფიკა, სახელწოდებები, ასევე სოფლებში, უბნებში შექმნილი გვაროვნული დასახლებები. გამოყოფილია მთიულეთის სოფლებს შორის არსებული ურთიერთობები და დასახლების ტოპოგრაფიის სახეები („ორხელოზა“ – სოფლიდან დაშორებულ ადგილებში ქოხის დადგმა, სახმარი მიწის გაჩენა, იქ ოჯახის წევრთა დროებით დასახლება); მკვლევრებს ეთნოგრაფიული მეთოდების გამოყენებით, გამოვლენილი აქვთ მთიულეთში არსებული დასახლების ფორმა და საცხოვრებელი ნაგებობები. მონოგრაფიაში დიდი ყურადღება ექცევა „კომების“ (პატრონიმული დასახლება) შესწავლას. „პატრონიმული წარმონაქმნის“ ქონებრივ მდგომარეობას, უფლებებს და საზოგადოებაში მათ ვალდებულებებს. შესწავლილია დიდი ოჯახები და მათთან დაკავშირებული ნათესაური ურთიერთობები და ქონებრივი უფლება-მოვალეობები (ხარაძე, რობაქიძე, 1965).

დასავლეთ საქართველოს სოფლების სტრუქტურა განსხვავებულია აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების სტრუქტურისგან. დასავლეთ საქართველოში სამეურნეო დანიშნულების მიწები და ნაგებობები კარმიდამოშია მოქცეული და ამდენად, სოფლის მოწყობის ტრადიცია რამდენადმე განსხვავებულია.

იმერეთის სოფელი შესწავლილი აქვს კ. კახიანს 1964 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „გლეხის კარმიდამო იმერეთში“. ნაშრომში გამოვლენილია კარმიდამოების თავისებურებები. ეთნოგრაფიული მასალის გაანალიზების შედეგად წარმოდგენილია შრომითი ჩვევების, საწარმოო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია. მკვლევარის აღნიშვნით, „იმერეთში სოფლის ორიგინალური დასახლების უჯრედია კარ-მიდამო. სწორედ კარ-მიდამო განაპირობებდა მოსახლეობის განლაგების პრინციპს სასოფლო უბნებისა და დაბა-სოფლების ფარგლებში“ (კახიანი 1964: 3).

1969 წელს გამოვიდა კრებული სახელწოდებით, „აჭარის სოფელი“, სადაც წამოდგენილია, საბჭოთა პერიოდამდე აჭარის სოფლის ყოფისა და კულტურის საკითხები (მეურნეობის დარგები და შინახელოსნობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა და სხვა).

ვლადიმერ მგელაძეს შესწავლილი აქვს “ზემო აჭარის სოფელი ძველად“. მკვლევარმა აჭარის სოფელი შეისწავლა ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, რომელიც ძირითადად ღორჯომის ხეობაშია (ხულოს რაიონი) შეკრებილი. ავტორის მოსაზრებით, „მთა აჭარის ხეობებს შორის ღორჯომის მხარე გამოირჩევა ძველი ყოფისა და კულტურის ტრადიციული ფორმების შემონახულობით“ (მგელაძე 1973: 5). ნაშრომი ეხება დასახლების ტოპოგრაფიას, სტრუქტურას, მორფოლოგიას, აქ მცხოვრებთა გვარებს და მათ შორის არსებულ ნათესაობის სისტემას, ოჯახს, საოჯახო ურთიერთობებს, აგებულებას, სტრუქტურას, შრომის ორგანიზაციასა და მმართველობის თავისებურებებს ოჯახში.

საბჭოთა პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საკითხები მთიანი აჭარის მაგალითზე შესწავლილი აქვს შ. მგელაძეს. საკითხი ეკონომიკური კუთხითაა განხილული. საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობის დარგების და წარმოების ღირებულებაზე, კოლმეურნეობათა ეკონომიკურ პრობლემებზე ვრცელი ნარკვევი აქვს ავტორს წარმოდგენილი წიგნში „სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საკითხები აჭარის მთიან ზონაში“. ეთნოლოგისთვის ნაშრომი საინტერესოა საბჭოთა დროის სოფლის მეურნეობის დარგების შესწავლისთვის (მგელაძე, 1979).

ჯულიეტა რუხაძეს 1982 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში – „ვანის დღიურის ფურცლები“ – გამოყენებული აქვს არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული და ეთნოგრაფიული მასალები. მკვლევარი სოფლის მეურნეობის დარგებზე და მეურნეობის ნაწარმზე შესანიშნავ მასალას გვაწვდის. მონოგრაფიაში მოცემულია ყოფისა და კულტურის ამსახველი საინტერესო მასალა (რუხაძე, 1982).

ზემო და ქვემო აჭარის სოფლებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალისა და სპეციალური ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე 1983 წელს ჯ. მიქელაძემ დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „აჭარელი გლეხის კარმიდამო“. ნაშრომში შესწავლილია დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები

აჭარაში, ორნამენტის გამოყენების უძველესი ხერხები ნაგებობებზე და სხვ. (მიქელაძე, 1983).

1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან დაარსდა სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია. 1982, 1985 და 1987 წლებში გამოიცა სამი კრებული სახელწოდებით: „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“. ნაშრომები ძირითადად წერილობით წყაროებზე დაყრდნობითაა შექმნილი.

კრებულის გამოცემა პოსტსაბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. 1993 წელს გამოიცა „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“ მე-4 ნაკვეთი, 1998 წელს კი მე-5 ნაკვეთი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II კურთხევით შეიქმნა საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი. 2019-2023 წლებში გამოიცა კრებულის – „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“ – 5 ტომი.

1989 წელს გამოქვეყნდა ეთნოლოგ ბ. გამყრელიძის წიგნი **„ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები“**. ავტორს, ეთნოგრაფიული მასალის, სპეციალური ლიტერატურული მონაცემების და საარქივო დოკუმენტების გამოყენებით, კომპლექსურად აქვს შესწავლილი ხევსურეთის სოფელი. ნაშრომში წარმოდგენილია ხევსურეთის სოფლებში განსახლების ძირითადი ფაქტორები და სოციალური სტრუქტურა. მკვლევარის დაკვირვებით, ხევსურეთის სოფელი არის „მჭიდროდ დასახლებული ერთეული თავისი მთით და ბარით, რომლის ფარგლებშიც სრულდებოდა მთელი სამეურნეო პროცესები“ (გამყრელიძე 1989: 40). ავტორს თითოეული სოფლის მიხედვით განხილული აქვს სამეურნეო ფართობები, მათი განლაგება და სარგებლობის ფორმები. აქ „მიწაზე კერძო საკუთრების ფორმა ვერ განვითარდა. ყველა კატეგორიის მიწები მამობის, სოფლის, თემის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იყო მოქცეული. მათი სარგებლობის და მფარველობის წესები მტკიცედ ჩამოყალიბებულ ადათობრივ ნორმებს ექვემდებარებოდა“ (გამყრელიძე 1989: 54).

ჯუანშერ სონღულაშვილს მონოგრაფიაში „აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (დიდმის ხეობა)“ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შესწავლილი აქვს ხეობის სოფლები,

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მოსახლეობა, გვარების ისტორია და თანამედროვეობის საკითხები. მკვლევარს ნაშრომში მოტანილი აქვს ზედმეტსახელები, მათ შორის ისეთები, რომელთა მიხედვითაც საგვარეულო უბნები იყო „მამის სახლად“ გაყოფილი (სონღულაშვილი 1969: 134).

ცალკეული სოფლების ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლა ქართული მეცნიერებისთვის ტრადიციაა. საბჭოთა პერიოდიდან დღემდე სოფლების შესახებ სამეცნიერო გამოკვლევების გარდა, პოპულარული გამოცემებიც არსებობს. დღეისათვის არაერთი სოფლის ისტორიაა დაბეჭდილი. ადამიანები ცდილობენ მომავალ თაობებს წერილობით გადასცენ ინფორმაცია თავიანთი სოფლის წარსულზე, იქ მცხოვრებ ადამიანებზე. ასეთი გამოცემები მკვლევართათვის მნიშვნელოვანი წყაროა.

ჩვენს საკვლევ ობიექტზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტზე, აქ შემავალ სოფლებზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვს ენათმეცნიერ პაატა ცხადაიას. მკვლევარს კომპლექსურად აქვს შესწავლილი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია, რაც მნიშვნელოვანი წყაროა აღნიშნული მუნიციპალიტეტის ეთნოლოგიურ-ანთროპოლოგიური გამოკვლევებისათვის. ჯერ კიდევ 1985 წელს პ. ცხადაიამ გამოაქვეყნა „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი)“. ნაშრომი წარმოადგენს მთიანი სამეგრელოს გეოგრაფიული სახელების კვლევას. გამოვლენილია წალენჯიხის რაიონის ტოპონიმთა ძირითადი ტიპები და მოდელები.

მკვლევარმა 2004 წელს გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით, „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი I (წალენჯიხის რაიონი)“. აღნიშნული გამოკვლევის მეორე, შევსებული გამოცემა 2015 წელს დაბეჭდილი მონოგრაფია: „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“. შევსებული გამოცემა მოიცავს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მკვლევარის მიერ 1969-70 წლებში ჩაწერილ 5000-მდე ტოპონიმს და მათ ენობრივ ანალიზს (ცხადაია 2015: 7) მონოგრაფიას ერთვის მუნიციპალიტეტში ჩაწერილი ლეგენდები, ისტორიული ცნობები.

დისერტაციის წერისას მნიშვნელოვნად დაგვეხმარა პაატა ცხადაიას 2000 წელს დაბეჭდილი მონოგრაფია „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“, სადაც

მკვლევარი მასალებია მუნიციპალიტეტში ისტორიულად და დღეს არსებულ თუ გამქრალ გვარებზე, მიგრაციებზე და ამის მიზეზებზე. აღნიშნული მასალა გამოვიყენეთ საკვლევ მუნიციპალიტეტში გამქრალი გვარების გამოსავლენად, გაქრობის დინამიკის, მიზეზების ანალიზისთვის და თანამედროვე მდგომარეობის შესწავლისთვის.

ენათმეცნიერ დალი კვარაცხელიას 2005 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცული აქვს დისერტაცია, სახელწოდებით „წალენჯიხის რაიონის ონომასტიკა“. მეცნიერს გამოკვლეული აქვს ჩვენთვის საინტერესო ისეთი საკითხებიც, როგორებიცაა: მეტგვარების წარმოშობა და საკუთარ სახელთან დაკავშირებული სხვა საკითხები (კვარაცხელია, 2005).

2009 წელს გამოიცა პაპუნა გაბისონიას წიგნი „სამეგრელოს ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან, წალენჯიხის რაიონი“. ნაშრომში შესწავლილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი ძეგლები და მათი წარსული, რაც მნიშვნელოვანი წყაროა წალენჯიხის მუნიციპალიტეტზე მომუშავე მკვლევარებისთვის.

2013 წელს ფაუსტ ნადარაიამ გამოსცა წიგნი „სამეგრელო-ზემო სვანეთი“, რომელშიც განხილულია სამეგრელოს სოფლების ისტორია, მითოლოგია, აღწერილია ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, გავრცელებული გვარები. წიგნის საცნობარო ხასიათისაა (ნადარაია, 2013).

სამეგრელოს საერო და საკულტო ნაგებობების ისტორიისა და თანამედროვეობის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია დავით ჭითანავას წიგნი „ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე)“ გამოქვეყნებული მასალები (ჭითანავა, 2010).

2020 წელს დ. ჭითანავას, ბ. ხორავას, ი. შენგელიას და ქ. ციმინტიას ავტორობით დაიბეჭდა გამოკვლევა სახელწოდებით: „სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“. ნაშრომში განხილულია სამეგრელოს სოფლების ისტორიის, ეთნოლოგიის საკითხები, სამეგრელოს სოფლებში არსებული კულტურულ-ანთროპოლოგიური ყოფის ცალკეული ელემენტები, რისთვისაც გამოყენებულია თითოეულ სოფელზე არსებული საარქივო, საველე და დოკუმენტური მასალა (ჭითანავა და სხვ. 2020).

სამეგრელოს სოფლების შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა თ. სახოკიას ეთნოგრაფიული ნაწერები, რომელიც ქორწინებასთან, დღეობებთან და დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზებაში დაგვეხმარა (სახოკია 1956).

სამეგრელოში გავრცელებული საოჯახო, საგვარეულო და სათემო სალოცავების („ხვამების“) საკვლევად მნიშვნელოვანი წყაროა აკ. ჭანტურიას „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“, რომელიც გამოქვეყნებულია 1982 წელს თბილისის უნივერსიტეტის შრომებში (ჭანტურია 1982).

მკვლევარ სერგი მაკალათიას დაფიქსირებული და შესწავლილი აქვს სამეგრელოში არსებული საოჯახო, სათემო ლოცვები და მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები (მაკალათია, 1941).

სამეგრელოში არსებულ საჯარო შეკრებებზე ნ. რეხვიაშვილის ნაშრომი „ჯარობა სამეგრელოში“ გამოქვეყნებულია კრებულში „თედო სახოკია“ (თბილისი, 1969).

მკვლევარმა ნინო თოფურიამ გამოაქვეყნა სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებულ „ოხვამერ ლაგვანებთან“ (ზედაშესთან) დაკავშირებული მონოგრაფია – „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან“ (თბილისი, 1984). მკვლევარს შესწავლილი და გაანალიზებული აქვს საზედაშე ქვევრების დანიშნულება და როლი მეგრულ ეთნოგრაფიულ ყოფაში. მანვე გამოაქვეყნა საინტერესო წერილი „ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში“ (თბილისი, 1968).

მნიშვნელოვანია მკვლევარ ნინო აბაკელიას გამოკვლევები და 1997 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია, „სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში“. საინტერესოა ასევე ეთნოლოგ დ. ჭითანავას წიგნი „ზედაშეს კულტურა საქართველოში“, რომელშიც ძირითადად სამეგრელოში არსებულ მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია სოფლების ტრადიციული ყოფისა და კულტურის მნიშვნელოვანი საკითხები (თბილისი, 2022).

დისერტაციაზე მუშაობისას ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ვ. ითონიშვილის 2003 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „საქართველოს მიწა-წყლის ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დარაიონების ტრადიცია („მთა“; „ბარი“; „ზეგან-აგარა“) ვერტიკალური ზონალობის ჭრილში და მასთან დაკავშირებული დემოგრაფიული პროცესები“. ნაშრომში წერილობითი წყაროების,

ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური და ფოლკლორული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დარაიონების ტრადიცია კლიმატური პირობების, მეურნეობის ფორმების, ხალხური ემპირიული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით (ითონიშვილი, 2003).

საბჭოთა დრომდე და საბჭოთა დროს დასახლების ფორმების შესასწავლად მნიშვნელოვანია ილია ადამიას 1948 წელს შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი „კოლხეთის საბინაო ხურომოდგერება“. მკვლევარს შესწავლილი აქვს სამეგრელოს ტერიტორიაზე გავრცელებული სახლები. საცხოვრებელი ნაგებობები და მისი განვითარების პერსპექტივები შესწავლილი აქვს ასევე გ. გეგეჭკორს. მან გამოიკვლია ფაცხა, ჯარგვალი, პიტაპიცარა სახლი (გეგეჭკორი, 2000; გეგეჭკორი 2002¹; გეგეჭკორი 2001).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებულ დასახლების ფორმასთან და საცხოვრებელ ნაგებობებთან, საბჭოთა პერიოდში მიგრაციებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი წყაროა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მკვიდრის, ხუდონის თემიდან გადასახლებული ისააკ ქარდავას ბიოგრაფიული წიგნი „მოთხრობები, ლექსები და ნაშრომებზე მკითხველთა გამოხმაურება“ (ქარდავა 2011). წიგნი მემუარული ხასიათისაა და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის და ზოგადად სამეგრელოს მკვლევარისთვის.

გ. ბაგრატიონ-დავითაშვილის და ლ. შალვაშვილის წიგნში „ტრადიციული დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი საქართველოში“, განხილულია ტრადიციული დასახლებების და საცხოვრებელი ნაგებობების ძირითადი ტიპები და ის ფაქტორები, რამაც განაპირობა მათი ფორმირება აღნიშნული სახით (თბილისი, 2005).

ქორწინებასთან არსებულ შეხედულებებთან და ჩვევებთან დაკავშირებით ჩვენთვის მნიშვნელოვანი ნაშრომებია მ. ბექაიას 1980 და 1981 წლებში გამოქვეყნებული მონოგრაფიები „ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები“ და „საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის“.

სამეგრელოში არსებული წეს-ჩვეულებების შესასწავლად მნიშვნელოვანია ნ. ანთელავას 2005 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევა „ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში“. მეგრული საქორწინო ჩვევები და ტრადიციები ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული მასალის საფუძველზე გამოკვლეული აქვს მკვლევარ ნ. აბულამეს. მისი სადისერტაციო კვლევა „მეგრული საქორწინო ზეპირსიტყვიერება“ შესრულებულია 2017 წელს.

თავი I. დასახლების ფორმები და ინდივიდუალური კარ-მიდამოს მოწყობა

ა) დასახლების ისტორიული ფორმები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასახლების ფორმა, კარ-მიდამოს, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მოწყობის წესი დროსთან ერთად იცვლება. სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, აქ არსებული ისტორიული დასახლებები თანდათან თანამედროვე ხდება. ისტორიულად არსებული ტრადიციული საცხოვრებლები, კარ-მიდამოები მეტნაკლები თავისებურებებით შემორჩა ყოფას. დასახლების ისტორიული ფორმების მნიშვნელოვანი ცვლილება საბჭოთა ეპოქაში დაიწყო და დღემდე გრძელდება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცვლილებების შედეგები თვალსაჩინოა. საბჭოთა კავშირის დაშლამ, საზღვრების გახსნამ, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ინფრასტრუქტურულმა ცვლილებებმა (გზები, სატრანსპორტო საშუალებები), კომუნიკაციის გაუმჯობესებამ, მიგრაციული პროცესების მატებამ, სოფლებში შეცვალა დასახლების როგორც სტრუქტურა, ისე მორფოლოგია.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, დასახლების ფორმების თავისებურებებს განაპირობებდა განსხვავებული ლანდშაფტი, რაც ხელს უწყობდა ამა თუ იმ კუთხეში მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, თავისებური საცხოვრებელი ნაგებობების შექმნას, კარ-მიდამოს მოწყობას, საუბნო და სასოფლო დასახლებების ჩამოყალიბებას.

როგორც ირკვევა, დასახლების ფორმისა და საცხოვრებელი ნაგებობების შესასწავლად გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ადრე მთასა და ბარში არსებული დასახლებები განსხვავებული იყო და მეცნიერები სხვადასხვა კატეგორიად განიხილავდნენ (ჩიტაია 1953: 201-203). დღეს თანამედროვე ტექნიკურმა მიღწევებმა განსხვავებულობა მთისა და ბარის დასახლების ფორმებსა და საცხოვრებელ ნაგებობებს შორის მნიშვნელოვნად შეამცირა. ზოგიერთი თავისებურება, რაც სამეგრელოს მთის, კერძოდ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებობს, ცალკე გვაქვს განხილული.

დასახლების ფორმების წარმოშობაზე და მათ ისტორიულ ცვალებადობაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. **ნ. ბერძენიშვილი** აღნიშნავს, რომ უძველეს დროში ქართველები გორებზე ან/და ხევებს შორის ცხოვრობდნენ (ბერძენიშვილი 1971: 69).

მ. გეგეშიძის დაკვირვებით, *“წყალ-ხმელეთის მჭიდრო მეურნეობრივი სიახლოვე საქართველოსათვის ობიექტური დამახასიათებელი და ამავე დროს გამართლებული მოვლენა ჩანს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებას, კერძოდ ვერტიკალურ ზონალობას და ცხოვრების ხეობურად მოწყობის ისტორიულ აუცილებლობას”* (გეგეშიძე 1987: 85).

ხევი იყო სასოფლო-ტერიტორიული ერთეული და განსახლებაც ხეობების მიხედვით ხდებოდა. როგორც **ბ. გამყრელიძე** აღნიშნავს, *“ცალკე აღებული ყოველი ხეობა იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო-კულტურული კომპლექსი თავისი მთითა და ბარით, რომელიც ვერტიკალური ზონალობის ჭრილში ქმნიდა მეურნეობის, მატერიალური კულტურისა და სოციალური ორგანიზაციის ერთ მთლიან სისტემას”* (გამყრელიძე 1989: 12).

საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ ზონებად დაყოფის შესახებ პირველი დაკვირვება ვახუშტი ბატონიშვილს აქვს. **ვ. ითონიშვილი** აღნიშნავს, რომ *“ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს მიწა-წყლის გენერალურ დაყოფას ვერტიკალური ზონალობის ჩარჩოებში და “მთური” და ბარული” დასახლების გამოყოფა-კლასიფიკაციას ახორციელებდა მრავალი ფაქტორის მიხედვით. ვახუშტი ბატონიშვილი ახასიათებს ამა თუ იმ ქვეყანას არა მარტო იმის მიხედვით, თუ რა მოდის იქ, არამედ იმით, თუ რა მოჰყავთ იქ”*. (ითონიშვილი 2003: 23).

ქვეყნის ტერიტორიის “ბარად” და “მთად” დაყოფაზე ივანე ჯავახიშვილიც მიუთითებდა (ჯავახიშვილი 1930: 131).

ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორია, ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად, სამ უმთავრეს ისტორიულ-გეოგრაფიულ და სამეურნეო კულტურულ, ან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონად – ბარად, ზეგნად და მთად – იყოფა (ითონიშვილი 2003: 80). ზონალობაში იგულისხმება ტერიტორიის დაყოფა სამ ნაწილად, გეოგრაფიული პირობებისა და მასთან შეგუებული მეურნეობის თავისებურებების გათვალისწინებით (კახიანი 1975: 25). ამავე დროს, თითოეულ ზოლს შიგნით თავისი ბარი, ზეგანი და მთა შეიძლება ჰქონდეს (ჩიტაია 1980: 4).

მიხეილ გეგეშიძემ დააზუსტა და რელიეფის ძირითადი ნიშნების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე გამოყო სამი ზოლი: მაღალმთიანი, დაბლობის და გარდამავალი ზოლი (გეგეშიძე 1956, 29-73).

ალექსი რობაქიძემ სამეურნეო-კულტურული ზონის და ისტორიულ-ბუნებრივი პირობებით გამოწვეული ნიშნების მიხედვით, საქართველოს ტერიტორია სხვანაირად დაყო სამ ნაწილად: აღმოსავლეთ საქართველოს ბარად, დასავლეთ საქართველოს დაბლობად და საქართველოს მთიანეთად (რობაქიძე 1986: 13).

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებისა და გეოგრაფიული განლაგების მიზეზებთან დაკავშირებით ვ. ნეიძე საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს: *“დასახლება და გეოგრაფიული განლაგება განაპირობა სამეურნეო საქმიანობის ხელშემწყობმა ბუნებრივმა პირობებმა, ხალხის მიერ შექმნილმა მდიდარმა მატერიალურმა კულტურამ, ტრადიციებმა და მის ცხოვრებაში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკურმა, დემოგრაფიულმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და ეკოლოგიურმა პროცესებმა, რომლებიც დღესაც გრძელდება”* (ნეიძე 2013: 241).

რაც შეეხება სამეგრელოს, პაატა ცხადაიამ შეისწავლა და გამოყო სამეგრელოში არსებული ზონები, რომლებიც საქართველოში სხვაგან არსებული მდგომარეობის ანალოგიურია. იგი აღნიშნავს: “სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით და მეგრელთა წარმოდგენითაც სამი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონა განირჩევა: ა) “რზენი” (ვაკე) – ზღვისპირა ვაკე, რომელსაც გეოგრაფები ოდიშის დაბლობს უწოდებენ; ბ) “ლაკადა” – ოდიშის პლატო, ანუ ნახევრად ვაკე, სამეგრელოს შუა ნაწილი ეგრისის ქედის ძირიდან კოლხეთის დაბლობის ჩრდ. კიდეამდე. ოდიშის პლატოზე მცხოვრებნი ლაკადას უწოდებენ მხოლოდ ეგრისის ქედის წინა მხარის კალთებს, რომლებიც ჩამოდის მთისძირა სოფლებამდე. გ) “გვალა” (მთა) – ეგრისის ქედი და მისი განშტოებანი, ანუ კავკასიონის სამხრეთი კალთის გასწვრივი გვერდითი ქედი, მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფი” (ცხადაია 2015: 4).

დასახლების ფორმები ზონალობის გათვალისწინებით განსაზღვრა გ. ჩიტაიამ და აღნიშნა, რომ დასახლების ფორმაში იგულისხმება ადამიანთა საცხოვრებლის და შრომის ადგილის ერთობლიობა. მკვლევარმა, საკვლევ მუნიციპალიტეტში არსებული სოფელი ლია და ჯვარი მიაკუთვნა მთის ძირის სოფლებს (ჩიტაია 1953: 201-202).

დღეს დასავლეთ საქართველოში “დასახლებანი ძირითადად წარმოდგენილია მთის ფერდობსა და ზეგნებზე უგეგმოდ, უწესრიგოდ განლაგებული საკარმიდამო ნაკვეთებითა და გზისპირას განლაგებული სოფლების სახით. ... მთური დასახლება წინ უსწრებდა გზისპირულს, რამდენადაც გაფანტული დასახლების ადრეული ტიპები ძირითადად ინარჩუნებდნენ მონოგენურობას” (ბაგრატიონ-დავითაშვილი 2005: 11).

სამეგრელოში ტრადიციული დასახლების ფორმების შესახებ ინფორმაციას მოგზაურები, მკვლევარები გვაწვდიან. ადრეული დასახლების ფორმები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებითად შეიცვალა საბჭოთა პერიოდში. პოსტსაბჭოთა დროს კარ-მიდამოს და საცხოვრებელი ნაგებობების თანამედროვე სახით მოწყობაზე გავლენა იქონია ფართო არჩევანის, ინდივიდუალური შეხედულებებისა და გემოვნების შეუზღუდაობამ, სამშენებლო მასალის არჩევანისა და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობამ. შემცირებულია კარ-მიდამოში დამხმარე და სამეურნეო ნაგებობების რაოდენობა, ხშირად შეცვლილია მათი ფუნქციები. ვხედავთ გათანამედროვეებულ დამხმარე ნაგებობებს, რომელთაც მოსახლეობა ფუნქციის შესაბამის სახელს უწოდებს, მაგრამ ნაგებობის ფორმები და საშენი მასალა განსხვავებულია ტრადიციულისგან.

ბ) თანამედროვე განსახლების სტრუქტურა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სამეგრელოს მთიანი ნაწილისთვის დამახასიათებელი დასახლებებია. მისი ტერიტორია და დასახლებული პუნქტები შედის მთისძირის და მაღალმთიან ზონაში (ცხადაია 2015: 9). აქ დასახლების სტრუქტურა და საცხოვრებელი ნაგებობები დროსთან ერთად იცვლება და ერგება თანამედროვე ვითარებას და გამოწვევებს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული განსახლების სტრუქტურა დროის სხვადასხვა ეპოქაში იცვლებოდა. საბჭოთა პერიოდამდე დასახლება ძირითადად მთებში, ტყიან ადგილებში იყო გაფანტული. საბჭოთა დროს მოსახლეობამ კომუნიკაციის გამარტივების მიზნით შეცვალა საცხოვრებელი ადგილები და ძირითადად ბარის ტერიტორია დაიკავა. პოსტსაბჭოთა პერიოდის დასახლების სტრუქტურა ძირითადად საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, ხოლო მთიანი ტერიტორია კომუნიკაციების გაუმჯობესების შედეგად დღესაც ათვისებულია.

საბჭოთა დრომდე სამეგრელოსთვის დამახასიათებელი იყო გაფანტული დასახლების ფორმა. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ცნობით, “სამეგრელო წარმოადგენს დიდ ტყიან მხარეს, სადაც გაფანტულია სახლები” (ჯუდიჩე მილანელი 1964:47). წარსულში მოსახლეობა განფენილი იყო მთებში და ქმნიდა ერთი გვარის ლოკაციას, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთ გორაზე მოსახლეობდნენ ერთი კონკრეტული გვარის წარმომადგენლები, რომლებიც ქმნიდნენ სისხლით ნათესავების ერთობას.

წარსულში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გორებზე დასახლებას ადასტურებს პაატა ცხადაიას მიერ ჩაწერილი მასალაც. მკვლევარს ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ პალურში ჩაუწერია: *“ჩქინი ჯვეშეფი იშო-იშო მიკათანჯანდეს ჯალებს დო თაშ გაიშურთუმუნა ინგირიშა. ეიშა ხალხ ხვალე სუკებს მიკახორანდ”* (ცხადაია 2015: 24).³ ეს შემთხვევა ახოს ალებისა და საცხოვრებლის შეცვლის მაგალითია.

გორებზე ცხოვრება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიურადაც დასტურდება. პალურში, ჟირსუკის ბორცვზე, გამოვლენილია ხუთი არქეოლოგიური ფენა: ნეოლითის, გვიანბრინჯაოს, რკინის ხანის, ელინისტური და ადრეფეოდალური პერიოდის. ჟირსუკის ბორცვი ადამიანთა საცხოვრისად მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა (გაბისონია 2009: 39).

მოსახლეობის მთებში და გორაკებზე განსახლება განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. ერთ-ერთი იყო სამეგრელოსათვის დამახასიათებელი მალარიის ინფექცია, რომელიც დაბლობ, ჭაობიან ადგილზე უფრო ვრცელდებოდა. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, ასევე, მტრების შემოსევები. სამეგრელოს მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდნენ მომთაბარე ჩრდილოკავკასიელები და ოსმალები. ჩრდილოკავკასიელების სამეგრელოში თარეშზე ბესარიონ გაბაშვილის (1750-1751) პოემაში “რუხის ბრძოლა” ვკითხულობთ:

“ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კემურგელთ ამცნეს ცნობითა,

ყივჩაღთა შემოიწვევდნენ, ინდობდენ სჯულის ძმობითა,

აფხაზნი შეეფიცოდნენ ქრთამით და აგრევ ძღვნობითა:

³ თარგმანი: „ჩემი წინაპრები ხეებს ჭრიდნენ და ასე გამოვიდნენ ენგურამდე. აქამდე ხალხი მარტო გორებზე ცხოვრობდა“. იხ. პ. ცხადაია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბ. 2015. გვ. 24.

და მეგრელთა სისხლი უნდოდათ, თუცა შეესვათ გობითა” (გაბაშვილი 2021: 29).

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მოხდა ჭაობების დაშრობა, ჩაიკეტა საზღვრები და ჩრდილოკავკასიელთა თარეში საბოლოოდ შეწყდა. განვითარდა კომუნიკაციის საშუალებები და ადამიანებმა დაიწყეს მთებიდან შედარებით დაბლა ჩამოსახლება; შეიქმნა გზისპირა, მჭიდრო დასახლებები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უდიდესი ელექტოსადგურის – ენგურჰესის მშენებლობამ დიდი გავლენა იქონია ახალი დასახლების შექმნაზე და ერთ-ერთი თემის – ხუდონის გაქრობაზე.

ხუდონის თემი ქალაქ ჯვარის სასოფლო საზოგადოების შემადგენლობაში შედიოდა. 1932 წელს მდინარეების, მაგანასა და ენგურის ხეობებში არსებული სოფლების გაერთიანებით, ის ცალკე თემად ჩამოყალიბდა. სოფლები მაღალმთიანი იყო, სამეგრელოს მთისთვის დამახასიათებელი პირობებით. აქ მცხოვრებთა მეურნეობის უფრო გავრცელებული ფორმა იყო – მომთაბარე სახის მესაქონლეობა. ხუდონის მკვიდრ ისაკ ქარდავას თავის მემუარებში აღწერილი აქვს თანასოფლელების საზაფხულო სამოვრები ხელერდის მთაში, უთუთი და ძირგუ ფიფიების საზამთრო სამოვრები სამეგრელოს საზღვრისპირეთში და დაბლობში.

ხელერდის სამოვრებზე ხუდონელებს ჰყოლიათ საქონელი, ხოლო ჩქვალერელებს – თხა და ცხვარი. ჩქვალერელი გოგილაგებისა და ფიფიების ცხვრისა და თხის რაოდენობა ორი ათასამდე სული ყოფილა. მეთხევებთა ჩქვალერში და ნაგურუში დღესაც არის გავრცელებული. სამეგრელოს მთებში დღესაც არიან მეჯოგეები. ტობავარჩხილის სამოვრებზე, წალენჯიხელ მეჯოგე ძმებ მორგოშიებს ჰყავთ კვარაცხელიას ჯიშის საქონელი და თხები, მისდევენ გადარეკვით მესაქონლეობას. მათ საზაფხულო სამოვრები აქვთ ჯიქირში, საშემოდგომო – ნაღეჯში, ხოლო საზამთრო ფოთში – შავდელეში. შუა სექტემბერში ჩაყვავთ საქონელი ბარში, ხოლო თხები – სოფელ ნაგურუში. მეჯოგეებს და მწყემსებს სამეურნეო მიწებიც აქვთ მთებში, მოჰყავთ ლობიო, ქერი, ამზადებენ თივას.⁴

ხუდონის თემში შემავალი სოფლები სამეგრელოს მთის დასახლებას ქმნიდა. აქ რელიეფი და, ზოგადად, ბუნებრივი პირობები მთიანი სამეგრელოსთვის დამახასიათებელი იყო. ამასთან, მთას კავშირი ჰქონდა ბართან. ეს დასტურდება

⁴ ეს მასალები ჩავიწერეთ 2016 წელს სამეგრელოში ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს.

შემდეგი მონაცემებით: გურია-სამეგრელოს ეპარქიის ხუდონის მაცხოვრის ეკლესიის 1896 წლის საარქივო ჩანაწერის მიხედვით, 1896 წლის 20 იანვარს ხუდონის ერთ-ერთ სოფელში, ზვავის ჩამოწოლის შედეგად გარდაიცვალა 13 ადამიანი. ამათგან უმეტესობა რუხაიას გვარისა ყოფილა. 23 და 25 იანვარს ისინი დაასაფლავეს ხუდონის მაცხოვრის ეკლესიის გალავნის შიგნით (სეა. ცსა. ფ. 489, ა. 6, ს. 742). ზუგდიდის მაზრაში, დიდთოვლობის შედეგად მსხვერპლის არსებობის მიზეზით და ხუდონში დაზარალებულთა დასახმარებლად შეუქმნიათ კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარე თავადი დადიშქელიანი მიმართავს გაზეთ „კვალის“ რედაქტორს თხოვნით: „უმორჩილესათა გთხოვთ მიიღოთ თქვენს რედაქციაში შემოწირულებანი გაჭირვებულთა სასარგებლოთ და შემდეგ შემოწირულებანი გამოგვიგზავნოთ დ. ზუგდიდის მაზრის სასამართლოში“ (დადიშქელიანი 1896: 199). ეს ცნობა ხაზს უსვამს მთის კავშირს ბართან და სამეგრელოს მთის მოსახლეობის კომუნიკაციას ბარის მოსახლეობასთან.

საბჭოთა პერიოდში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მოჰყვა ხუდონის თემის სოფლებიდან მოსახლეობის აყრა და აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასახლება. ენგურის წყალსაცავის ქვეშ მოექცა ხუდონის თემის სოფლები: **მაქსანია, შრდენი, ფურაში, ჩხიჭონი, ქულაგვანი, ტყვიში, ფაშტახარი, მუნწყვა, ბულურჯელი, ტყაბედნიერი, ჭველეთონა და ხუბერის ნაწილი**, სამასზე მეტი ოჯახის კარმიდამო, მიწები, ვენახი, ხეხილი, მარანი (ქარდავა 2011: 40). მაგანის ხეობის სოფელი **წყავაში** ნაკრძალად გამოცხადდა. იქ მცხოვრები მოსახლეობა კი ჯვარში დასახლდა.

მოსახლეობა გადასახლეს მათთვის ახალ ტერიტორიებზე. საბჭოთა დროს, ტექნიკური სამუშაოებით იყო განპირობებული ციმინტიების გადასახლება სოფელ ლექარდეს უბან ლეციმინტედან. აქ ციმინტიები მდინარე მაგანის ნაპირზე სახლობდნენ. მთხრობელთა თქმით, მდინარე ხშირად დიდდებოდა, მოსახლეობას და მათ მეურნეობას საფრთხეს უქმნიდა. მოსახლეებს მდინარის ადიდების შემდეგ საცხოვრებლად დროებით სხვაგან გადასვლის პრაქტიკა ჰქონიათ, თუმცა მდინარის კალაპოტში მოქცევის შემდეგ, კვლავ უბრუნდებოდნენ საცხოვრებელს (ქარდავა 2011:19). მიუხედავად ამისა, ლეციმინტედან ციმინტიების გადასახლების უმთავრესი მიზეზი არა მდინარის ადიდება, არამედ გზის გაყვანა და აფეთქებების შედეგად გამოწვეული საფრთხის თავიდან აცილება გახდა. ციმინტიები ჯვარის ცენტრალურ

ქუჩებზე გადასახლდნენ, მონაწილეობა მიიღეს ჯვარის ცენტრალური უბნის ფორმირებაში და აქ მჭიდრო სამეზობლო დასახლების შექმნაში. აქ მათ გადმოიტანეს ადრინდელი საცხოვრისის სახელწოდება – ლეციმინტე. ამჟამად ჯვარელ ციმინტიებს ძველ ნასახლარში, ლეციმინტეს უბანში მიწები აქვთ, რომლებსაც ამუშავებენ.

დღეს არსებული ჯვარზენის უბნის დასახლების მასშტაბურობის, კერძოდ, ურბანული სივრცის მოწყობის მიზეზი ენგურჰესის მშენებლობაა. ენგურჰესელთა უბნების შექმნამ სრულიად შეცვალა დასახლების სურათი. მანამდე ჯვარზენის დასახლების უმეტესი ნაწილი დაუსახლებელი იყო. ოფაჩხაფუს უბანში (ჯვარზენი) მცხოვრები რეზო ჯონჯოს ძე უბილავას თქმით, ჯვარზენში დღევანდელი ტერიტორიის დიდი ნაწილი, მათ შორის, მისი საცხოვრებელი ქუჩა, ტყით ყოფილა დაფარული. ამ უბნის განაშენიანება გვიან მოხდა. რაიონულ გაზეთში, ვალერი ბეჭვაიას 1967 წელს გამოქვეყნებულ ლექსში – “ჯვარზენი” ვკითხულობთ:

“აქ ძველად გავლა უჭირდათ ურმებს,

გზას ძლივს იკვლევდა ქალი და კაცი” (ბეჭვაია 1967: 4).

დღეს ეს უბანი მჭიდროდაა დასახლებული. ახოს ალების შედეგად გაფართოებულ ტერიტორიაზე გაჩნდა შეჯგუფებული დასახლება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თოთხმეტი ადმინისტრაციული ერთეულიდან უმეტესობა მთაგორიანია. სოფლები არაერთგვაროვანია. ზოგიერთი სოფლის ცენტრალური დასახლება არის გზისპირული, ვაკე ადგილზე; აქ ძირითადად გზის ორმხრივი, მჭიდრო დასახლება გვხვდება, მაგრამ ამავე სოფლების ცალკეული უბნები მთებშია შეფენილი. მაგალითად, სოფელ ჯგალში დასახლება გზისპირულია, მჭიდრო და ამასთან, ვაკე ადგილზეა; მჭიდრო დასახლება აქ საბჭოთა დროს დაიწყო. მოსახლეობა პირველსაცხოვრისი გორებიდან ჩამოვიდა და ვაკე ადგილებში დასახლდა, რათა ცხოვრებისთვის უმჯობესი პირობები შეექმნათ და კომუნიკაცია გაემარტივებინათ. ასეთი ტიპის დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას სახნავ-სათესი მიწები აქვთ ჩამოსახლებამდე არსებულ სამოსახლო ადგილებში, რომელსაც ისინი “ჯვეშიშ ოხორუს” (ძველის ნასახლარი, ანუ წინაპრის სამოსახლო) ეძახიან.

სოფელ ჯგალში, **ლესარჩილეს** უბანში დღეს ცხოვრობენ ხარჩილავები. ისინი გორაზე ცხოვრობდნენ. მთხრობელის, ომარ აკაკის ძე ხარჩილავას თქმით: “*ართ სუკი რდუ დო თექ ფცხოვრენდით, უკულ გიმებლით აშო*” (ერთი გორა იყო და იქ

ცხოვრობდით, მერე ჩამოვედით აქეთ). იმ გორაზე, ჩვიდმეტი ოჯახი ცხოვრობდა. მიუვალი ადგილი იყო, თუმცა იქ დღეს რამდენიმე ოჯახი სახლობს. ჰქონდათ სასაფლაო – “ნაკრდამუ” (ნაკლდამევი) ადგილის მიმდებარედ. აღნიშნულ გორაზე მიქავებსაც ჰქონიათ სასაფლაო. ხარჩილავებმა, გზისპირას დასახლების შემდეგ, ძველი უბნის სახელწოდება, “ლესარჩილე” „ჩამოიტანეს“ დაბლა და დღეს მათ სამოსახლო უბანს, ჯგალის ცენტრთან ახლოს ლესარჩილე ჰქვია.

სოფელ ჯგალში, ცენტრალურ მაგისტრალის გასწვრივ ცხოვრობენ კვარაცხელიები. მათ ადრე სამოსახლოები ჰქონდათ მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე. გზა მათ ძველ სამოსახლო ადგილამდე დღესაც არ მიდის; მდინარეზე საცალფეხო ხიდია გადასასვლელი და ამ ხიდით სარგებლობენ მიწის მესაკუთრეები. აქ სამეურნეოდ განკუთვნილი მიწები აქვთ, სადაც მოჰყავთ სიმინდი და გაშენებული აქვთ თხილის პლანტაციები, ხილი, ვაზი.

ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ლესალეში მოსახლეობა გაფანტულია. კარმიდამო გორაკებზე აქვთ გაშენებული. ასეთივე დასახლებებია საჩინოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნაგურუში, სოფელ ჩქვალერში, მიქავას ადმინისტრაციული ერთეულის უბნებში: ლედვინჯილეში, ლეჯოლოხეში. აქ რელიეფი არაერთგვაროვანია, მოსახლეობა მთის ძირში და გორებზეც გაფანტულად ცხოვრობს.

სოფელ საჩინოში სოფლის ცენტრალური უბანი მჭიდროდ არის დასახლებული. მოსახლეობა ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობს. საჩინოში ჩამოედინება მდინარეები ინწირა და ჭანისწყალი. მოსახლეობა ამ მდინარეების გასწვრივაა დასახლებული. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში შედის ოთხი სოფელი: **საჩინო, ზედა საჩინო, კუხეში და ნაგურუ**. ნაგურუს მეორე საჩინოსაც უწოდებენ.

ნაგურუ და კუხეში მთის კალთებზეა განლაგებული. აქ მოსახლეობა გაფანტულია – სახლობენ გორაკ-ბორცვებსა და ხეობებში. ამ უბნებში მეურნეობის ძირითადი დარგია მსხვილფეხა მესაქონლეობა, იშვიათად ჰყავთ თხა და ცხვარი.

აღსანიშნავია ნაგურუში ეზოებში, ან საცხოვრებელი სახლის გვერდზე საფლავების არსებობა. სამეგრელოში, მთიანეთში, სახლის ეზოებში ოჯახის წევრის დაკრძალვა გავრცელებული იყო. ხუდონის მკვიდრი ისააკ ქარდავა წერს, რომ

ხუდონის თემის ექიმბაში დათა ქარდავა მოხუცებული გარდაიცვალა. ის დაკრძალეს სახლ-კარის ეზოს კუთხეში (ქარდავა 2011: 30). გარდაცვლილებს ეზოში, იშვიათად, საბჭოთა დროსაც კრძალავდნენ. საბჭოთამდელ სამეგრელოში ეზოში ან ეზოს ახლოს ოჯახის წევრის დაკრძალვა გამოწვეული იყო სასაფლაომდე დიდი მანძილით და ბუნებრივი სირთულეებით, თუმცა, ეზოებში მაინც ძირითადად ახალგაზრდებს კრძალავდნენ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ბარის სოფლების დასახლებების უმეტესი ნაწილი გზისპირულია. აქ მცხოვრებ მოსახლეობას სამეურნეო ნაკვეთი სახლთან ახლოს საკმარისი რაოდენობით არ აქვს, ამიტომაც ისინი სარგებლობენ ადრინდელი სამოსახლო ნაკვეთებით, რომელთაც სამეურნეო დანიშნულებით იყენებენ. ამის მაგალითები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბევრია. სოფელ საჩინოში მცხოვრები ომეხ დიანოზის ძე კაკალიას თქმით: *“ლეკაკალე დიხა რე ჟიმოლე, ასე კოჩ ვარე, კაკალიეფ ცხოვრენდეს”* (ლეკაკალე მიწაა მაღლა, ახლა არავინ არ ცხოვრობს, ადრე კაკალიები ცხოვრობდნენ). ლეკალალებში სამი ძმა ცხოვრობდა. წყარო და წყლის წისქვილი ჰქონდათ. საბჭოთა დროს ჩამოვიდნენ დღევანდელ საცხოვრებელ ადგილზე, გზისპირზე, ძველ სამოსახლო ადგილზე კი დასამუშავებელი სამეურნეო მიწა აქვთ. წინაპართა ნასახლარ მიწებს სამეურნეოდ იყენებენ ბარახტაძეები სოფელ ნაკიფუში, მოსიდეები “ბერნოხორიში”, კვარაცხელიები, ფიფიები და შელიები “ვეიჯინჯიში”, ფურთუხიები – კაცხარაზე, მანიები – ლემანიეში.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების იმ მთაგორიან უბნებში საწამდეც კეთილმოწყობილი სამანქანე გზა მიიყვანეს, ძველი დასახლებები შენარჩუნებულია. აქ მცხოვრებნი ბარში არ ჩასახლებულან. ამის მაგალითია წალენჯიხის ერთ-ერთ უბანი – **ხვითერი**, სადაც გზის გაყვანის შესახებ ცნობა არის ადგილობრივ გაზეთში: *“ხვითერი ერთ-ერთი მივარდნილი კუთხე იყო წალენჯიხაში. გორაკებს მიყუჟული უბანი ბონდის ხიდით უერთდებოდა სამყაროს. ხვითერის ნაყოფიერ საყანე ფართობს ხშირად იტაცებდა ადიდებული ჭანისწყალი. გამგეობის თავმჯდომარის ინიციატივით, ხვითერი ორი გაბმული სამანქანე ხიდითაა დაკავშირებული ცენტრს”* (გაბელია 1967: 1). სამანქანო გზების გაყვანის შემდეგ მოსახლეობას აღარ მოუწია ახალი საცხოვრებელი ადგილის ძიება. ხვითერი-საკალანდიოს უბანი წალენჯიხაში

დღესაც არის. აქ მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული. დასახლებული უბანი ცენტრალურ მაგისტრალს მეორეხარისხოვანი გზით უკავშირდება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მთიან სოფლებში თითოეულ მოსახლემდე სამანქანო გზა მიდის. მაგალითად, სოფელ მუჭავაძან ნაშამგუს უბნამდე ცენტრალური გზა მოასფალტებულია. ნაშამგუ მუჭავაში ყველაზე მაღალი დასახლებაა (ზღვის დონიდან 350 მეტრზე). ის აფხაზეთის რეგიონის მოსაზღვრე უბანია. სოფლის სხვა უბნებსა თუ ქუჩებში გრუნტის გზებია. ისეთი ადგილები, სადაც გორებზე მოსახლეობამდე გზა არ გადის, იშვიათია. ამის მაგალითია სოფელ მედანში, ლეძაძამეს უბანში ავთა ძაძაძიას სახლი. მისი კარ-მიდამო წინაპართა საცხოვრებელ გორაზეა გაშენებული. საცხოვრებელი სახლი კი კომუნისტების დროს აქვს აშენებული. მის სახლთან სამანქანო გზა არ მიდის. ასეთი მაგალითი სოფელ მედანში რამდენიმეა.

ვაკის დასახლებებია სოფელი **ჭალე, ლია, ობუჯი, ნაკიფუ, ჯგალი და ქალაქი წალენჯიხა**. სოფელი ლია და ქალაქი ჯვარი ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის ავტომაგისტრალის გასწვრივ მდებარეობს. ლია გაშლილ რელიეფზე, დაბლობ ადგილზეა გაშენებული. აქ მოსახლეობა ძალიან მჭიდროა, რაც მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებისთვის იშვიათობაა. დაბლობზე, მჭიდრო მოსახლეობაა სოფელ ჭალეშიც. ამ სოფლებში ძირითადი კულტურებია თხილი და სიმინდი. პოსტსაბჭოთა პერიოდში თხილის მოყვანამ მასიური სახე მიიღო. ბოლო წლებში დაიწყეს მოცვის პლანტაციების გაშენებაც, განსაკუთრებით ისეთ მიწებზე, სადაც საბჭოთა პერიოდში ჩაის პლანტაციები იყო.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასახლებული უბნები განლაგებულია მდინარისპირაზე. ეს არ არის რაიმე კონკრეტული მიზეზით გამოწვეული. მაგალითად, მდინარე მაგანას მარცხენა სანაპიროზე სახლობენ ფიფიები, ციმინტიები. შედარებით ახალი უბანია ნაკა. ამ უბანში ქარდავები სახლობენ. მათი უმრავლესობა ხუდონიდან და წყავაშიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან.

იგორ დომენტის ძე ქარდავას თქმით, მისი წინაპარი გადაუსახლებით აფხაზეთში, სოფელ შრომაში. ის კლიმატს ვერ შეგუებია, უკან დაბრუნებულა და დასახლებულა დღევანდელ ნაკას ტერიტორიაზე. ნაკას ლექარდესაც ეძახიან, რადგან

იქ ქარდავები მოსახლეობენ; მათ აქ ძველი დასახლების სახელი “ლექარდე” გადმოიტანეს.

მდინარისპირული დასახლებაა სოფელ **ქვედა მაზანდარაში**, მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც რამდენიმე ოჯახი სახლობს. ასეთივე დასახლებებია სოფლებში – მედანი და საჩინო – ისინი მდინარე ჭანისწყლის ნაპირზე მდებარეობენ და დასახლებებიც მდინარის პირას არის შექმნილი. ძველ დროში მდინარის პირზე სახლდებოდნენ იქ, სადაც მტკნარი წყლის პრობლემა იყო, ხოლო იმ სოფლებში სადაც მტკნარი წყალი წყაროების სახით მრავლად მოედინებოდა, დასახლებლად პრიორიტეტული მაღალი ადგილი იყო. დღეისათვის ეს პრობლემა არ არის და ადამიანები სახლდებიან იქ, სადაც კომუნიკაცია უფრო ხელსაყრელია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია უმეტესად მთისწინეთში მდებარეობს. აქ არის სოფლები, რომელთა რელიეფიც მთიანია და დასახლების ფორმაც მთისთვის დამახასიათებელია. ასეთებია: **მუჭავა, ჩქვალერი, მედანი, საჩინო**. ამავე დროს არის სოფლები, სადაც დასახლებები გაშლილ, ვაკე ადგილებშია და ახლო მეზობლური დასახლებებია. ხშირად ვაკე ადგილზე გაშენებულ სოფლებს აქვთ მთაგორიანი უბნები, სადაც რთულად მისასვლელი სამანქანო გზები გადის. ასეთია ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელი **ლესალე**, ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულში – **ფოცხო-ეწერი**, საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში – სოფელი **ნაგურუ** და **კუხეში**. მთიან ადგილებში დასახლება გაფანტულია, ხოლო ბარში – ახლომეზობლური. წალენჯიხის ყველა სოფელში გვხვდება მდინარის პირზე დასახლება. მდინარისპირზე დასახლება გამოწვეულია რაიონის წყალუხვობით და მდინარეების სიმრავლით.

აქედან გამომდინარე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დასახლების ფორმა არაერთგვაროვანია. მოსახლეობა განლაგებულია როგორც ვაკე ადგილებსა და მდინარეების ნაპირებზე, ასევე – გორაკ-ბორცვებზე. სოფლების უმეტესობას აქვს როგორც დაბლობი, ასევე მაღლობი დასახლება. გასაბჭოებამდე მოსახლეობა უმეტესად მთებში ცხოვრობდა, რაც განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე დასახლების ჩამოყალიბება მეტწილად საბჭოთა პერიოდში დაიწყო და პოსტსაბჭოთა პერიოდში ხდება მათი თანამედროვე ინფრასტრუქტურით განახლება. ცხოვრების პირობების

გაუმჯობესებამ, თანამედროვე, სატრანსპორტო საშუალებების გავრცელებამ აუცილებელი გახადა ყველა მოსახლემდე გზის მიყვანა. სოფლის ცენტრალურ გზას ყველა უბანი უკავშირდება მეორეხარისხოვანი გზით. მეორეს მხრივ, მოსახლეობის მიგრაციის მიზეზი კომუნიკაციის არქონა აღარაა, რაც ადრე შესამჩნევი იყო.

გ) დასახლების მორფოლოგია

ზემო სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მრავალი სოფელია რომლის სახელწოდება აქ თავდაპირველად მცხოვრები გვარიდან არის მიღებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა ანთროპონიმებისგან მიღებული მიკროოიკონიმები და ანთროპოოიკონიმებისგან მიღებული საცხოვრებელი ადგილების სახელწოდებებიც.

როლანდ თოფჩიშვილის დაკვირვებით, “თითქმის მთელი საქართველო მოფენილი იყო გვარსახელური წარმოშობის ოიკონიმებით” (თოფჩიშვილი 1997: 24). ასე იყო წალენჯიხის მუნიციპალიტეტშიც. აქ დასახლებული პუნქტების სახელწოდებების დიდი უმრავლესობა ანთროპონიმებისა და ეთნონიმებისგანაა წარმოშობილი.

პოსტსაბჭოთა პერიოდშიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შემორჩა ისეთი დასახლებები, რომლებიც ძველთაგან მცხოვრები გვარების სახელწოდებებს ატარებენ. არის ისეთი მაგალითებიც, როდესაც ქუჩას, უბანს ქვია ოფიციალური სახელი, მაგრამ ხალხი მას ტრადიციულად კონკრეტული გვარის დასახლების მიხედვით მოიხსენებს. ზოგჯერ “გვაროვნული” დასახლებების სახელწოდების საფუძველდამდები გვარების მატარებლები ამ ადგილებში მცხოვრებთა უმცირესობა არიან ან იქ არ სახლობენ. ასეთ დასახლებებში დღეს სხვა გვარების წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. საბჭოთა პერიოდში მომხდარმა პოლიტიკურმა და ბუნებრივმა პროცესებმა, მიგრაციებმა უბნების, საცხოვრებელი ტერიტორიების, თემის “გამსხვილება” ან გაქრობაც კი გამოიწვია.

საბჭოთა პერიოდამდე მკვლევარები საქართველოს ტერიტორიაზე, სოფლებში პატრონიმულ დასახლებებს აფიქსირებდნენ. თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ერთი გვარის წარმომადგენლები მეტწილად ერთ ტერიტორიაზე სახლობდნენ. ამის მიზეზი დიდი ოჯახის დაშლა და განაყარი

ოჯახების ფუძე ოჯახთან ახლოს, ერთ ტერიტორიაზე დასახლება იყო. პატრონიმული დასახლებები უფრო მეტად მთიან რაიონებში ფიქსირდებოდა.

საბჭოთა პერიოდში ახალი უბნების ფორმირებამ, მიგრაციებმა, ოჯახების გადასახლებამ ერთი ადგილიდან მეორეზე, გამოიწვია პატრონიმული დასახლებების რღვევა და შერეული, რამდენიმე გვარით დასახლებული უბნების ჩამოყალიბება. დღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში აღარ არსებობს მხოლოდ ერთი გვარით დასახლებული უბანი.

არის ისეთი უბნები, რომელთაც თავდაპირველი სახელწოდება შემორჩათ, თუმცა, დღეს იქ სახელწოდების მიმცემი ფუძე გვარის წარმომადგენელი არავინ ცხოვრობს, მაგალითად, ასეთია: ლეკაკულეს უბანი ჯგალში, ლეხარჩილეს უბანი ქალაქ ჯვარში.

საკვლევ რეგიონში გავრცელებული იყო მონოგენური დასახლებები. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ამის მაგალითებია: **ლეშამუგე, ლელვინჯილე, ლესალე, ლემატუე, ლეციმინტე, ლემანიე, ლეგოგილე** და ა.შ. ერთი წინაპრის შთამომავლებისგან შექმნილი მსგავსი ტიპის დასახლებები ძირითადად გორებზე იქმნებოდა. საბჭოთა პერიოდში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნას მოჰყვა მონოგენური დასახლებების რღვევა და ჩამოყალიბდა თანამედროვე ტიპის დასახლებები, ძირითადად – სამეზობლო, შედარებით – შეჯგუფებული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პოსტსაბჭოთა დასახლების მორფოლოგია განსხვავდება ისტორიულისგან. ბოლო დროს პატრონიმული, ერთი გვარით დასახლებული უბნები აღარ გვხვდება. შეიცვალა სოფლის ქუჩებისთვის სახელის დარქმევის წესი. თუკი აქამდე, უბანს აქ მცხოვრები გვარის სახელწოდება ქონდა, დღეისათვის ადგილობრივი მთავრობა, ოფიციალურად სოფელში ან მუნიციპალიტეტში გამორჩეული ადამიანების, ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი თუ რელიგიური დღის აღმნიშვნელ სახელწოდებებს ანიჭებს ქუჩებს. მაგალითად, ჯვარის უბან ლეხარჩილეს დაერქვა კ. გამსახურდიას ქუჩა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა ხშირად სახელშეცვლილ უბნებს ძველი, ტრადიციული სახელებით მოიხსენიებს.

დ) კარ-მიდამოს მოწყობა

1.1. საცხოვრებელი ნაგებობები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში გავრცელებულია ერთსართულიანი და ორსართულიანი რკინა-ბეტონით ნაგები სახლები. ორსართულიან სახლებში, ხშირად, პირველი სართული ქვით, ხოლო მეორე სართული ხითაა ნაგები. აქა-იქ შემორჩენილია ტრადიციულად ნაგები ოდა. თითქმის ყველა სახლს აქვს სამზარეულოს ფუნქციის მქონე, ცალკე მდგომი, ერთი ან ოროთახიანი სახლი. ჯარგვალი და ფაცხა საცხოვრებლად არ გამოიყენება. მათ სამეურნეო დანიშნულება აქვთ.

XX ს-ის I ნახევრამდე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში, გავრცელებული იყო ოდა სახლები. ასეთ შენობებს აქ XVIII საუკუნის დასაწყისიდან აგებდნენ (ადამია 1948: 39). არსებობდა ხუთი სახის ოდა სახლი: ერთოთახიანი, ოროთახიანი, სამოთახიანი, ოთხოთახიანი და რვაოთახიანი (ადამია 1948: 84). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში საექსპედიციო მუშაობის დროს დათვალიერებულ ოდა სახლებს ძირითადად ოთხი ოთახი აქვს. სოფელ კანთში, კვარაცხელიების ოჯახში დავაფიქსირეთ ოდა, რომელსაც აქვს მინაშენი. ოთახების რაოდენობის ზრდა საჭიროებებმა განაპირობა. ხუდონის თემის მკვიდრი, ისაკი ქარდავა წერს, რომ „მასწავლებელმა პროფი ჭანტურიამ პირველად მეცადინეობა დაიწყო 1928 წლის პირველ სექტემბერს, მდინარე მაგანას ხეობაში მცხოვრებ ბაგრად ისლამის ძე ფიფიას ორსართულიან ოდა-სახლში“ (ქარდავა 2011: 34). ირკვევა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ყოფილა ორსართულიანი ოდეები.

ოდა სახლი გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში: იმერეთში, გურიაში; ასეთი ნაგებობები იყო მესხეთშიც. “ქვაბლიანის ხეობაში სამი ტიპის საცხოვრებელი ბინაა მიღებული. ერთი დარბაზული, მეორე ოდური და მესამე ე.წ. ლაზური (ჩიტაია 1926: 140). გვიანდელი კვლევებით, დარბაზული, ოდური და მიწური ერდოიანი სახლები ამ რეგიონში აღარ ფიქსირდებოდა და ისინი ძველებურ სახლებად იყო მიჩნეული (ოჩიაური 1963: 128).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო “პიტაფიცარა” – ბოყვიანი სახლი. გ. გეგეჭკორის ცნობით, შუა საუკუნეების ბოლოს

სამეგრელოში გავრცელებული იყო “გადახურვის სისტემით, ფორმით და საცხოვრებელი ფართის გამოყენების წესით განსხვავებული საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც ცნობილია პიტაფიცარას სახელწოდებით. მსგავსი საცხოვრებელი გავრცელებული იყო იმერეთში და გურიაშიც. ეს სახლები ეკუთვნოდა გვიანობამდე შემორჩენილ დიდ ოჯახს, რომელიც აერთიანებდა ერთ ოჯახში იმდენ თაობას, რამდენის ცხოვრებაც ერთობლივად იყო შესაძლებელი (გეგეჭკორი 2001: 143). პიტაფიცარის სახლი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში შემორჩენილი არაა, თუმცა სამეგრელოს ტერიტორიაზე ის დაფიქსირებულია აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანში.⁵ აქ არსებული ისტორიული საცხოვრებელი მუხის ხისგანაა ნაგები.

პიტაფიცარა სახლი “ჯარგვალის” განვითარების შემდეგ გავრცელდა სამეგრელოს ტერიტორიაზე. ჯარგვალს მეცნიერები პიტაფიცარა სახლისა და საცხოვრებელი ფაცხის შუალედურ ეტაპზე მოიაზრებენ (გეგეჭკორი 2001¹: 134).

პიტაფიცარა, იგივე ბოყვიანი ანუ აფრიანი სახლიდან ოდა სახლამდე გარდამავალ საფეხურზე “განის” ან “ლორის” სახლი იყო – ხის ოროთახიანი სახლი. დახერხილი ფიცრების დამაგრება კუთხეებში ბოყვების საშუალებით ხდებოდა, შემდეგ კი გადაფსკვნიდნენ. კედლის შუაში ვერტიკალურად ბოყვი იდგმებოდა (თოფურია 1968: 139).

ჯარგვალი საცხოვრებელი ფაცხის განვითარების უძველესი სახეა. ის იყო ოროთახიანი, მორებისაგან ნაგები შენობა. ხალხური არქიტექტურის მკვლევარი ილია ადამია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დღევანდელ ქალაქ ჯვარში ჯარგვალის გავრცელებაზე მიუთითებს (ადამია 1948: 72). საბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, სოფელ მუჟავაში „გზები გაუვალი იყო. გლეხები ისლით გადახურულ ჯარგვალში ცხოვრობდნენ. აქა-იქ ჩანდა ძველებური ოდა სახლები“ (არონია 1971: 2).

ჯარგვალმა გაიარა განვითარების რამდენიმე ეტაპი. გ. გეგეჭკორს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ სქურში დაფიქსირებული აქვს საცხოვრებელი სახლის, ჯარგვალის ადრეული ფორმა სახელწოდებით – **ჯღვარკალი**. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ჯღვარკალი ჯარგვალთან შედარებით იოლი ასაშენებელი იყო და

⁵ პიტაფიცარა სახლის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა დოქტორანტმა ი. შენგელიამ.

ამიტომაც, ამგვარ სახლებს ღარიბები იშენებდნენ, ჯარგვალს კი – შეძლებულები (გეგეჭკორი 2000¹: 33).

ჯარგვალი გავრცელებული ყოფილა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. ორსართულიანი ჯარგვალი დააფიქსირა მკვლევარმა ნ. შოშიტაშვილმა. “ზედმედგმული” ანუ ორსართულიანი ჯარგვალი დღეს საზაფხულო სამოვრებზე, იალაღებზე ფიქსირდება” (შოშიტაშვილი 2009: 30). წალენჯიხის და მთიანი სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებში (ჩხოროწყუ, მარტვილი), საექსპედიციო მუშაობისას მსგავსი ტიპის ჯარგვალი არ გვინახავს.

სამეგრელოში არსებული საცხოვრებელი ნაგებობებიდან, უძველესია ფაცხა, ხის წკნელებისგან მოწულ-მოღობილი ქოხი (ადამია 1948: 68). გ. გეგეჭკორის მოსაზრებით, ფაცხა-სახლის ადრეული ფორმების გავრცელების არეალი მთის ზოლს მოიცავდა და დანიშნულების მიხედვით, იყო სასტუმრო, საწესო, ახალდაქორწინებულთათვის, სამეურნეო დანიშნულებისათვის და ოჯახის ძირითადი საცხოვრებელი, შუაგეცხლიანი (გეგეჭკორი 2000: 36). მკვლევარს ჯვარის ტერიტორიაზე დაუფიქსირებია ფაცხების არსებობა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, ძველი საცხოვრებელი ნაგებობებიდან მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე გვხვდება ფაცხა, ჯარგვალი და ოდა. აღნიშნულ ნაგებობებს თანამედროვე ვითარებაში შეცვლილი აქვთ ფუნქცია. ოდა ყველა სოფელშია (იხ. დანართი 1), მაგრამ მასობრივად გავრცელებული არაა, განსაკუთრებით ნაკლებადაა შემორჩენილი „ჯარგვალი“. ტერმინს მნიშვნელობა შეცვლილი აქვს და ის, ხშირად, სამეურნეო ნაგებობის აღსანიშნავად გამოიყენება. ფაცხა ხშირია და მისი აგების ტენდენციაც ფიქსირდება.

საკვლევ მუნიციპალიტეტში გვხვდება ორსართულიანი სახლები, რომელთა პირველი სართული ქვით ან ბლოკითაა ნაგები, ხოლო მეორე სართული, ძირითადად, წაბლის ხისგანაა ნაგები. ასეთი სახლები დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო საბჭოთა დროს. 1950-იან წლებამდე ქვედა სართულს აგებდნენ ქვისგან, ცემენტის შერევით, გვიან პერიოდში კი – ბლოკითა და ცემენტის მინარევით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ასეთი სახლების მშენებლებად ხშირად ასახელებენ რაჭველებს. მსგავსი ტიპის სახლები გავრცელებული იყო იმერეთში (კახიანი 1964: 73).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყით, რაზეც არაერთი მოგზაური მიუთითებდა. შარდენის ცნობით, „ქვეყანა, რამდენადაც ვშორდებით ზღვის ნაპირს, იმდენად თანდათანობით მაღლდება. იგი თითქმის მთლიანად ხშირი და მაღალი ტყით არის დაფარული“ (შარდენი 1975:109). ამიტომაც საშენ მასალად გამოიყენებოდა ხე. ხელოვნებათმცოდნე ნ. ჯაბუა აღნიშნავს, რომ „ოდა სახლის მშენებელი ოსტატები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაგარი ხის მასალის შერჩევას. გამოიყენებოდა ხის ისეთი ჯიშები, რომლებიც კარგად უძლებდნენ ნოტიო ჰავის ზემოქმედებას. უპირატესობას ანიჭებდნენ მუხას, წაბლს, თელას, ურთხოვარს“ (ჯაბუა 2018: 58). სამეგრელოში განვითარებული იყო ადგილობრივი ხითხურობა. ყველა გვარს, საგვარეულოს ან ოჯახს ჰქონდა თავისი ტყე, საიდანაც ოჯახი ხის მასალით მარაგდებოდა. ვერა ბარდაველიძემ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საველეთნოგრაფიული მუშაობის დროს, 1950-იან წლებში ჩაიწერა, რომ გვარებს საერთო სახნავ მიწებთან ერთად ჰქონდათ ტყეც, საიდანაც მიჰქონდათ საშენი მასალა. მაგალითად, „არქანიების საერთო ტყე იყო **“წიფურსკვამი”**. ამ ტყეში ყველა კომლს შეეძლო მოეჭრა ხე სამასალედ და საშეშედ. ტყე ჰქონიათ ჩვინარეშიც, რომელიც დანაწილებული იყო ბაბუაშვილებად (**“გამნარყებად”**): ცალკე იყო ქვაცას შთამომავლების ტყე, ცალკე – ტვეფნიასი და არქანიების გვარის სხვა ბაბუაშვილების“ (ბარდაველიძე ფ. 69). როგორც ირკვევა, ორი სახის საგვარეულო ტყე არსებობდა: შეუზღუდავი და შეზღუდული მოხმარების.

საკვლევ მუნიციპალიტეტში პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებული სახლების უმეტესობა საბჭოთა პერიოდშია ნაგები. ამ დროს აშენებული სახლები ერთნაირადაა დაპროექტებული. მეტწილად ორსართულიანი სახლებია, ოთახების რაოდენობაც კი ერთნაირია. სამშენებლო მასალად ბლოკი და ცემენტია გამოყენებული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში გვხვდება ე.წ. **“ბელეტაჟი”** - ქვით ნაგები სახლები (იხ. დანართი 2.). ასეთ სახლებში ქვედა სართული დაბალქერიანია, სივრცე გამიზნულია საჭაეროდ, ნესტისგან დასაცავად, ასევე სამეურნეო დანიშნულებით, საკუჭნაოდ, ხოლო ზედა, საცხოვრებელ სართულზე განლაგებულია საძინებელი, სამზარეულო და სტუმრის მისაღები ოთახი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახლები, შეიძლება, პირობითად დავყოთ დიდ და მცირე საცხოვრებლებად. დიდი საცხოვრებელი სახლი არის ქვით ნაგები,

ორსართულიანი; ორივე სართული ძირითადად ერთნაირადაა დაგეგმარებული. დიდ სახლს გვერდზე მიდგმული აქვს პატარა სახლი, რომელსაც სამზადს, “ქუხნას” უწოდებენ და სამზარეულოს ფუნქცია აქვს (იხ. დანართი 3). მას ხშირად საძინებელი ოთახებიც აქვს და ოჯახის წევრები “პატარა სახლში” ცხოვრობენ. “დიდი სახლი” სტუმრისთვის და განსაკუთრებული დღეებისთვის გამოიყენება. ზოგჯერ, შენობები გადაბმულია და ერთიან სივრცეს ქმნიან (იხ. დანართი 4).

პოსტსაბჭოთა პერიოდში აგებულ სახლებს საბჭოთა დროს აგებული სახლებისგან განსხვავებით არ აქვს “პატარა სახლი”. სახლებს აგებენ ქვისგან. არქიტექტურა დამოკიდებულია მეპატრონის გემოვნებაზე. ერთ სახლშია მოთავსებული სამზარეულო, მისაღები და სხვადასხვა ფუნქციის მქონე ოთახები.

ამჟამად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტრადიციული ოდა სახლი საცხოვრებელი დანიშნულებით იშვიათად გვხვდება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ოდა სახლები ხშირად მუზეუმებად არის გადაკეთებული: სოფელ ნაკიფში – აკადემიკოს ტარასი კვარაცხელიას სახლ-მუზეუმი, სოფელ ჩქვალერში – ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმი, სოფელ ობუჯში – ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი ოდა სახლებია.

ოდა სახლების ტურისტული მიზნით გამოყენება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩვენ არ დაგვიფიქსირებია, თუმცა სხვა მუნიციპალიტეტებში ამის მაგალითები არის. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხორიაში ტურისტული სივრცე, ე.წ. ეთნოსოფელი – “სისატურა”.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი ოდა სახლების ნაწილი გამოიყენება შესანახ, საწყობ ნაგებობებად. ზოგჯერ, თანამედროვე, რკინა-ბეტონით ნაშენი სახლების გვერდით დგას ოდა, რომელსაც იყენებენ ნივთების შესანახად. ხშირად, ოდა სახლი და კარ-მიდამო მიტოვებულია და მესაკუთრე ქალაქშია საცხოვრებლად გადასული ან ემიგრაციაშია, რასაც საბჭოთა ეპოქაში არსებული გადაადგილების მკაცრი შეზღუდვის გამო ვერ შეძლებდა. სახლების მიტოვებისა და საცხოვრებლის შეცვლის ტენდენცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საგრძნობლად გაზრდილია.

ისტორიული საცხოვრებელი ნაგებობები ხშირად სამეურნეო ფუნქციით გამოიყენება, მათ შორის ისეთები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის

სააგენტოს მიერ ძეგლად არის გამოცხადებული. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქავაში, ლეჯოლოხეს უბანში ჯარგვალი სამროხედ გამოიყენება. ბოსლის ფუნქცია აქვს ჯარგვალს ქალაქ წალენჯიხაში აბაკელიების ოჯახში. სოფელ მედანში, ლარას უბანში ჯარგვალი სათავსოდ აქვთ გამოყენებული, ხოლო სოფელ საჩინოში – მარნად არის გადაკეთებული.

ბოლო პერიოდში ხდება თანამედროვე სამშენებლო მასალით სამეურნეო ნაგებობის აგება და მისთვის ძველი სახელწოდების – ჯარგვალის შერქმევა. ქალაქ ჯვარში, ერთ-ერთ ოჯახში, საცხოვრებელ სახლის უკან აქვთ სამეურნეო ნაგებობა შუაგეცხლით. შენობა აშენებულია ბლოკით და ცემენტით, გადახურულია კრამიტით. ოჯახის წევრები ამ ნაგებობას ჯარგვალს უწოდებენ და გამოიყენებენ სახლის საზამთრო შესანახი სხვადასხვა პროდუქტის მოსამზადებლად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყველა სოფელში ფიქსირდება ფაცხა. კვლევისას დაფიქსირებული ფაცხების უმეტესობა აგებულია საბჭოთა დროს (იხ. დანართი 5). პოსტსაბჭოთა პერიოდშიც შეიმჩნევა ეზო-კარის ფაცხით დამშვენების ტენდენცია.

დღეს ფაცხას სამეურნეო და გასართობი დანიშნულება აქვს. ფაცხაში ხდება განსაკუთრებული დღეების აღნიშვნაც და სუფრის გაშლა.⁶

ადრე სამეგრელოში სამოსახლო ადგილის შესარჩევად ატარებდნენ სხვადასხვა სახის რიტუალს. მიმართავდნენ მკითხავენს, აკვირდებოდნენ მთვარეს. დღეს სახლის სამირკვლის ამოთხრისას იციან საკლავის დაკვლა და ახალმოსახლის სახლის დალოცვა (“ხვამა”). სამოსახლო ადგილის საკუთრებლად მოჰყავთ მღვდელი.

ამრიგად, სამეგრელოში საბინაო ხუროთმოძღვრების განვითარების დინამიკა ასეთია: უძველეს ფაცხას ცვლის ჯარგვალი, ჯარგვალს – ნათალი ფიცრებით აგებული სახლი, შემდეგ კი – დახერხილი ფიცრებისაგან აგებული ოდა სახლი (ადამია 1948: 79). საბჭოთა ეპოქაში საბინაო ხუროთმოძღვრების უმთავრესი ფორმა იყო ერთსართულიანი ან ორსართულიანი ქვის ან ქვისა და ხის ძირითადად ერთნაირად დაგეგმარებული შენობები; იშვიათად – “ბელეტაჟი”. საცხოვრებელი სახლების უმეტესობა იმ დროს არის აშენებული. საბჭოთა კავშირის ნგრევისა და

⁶ 1980-იანი წლების ბოლოს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს ფაცხაში სუფრის გაშლა ავთენტურად ქართულ ტრადიციად მიიჩნეოდა და საკმაოდ ხშირად ხდებოდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მომხდარმა ცვლილებებმა საკომუნიკაციო საშუალებების, სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა ევროპული ტიპის საცხოვრებელი სახლების აგების ტენდენცია. ახალმოსახლეები საცხოვრებელ ნაგებობებს თავიანთი ინტერესების, სურვილების, საჭიროებების მიხედვით აშენებენ. საბჭოური სტანდარტი, ერთფეროვნება წარსულს დარჩება.

1.3. ეზო-კარი, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები

კარ-მიდამოს მოწყობა ძირითადად დაკავშირებულია მეურნეობის ფორმასთან. იმისათვის, რომ კარ-მიდამო სრულყოფილი იყოს, იგი უნდა შედგებოდეს ეზოს, საცხოვრებელი ნაგებობების ანუ სახლის, სამეურნეო ნაგებობების, “დამხმარე” ობიექტების და მიდამოსაგან (კახიანი 1964: 58). საბჭოთა დრომდე კარ-მიდამო მოიცავდა ტრადიციულ სამეურნეო ნაგებობებს. სამეგრელოში კარ-მიდამოს მოწყობა მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა პერიოდში, როდესაც ინდივიდუალური გლეხური ტრადიციული მეურნეობები შეიცვალა კოლექტიური მეურნეობებით. ახალი სამშენებლო მასალის გამოყენებამ შეცვალა კარ-მიდამოს იერსახე. მისი სტრუქტურა იცვლება პოსტსაბჭოთა ხანაშიც.

ამჟამად კარ-მიდამოს საკმაოდ დიდი ფართი უკავია. შედარებით მცირე ეზოები გვხვდება ქალაქებში, კონკრეტულად – ჯვარსა და წალენჯიხაში. მიუხედავად იმისა, რომ წალენჯიხა და ჯვარი ქალაქია, აქ შინაური საქონელი და ფრინველი თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს. სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები აქ მცირე ტერიტორიაზეა განლაგებული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში კარ-მიდამოს სივრცე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებსა და მიწას მოიცავს. სამეურნეო და დამხმარე ნაგებობების გარდა, არის საბოსტნე, სავენახე, სახილე, საყანე სივრცეები. ზოგჯერ თხილნარი და საყანე მიწები კარ-მიდამოს ნაწილია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში კარ-მიდამოები შემოღობილია, რკინის ან იშვიათად – ბეტონის და ხის ღობეებით. მაღალ ადგილებში, მდინარესთან ახლოს შემორჩენილია რიყის ქვით შემოსაზღვრული ღობეები. ხშირად, დიდი ეზოები შემოზღუდულია ეკლიანი მცენარითაც, ზოგჯერ – დეკორატიულით (დაფნა, ტუია). ყველა ეზოს აქვს რკინის დიდი ჭიშკარი, რომელმაც ჩაანაცვლა ხის ჭიშკრები. სოფელ

ნაკიფში შემორჩენილია ტარასი კვარაცხელიას სახლ-მუზეუმის ხის ჭიშკარი. ასეთი თითო-ოროლაა.

წინა ეზო, ძირითადად დეკორატიული მცენარეებით არის მორთული; უკან კი – საბოსტნე და სამეურნეო დანიშნულების მიწებია. კარმიდამოში აქვთ ხილის ბაღები, ვენახი და საბოსტნე ადგილები. ბევრ ოჯახს აქვს ჭა. კარმიდამოს წინა ხედი მასიურად ხილულია ქუჩაში გამვლელისთვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იშვიათად არის დახურული ეზოები.

საბჭოთა დროს აგებული სახლები დიდი ფართობით გამოირჩევა; თითქმის ყველა სახლის გვერდზე დგას სამზადი, ე.წ. “ქუხნა” (რუსულად – სამზარეულო). სამზადი სახლი უმეტესად ხისგან, ზოგჯერ – ქვისგანაა ნაგები. “ქუხნას” რამდენიმე ოთახი აქვს, რომლებიც სამზარეულოსა და სასადილოს ფუნქციით გამოიყენება. დიდი სახლის აგების შემდეგ, ხშირია ერთსართულიანი პატარა ზომის საცხოვრებელი სახლების სამზად სახლად გადაკეთება.

სოფლებში, შიდა მოხმარებისთვის ოჯახებში აქვთ წისქვილები. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც წყლის წისქვილები ჩანაცვლა ელექტრო წისქვილებმა, რომლებიც სოფელში, უბნებში ცენტრალურ ადგილებზეა მოწყობილი. წყლის წისქვილები დღეს იშვიათია. ჩვენ ასეთი დავაფიქსირეთ სოფელ მიქავაში. ხშირად, წისქვილი რამდენიმე ოჯახის საერთო საკუთრებაა. წისქვილის ქვები ითლება სოფლებში – მუჟავასა და მედანში. ქვის მთელეთა პროფესია მამიდან შვილზე გადადის მემკვიდრეობით. ქვის მთლელები არიან ფიფების, ძამამების, ჭანტურიების გვარში. სოფელ მუჟავაში მცხოვრები მჭედელი ვალიკო კარლოს ძე შონია, ამავე დროს, ქვის მთლელიცაა. მას ეს ხელობა, ისევე როგორც სამჭედლო საქმე, წინაპრებისგან უსწავლია.

წისქვილის ქვის მკეთებლები თავიანთ ნაწარმს ყიდიდნენ ან ცვლიდნენ მათთვის საჭირო ნივთზე. როგორც ირკვევა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან წისქვილის ქვა მეზობელ მუნიციპალიტეტებშიც გაჰქონდათ. დავით ჭითანავა აღნიშნავს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის თემში წისქვილისთვის საჭირო ქვა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან მიჰქონდათ. წისქვილის ქვებს ჩანგელიას და ფიფიას გვარის ხალხი ამზადებდა და ყიდა (ჭითანავა 2002: 37).

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შინამრეწველობის მნიშვნელოვანი დარგი იყო მჭედლობა (“ჭკადუა”). ისტორიულად სამი სახის მასალის მჭედელი არსებობდა: რკინის, სპილენძის და ოქრო-ვერცხლისა (რეხვიაშვილი 1964:151). საბჭოთა პერიოდამდე და საბჭოთა დროშიც, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ყველგან იყო მჭედელი. მჭედლობა საპატიო და ღირსეულ საქმედ მიიჩნეოდა. 1965 წლის 30 სექტემბერს წალენჯიხის გაზეთში “კომუნიზმის დროში” გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, მჭედელ ორესტი ძიძარიას ეს საპატიო საქმიანობა წინაპრებისგან უსწავლია. მისი ბაბუა უტუ მიქავას “გვერდით ტრიალებდა, ჭედდა ხმალსა და აბჯარს, გუთანსა და ნამგალს” (სალია 1965: 4).

“ძველად სამჭედლო – “ოჭკადურე” – სახლთან ახლოს ჰქონდათ მოწყობილი, საბჭოთა დროს – სოფლების ცენტრში, ქალაქებსა და დაბებში კი – ბაზართან ახლოს და ხალხთა თავშეყრის ადგილებზე” (კაკაბაძე, ჯალაბაძე 1979: 88). ც. კაკაბაძეს და გ. ჯალაბაძეს აღწერილი აქვთ საჩინოში და მედანში მჭედლების საქმიანობა. დღეს მუნიციპალიტეტის სოფლებში, მთხრობელებს ძველად მცხოვრები მჭედლების სახელები და გვარები ჯერ კიდევ ახსოვთ. ჯგალში ცნობილი მჭედელი ყოფილა ბათუ კვარაცხელია, ჯვარში – ორესტი მოსიძე, ნაკიფუში – მალაქია მოლაშხია; ჯალირელი მაჟარა მეზონია მალაქია მეზონიას შვირდი ყოფილა. სამჭედლოში, გარდა პროფესიული საქმიანობისა. სრულდებოდა ასევე სხვადასხვა სახის რიტუალები. იცოდნენ “ზვამა” (ლოცვა), “გინოჩამა” (ხატზე გადაცემა), “ფუჩი” (ფიცი).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, პოსტსაბჭოთა პერიოდში სამჭედლოები აქა-იქ თუ შემორჩა. მჭედლის ნაწარმს ადამიანები დღეს მარკეტებსა და ბაზრობებზე იძენენ. საველე ექსპედიციების დროს დავაფიქსირეთ სამჭედლოები საკუთარ სახლებში: სოფელ მუჟავაში – შონიებთან, სოფელ მიქავაში – მოსიძეებთან (იხ. დანართი 6), სოფელ ნაგურუში – აბრალავეებთან. დღეისათვის მჭედლები ამზადებენ და შეაკეთებენ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო იარაღებს: თოხს, ნაჯახს, იშვიათად – დანას, სახნისს და სხვა.

საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსში გვხვდება “კაზარმა”//„ყაზარმა“, რომელიც სათავსოს ფუნქციას ასრულებს. “კაზარმების” მშენებლობა დაიწყო საბჭოთა პერიოდში მას შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლება კრძალავდა ქელების მოწყობას. ისინი მეტწილად ქვისგანაა ნაგები და ჩვეულებრივ,

სეფასთან შედარებით, ადამიანების შეკრება ამ ნაგებობაში შეუმჩნეველია. სამეგრელოში დიდი “კაზარმები” ააგეს ქელების სუფრების გასაშლელად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელ სამეგრელოში, ჰქონდათ ღია მარნები. დღეს ღია მარნები იშვიათად გვხვდება პრაქტიკული დანიშნულებით. ისინი მხოლოდ იმ ოჯახებშია შემორჩენილი სადაც “ზვამის” (ლოცვის) ტრადიციაა. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ღია მარნებში სალოცავი ქვევრები დატოვებულია უფუნქციოდ და “ზვამის” (ლოცვის) პრაქტიკა არ სრულდება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად, საბჭოთა დროს აგებული ხის მარნებია შემორჩენილი, ან მარნის ფუნქციას ითავსებს საცხოვრებელი ნაგებობის პირველი სართული, ზოგჯერ – სარდაფი. ძველი ხის მარნები დავაფიქსირეთ მედანში, მიქავაში, ღიაში, ობუჯში, ჭალეში. ჭალეში არსებულ მარანს, რომელიც დღეს კანკიების ოჯახის საკუთრებაა, მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი (იხ. დანართი 7). მარანის აგების წელი უცნობია; ოჯახი დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდით ათარიღებს. გადმოცემით, ის აუგია აკობიების ოჯახს, კანკია კი იქ ჩასიძებულა.

მარანი სალოცავი ადგილი იყო. „ის წმინდად ითვლებოდა. მის მარჯვენა კუთხეში ღვინის ზედაშეები იყო მოთავსებული“ (თოფურია 1979: 114). კათოლიკე მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში თუ კარის ეკლესია არ ქონდათ, ჯვრისწერა და ნათლობა მარანში იცოდნენ (ლამბერტი 1938: 85). მარნის საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს სოფელ ობუჯში, ნაგებობის კედელზე გამოსახული ორნამენტები (ჯვრები).

სხვა სამეურნეო ნაგებობებიდან, კარ-მიდამოში განლაგებულია სამროხე, საქათმე, საღორე, ინდაურებისა და ბატების დასაბინავებელი ნაგებობები, ნალია. თითქმის ყველა ოჯახშია “მაღაზა”; აქა-იქ თუ შემორჩა “ბაღი” (ბეღელი). სამეგრელოში „ბაღ“ მხოლოდ ღომის თაველის შესანახად გამოიყენებოდა (რუხაძე 1976: 56). ეს ნაგებობა ექსპედიციების დროს დავაფიქსირეთ ღიაში, ლესალეში, მიქავაში (იხ. დანართი 8).

შინაური ცხოველებისა და ფრინველების სადგომები სახლის უკანაა მოთავსებული. ხშირად საღორე და სამროხე განლაგებულია გზისპირზე, გაჭრილ ღობეში, ცხოველების იოლი შერეკვის მიზნით (იხ. დანართი 9).

ბევრგან კარმიდამოები შემჭიდროებულ დასახლებას ქმნიან. მეზობლები ერთმანეთთან ახლოს სახლობენ და მათ ეზოს საერთო კარი აქვს გვერდიდან. მაგალითად, ერთი მოსახლის ეზოს გვერდითა კარი გადასასვლელია მეორე მოსახლის ეზოში, ამ უკანასკნელის ეზოს კი აქვს გვერდზე მეზობლის ეზოში გადასასვლელი კარი და ასე მიჰყვება ზოლად (იხ. დანართი 10). ამგვარი დასახლებები ძირითადად გზისპირებზე განლაგებულ სოფლებშია: ლიაში, ჯგალში, ეწერში, ჭალეში, ნაკიფში, ქალაქებში წალენჯიხასა და ჯვარში.

ამჟამად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში თანამედროვე დასახლების ფორმები სხვადასხვაგვარია; მასში შემონახულია როგორც ადრეული ტრადიციული ნაშთები, ასევე საბჭოთა პერიოდში მომხდარი ცვლილებები.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, 1990-იან – 2000-იან წლებში ახალი ტიპის დასახლება საკვლევ მუნიციპალიტეტში არ შეინიშნება. ამჟამინდელი დასახლებები XX საუკუნეშია (უფრო XX საუკუნის მეორე ნახევარში) ჩამოყალიბებული. მათი განვითარება, კეთილმოწყობა და თანამედროვე პირობებზე მორგება მუდმივად გრძელდება.

საცხოვრებელი სახლი მუნიციპალიტეტში თანამედროვე პირობებს და გამოწვევებსაა მორგებული. პოსტსაბჭოთა პერიოდში ცვლილებები აქ უფრო შესამჩნევია. საბჭოთა პერიოდამდე აქ, ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში, ძირითადად ხის სახლები იყო გავრცელებული. სამასაღე ხის მოსაჭრელად “არა მარტო თვეებს, არამედ დღეებსაც და მთვარის ფაზებსაც არჩევდნენ. ზოგიერთი პარასკევს მძიმე დღედ თვლიდა” (მიქელაძე 1983: 33). საბჭოური სტანდარტული, ერთნაირი არქიტექტურული წესით ნაგები სახლები იცვლება ინდივიდუალური გეგმის, სხვადასხვა კონსტრუქციის შენობებით. დღესდღეობით მშენებლობის დაწყების თვეს, ფაზას და დღეს მნიშვნელობა არ აქვს და დამოკიდებულია ახალმოსახლის სურვილზე და მოცალეობაზე.

კარ-მიდამოს მოწყობა მორგებულია თანამედროვე ოჯახის მოთხოვნილებებს და დღესაც, როგორც საბჭოთამდელ და საბჭოთა პერიოდში, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ძირითადად ხისაა; იშვიათად გვხვდება ბეტონისაც. თუ ლანდშაფტი ამის საშუალებას იძლევა, წინა ეზო ფართოა და მოწყობილია ყვავილნარით, დეკორატიული მცენარეებითა და საჩრდილობელი ხეებით. ასეთი

კარმიდამოები თითქმის ყველა სოფელშია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კარ-მიდამოს, განსაკუთრებით წინა ნაწილის კეთილმოწყობასა და გამშვენებას (იხ. დანართი 11).

თავი II. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გავრცელებული გვარები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალურ ასპექტი

ა) გვარსახელის მნიშვნელობის საკითხისათვის

საქართველოში უმნიშვნელოვანესი სოციალურ-სამართლებრივი კატეგორია – გვარსახელი⁷ საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. მისი წარმოქმნა განაპირობა სოციალურმა, პოლიტიკურმა, რელიგიურმა და სხვა კულტურულმა ფაქტორებმა. მემკვიდრეობითი სახელის ჩამოყალიბებისა და გავრცელების პროცესი ხანგრძლივი იყო.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემულია სიტყვა გვარის რამდენიმე მნიშვნელობა. გვარსახელი ესაა ოჯახისთვის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც თაობებს გადაეცემა. გვარი, ესაა „მემკვიდრეობითი საგვარეულო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს“ (ქეგლ 2010: გვარი). ასევე, „გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას“ (თოფჩიშვილი 1997: 5). ადამიანის მეორე, დამატებითი საკუთარი სახელია. მისი დანიშნულებაა „გამოარჩიოს მრავალთაგან ერთი კონკრეტული პიროვნება, დაასახელოს იგი შთამომავლობითი ნიშნის მიხედვით, როგორც ამა თუ იმ ოჯახის, სახლულის, თუ გვარ-ტომის წარმომადგენელი“ (მაისურაძე 1979: 8). გვარსახელს აქვს ოფიციალური სამართლებრივი სტატუსი. ყველა ადამიანს დაბადებისთანავე ერქმევა საკუთარი

⁷ გვარი არის სამართლებრივი კატეგორია. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის ა პუნქტის თანახმად, დაბადების მოწმობა შეიცავს შემდეგ მონაცემებს: ბავშვის სახელი, გვარი, სქესი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი (დაბადების რეგისტრაცია, თავი IV, მუხლი 36). გვარის არსებობა განპირობებულია სოციალური აუცილებლობით. გვარსახელი საშუალებას იძლევა პიროვნებების გარჩევისა და სხვა სოციალური საჭიროებების განსახორციელებლად, რომელთა შესახებაც ტექსტში გვაქვს მითითებული.

სახელი და მასზე თანდართული, მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებული გვარსახელი. ის არის „წინაპრის შთამომავალთა გამაერთიანებელი მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც ოფიციალურ-სამართლებრივი სტატუსი აქვს მინიჭებული“ (ცხადაია 2000: 9). ამდენად, გვარსახელს აქვს სამართლებრივი ფუნქცია. ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს გვარსახელი.

მემკვიდრეობითი სახელით ქართველი მეცნიერები დიდი ხანია დაინტერესდნენ. გვარსახელში დაუნჯებულია ერის ეთნიკური ისტორია, რელიგიურ-კულტურული და სოციალური მდგომარეობა. „მემკვიდრეობითი სახელის [გვარსახელის] გარეშე ქართული ენობრივ-ეთნიკური სამყარო არასოდეს ყოფილა“ (თოფჩიშვილი 2010, 266).

ივანე ჯავახიშვილი ძველ საქართველოში გვარსა და საგვარეულო წყობილებას მაშინდელი ცხოვრების დედა-ბოძს უწოდებს. ის აღნიშნავდა, რომ დაბა-სოფლები და ქალაქებიც იმნაირადვე იყვნენ მოწყობილნი, როგორც საგვარეულო, იმიტომ, რომ უმეტეს შემთხვევაში თითოეული სოფელი მხოლოდ ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა (ჯავახიშვილი 1982: 138).

გვარის სოციალურ მნიშვნელობაზე მკვლევარი ი. მაისურაძე მიუთითებს, რომ „ფართო და მრავალმხრივია სიტყვა გვარის მნიშვნელობა. იგი პირველყოფლისა, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ და ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა უძველესი სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელია. მას მოდგმის, შთამომავლობის, შტოსა და ჯიშის ცნებებიც უკავშირდება, ისე როგორც მისგან წარმოქმნილ სიტყვებსაც – საგვარეულოს, გვაროვნობას, გვარობას. გვარი არის „საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან“ (მაისურაძე 1979: 8). მკვლევარი ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ „საკუთარი სახელების სრულყოფილი შესწავლა უფრო ფართო, კულტურულ-ისტორიული, გეოგრაფიული თუ სოციალური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტასაც გულისხმობს“ (ჯორბენაძე 1993: 3).

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მემკვიდრეობითი სახელების კვლევისას ვლინდება მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებლები ეთნოგრაფიული ჯგუფისა, რომელსაც სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფებთან ერთად დიდი წვლილი აქვთ შეტანილი საერთო ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაში. ისევე

როგორც საქართველოს დანარჩენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, სამეგრელოშიც სოფლები ძირითადად ერთი გვარით იყო დასახლებული.⁸ როგორც მკვლევარი პ. ცხადაია აღნიშნავს, „ისტორიულ წარსულში, ცხადია, ცალკეულ დასახლებას, როგორც ადამიანთა დასახლებისა და შრომის ადგილის ერთობლიობას, ქმნიდნენ, ჩვეულებრივ, ერთი წინაპრის შთამომავლები (სავარაუდოა, რომ ასეთი დასახლებანი გორებზე იყო განლაგებული). ცალკეულ დასახლებას, რასაც ერთი გვარი ქმნიდა (ე.ი. მონოგენურ დასახლებას), სამეგრელოში ერქმოდა ამ გვარსახელისაგან ლე-ე კომფიქსით ნაწარმოები სახელი. ამგვარ ოიკონიმსა თუ მიკროოიკონიმს ორმაგი ფუნქცია ჰქონდა – გეოგრაფიული და სოციალური: იგი ადგილის სახელიც იყო და ამ ადგილზე მოსახლე ოჯახების გვაროვნულ-გენეტიკურ ერთობასაც ხაზს უსვამდა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. XX ს. დამდეგსაც კი სამეგრელოში იშვიათი არ ყოფილა მონოგენური დასახლებანი“ (ცხადაია 2000: 40).

სამეგრელოში გავრცელებული გვარსახელები ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლილი აქვს მკვლევარ პაატა ცხადაიას მონოგრაფიაში „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“. მონოგრაფიაში ის არ გამოყოფს ცალკეულ მუნიციპალიტეტებს. ჩვენ სტატისტიკური მონაცემების, საარქივო და ეთნოგრაფიული მასალების გამოყენების შედეგად დავადგინეთ გვარები, რომლებიც ისტორიულად ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში.

აქ მცხოვრები გვარების შესახებ 2022 წელს 20 დეკემბრის მონაცემების მიხედვით ინფორმაცია მივიღეთ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან. გარდა ამისა, ტექსტში მოტანილი სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა ქუთაისის ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულ 1873 წლის კამერალური აღწერის მასალებს, მე-19 და მე-20 საუკუნეების მეტრიკული წიგნების ჩანაწერებს, ზუგდიდის რეგიონალურ არქივში დაცულ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების 1950-იანი წლების საკომლო წიგნების მონაცემებს, 2018 წელს გამოცემულ სტატისტიკური მონაცემების კრებულს, სახელწოდებით: „გვარსახელები საქართველოში“, რომელიც იუსტიციის

⁸ საბჭოთა დრომდე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დღეს არსებული სოფლები რამდენიმე სოფლად იყო დაყოფილი და მათ ძირითადად გვარისგან მიღებული სახელწოდება ჰქონდათ. მაგალითად: ლეჟარდე, ლესალე, ლელვინჯილე და ა.შ.

სამინისტროში რეგისტრირებული გვარების ბაზაზეა შედგენილი, სხვადასხვა სტატისტიკურ და სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულ ინფორმაციას.

კვლევის შედეგად დავადგინეთ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა გვარები, რომლებიც პირობითად შეიძლება ასე დავაჯგუფოთ: ა) ყველაზე გავრცელებული მრავალრიცხოვანი გვარები; ბ) გვარები რომლებიც წინა საუკუნეებში აქ ცხოვრობდნენ და დღეს აღარ მკვიდრობენ; გ) გვარები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და დღეს საერთოდ არ არსებობენ; დ) მცირერიცვანი გვარები, რომლებსაც გაქრობის საფრთხე ემუქრებათ.

მოძიებული მასალის კლასიფიკაცია და მათი სისტემატიზაცია მოვახდინეთ უახლესი ტექნოლოგიური რესურსების მეშვეობით, როგორიცაა: Kwic“ (Key Word in Context) და „Voyant Tools“.

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული გვარები

საბჭოთამდელ და საბჭოთა დროსთან შედარებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები გვარსახელების რაოდენობა პოსტსაბჭოთა პერიოდში გაიზარდა. ოფიციალურად დაფიქსირებული გვარები მიგრაციების, აქ აფხაზეთიდან დევნილთა დასახლების, ქორწინების შედეგადაა გაზრდილი.

საკვლევი მუნიციპალიტეტის სასოფლო საბჭოებში 1950-იანი წლების საკომლო წიგნების მიხედვით, დაფიქსირდა სულ 258 გვარსახელი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 26 დეკემბრის მონაცემებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ოფიციალურად რეგისტრირებულია 1248 გვარსახელი. საბჭოთა დროს, ენგურჰესის მშენებლობამდე, 1950-იან წლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული გვარსახელების რაოდენობა დღეისათვის გაზრდილია 990-ით.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გვარების რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანწილად ენგურჰესის მშენებლობამ განაპირობა. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან და იმდროინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ჩამოვიდა ათიათასობით ადამიანი, რომლებიც ასეულობით გვარს ატარებდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლასა და საქართველოში მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მოჰყვა უცხოელების გასვლა ქვეყნიდან.

აფხაზეთში ომის შედეგად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოვიდა ათასობით დევნილი, რომლებიც დღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მკვიდრნი არიან და მუნიციპალიტეტის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვეთ.

ქუთაისი ცენტრალურ არქივში დაცული კამერალური აღწერის მასალების მიხედვით, 1873 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ წალენჯიხაში ჩაწერილნი არიან დროებით ვალდებული და სახაზინო გლეხები: აბუქაია – 17 კომლი, აბუქელია – 2 კომლი, არახამია – 1 კომლი, არახელია – 5 კომლი, ბარახეთიძე (?) – 1 კომლი, ბელქანია – 17 კომლი, ბერულავა – 1 კომლი, გაბელია – 10 კომლი, გაბისონია – 1 კომლი, გედენიძე – 1 კომლი, ეგია – 3 კომლი, ეფსია – 6 კომლი, ზარქუა – 48 კომლი, კალანდია – 38 კომლი, კანკავა – 4 კომლი, კანკია – 1 კომლი, კვარაცხელია – 133 კომლი, ლუკავა – 28 კომლი, მეფორია – 1 კომლი, მიქავა – 46 კომლი, მიქაია – 4 კომლი, მოლაშხია – 22 კომლი, მოსლავა – 7 კომლი, მორგოშია – 2 კომლი, ჟვანია – 1 კომლი, სარია – 23 კომლი, სახოკია – 7 კომლი, უბარია – 1 კომლი, ღვინჯილია – 29 კომლი, ყვეფარაძე – 1 კომლი, შალაია (?) – 1 კომლი, შანავა – 67 კომლი, შეროზია – 1 კომლი, ჩალიკავა – 1 კომლი, ჩიქობავა – 18 კომლი, ცანავა – 7 კომლი, ცალახა (?) – 1 კომლი, ძიძარია – 9 კომლი, ჭანია – 19 კომლი, ხარჩილავა – 27 კომლი, ხობელია – 4 კომლი, ჯოლოხავა – 23 კომლი, ჯოჯუა – 2 კომლი. აქ თავადები იყვნენ დადიანები, აზნაურები: თვალთვაძეები, გვაჯავები, ქუჩულორიები (ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 8, ა. 1. ს. 812). ამ პერიოდისთვის წალენჯიხაში შედიოდა სოფელი ნაკიფუც. ჩამოთვლილი გვარები ნაკიფუს სოფლიდანაცაა. აქ მოცემული გვარებიდან აბუქაია/აბუქელია აღარ არსებობს. მათ მიიღეს გვარი – აბულაძე. 1873 წლის მონაცემებით, სოფელ წალენჯიხაში ცხოვრობდა 44 დასახელების გვარი.

ჯვარის მაზრის სოფელ ჯვარის სასოფლო საზოგადოებაში, სადაც შედიოდა სოფლები: ჯვარი, ხუდონი, ჭალე, მუჟავა, ჩქვალერი, კამერალური აღწერის მასალების მიხედვით 1873 წელს დაფიქსირებულია 35 გვარი, ესენია: აბხაზავა – 1 კომლი, აკობია – 7 კომლი, ანთია – 5 კომლი, არონია – 6 კომლი, არქანია – 44 კომლი, აქუბარდია 23 კომლი, კვატაშიანი – 1 კომლი, კვიტატიანი – 4 კომლი, ლემონჯავა – 8 კომლი, მანია – 22 კომლი, მატუა – 14 კომლი, მეგრელიძე – 1 კომლი, მითაგვარია – 2 კომლი, უბილავა – 35 გვარი, ფიფია – 43 კომლი, ქანდარია (?) – 1 კომლი, ქანთარია – 6 კომლი, ქარდავა – 132 კომლი, ქელბაქიანი – 1 კომლი, ქუხილავა – 1 კომლი, ყურუა – 1 კომლი, შამუგია

– 29 კომლი, შანია (?) – 18 კომლი, შონია – 30 გვარი, ჩხაპელია – 21 კომლი, ციმინტია – 15 კომლი, ცხადაია – 4 კომლი, მოკია – 1 კომლი, ჭანტურია – 11 კომლი, ხასაია – 10 კომლი, ხორონაძე – 1 კომლი, ხოჩაია – 1 კომლი, ხუბუტია – 3 კომლი (ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივი ფ. 8, ა. 1, ს. 812). ამ პერიოდისთვის, საარქივო მონაცემების მიხედვით, ჯვარის სასოფლო საზოგადოებაში ცხოვრობდა 33 გვარსახელის წარმომადგენლები.

1873 წლის კამერალური აღწერების მიხედვით, ზუგდიდის მაზრის სოფელ ლიაში ჩაწერილნი არიან: აბრალავა – 3 კომლი, აკობია – 10 კომლი, ანთია – 14 კომლი, არდია – 9 კომლი, ბახუა – 1 კომლი, ბერაია (ბერაგია) – 2 კომლი, ბერიშვილი – 19 კომლი, ბობოხია – 2 კომლი, გაბერდავა – 1 კომლი, გოგილავა – 5 კომლი, გოგოხია – 6 კომლი, დარასელია – 1 კომლი, დარსანია – 2 კომლი, დიდიძე – 1 კომლი, ზარანდია – 6 კომლი, კანკია – 3 კომლი, კვარაცხელია – 8 კომლი, კუხალაშვილი – 10 კომლი, მებონია – 3 კომლი, მიქავა – 12 კომლი, მიქელაია – 2 კომლი, მორგოშია (მაროშია) – 14 კომლი, ნადარაია – 1 კომლი, ნაკაშია – 1 კომლი, ნანავა – 2 კომლი, ნარმანია – 1 კომლი, პაჭკორია – 7 კომლი, ფიფია – 18 კომლი, ქარაია – 9 კომლი, ქარდავა – 10 კომლი, ქობალია – 2 კომლი, ქურსუა – 1 კომლი, ქუხილავა – 6 კომლი, შამაზოვი – 1 კომლი, შამუგია – 3 კომლი, შელია – 3 კომლი, შეროზია – 3 კომლი, ჩიქვანი – 1 კომლი, ცხადაია – 1 კომლი, ძანძავა – 1 კომლი, ჭანტურია – 3 კომლი, ჭიჭალუა – 1 კომლი, ხვიჩავა – 6 კომლი, ხუბუტია – 4 კომლი, ჯალაღონია – 3 კომლი, ჯანჯღავა – 1 კომლი (ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 8, ა. 1, ს. 812). აღნიშნულ პერიოდში სოფელ ლიაში ფიქსირდება 47 გვარსახელი.

ზუგდიდის მაზრის სოფელ ფახულანის 1873 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით, აქ დაფიქსირებულია: გერგედავა – 42 კომლი, გოგოხია – 138 კომლი, გუჩუა – 12 კომლი, უკანონოდ შობილი – 3, კუკავა – 9 კომლი, მეფორია – 3 კომლი, უბილია – 1 კომლი, შონია – 74 კომლი, ჭარაია – 12 კომლი, ხასაია – 17 კომლი (ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ.8, ა.1, ს. 812). ამ პერიოდისთვის, სოფელ ფახულანში დაფიქსირდა 9 გვარსახელის არსებობა.

დღეისათვის, 2022 წლის მონაცემების მიხედვით, საკვლევ მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული გვარებიდან მრავალრიცხოვნობით გამოირჩევიან: კვარაცხელია (2871 სული), ფიფია (1556 სული), მიქავა (1006 სული), ქარდავა (905 სული), სამუშია

(706 სული), შანავა (677 სული), შონია (616 სული), გოგობია (591 სული), ხარჩილავა (493 სული), შელია (463 სული), ზარქუა (352 სული), მეზონია (310 სული), ჭანტურია (314 სული), ღვინჯილია (304 სული), ჯოლოხავა (302 სული), კალანდია (299 სული), სალია (296 სული), უბილავა (295 სული), აკობია (288 სული), არქანია (282 სული), ბელქანია (281 სული), ლუკავა (279 სული), გერგედავა (263 სული), მესხია (263 სული), ჩანგელია (261 სული), ბერიშვილი (252 სული), კაკაჩია (240 სული), აბულაძე (238 სული), ძაძამია (236 სული), ციმინტია (228 სული), აბრალავა (225 სული), შამუგია (225 სული), ხასაია (225 სული), კვირკვია (218 სული), ქუხილავა (214 სული), ანთია (210 სული), აქუბარდია (210 სული), მოლაშხია (207 სული), ქანთარია (200 სული). დასახელებული გვარები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძირძველი გვარებია, რომლებიც სტატისტიკურად აქ მცხოვრებ სხვა გვარების წარმომადგენლებთან შედარებით, უმრავლესობა არიან.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვავლინეთ მცირერიცხოვანი გვარები, რომლებიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მკვიდრნი იყვნენ ყოველთვის და აქ ცხოვრობენ დღესაც, ასეთებია: დავიანტი (3 სული), ენგურელი (3 სული)⁹, კიტია (9 სული), ეგია (10 სული), დადიანი (12 სული), კვიტატიანი (17 სული), ევსია (20 სული), ფურთუხია (21 სული), მანჯგალაძე (29 სული), მითაგვარია (29 სული), სამელია (29 სული), აფაქიძე (30 სული), კაკალია (33 სული), თვალთვაძე (38 სული), ეფსია (42 სული), ლომია (42 სული), ძვაბავა (47 სული), მიქენაია (48 სული), ხულორდავა (52 სული), ხუბუტია (60 სული), ცხადაია (62 სული), შენგელაია (70 სული), კუკავა (82 სული), გეთია (83 სული), ყურუა (85 სული), ჩხაპელია (95 სული), სონგულია (96 სული), მანია (117 სული), სარია (119 სული), ჯანჯღავა (131 სული), მატუა (148 სული), ჭკადუა (164 სული), ჭანია (170 სული).

2022 წლის 26 დეკემბრის მონაცემებით ფიქსირებული გვარსახელებიდან ზოგიერთი შედგენილია, უმეტეს შემთხვევაში ქორწინების შედეგად მეუღლეების გვარების გაერთიანებით, მაგალითად: მეზონია-ფოგო, დაფიქსირებულია ერთი სული

⁹ გვარსახელი „ენგურელი“ ბოლო დროს წარმოიქმნა. მათი პირვანდელი გვარი სამუშაო იყო, თუმცა ოჯახის უფროსმა გვარსახელი ენგურელი შეირქვა და ახლა მისი შთამომავლები ამ გვარის მატარებლები არიან.

წალენჯიხაში. მეზონია-ძამამია დაფიქსირებულია ერთი სული სოფელ ეწერში. მედვედჩიკოვა-არდია დაფიქსირებულია სოფელ საჩინოში, მედვედჩიკოვ-არდია კი სამი სული. მიქაია-ქობალია ერთი სული ცხოვრობს სოფელ ობუჯში. ასე შედგენილი გვარსახელები მუნიციპალიტეტში ოცამდეა რეგისტრირებული და ისინი ქორწინების შედეგადაა მიღებული, ძირითადად – ქალის მხრიდან.

გ) გამქრალი გვარსახელები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

საარქივო მასალების მიხედვით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლინდა ბევრი გამქრალი გვარსახელი. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი თემა ეხება პოსტსაბჭოთა პერიოდში მცხოვრებ გვარებს, მიგვაჩნია, რომ საინტერესო იქნება ისეთი გვარსახელების აღნიშვნაც, რომლებიც საბჭოთა პერიოდამდე ფიქსირდებოდნენ, მაგრამ დღეს აქ აღარ ცხოვრობენ. ბევრმა გვარმა შეიცვალა ფორმა, ან როგორც სოციალური ერთობა, სხვადასხვა მიზეზის გამო გადასახლდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან. ქართული ონომასტიკის მკვლევრის, პაატა ცხადაიას მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, ჩვენ გამოვყავით წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული ტოპონიმებიდან აღდგენილი გვარები, რომლებიც ასევე საინტერესოა მუნიციპალიტეტის სოციალური ისტორიისთვის.

სტატისტიკური და საარქივო მონაცემების მიხედვით საკვლევ მუნიციპალიტეტში (წალენჯიხა) აღმოჩნდა გვარები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობენ. პაატა ცხადაიას წიგნიდან, „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“ მოვიძიეთ ტოპონიმებიდან აღდგენილი და დღეისათვის გამქრალი გვარები, რომლებიც შევუდარეთ აკაკი ჭანტურიას მიერ შედგენილ მასალას (ჭანტურია 2006).

საქართველოს ეროვნულ არქივში, მეტრიკულ წიგნებზე მუშაობისას დადასტურდა გვარები, რომლებიც საკვლევ რეგიონში და ზოგადად საქართველოში დღეისათვის აღარ ცხოვრობენ, თუმცა XVIII-XIX საუკუნეებში ფიქსირდებოდნენ. ესენია:

აბლავა - გვარსახელი დაფიქსირდა 1847 წლის წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერებში: *25 ივლისს გარდაიცვალა სოსუ აბლავა, 50 წლის, ცხელებით* (სეა. ცსა. ფ. 489, ა.6, ს. 685). აკაკი ჭანტურიას მეგრული გვარების ლექსიკონში არა აქვს შეტანილი გვარსახელი აბლავა.

აბუქაია - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1846, 1850 წლების მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდებიან ბეხუ, გიორგი, სოსანა, მირდი, ჯურუ, გვაჩი, მახუტი აბუქაიები (სეა. ცსა. ფ. 489, ა.6. ს.628, 631, 859). 1873 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით, ზუგდიდის მაზრის სოფელ წალენჯიხაში ჩაწერილნი არიან: აბუქაია გოჩი და მის კომლში მცხოვრები 6 კაცი და 3 ქალი (ქცსა. ფ. 8 ა.1. ს. 814).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აბუქაიები დღეს აბულაძეები არიან. ეთნოგრაფიული ცნობით, *„ინეფ აბულაძეებ ვარდუ, აბუქაია ულუდ გვარო. გლახა გვარ რდუ დო ვამოწონდეს. მა მოპჭიშაფუქ“* (ისინი აბულაძეები არ ყოფილან, აბუქაიები იყვნენ. ცუდი გვარი იყო და არ მოსწონდათ. მე მოვსწრებივარ). ლედგებეს მთავარანგელოზის ეკლესიის 1851 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში მოხსენებულია ჭაქვინჯში მცხოვრები ბათაია აბუქაია (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს.898). 1950-იანი წლების საკომლო ჩანაწერებში, წალენჯიხაში ცხოვრობდა 13 კომლი აბულაძე; 10 კომლი ნაკიფუს სასოფლო საბჭოში დაფიქსირდა (სრა.ფ. 14), 2 კომლი – წალენჯიხის სასოფლო საბჭოში (სრა. ფ. 307), ხოლო 1 კომლი – ობუჯის სასოფლო საბჭოში (სრა. ფ. 89). გვარი ევფემისტურია. ამიტომაც მისი გაქრობა გასაკვირი არ არის. აღნიშნული გვარსახელი აკაკი ჭანტურიას არ დაუფიქსირებია.

ებსალია - წალენჯიხის მაცხოვრის 1850 წლის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდება ელუჯდუ ებსალია (სეა. ცსა. ფ.489. ა.6. ს. 859). გვარი ებსალია ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ ფიქსირდება. გვარსახელი ებსაიას ფორმით გვხვდება და დღეისათვის საქართველოში 1 სულია. ჯვარზენის წმინდა გიორგის 1863 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში დაფიქსირებულია *გლებ შავარდენი ღეჯილას ძე ებუსაია* (სეა. ცსა. ფ.489. ა.6. ს.1635). სავარაუდოდ ებუსაია, ებსალია დღეს ეფსაია ან ეფსაია. აღნიშნული გვარსახელი ევფემისტურ გვარსახელთა რიცხვში შედის. 1950-იანი წლებში წალენჯიხის სასოფლო საბჭოს საკომლო ჩანაწერებში ფიქსირდება 12 კომლი ეფსია (სრა. ფ. 307), ფახულანში – 1 კომლი (სრა. ფ. 43), ხოლო ჭალესა და ჯვარის სასოფლო საბჭოებში დაფიქსირდა თითო კომლი (სრა. ფ. 46, 44). დღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეფსაიების უწინდელი გვარი იყო ებსაია. საქართველოში 12 სული ეფსაია ფიქსირდება. ა. ჭანტურიას მეგრულ გვარსახელად აღნიშნული აქვს – ეფსიაც. საქართველოში ეფსიების რაოდენობაა 76, თუმცა ისინი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ცხოვრობენ.

თოთვია/თოლთვაძე/თორთიაძე - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1845, 1846, 1847, 1850 და მომდევნო წლების მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდებიან მღვდლები იესე, ზებედე და იოანე თოთვაიები, მედავითნეები: იაკობ და სოფრომ თოთვაიები (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს.589, 685, 859) თოთვაიები მსახურობდნენ საჩინოს მთავარანგელოზის ეკლესიაშიც. ეს გვარი ზოგიერთ ჩანაწერში მოხსენებულია როგორც თოლთვია/თორთიაძე/თვალთვაძე (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს.859). თოთვია//თვალთვაძეები სასულიერო აზნაურები იყვნენ (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს.628). დღეს თოთვია-თოლთვია გვარსახელი არსებობს თვალთვადის (190 სული) ფორმით. 1950-იანი წლების საკომლო ჩანაწერებში წალენჯიხაში ფიქსირდება 15 კომლი თვალთვაძე (ზუგდიდის რეგიონალური არქივი, ფონდი 307), 1 კომლი – ნაკიფუს სასოფლო საბჭოში (სრე. ფ. 14). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს ამ გვარსახელის რამდენიმე ფორმა: „თოთუა“, „თვალთვია“, „თვალთვაძე“, „თვართვია“, „თორთვია“, „თორთია“.

ისტორიის დოქტორ მერაბ კეზევადის მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, XIX საუკუნის 30-იან-40-იანი წლების მიჯნაზე აზნაური თვალთვაძეები ცხოვრობდნენ იმერეთში, სოფელ ჩუნებში (კეზევაძე 2004: 109).

კოპალანძე - გვარსახელი კოპალანძე კოპალადის მეგრული ფორმაა, ისევე როგორც რუხანძე - რუხადისა. ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესიის 1847 წლის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდება შავარდენ კოპალანძე (სეა. ცსა. ფ.489. ა.6. ს. 685). გვარი კოპალანძე ფორმით XX საუკუნის და ამჟამინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ ფიქსირდება. ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს გვარის რამდენიმე ფორმა: „კოპალანძე“, „კოპალია“, „კოპალიანი“.

მაჯარგალაია - 1873 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით ზუგდიდის მაზრის სოფელ ზუმში ჩაწერილნი არიან: მანჯგალაია გვატა, მანჯგალაია ბალუ, მაჯაგანაია ცულვა (ქცსა. ფ. 8. ა. 1. ს. 814). მაჯაგალანძე/მაჯაგალაია გვარი საკვლევო მუნიციპალიტეტის მეტრიკულ ჩანაწერებშიც მოიხსენება. 1847 წელს მეტრიკულ წიგნში ჩაწერილი ლევანიკა მაჯარგალაია (სეა. ცსა. ფ. 489. ა. 6. ს. 689), 1850 წელს მოხსენებულია ლევანიკა მაჯარგალანძედ (სეა. ცსა. ფ. 489. ა. 6. ს. 859). გვარი ევფემისტურია. 1950-იანი წლების ჩქვალერის სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნებში ფიქსირდება 5 კომლი მანჯგალანძე (სრა. ფ. 152), ხოლო ჯვარის საკომლო ჩანაწერებში

- 3 კომლი (სრა. ფ. 44). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს: მაჯარგალაია, მაჯგანაია, მაჯგანაძე, მაჯგნარაძე. მაჯარგალაია/მაჯგალაძე დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში მანჯგალაძის ფორმით არის დაფიქსირებული. ამჟამად საქართველოში გვარი „მაჯგალაძე“ მხოლოდ 6 სული ფიქსირდება.

რმალია - ჯვარში, ლექარდეს უბანში მე-19 საუკუნეში ცხოვრობდნენ რმალიები. ლექარდეს მაცხოვრის ეკლესიის 1861-1863 წლების მეტრიკულ წიგნებში ჩაწერილნი არიან ძიკი, კიკო, კიპა რმალიები (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს. 1494, 1635). დღეისათვის გვარსახელი აღარ არსებობს. „რმალია“ აკაკი ჭანტურიას არ დაუფიქსირებია.

რუხანძე - 1847 წლის ლექარდეს მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერებში დაფიქსირებულია საბატონო გლეხი ობიშხე რუხანძე (სეა. ცსა. ფ. 489, ა.6. ს. 685). რუხანძე რუხაძის მეგრული ფორმაა. დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში რუხანძეები რუხაძეებად არიან გაფორმებული. 1950-იანი წლების ფახულანის საკომლო წიგნში დაფიქსირებულია 1 კომლი რუხაძე (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს. 43). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს: რუხაია, რუხაძე, რუხვაძე და რუხია.

ტორონჯავა - მუჟავას წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდება *ბოშა ბაკიჩელას ძე ტორონჯავა* (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს.1635). დღეს გვარსახელი ამ ფორმით ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ ფიქსირდება. ტორონჯი მეგრულ ენაზე მტრედს ნიშნავს. სავარაუდოდ გვარი მიღებულია მეტსახელისგან. ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს: ტორონჯაძე, ტორონჯია, ტოროჯაძე, ტოროჯია.

ქაბურძანია - გვარსახელი ამ ფორმით აღარ არსებობს. საჩინოს მთავარანგელოზის ეკლესიის 1857 წლის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდება *გიორგი ბოშას ძე ქაბურძანია* (სეა. ცსა. ფ. 189, ა.6, ს. 1233). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს: ქაბერზანია, ქაბურზანია, ქაბურძანია. დღეს გვარსახელი ხაბურზანიას სახით გვხვდება.

ქურცულავა/ქურცუა - ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესიის 1848 წლის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდება გვარსახელები ქურცუა და ქურცულავა (სეა. ცსა. ფ.489. ა.6. ს. 726). გვარსახელი ქურცულავა დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში არ იხსენიება. ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს გვარსახელი ქუცუა. ქურცუა 2017 წლის მონაცემებით 66 სულია. სავარაუდოდ, ქურცულავა იგივე ქურცუაა.

ლულავა - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1850 წლის მეტრიკულ წიგნში ჩაწერილია გვარსახელი ლულავა (სეა. ცსა. ფ.489. ა.6. ს. 859). დღეს გვარსახელი ამ

ფორმით აღარ ფიქსირდება. არსებობს გვარსახელი - ღულათავა (106 სული). ღულა მეგრულში ნიშნავს „გაღუნული, მრუდე; მტყუანი“ (ქობალია 2010: 647). შესაძლოა გვარსახელი ღულავა მომდინარეობდეს მეტსახელისგან. გვარი ევფემისტურია და ამიტომაც დაიკარგა. ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს გვარსახელები: ღულათა, ღულათავა, ღულათუა, ღულუა.

შამუშია/შამშია - გვარსახელი ფიქსირდება ჯვარზენის წმინდა გიორგის ეკლესიის 1850-1860-იანი წლების მეტრიკულ ჩანაწერებში. *1850 წელს დაფიქსირებულია ღულა შამუშია* (სეა. ცსა. ფ. 489. ა. 6. ს.859). *1861 წლის მოხსენებულია მაჯი შამშია* (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს. 1449) დღეს აღნიშნული გვარსახელის მატარებლები ოფიციალურ დოკუმენტებში შამუშიებადნა და შამშიებად აღარ მოიხსენიებიან. გვარმა მიიღო სამუშიას ფორმა.

ჩაგელია - გვარსახელი დაფიქსირებულია ჯვარის წმინდა გიორგის 1847 წლის ეკლესიის მეტრიკულ წიგნში – *საბატონო ყმა ბატუ ჩაგელია* (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს.685). ჩაგელია დღევანდელი ჩანგელიას ძველი ფორმაა. ა. ჭანტურიამ დააფიქსირა გვარსახელები: ჩაგლია, ჩანგელია. ჯგალის სასოფლო საბჭოს 1950-იანი წლების საკომლო წიგნში ჩაწერილია 9 კომლი ჩანგელია (სრა. ფ. 22), ხოლო ლარა-მედანის სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნში დაფიქსირებულია 2 კომლი (სრა.ფ. 145).

მიგარია - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1850 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდება *ჭუკი მიგარია* (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს. 859). გვარსახელი მიგარია დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში არ ფიქსირდება. სავარაუდოდ მიგარია არის ძიძარიას ძველი ფორმა, თუმცა გვხვდება გვარსახელი მიგირიაც. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 9 სული მიგირია – ყველანი აფხაზეთიდან.

ჭიჭონაია - სოფელ ჯგალის წმინდა გიორგის 1863 წლის ეკლესიის მეტრიკულ წიგნში მოხსენებულია – *ოტია ჯოდორიას ძე ჭიჭონაია* (სეა. ცსა. ფ. 489. ა.6. ს. 1635). ჭიჭონაიები მოხსენებული არიან ასევე ზუგდიდის მაზრის ლედგებეს მთავარანგელოზის ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში. დღეისათვის ამ ფორმით გვარსახელი ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ გვხვდება. ჭიჭონაიას ამჟამინდელი ფორმა ჯიჭონაიაა. გვარსახელი ჭიჭონაია აკაკი ჭანტურიას დაფიქსირებული არ აქვს.

დ) ტოპონიმებიდან აღდგენილი გვარსახელები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამქრალი გვარსახელების გამოვლენა შესაძლებელი გახდა ტოპონიმური მასალითაც. ონომასტიკის მკვლევარ პ. ცხადაიას საველე მუშაობის შედეგად მოპოვებული აქვს მდიდარი ტოპონიმური მასალა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ტოპონიმებიდან გვარები სწორედ მკვლევარმა აღადგინა და წარმოადგინა ნაშრომში „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“. ქვემოთ მოტანილია სწორედ ასეთი გამქრალი და ტოპონიმებიდან აღდგენილი გვარსახელები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, რომელთაც ჩვენ ვურთავთ დამატებით კომენტარს - ისინი ჩვენ გადავამოწმეთ მეტრიკულ და საკომლო წიგნებში, ასევე აკაკი ჭანტურიას მიერ შედგენილ მეგრული გვარსახელების სიაში, იმ შემთხვევაში თუ ასეთი გვარსახელი არ იძებნებოდა, შევუდარეთ მსგავსი ჟღერადობის სხვა გვარსახელებს და სავარაუდო კავშირები დავადგინეთ.

არსანია - *„გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეარსანე // ლიარსანე. ასე ეწოდება მდინარეს, რომელიც იწყება ზღვიაში (ქ. წალენჯიხა) და გადის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ალერტკარსა და გრიგოლიშში. არსან უძველესი კოლხური პირსახელია“* (ცხადაია 2000: 52). აკაკი ჭანტურიას მეგრული გვარსახელების სიაში არსანია არაა აჩაწერილი. არსანია გვარსახელი არ გვხვდება მეტრიკულ წიგნებში, არც საკომლო წიგნებში. მასთან ფონეტიკურად ახლოს მდგომი გვარია დარსანია/დარსალია.

არულია - *„გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლიარულე//ლეარულე. ასე ეწოდება ფიფიებით დასახლებულ უბანს ოლორის მარცხენა მხარეს (მუჟავა). არული მეგრულში საზოგადო სიტყვაა (შდრ. ქართ. არეული) და შეიძლება მეტსახელადაც ქცეულიყო“* (ცხადაია 2000: 52). აკაკი ჭანტურიასთან ფიქსირდება გვარსახელი „არურია“ და „არუსია“. გვარი არ დასტურდება საარქივო მონაცემებით. ამ გვართან მსგავსი დაწერილობის გვარია არუსია (58 სული). შესაძლებელია ამ გვარსახელის მატარებელმა ადამიანებმა მიგრაციის შედეგად მიიღეს სხვა გვარი.

ბახუტია - სავარაუდოდ, ამ გვარის წარმომადგენლები სოფელ საჩინოში სახლობდნენ *„გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაბახ (უ)ტუ, რაც სახნავის სახელწოდებაა მდინარე ინწირის მარცხენა ნაპირზე (სოფელი საჩინო). ბახუტი ბახვას კნინობით-მოფერებითი ვარიანტია“* (ცხადაია 2000: 58). აკაკი ჭანტურიასთან ფიქსირდება

გვარსახელი „ბახუია“.ეთნოგრაფიული მონაცემებით კი სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გავრცელებული სახელი იყო ბუხუია, ბახვა, ბახუტა, ბუხუტი.

ბებელია - „გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი საბებელიო (ბორცვი მუჟავაში, საარქანოს უბანში, სადაც უწინ ბებელიებს უცხოვრიათ). ბებე, ბებუ, ბებელი კოლხეთში პირსახელებია“(ცხადია 2000: 58). ბებელია სამეგრელოში პირსახელი იყო (ბებელიას „გამნარყი“ არქანიები). გვარსახელი ბებელია, ჩაწერილია აკაკი ჭანტურიას მეგრულ გვარსახელების ლექსიკონშიც. სავარაუდოა, რომ აღნიშნული გვარსახელი პირსახელისგანაა მიღებული.

ბერისკუა - პაატა ცხადიას აღნიშვნით, გვარსახელი ბერისკუა ბერიშვილის ვარიანტია. „1873 აღწერის მასალებში დაფიქსირებულია გვარი ბერისკუა – 1 კომლი კოკში, 2 კომლი ობუჯში და სხვა“ (ცხადია 2000: 60). დღეისათვის ეს გვარი არ იძებნება. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში მეგრული ენის გავლენით, ბერიშვილებს მოიხსენიებენ ბერისკუად, ისევე როგორც კუხალეშვილს - კუხალეისკუად, სახეიშვილი - სახესკუად. სავარაუდოდ, ბერისკუა არის ბერიშვილი. აკაკი ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს გვარსახელი ბერიშვილი და არა ბერისკუა.

გედია - მკვლევარმა პ. ცხადიამ გვარსახელი აღადგინა ტოპონიმიდან – ნაგედუ. ასე ეწოდება ვაკე ფერდობებს ჯალრაში (სოფელი ობუჯი) და ბორცვს სოფელი გარახაში (ლესორდიეს უბანში). ამოსავალი ფუძეა გედუ (<- გედევან). მაშასადამე: გედუ-ა -> გედია“ (ცხადია 2000: 68). აკაკი ჭანტურიას გვარსახელი გედია არ დაუფიქსირებია.

გერგვანია - გვარსახელი აღდგენილია ტოპონიმიდან – გერგვანია. „ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს რეკის მარცხენა მხარეს (სოფელი მაზანდარა). ამოსავალი ჩანს პირსახელი გერგო, რომელსაც ჯერ -ოვან (ი), ხოლო შემდეგ -ია სუფიქსი დართვია: გერგ-ოვანი -> გერგოვანია - > გერგვანია“ (ცხადია 2000: 69). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

გეჯერია - გვარის უწინ არსებობა დასტურდება ტოპონიმ – ნალეგეჯერუდან. „ესაა ბორცვი ვეჯინჯში, სადაც გადმოცემით, გეჯერიებს უცხოვრიათ (სოფელი საჩინო). ნა-პრეფიქსი დართვია მას შემდეგ, რაც ლეგეჯერე დასახლებულ უბნად ქცეულა“ (ცხადია 2000: 69). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს. ნა-პრეფიქსი

დასახლებულ პუნქტს, უმეტეს შემთხვევაში, მაშინ ერთვის, როცა ამ პრეფიქსით ნაწარმოები გვარსახელის წარმომადგენლები აღარ ცხოვრობენ, ტერიტორია კი დაუსახლებელია ან სხვა გვარის წარმომადგენლები დასახლდნენ. თუმცა, ასე ნაწარმოები ტოპონიმი შესაძლოა ისეთი ადგილსაც აღნიშნავდეს, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობენ ამ გვარის წარმომადგენლები; მაგ. ნაშამგუ სოფელ მუჟავაში.

კვიჭია - გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი – ნაკვიჭუ//ნაკვეჭუ. *„ასე ეწოდება ფერდობებს რობუღალის ზემოთ (სოფელი საჩინო). გურიასა და აჭარაში გავრცელებული გვარია კვიჭიძე კვიჭიასთან დაწერილობით ახლოს მდგომი გვარსახელი“* (ცხადია 2000: 96). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

მახარია - გვარი აღდგენილია ტოპონიმებიდან – „ნამახარუ“ - ჩაის ფართობი ლეშონეში, „სამახარიო“//„მახარია“ - უბანი და ღელე ჩხორიის საზღვართან სოფელ ლიაში. *„მახარია სამეგრელოში სახელიცაა და გვარიც. მიღებულია მახარე-საგან -ა სუფიქსის დართვით (მახარე-ა -> მახარია)“* (ცხადია 2000: 110). დღეს არსებობს მახარია გვარსახელთან ფონეტიკურად ახლოს მდგომი გვარსახელები: გახარია, გამახარია. გვარსახელ მახარიას აკაკი ჭანტურიაც აფიქსირებს.

მიქელია - გვარსახელი აღდგენილია ტოპონიმიდან – ნამქელუ//ნანქელუ. *„ეს არის ბორცვი ობუჯში, ხუფინას და ლავთარას შუა, სადაც მიქელიას უცხოვრია“* (ცხადია 2000: 114). მიქელიასთან ახლოს მდგარი გვარია მიქელიძე. აკაკი ჭანტურიას აღნიშნული აქვს გვარსახელები მიქეია და მიქელაძე.

ონჩხოლია - გვარი აღდგენილია ტოპონიმიდან – საონჩხოლო//საანჩხოლო. *„ამ ტოპონიმით მოიხსენება ვაკე-ფერდობები ნაშამგუში, ოლორის მარჯვენა მხარეს. აქ უწინ ონჩხოლიებს უცხოვრიათ. ამჟამად არქანების საკარმიდამოებია“* (ცხადია 2000: 119). აკაკი ჭანტურია გვარსახელს არ აფიქსირებს.

სანდარია - გვარსახელის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნასანდარუ//ნაცანდარუ. *„ასე ეწოდება ბორცვს ხუფინასა და ლავთარას შუა სოფელ ობუჯიში“* (ცხადია 2000: 125). სანდარიასთან ახლოს მდგარი გვარსახელია ქანდარია (სულ 185). აკაკი ჭანტურია აფიქსირებს გვარსახელს – სანდაყია.

სანთავა - ან სანთაია გვარსახელს აღადგენს ტოპონიმი – ლესანთე. *„ასე ეწოდება ვაკე-ბეჭობს ინწირას მარჯვენა მხარეს, სოფელ ჩქვალერში, საშეროზიოს უბანში. სანთა (ანუ ომპა) ეწოდება სახლის თავებს, მას ეყრდნობა სახურავი. აქედან გამომდინარე*

შესაძლოა, ძლიერი, ოჯახის ბურჯი მამაკაცისთვის მეტსახელად სანთა შეერქმიათ“ (ცხადია 2000: 125). აკაკი ჭანტურია ასეთ გვარსახელს არ აფიქსირებს.

უჩაგია - გვარს ალადგენს სოფელ მედანში, ჭანიწყლის მარჯვენა მხარეს არსებული ფერდობების ტოპონიმი – ლეუჩაგე (ცხადია 2000: 131). გვარსახელ უჩაგიას აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს, მაგრამ მასთან დაფიქსირებულია: „უჩა“, „უჩაა“, „უჩაძე“ და „უჩავა“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პ. ცხადია ტოპონიმების მიხედვით აღდგენილ გვარებს (ყოველ შემთხვევაში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) ყოველთვის აბოლოვებს სუფიქსით „ია“, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა გვარები სხვა მეგრული დაბოლოებით, კონკრეტულად „ავა“ დაბოლოებით, დასაშვებია, აღდგეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ჩვენი აზრით, დასაშვებია, გვარი აღდგეს ფორმით „უჩაგავა“.

ფართუხია - „გვარის წარსულში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეფართხე. ასე ეწოდება მეფორიას ხეობას სოფელ ნაგურუმში“ (ცხადია 2000: 132). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს. ფართუხიასთან ფონეტიკურ მსგავსებას ავლენს გვარსახელი - ფურთუხია (61 სული).

ქაღარია - გვარს ალადგენს ტოპონიმი – ნაქაღარ. „ასე ეწოდება უბანს ჭანისწყლის მარცხენა მხარეს სოფელ ჯგალში. მკვლევარმა პ. ცხადიამ გვარსახელ ქაღარიას არსებობა ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დაადასტურა. პირსახელი ქაღარია კი 1821 წლის საბუთში მოიპია (ქსძ, III, 429)“ (ცხადია 2000: 138). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს. ქაღარიას მსგავსია გვარსახელი - ქაღარია.

შარაზია – ან შარაზია გვარსახელს ალადგენს ტოპონიმი – ლეშარზე. „ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს მდინარე მაგანის მარცხენა მხარეს, ჯვარიდან რამდენიმე კილომეტრში. აჭარასა და იმერეთში გავრცელებულია შარაზიასთან ახლოს მდგომი გვარსახელი – შარაზიძე“ (ცხადია 2000: 146). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს. გვარი ფონეტიკურ მსგავსებას ავლენს გვარსახელ შარაშიასთან.

შარაქუა – მკვლევარმა პ. ცხადიამ გვარი ალადგინა ტოპონიმიდან – ნაშარაქუ//ნაშარაფუ. „ესაა სერი ლელვინჯილეში, სოფელ მიქავაში“ (ცხადია 2000: 146). გვარსახელი აკაკი ჭანტურიას „მეგრულ სახელებსა და გვარებში“ არ ფიქსირდება.

ჭამატავა (ჭამაკავა) – გვარი აღადგენილია ტოპონიმიდან – ლეჭამატა//ლეჭამაკა. „ასე ეწოდება მდინარე ოლორის მარცხენა შენაკადს ჩვინარეში, სოფელ მუჟავაში“

(ცხადია 2000: 161). გვარსახელი არ ფიქსირდება აკაკი ჭანტურიასთან და სამოქალაქო რეესტრის ამჟამინდელ მონაცემებშიც.

ხოტუა - მკვლევარმა პ. ცხადიამ გვარი აღადგინა ტოპონიმიდან – ლეხოტუე. „ასე ეწოდება ლაკადისძირებს ბელერწყარის სათავეებთან ლეთკანთში. ლე- პრეფიქსი იმაზე მიუთითებს, რომ აქ ერთ დროს ხოტუების უბანი იყო. ხოტო, ხოტორო ნიშნავს თავგადატვლებილს. მაშასადამე, ხოტო (მეტსახელი) -> ხოტი-ა->ხოტუა“ (ცხადია: 2000: 169). გვარსახელი არ ფიქსირდება აკაკი ჭანტურიასთან და სამოქალაქო რეესტრის ამჟამინდელ მონაცემებში. ამ გვართან ახლოს დგას გვარსახელი - ჩხოტუა (82 სული).

ზემოთ აღნიშნული გამჭრალი ან სახეცვლილი გვარები მოძიებულია საარქივო და ტოპონიმური მასალებიდან. გვარსახელები გადამოწმებულია ა. ჭანტურიას ლექსიკონში. თანამედროვე ყოფაში გვარსახელების არარსებობას ადასტურებს სამოქალაქო რეესტრის ამჟამინდელ მონაცემები. ზემოთაღნიშნული გვარსახელები ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ ფიქსირდებიან. გვარსახელის ჯერ შემცირებას, შემდეგ კი გაქრობას მრავალი მიზეზი აქვს.¹⁰ ზოგჯერ გვარსახელის გაქრობა არ ნიშნავს აღარარსებული გვარსახელი წარმომადგენლების არარსებობას. შთამომავლები არიან, მაგრამ გვარმა შეიცვალა ფორმა ამ ადამიანებისვე გადაწყვეტილებით. ამის მიზეზი კი ხშირად გვარის არაკეთილხმოვანებაა.

ე) გვარების დანაყოფების („თური“, „გამნარყი“, „ნაყარი“) და მისი სოციალური ფუნქციის შესახებ შესახებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

სამეგრელოში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, არსებობდა ნათესაობის სისტემა, გამოხატული გვარებით. თავის მხრივ, გვარებიც იყოფოდნენ ცალკეულ შტოებად და ერთიანობაში ქმნიდნენ დიდ სანათესაოს, რომელიც დასახლებული იყო ერთ უბნად, ან ერთ სოფლად. თითოეულ გვარს, გვარის დანაყოფს აერთიანებდა საერთო წინაპრის სახელი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული გვარები საბჭოთა პერიოდამდე იყოფოდნენ ნათესაობის ცალკეულ ჯგუფებად, ჰქონდათ თავიანთი დასახლების ადგილი და სოციალური ვალდებულებები, რომლის შესახებ

¹⁰ იხილეთ სტატია „ნამღევი“ გვარსახელები სამეგრელოში და მისი კვლევის ძირითადი ასპექტები“. ჭითანავა დ. შური თ. ბითაძე ლ. ხორავა ბ. ციმინტია ქ. შენგელია ი. იარდუმიანი ა. ლალიაშვილი შ. შენგელია რ. ჟურნალი ანალები, #15, 2019.

ინფორმაციაც მათ მეხსიერებაშია შემონახული; მეგრულ ენაში, ისევე როგორც ზოგადად „ქართული ენის დიალექტებში, შტო-გვარის (ოჯახის) სახელები, ძირითადად მრავლობითი რიცხვის მორფემებით იწარმოება“ (ჯორბენაძე 1993: 39). მეგრულში, ძირითადად „ფუძისეული ხმოვნის მოკვეციტ და მასზე -ეფ, -ებ ბოლოსართების დართვით ვიღებთ დასახელებულ ფორმებს; თუმცა იშვიათად, შეინიშნება სხვაგვარი წარმოებაც. სახელის ფუძეს დაერთვის -შ-ი კუთვნილების გამომხატველი სუფიქსი (კვარაცხელია 2005: 100). სამეცნიერო ლიტერატურაში გვარების და გვართა დანაყოფების სოციალური სისტემა პატრონიმიის სახელწოდებით მოიხსენება.

ტერმინი პატრონიმია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „pater“ (მამა) და „nomen“ „სახელი“. ის გამოიყენებოდა მამრობითი ხაზით ნათესაური ჯგუფის აღსანიშნავად, რომელიც წარმოშობილი იყო საერთო ეპონიმის მქონე მამაკაცისგან და ჰქონდა საერთო საცხოვრებელი ტერიტორია. ტერმინი თავდაპირველად მიემართებოდა შედარებით პრიმიტიულ სოციუმს, თუმცა მისი არსებობა დასტურდებოდა შედარებით განვითარებულ სოციუმშიც (Першиц, Трайбе 1989: 133).

საქართველოში ამგვარი სოციალური ერთობის – პატრონიმიის მკვლევარ ალ. რობაქიძის განმარტებით, „*პატრონიმია არის არა გვარის (род) დანაყოფი, არამედ დიდი ოჯახის სეგმენტაციის შედეგი და ამ სახით ისტორიულად უკავია შუალედური ადგილი ოჯახსა და გვარსახელს (фамилия) შორის. ის (პატრონიმია) შედგება მეხსიერებაში კარგად შემორჩენილი რამდენიმე თაობისაგან რეალურად არსებულ ეპონიმამდე, რომელმაც სათავე დაუდო ნათესაობრივ სტრუქტურას, რომელიც ხასიათდება სოციალურად, სამეურნეო და სასულიერო ცხოვრების ცალკეული მხარეების, აგრეთვე, გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების ერთობით, რომლებიც ამ პატრონიმიისადმი კუთვნილებიდან გამომდინარეობენ*“ (Робакидзе, 1993: 102).

ალ. რობაქიძე აღნიშნავდა, რომ კავკასიაში მცხოვრები ხალხების მიმართ ტერმინ – პატრონიმის გამოყენება გამორიცხავს კავკასიაში აღწერილი პატრონიმიის ნიმუშის კავშირს გვაროვნულ საზოგადოებასთან (რობაქიძე 1971).

მკვლევარმა, სალომე ბახია-ოქრუაშვილმა განსაზღვრა, თუ რას გულისხმობს პატრონიმია საქართველოში. მისი განმარტებით,

„XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, კავკასიის ხალხთა ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ისეთ თავისებურ ინსტიტუტს, რომლის სოციალური არსი მისი ნათესაური შემადგენლობით იხსნებოდა. მასში შედიოდა ერთი დიდი ოჯახიდან განაყარი ძმების ოჯახები, დაახლოებით ხუთი და მეტი თაობის აგნატები, რომელთაც სათავეში აგნატთა უფროსი თაობის წარმომადგენელი ედგა. უახლოეს ნათესავთა ახლად წარმოქმნილი ოჯახების ჯგუფს მთელი რიგი ერთობლიობების ნიშნები ახასიათებდა: ეგზოგამია, აღმავალი ხაზით IV-V თაობამდე, კარგად დაცული გენეალოგია, რომელიც ნათესაური კატეგორიების უფლებავალდებულებათა ნორმებით განისაზღვრებოდა; ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც გულისხმობდა მამისეული სახლის გვერდით განაყარი ოჯახების განსახლებას; მეურნეობრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში ინტერესების ერთობლიობა, რომელიც სათავეს უდებდა საერთო კოლექტიური შრომის ორგანიზაციას და მატერიალური ურთიერთდახმარების ფორმების ჩამოყალიბებას; ზოგიერთი რელიგიური დღეობა-დღესასწაულის ერთობლივი გადახდის პრაქტიკა; დიდი ოჯახის რეალური ან მითითური ეპონიმი კი საფუძველს უდებდა ამ სოციალური ინსტიტუტის სახელწოდებას, მის იდეოლოგიურ ერთობლიობას“ (ბახია-ოქრუაშვილი 2007: 15).¹¹

პატრონიმიის ინსტიტუტს საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაგიულ მხარეში თავისი სახელი ჰქონდა. აჭარაში მას ეძახდნენ ნოგროს, ბიძაშვილობას, მოძმიანობას და მამიშვილობას (მგელაძე 2004: 100), სვანეთში სამხუბ/ლამხუბს (ხარაძე 1939: 20; ბახია-ოქრუაშვილი 1985: 70), ხევსურეთში ძირს (ხარაძე 1949: 187). მთიულეთ-გუდამაყარში მამიშვილობას (ითონიშვილი 1974: 20). მთიულეთში კომობას (ხარაძე, რობაქიძე 1965: 16). სოფელ მარტყოფში პატრონიმიის აღსანიშნავი ტერმინია „ბუდობა“ (ილურიძე 1998: 4). ხევში ს. მაკალათიას აღნიშვნით, „თითოეული უბანი ერთ საგვარეულოს უჭირავს. შემდეგ გვარები კომლებად იყოფიან და თითოეული მათგანი თავისი მეკომურის სახელს ატარებს“ (მაკალათია 1934: 91).

სამეგრელოში პატრონიმიის სახელწოდების შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მკვლევარ სალომე ბახია-ოქრუაშვილის მოსაზრებით, „მეგრული პატრონიმიისათვის ზოგად სახელწოდებად გამოყენებული იყო ტერმინი – „თური“, რომელიც ძირითადად – მეგრულ-ჭანურ „თის“ (ოჯახი), საზოგადოებრივი განვითარების არსებულ ერთეულს, ოჯახს, უკავშირდებოდა. „ურ“ მაწარმოებელია, რომელიც ქართულში სადაურობის სუფიქსად იხმარება და რომელიც მეგრულს სწორედ

¹¹ ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით იხ. ბახია-ოქრუაშვილი ს. ოჯახი და პატრონიმია ალექსი რობაქიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, ჟ. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი საქართველოში, #2, 2007.

ქართულიდან უნდა ქონდეს ნასესხები. მეგრული „თური“ გაზრდისა და გაფართოების შედეგად ორსაფეხურიან სტრუქტურას ქმნიდა. პირველი რიგის პატრონიმიის აღმნიშვნელი იყო „ჯინჯი თური“, ხოლო გვიან გაჩენილისა – „ახალი თური“ (ბახია-ოქრუაშვილი 1985: 71).

მკვლევარი დავით ჭითანავა, მეგრულში პატრონიმიის აღმნიშვნელ ტერმინს „დინოს“ ასახელებს. ამ ვარაუდის დასადასტურებლად მას საველე-ეთნოგრაფიული მასალა მოჰყავს (ჭითანავა 2002¹: 322).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს, ჩვენ ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინი – „დინო“ – არ დაგვიფიქსირებია. უფრო მეტიც, ინფორმანტებისთვის ეს ტერმინი უცნობია. ჩხოროწყუსა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში მუშაობისას დავაფიქსირეთ ტერმინი – „დინო“. წალენჯიხის მუნიციპალიტეტების სოფლებში ახსოვთ და იციან ტერმინი – „თური“, თუმცა მთხრობელები მის განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევიან. რაც შეეხება ტერმინ „გამნარყს“, საველე მუნიციპალიტეტში დღესაც არსებობს მისი სოციალური ფუნქცია. დიდმა გვარებმა იციან „გამნარყების“ სახელწოდებები, იცავენ ურთიერთვალდებულებებს. უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში დღეს პატრონიმული ინსტიტუტი ტრადიციული სახით არ არსებობს.

ჩვენ განვიხილავთ „თურს“, „დინოს“, გვართა დანაყოფების აღმნიშვნელ ტერმინს – „გამნარყს“, ტერმინ „ნაყარს“, ნათესავთა და ტერიტორიულ-მეზობლური წრის აღმნიშვნელ ტერმინ – „სამოხიოს“.

მეგრულ-ქართულ ლექსიკონში ტერმინი – „თური“ განმარტებულია, როგორც „გვარი, სისხლის ნათესაობითი ერთობა“, მაგალითად მოყვანილი ფრაზა: „თინეფი თურეფი რენა“ („ისინი ერთი გვარისანი არიან“) (ელიავა 1997: 175). ა. ქობალიას განმარტებით, „თური“ არის „*რჯული, ჯური, მოდგმა (მოიცავს 5-6 თაობას), გვარი, მოგვარე, სახლეული*“ (ქობალია 2010: 321).

ოთარ ქაჯაიას მეგრულ ლექსიკონში „თური“ განმარტებულია, როგორც „*მოგვარე; სისხლით ნათესავი; გვარი იყოფოდა თურებად (მოიცავდა 5-6 თაობას) და უფრო წვრილ გამნარყებად. თური რე ჯიმალეფიში გემნარყი. გამნარყი უჭიფაშიე, თური უმოსი ფართოე რე – თური არის ძმების შთამომავალი (იმერ. ნაგრამი) მცირეა, თური უფრო ფართოა*“ (ქაჯაია 2002: 67).

პაატა ცხადაია სამეგრელოში მრავალრიცხოვან გვართა თურებად დაყოფას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს. ის წერს, რომ თური აღნიშნავს 5-6 თაობას და იყოფა კიდევ უფრო წვრილ ერთეულებად – „გამნარყებად“. „გამნარყი“ („ნაყარი“) კი ორ ან სამ თაობას მოიცავს. *„თური არის ერთი სისხლი და ხორცი; ვისი შთამომავლებიცა ვართ, იმათი თური გვქვია. მე ვარ გულაიათური. გულაიას შვილები ყოფილან კოჩაია, ესაია, შაქარია. მე კოჩაიას გამნარყი ვარ. სისხლის ნათესავთა გარკვეული ჯგუფის აღმნიშვნელი თი ტერმინისაგან წარმომავლობის -ურ სუფიქსით წარმოქმნილია ტერმინი თური, რაც ნიშნავს თი-ს წარმომადგენელს, შთამომავალს. მაგ., გულაიათი არის „გულაიას შტო, გულაიას შთამომავლობა“, ხოლო გულაიათური იქნება გულაიას შტოს წარმომადგენელი, გულაიას ერთ-ერთი შთამომავალი“* (ცხადაია 1985: 89).

გივი ელიამ შეისწავლა „თურის“ წარმოქმნის ეტაპები სამეგრელოში. მკვლევარი „თის“ ანუ ერთი დიდი ოჯახის გორიდან ჩამოსვლას და „თურებად“ დაშლას, ერთმანეთის მეზობლად დასახლებას უკავშირებს სამეგრელოში პატრონიმული ერთეულის – „თურის“ ჩამოყალიბებას. მისი განმარტებით, „მეგრული ლექსიკური – თი დიდი ოჯახის, სახლის, ოჯახის აღმნიშვნელია, ხოლო თი-დან გამოსული წევრი თისიანია, თუისიანია. თი ზოგჯერ დიდ ტერიტორიას ფლობდა. აქედან გამომდინარე, იგი არამარტო დიდი ოჯახის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა, არამედ პატრონიმულ ერთეულსაც (ელიავა 1998: 7). თურების გაშლის, გამრავლების შედეგად ახალი გვარის, თურის გამოყოფა იწყებოდა. ერთი თურის შიგნით კი რამდენიმე დინო ყალიბდება. რამდენიმე თურის წარმომადგენლები ერთად ცხოვრობდნენ და ჰქმნიდნენ სამოხიოს/სამახლობლოს (ელიავა 1998: 12).

პოსტსაბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტერმინ „თურს“ გამოიყენებენ ახლობლის, მოკეთის აღსანიშნავად. მეგრულ მეტყველებაზე დაკვირვებით, „თურს“ იტყვიან ისეთ ადამიანზეც, რომელსაც არ იცნობენ, მაგრამ გაცნობის შემდეგ მათთვის ახლობელი აღმოჩნდება, თუნდაც სხვა გვარს მიეკუთვნებოდეს ახალგაცნობილი. ამ დროს აღფრთოვანებით აღნიშნავენ – „თენა ჩქინ თურ ოფე“ (ეს ჩვენი „თური“/ჩვენიანი, ახლობელი ყოფილაო); „შორებელ ვაოფე, ჩქინ თურ ოფე“ (შორეული არ ყოფილა, ჩვენიანი ყოფილა).

ეთნოგრაფიული მასალის შეკრებისას, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში დიდი ოჯახები არ დაგვიფიქსირებია, რაც „თურებად“ დაყოფის

წინაპირობა იყო საბჭოთა პერიოდამდე, თუმცა სოფლებში ასაკოვანებს ახსოვთ დიდ ოჯახებად ცხოვრების არაერთი ფაქტი. ამის შესახებ ცნობილი ეთნოლოგის ვერა ბარდაველიძის საარქივო მასალიდანაც ვგებულობთ, რომელიც მეცნიერს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში 1950-იანი წლებში აქვს ჩაწერილი (ბარდაველიძე ფ. 68, 69). ზოგადად, საქართველოში, როგორც მკვლევარი თ. ლუდუშაური აღნიშნავს, „XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დიდი ოჯახები... ყველა კუთხეში გვხვდება და მათი არსებობა ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება“ (ლუდუშაური 2010: 284).

მკვლევარმა ნუგზარ ანთელავამ შეისწავლა მეგრული საქორწინო ტრადიცია XIX-XX სს-ში. ის შეეხო ნათესაობის სისტემას. მკვლევარი აღნიშნავს, რომ

„დუდ მოჯგირეები“ (ნათესავები სამი თაობის ფარგლებში) გაუყოფელი ოჯახის ე.წ. „თის“ წევრები არიან. ყოველი ასეთი ოჯახი შედგებოდა ego-ს და ego-ს შვილებისა და შვილიშვილებისგან, ასევე ego-ს ძმების, ამ უკანასკნელთა შვილების და შვილთაშვილებისგან, ე. ი. „თი“-ში გაერთიანებულნი იყვნენ სამი თაობის პირდაპირი და გვერდითი შტოს წარმომადგენლები. მესამე თაობის დონეზე „თი“ იყოფოდა რამდენიმე ოჯახად, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ სახლობდნენ. ასე წარმოქმნილი ოჯახების, „დუდმოჯგირეების“ სოციალურ გაერთიანებას ეწოდებოდა „დინო“, რომელიც ego-ს სახელს ატარებდა. დინოში შემავალი ოჯახები გამსხვილების შემდეგ კვლავ იშლებოდნენ და განაყრები თავიანთ მხრივ „დინოს“ წარმოქმნიდნენ. ყოველი ასეთი „დინო“ მეორის მიმართ იყო „გალენი მოჯგირე“. შვიდი-რვა თაობის შიგნით წარმოქმნილი „დინოების“ სოციალური გაერთიანებაა „თური“, რომელიც იწოდებოდა გვარის ამა თუ იმ შტოს დამაარსებელი წინაპრის სახელით. „თურში“ შემავალი „დინოები“ ერთმანეთის „მოჯიმალეები“ (მომხმეები) არიან, ხოლო თვით „თურები“ – „ტყურაია მოჯგირეები“ (ანთელავა 2005: 28).

იოსებ ყიფშიძე მიიჩნევს, რომ „დინო“ არის ერთი გვარისგან შემდგარი, ძალიან ახლოს მცხოვრები ნათესავები, იგივე „დინოხოლენი“ (შიგნითა), „დინახალე“ (შიგნითა), „დინახალენი“ (შიგნითა) (ყიფშიძე 1994: 413). გ. ელიავას განმარტებით, „დინო“ ეს არის „ერთი დიდპაპის შთამომავალნი ერთ გვარში, თურის (გვარის) ერთი ნოჲო. ერთი ტოტი, ერთი ნაყარი“ (ელიავა 1997: 123).

ოთარ ქაჯაია ტერმინ „დინოს“ უკავშირებს „დიდი პაპის“ შთამომავლობას. „გვარში გამოიყოფოდა თური, რომელიც იყოფოდა დინო-ებად. დინო სისხლით უფრო ახლო ნათესავების აღმნიშვნელია, ვიდრე თური“ (ქაჯაია 2001: 469).

აღიო ქობალიას მეგრულ ლექსიკონში ტერმინი „დინო“ განმარტებული აქვს, როგორც „სახლეული; შიდა განშტოება ერთი ჯურისა – ერთი თურისა, ანუ ერთი დიდი პაპის შთამომავლობისა, ერთი გვარის ხალხისა“ (ქობალია 2010: 242).

პაატა ცხადაიას განმარტებით, „გამნარყი“ მცირე სანათესაო წრეა: „თური“ იყოფა წვრილ ერთეულებად, ანუ „გამნარყებად“ („ნაყარი“) და ორ ან-სამ თაობას მოიცავს“ (ცხადაია 1985: 89). ლექსიკონში „გამნარყი“ განმარტებულია როგორც „შთამომავლობა; ნაყარი, გვარის, ერთი შტოს ხალხი, ორი-სამი თაობა; სისხლით ნათესავი, გვარისკაცი, სახლიკაცი, სანათესაო მამის ხაზით (ქობალია 2010: 75).

როგორც ლიტერატურიდან ირკვევა, სამეგრელოში ნათესაობის სისტემის ყველაზე დიდი სოციალური ერთეული ყოფილა „თური“; „თურის“ წევრებს ჰქონდათ საერთო გვარი. თური იყოფოდა „დინოებად“ ან „გამნარყებად“. დიდი საგვარეულო-სანათესაო წრის გაერთიანებას – „თურს“ მეცნიერთა დიდი ნაწილი პატრონიმიის აღმნიშვნელად მიიჩნევს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტერმინი „დინო“ უცხოა; ის არ ახსოვს მოსახლეობას, რასაც ვერ ვიტყვით „თურზე“ და „გამნარყზე“. სამეგრელოს ყველა მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ტერმინი „თური“.¹² მთხრობელები მის ზუსტ მნიშვნელობას ვერ განმარტავენ, მაგრამ ტერმინი ახლობლის, თავისიანის ასოციაციისაა მათთვის. ამის საფუძველზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტშიც „თურის“ პატრონიმიის აღმნიშვნელ ტერმინად ვვარაუდობთ და ვიზიარებთ გ. ელიავას, ს. ბახია-ოქრუაშვილისა და ნ. ანთელავას აზრს, ხოლო დინოს სინონიმად – „გამნარყი“ ფიქსირდება. ამის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს საველე-ეთნოგრაფიული მასალა.

„გამნარყი“ დღეისათვის არის ერთი საერთო წინაპრის შთამომავლობა, რომელიც ძირითადად შედგება – ბაბუის, მშობლებისა და შვილებისაგან და ატარებს ბაბუის ან დიდი ბაბუის სახელს. ერთი ოჯახიდან განაყართა აღმნიშვნელ ტერმინად ქალაქ ჯვარში დავაფიქსირეთ – „ნაყარი“.

ერთ-ერთი მთხრობელის თქმით, „წყავაშის მეღტონ ფიფია დო თიშ ნაყარ ოხორანდ. მეღტონიშ ნაყარ რე მეგონა, მეგონაშ ჯიმა, ჯვარზენს ოხორანს, ღიას ხოლო

¹² ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკში ჩატარებული ექსპედიციის დროს დავაფიქსირეთ ტერმინი „თური“, ასევე ჩხოროწყუს, მარტვილისა და სენაკის ექსპედიციებშიც ჩავიწერეთ ამ ტერმინის არსებობა მოსახლეობის მეხსიერებაში.

ოხორანს ართ ჯიმა“ (წყავაშში მელიტონ ფიფია ცხოვრობდა და მისი „ნაყარი“. ... მელიტონის ნაყარია მეგონა, მისი ძმა, რომელიც ჯვარზენში ცხოვრობს, ერთ-ერთი ძმა ლიაშიც ცხოვრობს). აქედან გამომდინარე „ნაყარი“ არის ერთი ოჯახიდან გამოსული ძმების აღმნიშვნელი მეგრული ტერმინი. მეგრულ მეტყველებაში „ყა“ ტოტს ნიშნავს, ე.ი. – განაყოფი.

საბჭოთა დროსაც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებობდა დიდი ოჯახები. ამ პერიოდში, დიდი ოჯახების დაშლის შედეგად იქმნებოდა გამნარყები. ვერა ბარდაველიძეს 1955 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიაში დაფიქსირებული აქვს 60 სულიანი ოჯახის არსებობა, შემდეგ კი მისი დაშლის ფაქტი. მთხრობლის თქმით, *„კოკი ფიფიას ოჯახი 60 წევრისგან შედგებოდა. ერთად გვქონდა სამუშაო ორინჯი, სამუშაო მიწა. სამუშაო კოკისი იყო მის სიკვდილამდე. მისი სიკვდილის შემდეგ გავიყავით. კოკის შვილები იყვნენ: პეპუ, სოსრანი, კვაჯი, ბერკა, ქუთული, კაჟინა. ყველაფერი სამუშაო იყო, იმ დროს კერძოდ არ შეიძლებოდა. საერთო საქმეს კერძო არაფერი გაერეოდა, ამის ნებას ჩემი ბაბუა არ იძლეოდა“* (ბარდაველიძე ფ. 68).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნათესავს „დინოს“ სახელწოდებით არ მოიხსენიებენ. „დინო“ უფრო ტერიტორიული ერთობაა. ნათესავთა სოციალური ინსტიტუტის ან ტერიტორიული ერთობის აღმნიშვნელად სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებში ვხვდებით „დინოს“, მაგრამ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – „გამნარყს“. მაგალითად, სოფელ ჩქვალერში, ფიფიები აღნიშნავენ, რომ აქ ცხოვრობს ქვაცას, კოჩას, ბაჩის, ბაბაჩის, ბაღრიას, სვიმოს და ტაიას მამის „გამნარყი“. წყავაშში ცხოვრობდნენ ჩხაჩხიანის „გამნარყის“ ფიფიებიც. მათი წინაპარი, სავარაუდოდ გვარში ძმადნაფიცობით, ან სხვა ფორმით მიღებული უნდა იყოს, რადგან ჩაჩხიანი ცალკე გვარსახელია. რ. თოფჩიშვილს „ლეჩხუმურ გვარსახელებში“ მოცემული აქვს გვარი – ჩაჩხიანი, რომლის განსახლების არეალი იყო ლაილაში და ლეშკაში (თოფჩიშვილი 2003: 271). მთხრობელები აღნიშნავენ, რომ ფიფიას გვარის წარმომადგენელი ყველა ერთია და მათ შორის ქორწინება არ შეიძლება. თუმცა, ნაკაში, ჯვატაშარმა ქარდავამ აღნიშნა, რომ ახსოვს წყავაშში ფიფიას გვარის წარმომადგენელთა ერთმანეთზე დაქორწინება, რომელიც სხვა „გამნარყს“ ეკუთვნოდა

და „სისხლი ფიფიასი არ ქონდა“. ინფორმანტმა ხუდონის თემში ქარდავებს შორის ქორწინების სამი შემთხვევა აღნიშნა, თუმცა უარყოფით კონტექსტში მოიხსენა.

ციქვა ქარდავა ჯვატას მეოთხე თაობის წარმომადგენელია (ციქვა-გიორგი-ნოჩა-ზუბა-ჯვატა). აღსანიშნავია, რომ „გამნარყის“ პარალელურად, როცა საქმე საერთო ქონებას და მის გაზიარებას შეეხება, ციქვა ქარდავა ასახელებს ტერმინ – „საჯიმალოს“. „ჯვატაშარები“ ყველა ერთი „საჯიმალო“ ანუ სამმოა. მათ საერთო ჰქონდათ სახნავი მიწები ხუდონში, „ხვამა“ (ლოცვა), რომელსაც ხუდონში ცხოვრების დროს ყველა ჯვატაშარი ესწრებოდა. გადასახლების შემდეგ, კი ეს პრაქტიკა მოიშალა; ტერიტორია დაცარიელდა; ჯვატაშარი ქარდავები დღეს სხვადასხვა ადგილზე არიან განსახლებულნი. მათი ერთად შეკრება ვერ ხერხდება და, შესაბამისად, წარსულში არსებული ჩვევებიც აღარ სრულდება.

ლექარდეს უბანში (ჯვარში), ქარდავები – ხუბლაშარები, ამლაია და შაქარია ერთმანეთთან ახლოს, ერთ „სამოხიოში“ სახლობენ. აქ ჯვატაშარი ციქვა ქარდავა გადმოსულია გვიან, ხუდონიდან გადასახლების შემდეგ.

ლეყურუეს უბანში (ჯვარში), დღეს ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ ტაგუს, გუსარისა და ნიკოლას „გამნარყი“ ყურუები. 78 წლის ოთარ ყურუა აღნიშნავს, რომ მისი ბაბუა იყო ნიკოლა, ხოლო გუსარი და ტაგუ ნიკოლას ძმები იყვნენ. ამ სამი „გამნარყის“ საცხოვრებელი ქუჩის მაღლა ცხოვრობენ სხვა, „ყალმათის გამნარყის“ ყურუები.

ჯვარში მცხოვრები აკობიები უტუს, მურზასა და ანტონიას „გამნარყია“. მათი ძირის ხატი ყოფილა ჯვარზენის ჯგეგე (ბარდაველიძე ფ. 69).

ლეშამგეს უბანში (ჩქვალერი) მცხოვრები ყველა შამუგია ორი ძმის – ბიბილას და ხუტას შთამომავლები არიან. ბიბილა და ხუტა შამუგიები გვარის თავდაპირველი წარმომადგენლები არიან. ისინი სხვადასხვა „გამნარყად“ დაიშალნენ. მაგალითად, ჩქვალერში „კაკულიაშ გამნარყი“ ცხოვრობს, ლიაში – „თამკოჩიშ გამნარყი“, ჭალეში – „ხუტაშ გამნარყი“.

გოგოხიების გვარი ძირითადად, სოფელ ფახულანიდანაა, თუმცა, აქედან გადასული გოგოხიების ნაწილი მოსახლეობს ლიაში. ლიელი გოგოხიები უთუსა და ომირთეს „გამნარყია“. ყველა გოგოხიას „ჯინჯი ხატი“ ანუ ძირი ხატი ჯვარის „ჯგეგემარდიანი“ ყოფილა (ბარდაველიძე ფ. 69).

სოფელ მუჭავაში არქანიები სხვადასხვა უბანში სახლობენ. ხუმათიაში მოსახლე არქანიების ერთი ნაწილი არის სქვამკოჩისა და ლეჯკოჩის „გამნარყები“. მათი მონათესავეა ბებელიას „გამნარყი“, რომლის წარმომადგენლები ერთმანეთთან ახლოს, ერთ უბანში სახლობენ.

ლიარულეს უბანში მცხოვრები არქანიები არიან ქვაცასა და ტვეფეს „გამნარყები“. მათი მონათესავე ყოფილა ლეხამულას უბანში მცხოვრები ბოჩოლას „გამნარყი“ (ბარდაველიძე ფ. 69).

სოფელ მიქავაში მცხოვრები მოსიძეების სამი „გამნარყია“: გულაია, ვაგელდა და ქირსეია. მათი სალოცავი ყოფილა მიქავას „წმინდა ბარბალე“.

სამიქაოს (სოფელი მიქავა) მცხოვრები ყველა მიქავა ტუტუს, ჯოტოს, დუტუსა და უტუს შთამომავლები არიან. ამ შემთხვევაში ისინი გვარის შორეული წინაპრები არიან.

ლეღვინჯილიეს უბანში (მიქავა) ცხოვრობენ მურზას, ჩაგუს, სესიასა და ცაკვას „გამნარყი“ ღვინჯილიები.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, სოფელ ობუჯში მცხოვრები ფიფიები არიან მახარობელის, პიპიშიესა და მუხვიეს „გამნარყი“.

ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები კვარაცხელიების ნაწილი კაკუციას, ჯობოლიას, ფოლოკის, ფაჩუს, ბუხულიას „გამნარყია“. არიან „მაგუები“ და „გუჩები“, ხოლო ნაწილი – „მაგუები“.

სოფელ ნაკიფუში მცხოვრები ჭანიები მალხაზის, კაისა და კაჟინას „გამნარყია“. აქ მცხოვრები ლუკავეები გვაჩილას, კაუას, მაძინიას, ჯოდორიასა და ძიკინიას „გამნარყია“. სოფელ მიქავაში ცხოვრობს გვაჩილას „გამნარყი“ ლუკავა.

როგორც ირკვევა, მთიან სამეგრელოში, კონკრეტულად წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ყველა სოფელში ერთი წინაპრისგან მომდინარე შთამომავლები იწოდებიან „გამნარყებად“. აქ ხდებოდა თავდაპირველი „გამნარყის“ დაყოფა ახალ „გამნარყებად“, მაგრამ პირველ „გამნარყს“ სხვა სახელით არ მოიხსენებენ. ვერა ბარდაველიძესაც წალენჯიხის რაიონში ჩაწერილ მასალაში, ამ სოციალური ინსტიტუტის აღსანიშნავად რაიმე სხვა სახელი არა აქვს დაფიქსირებული. საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდში „თურებად“ დაყოფა იმ სახით, რა სახითაც საბჭოთა დრომდე იყო, აღარ ხდება.

ნათესავების, ახლობლების ერთ უბანში დასახლებისა და საერთო ვალდებულებების მქონე სოციალური ერთობა სამეგრელოში „სამოხიო“ იყო, ტერმინი ერთ ტერიტორიაზე, ერთ უბანში, თუ მეზობლად დასახლებულთა სანათესაო ჯგუფის აღმნიშვნელია. ალიო ქობალიას განმარტებით, „სამოხიო“ არის „სამმო, სამახლობლო, საჭირისუფლო, ასაბია“ (ქობალია 2010: 581).

„სამოხიოში“ დავით ჭითანავა გულისხმობს ისეთ ტერიტორიულ-მეზობლური ერთეულს, სადაც სხვადასხვა გვარის ხალხი შედის, დაახლოებით 40-დან 60 ოჯახამდე და აუცილებელი არაა, ის ერთი გვარის ანუ მონოგენური დასახლების ხარჯზე იყოს შექმნილი (ჭითანავა 2004: 349).

გ. ელიავა „სამოხიოს“ განმარტავს, როგორც – „ახლო სამეზობლო კუთხე, უბანი. სამოხიოში შემავალნი მეზობლები ვალდებულნი არიან მხარში დაუდგნენ ერთმანეთს ჭირსა და ლხინში. სამოხიოში ერთობის ფუძე მეზობლობაა და არა მხოლოდ სისხლითნათესაური – თური, გვარი“ (ელიავა 1997: 283).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მთხრობელები „სამოხიოს“ უწოდებენ ერთი უბნის მკვიდრ ხალხს, რომლებიც ერთმანეთის გვერდით დგანან ჭირსა თუ ლხინში. მაგალითად, სამეგრელოში ქალს ნათესავის სამძიმარზე წასვლისას აუცილებლად მიყვება ქმრის „სამოხიო“, ანუ ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც მასთან ერთ უბანში ცხოვრობს. შესაძლოა, „სამოხიოში“ სხვადასხვა გვარის მოქცევა გვიანდელი მოვლენა იყოს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ერთი საერთო „გამნარყის“ წარმომადგენლები შესაძლებელია ერთ უბანში, ერთი სამოხიოს წევრები არ იყვნენ. თუკი ადრე სამოხიოში ოჯახთა რაოდენობა 100-მდე აღწევდა და მათ ურთიერთდახმარების ვალდებულებებიც ქონდათ, დღეს ასე არაა. სამეზობლო-სახლობლო წრე გაცილებით მცირე ოჯახებს მოიცავს და ურთიერთდახმარების ვალდებულებაც ნებაყოფლობითია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში გვარი, როგორც ადამიანისთვის მნიშვნელოვანი სოციოსამართლებრივი კატეგორია უცვლელი რჩება, თუმცა იცვლება მასთან დაკავშირებული სოციალური ვალდებულებები. კვლევის საფუძველზე გამოვლინდა საკვლევ მუნიციპალიტეტში გამქრალი გვარსახელები, რომლებიც ერთ დროს მუნიციპალიტეტის მკვიდრ მოსახლეობას ერქვათ და კულტურულ ყოფაში და მის

განვითარებაში მონაწილეობდნენ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვარებთან დაკავშირებული ეთნოისტორიული ასპექტები შეცვლილია. დროსთან ერთად იცვლება სოციალური ურთიერთვალდებულებები და ყალიბდება თანამედროვე სახის ურთიერთობები.

თავი III. ეკონომიკური საქმიანობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

საქართველო საუკუნეების განმავლობაში სოფლის მეურნეობის – მიწათმოქმედების და მესაქონლეობის, ხელოსნობისა და შინამრეწველობის ქვეყანა იყო, რომელიც ეფუძნებოდა მიწაზე და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას.

საბჭოთა პერიოდში ეკონომიკური ვითარება არსებითად შეიცვალა: სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები სახელმწიფოს ხელში მოექცა. სოფლად შეიქმნა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები; აიკრძალა კერძო სამეურნეო საქმიანობა.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში მიმდინარე „გარდაქმნისა და საჯაროობის“ პროცესში საქართველოში გააქტიურდა ბრძოლა საქართველოს ეროვნული (მათ შორის – ეკონომიკური) თავისუფლებისთვის, რასაც 1991 წელს მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

საბჭოთა კავშირის, სოციალისტური სისტემის დაშლის, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში დაიწყო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც, მიუხედავად შეფერხებებისა, დღემდე გრძელდება. მეცნიერები ამ პერიოდს გარდამავალს უწოდებენ, რომელიც ეკონომიკაში, ისტორიულ დროში შედარებით მცირე მონაკვეთია, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება ავტორიტარული მართვადი ეკონომიკის სისტემის დემონტაჟი და ყალიბდება თავისუფალი, საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტები. დროის ამ მონაკვეთს ეკონომიკურ ლიტერატურაში პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდსაც უწოდებენ. ასევე იყენებენ ტერმინს – „პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია“ (ღურწკაია 2001: 266).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით გვაქვს მოცემული.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში გატარებული რეფორმები, როგორცაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლებში, ასევე 2021-2025 წლებისთვის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირებასა და მხარდაჭერისთვის (ხორავა 2021: 127). წალენჯიხის

მუნიციპალიტეტის სოფლებში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობი პროგრამების მეშვეობით, მეურნეობის ტრადიციულ დარგებთან ერთად, ეკონომიკური სიახლეებიც იწერება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკური პროცესები დანარჩენი საქართველოს მსგავსად ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს საგანგებოდ იკვლევენ მეცნიერ-ეკონომისტები, საკითხის ანთროპოლოგიური შესწავლაც აქტუალურია. ჩვენი მიზანია კვლევის პროცესში მხარის ბუნებრივი, ტრადიციული ეკონომიკური თავისებურებების აღნიშვნა და ამის გათვალისწინება დღევანდელი და მომავალი ეკონომიკური პროცესების წარსამართავად. ეს, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას, მისი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ასევე, კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემების მოგვარებას.

საბჭოთა პერიოდში სოფლებში სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები შეიქმნა. ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგები მოექცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებაში და საბჭოთა სოციალისტური წარმოების დაქვემდებარებაში. საბჭოთა ეპოქის დასასრულს არსებობდა კოოპერატივებიც – კოლექტიური შრომისა და საწარმოო საშუალებების კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული სამეურნეო ფორმა.

საბჭოთა დროს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მეურნეობის უმთავრესი დარგი იყო სოფლის მეურნეობა. აქ განვითარებული იყო მეჩაიეობა, მარცვლეული და სხვა საკვები კულტურების წარმოება, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის მონაცემებით, წალენჯიხის რაიონში 13 სამრეწველო საწარმო იყო, აქ მომუშავე ადამიანების რიცხვი – 2147. 1940 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 34 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა იყო. შემდეგ მოხდა მათი გამსხვილება და 1987 წლისთვის აქ იყო 1 საბჭოთა მეურნეობა და 6 საკოლმეურნეო გაერთიანება. 1980-1987 წლებში საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხოვნობა იყო 705-501 კაცი (ანუ შემცირდა), კოლმეურნეთა საშუალო წლიური რიცხოვნობა კი – 9006-8153 კაცი (სტატისტიკური კრებული 1988). ამ წლებში კოლმეურნეთა რაოდენობა უმნიშვნელოდ, მაგრამ ყოველწლიურად მცირდებოდა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საბჭოთა ხელისუფლების დროს განსაკუთრებულად განვითარებული იყო ჩაის წარმოება. მთელს რაიონში 1987 წლისთვის ჩაის ნათესების ფართობი 3144 ჰა. იყო (სტატისტიკური კრებული 1988: 16). 2021 წლის მონაცემებით, პოსტსაბჭოთა პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩაის და ციტრუსების ფართობი არის 720 ჰა, ხოლო სავარაუდო მოსავალი – 720 ტონა (ჩაი და ციტრუსი, 2021: ფურცელი 7).

წალენჯიხაში დღეს ჩაის გადამამუშავებელი ორი კომპანიაა: შპს საინვესტიციო პოლდინგური კომპანია „ლაზი“ და „შპს ჯვარი-91“. შპს „ლაზის“ მეურნეობა საქმიანობს სოფლებში: ნაკიფუ, ეწერი და ზღვაიას დასახლებაში. კომპანია აწარმოებს შავ და მწვანე ჩაის. 2021 სამეურნეო წლის მონაცემებით, პროდუქციის სავარაუდო ჯამური მოცულობა იყო 59 ტონა. პროდუქცია ძირითადად იყიდება საქართველოში, ნაწილი საზღვარგარეთ იგზავნება.

შპს „ჯვარი-91“ მეურნეობა საქმიანობს ქალაქ ჯვარის ოქანე-ეწერის ტერიტორიაზე. კომპანია აწარმოებს მწვანე ჩაის. 2021 სამეურნეო წლის მონაცემებით, პროდუქციის სავარაუდო ჯამური მოცულობა იყო 35 ტონა (ჩაი და ციტრუსი, 2021: ფურცელი 11). საბჭოთა დროს არსებულ ჩაის წარმოების მაჩვენებელთან შედარებით, პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩაის კრეფის და გადამამუშავების მასშტაბი და რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია. პლანტაციები გაიკაფა, გავერანდა, მცირე ნაწილი კერძო საკუთრება გახდა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გავრცელებული იყო და ამჟამადც მოჰყავთ ციტრუსები: მანდარინი და ლიმონი. მათი საერთო ფართობია 5 ჰა, ხოლო, მოსავალი 2021 სამეურნეო წლის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 27 ტონაა.

სამეგრელოში ოდითგანვე მისდევდნენ მიწათმოქმედებას. აქ ადრეული პერიოდისთვის უფრო მეტად მთისწინა კალთების ტერიტორია უნდა ყოფილიყო სამიწათმოქმედო დანიშნულებით გამოყენებული (ჯალაბაძე 1979: 6). საბჭოთა დრომდე, ყველაზე მეტად გავრცელებული მარცვლეული კულტურა იყო სიმინდი, ღომი. მოჰყავდათ მჭადი და ფეტვი, შედარებით მცირე რაოდენობით – ხორბალი, ჭვავი და ქერი. ღომი საბჭოთა პერიოდში აქ გადაშენდა, როგორც ჯ. რუხაძე აღნიშნავს, „მისი სახელი, როგორც საუკეთესო საკვებისა, დღესაც შემონახულია“ (რუხაძე 1976: 43). აღსანიშნავია, რომ ღომი საქართველოსთვის ტრადიციული კულტურა იყო.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, „საქართველო გამოირჩეოდა ღომის ჯიშობრივი მრავალფეროვნებით. ხალხური სელექციის შედეგად ქართველმა მეურნემ შექმნა კონკრეტული გარემო პირობებისადმი შეგუებული ადგილობრივი ჯიშები, რომელთაც მოსახლეობამ შესაბამისი ქართული სახელები უწოდა“ (სადუნიშვილი, მაისაია, ბაცაცაშვილი, სიხარულიძე, დარჩიძე 2021: 193). ღომი გამოიყენებოდა ადამიანის საკვებად, ამზადებდნენ ღომის სქლად მოხარშულ ფაფას, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა იცნობს ღომის-ღომის სახელწოდებით“ (მაისაია 1987: 84). ცხოველების და ფრინველების გამოსაკვებად ღომის ჩალა საუკეთესო საკვები იყო. საქართველოს „სხვა რაიონებთან შედარებით, მეტი ხორბლეული ითესებოდა წალენჯიხის, მარტვილისა და ხობის რაიონებში“ (ჯალაბაძე 1979: 8), ამასთან, აღსანიშნავია, რომ მართალია, ღომის კულტურა სიმინდთან შედარებით საბჭოთა პერიოდამდეც ნაკლებად ინტენსიურად გამოიყენებოდა, მაგრამ, როგორც ჯ. რუხაძე აღნიშნავს (იხ. ზემოთ), ღომი 70-იანებში უკვე აღარ იყო ძირითადი საკვები კულტურა და იგი საბჭოთა პერიოდში სიმინდმა სრულიად ჩაანაცვლა. პოსტსაბჭოთა პერიოდში ღომის კულტურა თითქმის სრულიად გამქრალია. საველე ექსპედიციების დროს ვერ დავაფიქსირეთ ამ კულტურების მომყვანი ოჯახი.

საბჭოთა პერიოდამდე, სოციალიზმის დროს და დღესაც მნიშვნელოვანი მარცვლეული კულტურაა სიმინდი, რომელიც მთასა და ბარში თითქმის ყველა ოჯახს მოჰყავს. 1940 წლის მონაცემებით, წალენჯიხის რაიონში სიმინდის ნათესების ფართობი იყო 2739 ჰა, 1960 წლის მონაცემებით – 3373 ჰა, 1980 წელს დაფიქსირდა – 2244 ჰა, ხოლო 1987 წელს – 2073 (სტატისტიკური კრებული 1988: 16). 2021 სამეურნეო წლის მონაცემებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მარცვლეულ კულტურებს უკავიათ 1355 ჰა ფართობი, ხოლო, მიღებული მოსავალია – 4065 ტონა (მარცვლოვან-პარკოსნები, 2021: ფურცელი 1).

მოსახლეობას პარკოსნებიდან, პირადი მოხმარებისთვის მოჰყავს ლობიო და მუხუდო. მათი რეალიზება ბაზარზე არ ხდება.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, ერთწლოვანი კულტურებიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოჰყავთ კარტოფილი, გოგრა, პომიდორი, კიტრი, ბადრიჯანი, წიწაკა, სტაფილო, ნიორი (მარცვლოვან-პარკოსნები, 2021: ფურცელი 2).

საბჭოთა პერიოდში თხილი და კაკლოვანი ნაყოფი შინაური მოხმარებისთვის გამოიყენებოდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფართოდ გავრცელდა თხილის პლანტაციების გაშენება. ყველა ოჯახს აქვს სათხილე ნაკვეთები კარ-მიდამოს ტერიტორიაზე, ან სახლიდან მოშორებით წინაპართა ნამოსახლარზე. თხილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის შემოსავლის უმთავრესი წყაროა. თხილის პლანტაციების რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილია, რადგან მათი ექპორტირება ხდება. 2007 წლიდან წალენჯიხაში კომპანია ფერერო-რომეს თხილის პლანტაციებიც არის გაშენებული (Forbes, 2020).

2021 სამეურნეო წლის მონაცემებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თხილის პლანტაციები გაშენებულია 5489 ჰა ფართობზე, ხოლო მოსავალი ამ წლისთვის იყო 5489 ტონა. აქ მოყვანილი თხილის ძირითადი ჯიშია – **ანაკლიური** (კაკლოვანი, 2021: ფურცელი 2).

მუნიციპალიტეტში თხილის ჩამზარებელი 11 ქარხანაა. შპს „ჯეო დემო“ და შპს „ელენე და კომპანია 2015“ აწარმოებენ ნახევარფაბრიკატებს – თხილის გულს და გააქვთ ექსპორტზე (კაკლოვანი, 2021: ფურცელი 2). თხილის მოსავლის აღების დროს გამოიყენება დაქირავებული შრომა და შესაბამისად, მეურნეობის ეს დარგი მოსახლეობის სეზონური დასაქმების საშუალებაცაა.

კაკლოვანი კულტურებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოჰყავთ კაკალიც. შპს „აგრო ჯორჯია“ აწარმოებს **ჯიფონის** ჯიშის კაკლოვან კულტურას. 2021 სამეურნეო წლის მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კაკალი გაშენებული იყო 43 ჰა-ზე, ხოლო მოსავალი – 107.50 ტონა (კაკლოვანი, 2021: ფურცელი 2).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეხილეობაც არის განვითარებული. კარ-მიდამოში ყველა ოჯახს აქვს ხილისთვის გამოყოფილი ტერიტორია. აქ გავრცელებულია თესლოვან-კურკოვანი ხილი: ვაშლი, მსხალი, კომში, ატამი, ბალი, ალუბალი, ქლიავი, ტყემალი, ლეღვი, მცირე რაოდენობით – შინდი, ალიბუხარი/აბრიკოსი. ყველაზე დიდი რაოდენობით მოჰყავთ მსხალი. 2021 სამეურნეო წლის მონაცემებით, 152 ჰექტარზე ხილის მოსავალი იყო 912 ტონა (კურკოვანი-თესლოვანი ხილი, 2021: ფურცელი 6). დღეს მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე გავრცელებულია სუბტროპიკული ხილიც: კივი, ფეიხოა, ხურმა/კარალიოკი (სუბტროპიკული ხილი, 2021).

ისტორიულად, სამეგრელოს მთის სოფლებში ადგილობრივი ჯიშის ხილი (ვაშლი, მსხალი) ხარობდა. დღეს მეგრული ჯიშის ხილის სახეობები თითქმის არაა შემორჩენილი. საბჭოთა კავშირის დროს შემოტანილმა ხეხილისა და ვაზის ჯიშებმა ადგილობრივი ჩაანაცვლა, რამაც გამოიწვია ენდემური ჯიშების გაქრობა¹³.

მუნიციპალიტეტის სოფლებში გავრცელებულია ვაზის რამდენიმე ჯიშ. მასიურად გვხვდება ცოლიკაური, შედარებით მცირე რაოდენობით – ოჯალეში (ვენახი, 2021: ფურცელი 6). ერთ-ერთი მთხრობელის, მედანში მცხოვრები ზალოგი ვალიკოს ძე ქარაიას ცნობით, „მედანსია, თქუანდეს, დიდგუმუნია ჯგირ ღვინ. ირკოჩ ოცქვანდ მედანიშ ადესას. თეჟ, ლეფიფიეს ჯგირ ჰავა რდუ. სხულ ჯგირ უჩქუდ. მასკურ გეუხედ დო ცუნდ ვაულუდ“ (ამბობდნენ, [სოფელ] მედანში კარგი ღვინო ყენდებოდაო. ყველა აქებდა მედანის ღვინოს. ლეფიფიეში (უბანია მედანში) კარგი ჰავა იყო. კარგი მსხალი იცოდა. მასკური (ქარის სახელწოდება) ქარი ქროდა და ნამი/ცვარი არ იცოდა).

ტრადიციული, მეგრული ყურძნის ჯიშები აქა-იქ თუა შემორჩენილი. დღეისათვის ოჯალეში მოჰყავთ. მცირე რაოდენობითაა ჩეხარდანის და ჭვითილურის ნარგავები. მევენახეობის პროდუქტები (ღვინო, არაყი) უმთავრესად მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა შიდა მოხმარებისთვის გამოიყენება.

მუნიციპალიტეტში დიდი რაოდენობით მოჰყავთ დაფნა. 2021 სამეურნეო წლის მონაცემებით, 44 ჰა ფართობზე მიიღეს 110 ტონა მოსავალი (ჩაი და ციტრუსი, 2021: ფურცელი 8). საბჭოთა დროს დაფნის ბუჩქების პლანტაციები ჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთებზე და დაფნის ფოთოლს სპეციალურ დამზადების პუნქტებში აბარებდნენ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოყავთ კენკროვანი კულტურები: ჟოლო, მაყვალი და მოცვი. მათი საერთო ფართობი მუნიციპალიტეტში 73 ჰექტარია. ბოლო პერიოდში ლურჯი მოცვის მოშენების ზრდადი ტენდენციაა. ზღვაიას უბანში და ოზუჯში გაშენებულია ლურჯი მოცვის ჯიშები: ლეგასი, ბლუბერი და ბლუკოპი.

¹³ ადგილობრივი ჯიშების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია. თბილისი, შპს Exclusive Print +, 2012.

მათი საერთო ფართობია 67 ჰა, ხოლო მოსავალი 2021 სამეურნეო წლის მონაცემებით 3 ტონა იყო (ფერმები და საწარმოები, 2021: ფურცელი 4-11).

მიწათმოქმედებისა და მებალეობის გარდა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ისტორიულადაც და დღესაც განვითარებულია მესაქონლეობა. ზოგადად მეურნეობის განვითარებას, როგორც მკვლევარი თ. ცაგარეიშვილი აღნიშნავს, განსაზღვრავს, გეოგრაფიული გარემო და მისი თავისებურებები, ამიტომ „მეურნეობის მთური და ბარული ტიპი საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ნიშნებით ხასიათდება“ (ცაგარეიშვილი 1987: 22). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მთიან სოფლებში მოსახლეობას ჰყავს როგორც მსხვილფეხა-რქოსანი, ასევე – წვრილფეხა საქონელი და მთის და ბარის მეურნეობის ტიპებს ბუნებრივია, გეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში ჰყავთ მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვი, თხები და ცხვრები („ჭიფეშურდგუმა“ ანუ წვრილი სულდგმული). აქ უმეტესად გავრცელებულია თხა. აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფისგან განსხვავებით, კახეთში, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს დიდი რაოდენობით არ ინახავდნენ. ზოგიერთ ოჯახს ჰყავდა ერთი მეწველი ძროხა, ზოგს – არც ერთი, თუმცა აქ, ზოგჯერ, ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ჰყავდათ უღელი ხარები (გვიმრაძე 1999: 15).

ძველ დროში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მედანში მცხოვრებ თითქმის ყველა გვარს მთაში ჰქონდა როგორც მიწა, ისე სადგომი. მთხრობელთა თქმით, „*მუკე-მუკე დოხაჩქუნდეს დო საქონელ ქუნდეს*“ (ირგვლივ მიწას დაამუშავებდნენ და საქონელი ჰყავდათ). მეთხვევებით და მეცხვარეობით ამ სოფელში განთქმული ყოფილა მიქავას გვარი. თხა და ცხვარი დიდი რაოდენობით ჰყავდათ სოფელ ჩქვალერშიც. „ზაფხულში ცხვარი და თხა მთაში ჰყავდათ. რამდენიმე ამხანაგი შეაერთებდა ფარას და წავიდოდა მთაში, გააკეთებდნენ საერთო კარავს. ცხვარი თხასთან შედარებით ძოვდა მაღალ ადგილზე, რომელსაც „შუშელს“ უწოდებდნენ, თხის საძოვარს კი – „ჯალონას“ (მასალები... 1986: 213).

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში „მესაქონლეობის ინტენსიური განვითარებით გამოირჩეოდნენ ენგურის ხეობის ზემო წელის სოფლები: მუჟავა, ჭალე, ფახულანი, ჩქვალერი და ჯვარი. მსხვილი მეჯოგეობით განთქმულნი

იყვნენ არქანები, ფიფიები, შამუგები და არონები სოფელ მუჟავადან; შონები, ხასიები და გოგოხიები სოფელ ფახულანიდან; ფიფიები, ქარდავები, შეროზიები და გოგილავეები სოფელ ჩქვალერიდან; კვარაცხელიები და ფიფიები სოფელ ლიიდან (შამილაძე 1974: 60).

ზემო სამეგრელოში გავრცელებული იყო მომთაბარე მესაქონლეობა, რომლის მასშტაბი დღეს მნიშვნელოვნად შემცირებულია. აქ მეურნეობის ეს დარგი „შექმნილია მთისა და ზღვისპირა საძოვრების უშუალო ზეგავლენით. ზემო სამეგრელოს მომთაბარე მესაქონლეობის (ტყის ტიპის, ჭაობიანი) საზამთრო საძოვრები მდებარეობს შავიზღვისპირა კოლხეთის დაბლობში; საზაფხულო საძოვრები განლაგებულია კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 1500 – 3000 მეტრის სიმაღლეზე (ხელაია 1965: 6-8). ჯგალელი მეჯოგის, ჩაგუ კვარაცხელიას ცნობით, ჯოგი ზამთარში ზღვის პირას ყავდათ. იქ იზრდება ფშკერი/შქერი და ბარცხი (ბარბგი); როგორც კი თოვლი მოვიდოდა, ამ მცენარეს ჭრიდნენ და ამით კვებავდნენ საქონელს. დიდთოვლიანობის დროს ცურუს (სუროს) ჭრიდნენ. თუ თოვლი არ იქნებოდა, ძროხა მინდვრის ბალახით იკვებებოდა. მაისის ოცდახუთიდან კი მთაში მიდიოდნენ (მასალები... 1986: 212).

მთხრობელების თქმით, აქაურ მეჯოგეებს საქონელი მიჰყავდათ იმერეთის, გურიის, აფხაზეთის საძოვრებზე, რადგან „კვებისა და შენახვის პირობები (ზამთარში ჭალადიდში, ზაფხულში ალპურ საძოვრებზე), ბუნებრივი და ხელოვნური გადარჩევის მიმართულება ხელს უწყობდა კარგი სამუშაო თვისებების მქონე ჯიშების ჩამოყალიბებას“ (კვარაცხელია 2002: 19).

მაღალმთიან სოფლებში საქონელი ყველა ოჯახს ჰყავს. საბჭოთამდელ პერიოდში ოჯახებში, განსაკუთრებით მთაში, ჰყავდათ ბევრი, ხშირად 30-50 სულზე მეტი საქონელი. საბჭოთა დროს კი საქონელი ფერმებში ყავდათ და მათი რაოდენობაც დიდი იყო. დღეს ოჯახებში მცირე, თუმცა 5-10 სულ საქონელს მაინც უვლიან. საძოვრები საცხოვრებელთან ახლოს აქვთ.

გადარეკვით მეცხოველეობას მისდევენ მეჯოგეები, რომლებსაც ბევრი საქონელი ჰყავთ. მათ საძოვრები აქვთ მთასა და ბარში. არიან ისეთებიც, რომელებსაც მთებში აქვთ სადგომი, ზამთრობით კი მშობლიურ სოფელში ჩადიან. მეცხოველეობის

განვითარებით გამოირჩევა მთის და მთისწინეთის სოფლები: ჩქვალერი, მედანი, ნაგურუ, ჯგალი, კანთი.

ფიფიებს, ძაძამიებს და მიქავეს საქონელი ბოგაშის მთაზე ჰყავთ. ჯგალელ კვარაცხელიებს საქონელი ხორგაში დაჰყავდათ; მედანელ ქარაიებს – ჭურიაში. ჯგალელ თემურ ქარაიას საქონელი ჰყავს დოხვილის ტერიტორიაზე, ჭანისწყლის ხეობაში. ზამთარში საქონელი შავიზღვისპირეთის სამოვრებზე მიჰყავს. ოჯახმა საქონელი, სადგომი ტერიტორია და სამოვრები მემკვიდრეობით, დედის ხაზით, ჯგალელი ცნობილი მეჯოგე კვარაცხელიებისგან მიიღო.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საბჭოთა პერიოდთან შედარებით მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის სულადობრივი რაოდენობა მუნიციპალიტეტში იცვლებოდა. 1941 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა 15297 სული; 1986 წელს – 19706 სული (სტატისტიკური კრებული 1988), ხოლო 2021 წლის მონაცემებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო 11066 სული, ღორი – 2600 სული, ცხვარი – 803 სული, ხოლო თხა - 1400 სული (მეცხოველეობა 2021, ფურცელი 9).

საბჭოთა დრომდე მესაქონლეობის პროდუქტების რეალიზაცია ჩალვარდობისა და ჯალაბობის ინსტიტუტის არსებობის შედეგად ხდებოდა (ვაჭრობის მიზნით გარკვეულ პირთა გაერთიანება). როგორც დ. კვარაცხელია აღნიშნავს, „მთაზე ასული ჩალვარდები მწყემსებს, ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, 3 ჩერთიან (დაახლოებით 300 გრამიან) ყველს უკვეთავდნენ, რისთვისაც ყველის კალაპოტებიც კი ამოუტანიათ“ (კვარაცხელია 2002: 107).

საბჭოთა დროს მესაქონლეობის პროდუქტებს კოლმეურნეობებიდან, ფერმებიდან სახელმწიფო ყიდულობდა. მეტი პროდუქტის გამომუშავების მიზნით ეწყობოდა სოციალისტური შეჯიბრებები, ნაწარმის გამოფენა-გაყიდვები.

კოლმეურნეობებისა და მეურნეობების მოშლის შემდეგ მუნიციპალიტეტში საქონელი ოჯახებში ჰყავდათ და ძირითადად, ოჯახისთვის სამყოფი პროდუქტი ჰქონდათ. დღეისათვის მეცხოველეობის კერძო საწარმოები შეიქმნა, რომლებიც ამარაგებენ ადგილობრივ ბაზარს.

ფერმერების შესახებ 2021 წლის მონაცემებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებულია 17 მეწარმე, რომელთაც აქვთ მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის

ფერმული მეურნეობა. ისინი ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ.

2021 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა აღრიცხული 81988 ფრთა შინაური ფრინველი (ქათამი, ინდაური, იხვი, ბატი). ქალაქ ჯვარში არის მეფრინველეობის ფერმა – შპს „ესტ კომპანი“, სადაც ჰყავთ ლოხმანის ჯიშის ქათამი და აწარმოებენ კვერცხს.

მეფუტკრეობა სამეგრელოში, განსაკუთრებით მთიან ნაწილში ისტორიულად იყო განვითარებული. 2021 წლის მდგომარეობით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში აღრიცხული იყო – 3900 ფუტკრის ოჯახი; დაფიქსირებულია ოთხი საწარმო, რომლებიც აწარმოებენ მეფუტკრეობის პროდუქტებს: ჯვარში, ობუჯში და ლიაში 2 საწარმოა. მეწარმეებს ჰყავთ ქართული რუხი ფუტკარი (ფერმები და საწარმოები 2021).

2021 წლის მდგომარეობით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებულია 30 სატბორე და საკალმახე მეურნეობა. აქედან 14 მოქმედია, ხოლო 16 – შეჩერებულია. აქ მოშენებულია კობრი და სქელშუბლა (ჭრელი) (თევზი 2021, ფურცელი 10).

პოსტსაბჭოთა პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა სტატისტიკური მონაცემებით ასეთია: 2015 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებული იყო 1028 კაცი, 2016 წელს – 1065, 2017–1083, 2018 წელს – 901, 2019 წელს – 990, 2020 წელს – 946 (ბიზნეს სექტორში... 2020). ბოლო პერიოდში მომუშავე ადამიანების კლება ქვეყნიდან უცხოეთში სამუშაოდ გასვლის შედეგად შეიძლება იყოს. ფიქსირდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან დედაქალაქში გადასვლისა ან სხვა ქვეყანაში მიგრირების ტენდენციაც.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტიდან მიღებული ოფიციალური ცნობის მიხედვით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ბოლო პერიოდში 1080-მდე მცირე ბიზნესი ფიქსირდება (საწარმოები 2022).

დღესათვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქებში და სოფლებში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის მცირე საწარმო. აქ არის ოთხასამდე საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტი; ხე-ტყის დამზადების და სამშენებლო მასალის სავაჭრო ობიექტები; არის პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება. მშენებლობაში

გამოყენებულია სხვადასხვა ადგილობრივი სახურო და სადურგლო ნაკეთობები. არის რამდენიმე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ნაგებობების მშენებელი კომპანია.

წარმოებს ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება და კონსერვირება; სუნელ-სანელებლების და საკმაზ-სანელებლების წარმოება, არის ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები; კოოპერატივი – „ჩაის სურნელი“. მუნიციპალიტეტში აწარმოებენ ფქვილს და პურპროდუქტებს, მაკარონს, ატრიას, კუსკუსს და სხვა. იწარმოება ხორცის პროდუქტები და მზა საკვები (საწარმოები 2022).

ფუნქციონირებს 30-მდე რესტორანი და საკვები მომსახურების ობიექტი. არის ტურისტული სააგენტოები, მათ შორის – სასტუმროები და საოჯახო სასტუმროები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ხის დამამუშავებელი, ავეჯისა და ხის სხვა ნაკეთობების დამამზადებელი საწარმოები.

ხალხურ ნაკეთობათა ოსტატები ამზადებენ აკვნებს, სათამაშოებს, ჯამ-ჭურჭელს.

გაქრობის პირასაა ხალხური ტრადიციული შინამრეწველობის ისეთი სახეობები, როგორიცაა: მჭედლობა, წნული ჭურჭლის დამზადება, ნაბდების მკეთებლობა. ჯ. რუხაძე 1969-1970 წლების წალენჯიხის რაიონის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ „სოფლები: ჯვარი, ფახულანი, ჩქვალერი თუ მეცხოველეობის (როგორც წვრიპფეხა, ასევე მსხვილფეხა) დედა-ბუდედ ითვლებიდა, ის ამავე დროს ნაბდების, ნაბდის ქუდებისა და საჩოხე ღართის ქსოვით მთელს დასავლეთ საქართველოში იყო ცნობილი“ (რუხაძე 2022: 371).

მუნიციპალიტეტში ადრე იყო, მაგრამ დღეს თითქმის არაა შემორჩენილი წყლის წისქვილები.

საბჭოთა პერიოდში სამჭედლო თითქმის ყველა კოლმეურნეობას ჰქონდა, დღესდღეობით, როგორც აღვნიშნეთ, ფაქტობრივად გაქრობის პირასაა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება; ფუნქციონირებს საქალაქო, საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამგზავრო და სატვირთო სახმელეთო ტრანსპორტი. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი ტრანსპორტით უკავშირდება მუნიციპალიტეტისა

და სამხარეო ადმინისტრაციის ცენტრებს. ეს სექტორი კერძო მესაკუთრეთა ხელშია. ქალაქ ჯვარში გაყვანილია სარკინიზო ხაზი, რომელიც უმოქმედოა.

მუნიციპალიტეტში აღრიცხულია გზების, ხიდების, გვირაბების სამშენებლო-სარემონტო კომპანიები. მოიპოვება და იწარმოება კირქვა, თაბაშირი, ცარცი, ფიქალი, ხეტყე და სხვა სახეობის სამშენებლო მასალები. არის ქვის ჭრის, დამუშავების, სარემონტო-სამონტაჟო მომსახურების ცენტრები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ენერგეტიკული ობიექტები: ქართული ენერგეტიკის ხერხემალი – ენგურჰესი და სხვა საწარმოები.

ენგურჰესი ენგურსმიდმა საქართველოსთან, აფხაზეთთან დამაკავშირებელი ცოცხალი ხიდია. ამ საწარმო-გიგანტში ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არის სააღრიცხვო, საბუღალტრო, სააუდიტო და საგადასახადო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება; არქიტექტურული საქმიანობის მომსახურება; მონაცემთა დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები, საკრედიტო მომსახურება შპს „კოლხი“. გამოდის რაიონული გაზეთი „ივერია“. არის საფოსტო და საკურიერო მომსახურება. კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები, საფინანსო და საბანკო მომსახურება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მუნიციპალური და კერძო სამედიცინო დაწესებულებები, კლინიკური დიაგნოსტიკური ცენტრი, სტომატოლოგიური და ფარმაცევტული ობიექტები.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკური განვითარების პროცესზე დაკვირვებამ, კვლევამ გვიჩვენა, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში ამ სფეროში რამდენჯერმე მკვეთრად შეიცვალა ვითარება.

საუკუნეების განმავლობაში არსებული ტრადიციული კერძო ფერმერული აგრარული, სამეწარმეო მეურნეობები XX საუკუნის 20-იან წლებში შეიცვალა საბჭოური სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური გაერთიანებებით, კოლმეურნეობებით და საბჭოთა მეურნეობებით, სახელმწიფო საწარმოებით, გაუქმდა მიწაზე, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება და დამყარდა ეკონომიკურ საქმიანობაზე სახელმწიფოს მონოპოლია. გლეხს, მეწარმეს, ინტელიგენტს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული „პირადი საკუთრება“ შეიძლება ჰქონოდა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საბჭოური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა გაუქმდა; გამოცხადდა „გარდამავალი პერიოდი“, დაიწყო უმნიშვნელოვანესი რეფორმები, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და ახალი, დემოკრატიული პოლიტიკური მმართველობის და თავისუფალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება. ეს პროცესი, მიუხედავად მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო ხელისშემშლელი ფაქტორებისა (სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო დაპირისპირება, შეიარაღებულთა თარეში, მოსახლეობის ძარცვა-ყაჩაღობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა 1992-1993 და 2008 წლებში, ეპიდემია, ეკონომიკური კრიზისები) ეკონომიკა აღმავალი ხაზით ვითარდება.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში აღდგა მიწაზე და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება. შეიქმნა კერძო ფერმერული, თანამონაწილეობაზე დაფუძნებული კოოპერატიული საწარმოები.

ეკონომიკური განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი სიახლეა ერთობლივი საწარმოების შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის განვითარების ტენდენციები ასეთია:

- ✓ ადგილობრივი ეკონომიკის ინტეგრირება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან;
- ✓ ვითარდება მეურნეობის ტრადიციული დარგები: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მრეწველობა, ვაჭრობა. საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით ეს საქმიანობა კერძო მეწარმეობის გზით ხორციელდება;
- ✓ ქართულ-უცხოური ერთობლივი საწარმოები შექმნა, ინვესტიციების, მათ შორის – უცხოურის მოზიდვა;
- ✓ ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ 2016-2020-იან წლებისთვის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული სოფლის

მეურნეობის, ადგილობრივი სამეწარმეო საქმიანობის განვითარების
ხელშეწყობის პროგრამები.

სასურველია: ადგილობრივი, ბუნებრივი რესურსების, პროდუქციის
გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;

ტურისტული პოტენციალის უფრო მეტად გამოყენება; ამისთვის საჭირო
ინფრასტრუქტურის შექმნა და ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა;

შინამრეწველობა-ხელოსნობის გაქრობის პირას მყოფი დარგების გადარჩენა და
ამ სფეროს ეკონომიკის სამსახურში გამოყენება. ეს ხელს შეუწყობს მუნიციპალური
ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

თავი IV. მატერიალური კულტურის და ბუნების ძეგლები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ა) მატერიალური კულტურის ძეგლების ზოგადი დახასიათება

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს სხვადასხვა სახის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. აქ არის როგორც საბჭოთა დრომდე აგებული უნიკალური მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაშთები, ასევე, საბჭოურ პერიოდში ნაგები ძეგლები, მონუმენტები და მემორიალები. პოსტსაბჭოთა პერიოდში განსაკუთრებულად დიდი ყურადღება მიექცა ეკლესია-მონასტრების აღდგენა-მშენებლობას და მათთვის ტრადიციული ფუნქციის დაბრუნებას. ამავე დროს, საკვლევ მუნიციპალიტეტს შეემატა ახალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაგებობები.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული მატერიალური, ბუნებრივი და ეთნოგრაფიული ძეგლები ამ თავში შეკრებილი და გაანალიზებულია ანთროპოლოგიური თვალთახედვით, თუმცა, ამ მასალის ეკონომიკური და კულტურული მიზნებისთვის გამოყენება სრულიად შესაძლებელია. აღნიშნული თავის ბოლოს მოცემული გვაქვს რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლებელია ინსპირაციის მოტივად იქცეს დაინტერესებული პირებისთვის.

პოსტსაბჭოთა პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე უძრავი ძეგლების შესახებ მასალა მოვიპოვეთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული და სოციალური დაცვის სამსახურმა მოგვაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების შესახებ, რომელთაგან ზოგიერთს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჯერ-ჯერობით არ აქვს მინიჭებული.

ექსპედიციის დროს მუნიციპალიტეტის სოფლებში დავათვალიერეთ სხვადასხვა სახის ძეგლი, საბჭოთა დროს დადგმული მემორიალები და ინტერვიუს გზით მოსახლეობისგან მივიღეთ მათთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეისათვის არსებული სხვადასხვა სახის ნაგებობები, ადგილები შეიძლება დავყოთ ბუნების, სასულიერო, საფორტიფიკაციო, მემორიალურ-მონუმენტურ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ძეგლებად.

საბჭოთა დრომდე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დანიშნულების ძეგლების, ეკლესიების რაოდენობა 30-მდე იყო. ეკლესიები აგებული იყო ქვის და ხის მასალისგან. საბჭოთა დრომდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იყო: წალენჯიხის მაცხოვრის, ეწერის მთავარანგელოზის და წმინდა გიორგის ეკლესიები, ეწერფერდის წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია, ეწერ-სააფაქიძეოს მაცხოვრის, ლეჟარდეს მაცხოვრის, ლეშამუგეს მაცხოვრის, ლიას ღვთისმშობლის, ქვედა ლიას წმინდა გიორგის, მაზანდარას წმინდა გიორგის, მუჟავას წმინდა გიორგის, ნაკიფუს მაცხოვრის, ნაგურუს წმინდა გიორგის, ობუჯის მთავარანგელოზის, ფახულანის მთავარანგელოზის, ფუქის (დღევანდელი მიქავა) მაცხოვრის, ზედა საჩინოს მთავარანგელოზის, ქვედა საჩინოს წმინდა გიორგის, ხუდონის მაცხოვრის, ჯალირას წმინდა გიორგის, ჯგალის წმინდა გიორგის და ჯვარზენის წმინდა გიორგის ეკლესიები (საქართველო-იმერეთის სინოდის...) მიწერილი და კარის ეკლესიები.

საბჭოთა დროს ზემოთაღნიშნული ეკლესიების უმეტესობა დაანგრიეს, ზოგიერთი კი საერთოდ აღარ არსებობს.

აკაკი ჭანტურამ შეადგინა დაბა ჯვარის არქეოლოგიური რუკა, სადაც მონიშნულია სასულიერო და საერო დანიშნულების ძეგლები. რუკაზე დატანილია შემდეგი ტერიტორიები: ლეშამუ, ლაყვამუ, ნაფარონა, ლაფარია, ლეფაფალე, ზინდი კარი, მოცინარე; ციხეები: შარდენიშ ჯიხა, ლაბარა, ყენრაშ ჯიხა, დათაში ქვოლა, მამუკიაშ ჯიხა, ნაჯიხა, კუხლაიაშ გა, გვაჭა, ლეშოროზე, ნაჯიხური სუკი (კალანდია 2006: 158).

საბჭოთა დროს სახელმწიფო დაცვაზე აყვანილი საქართველოს კულტურული ძეგლების რაოდენობა წალენჯიხის რაიონში 8 ერთეული იყო. აქედან წალენჯიხის მონასტრის კომპლექსში აღრიცხული იყო: 1. ეკლესია გუმბათიანი, 2. სამრეკლო, 3. სასახლე დადიანისა (ნანგრევები), 4. გალავანი, 5. სხვა ნაგებობანი. სასულიერო ძეგლებიდან აღრიცხული იყო: წალენჯიხის მონასტერი, ეკლესია სოფელ ჯგალის მიდამოებში, ეკლესია ჯვარის მიდამოებში. საერო ხასიათის ძეგლებიდან სახელმწიფო

დაცვაზე აყვანილი იყო: ციხე და კოშკი ჯვარის ტერიტორიაზე, ციხე სოფელ ჯგალის ტერიტორიაზე, წალენჯიხის მონასტერთან არსებული სასახლის ნანგრევები, ციხე სოფელ ობუჯის ტერიტორიაზე (ბარნაველი 1959: 126). ეს ჩამონათვალი მცირეა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული მემკვიდრეობის მეგლთა საერთო რაოდენობასთან შედარებით.

ბოლო პერიოდში, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის უძრავი ძეგლების/ობიექტების 2021 წლის საბაზისო მონაცემების მიხედვით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხული სასულიერო ძეგლების რაოდენობა არის ოცდარვა.

ბ) საბჭოთა დრომდე აშენებული სასულიერო ნაგებობები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში **მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი** უმთავრესი ისტორიული ძეგლია. ის ხუროთმოძღვრული კომპლექსია, რომელშიც შედის ტაძარი, სამრეკლო, გალავანი, სასახლის ნაშთები.

წალენჯიხის მონასტერს, შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლს, მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიას, მდინარე ჭანისწყლის მარცხენა მხარეს, „წალენჯიხის აღმოსავლეთით მდებარე მაღალი პლატო, ანუ გა (მეგრ. გა – პლატო) უჭირავს“ (სანიკიძე 2008: 21). ის დათარიღებულია მე-14 საუკუნით. კომუნისტური მმართველობის დროს ტაძარი დაკეტილი იყო. აქ ღვთისმსახურება აღდგა 1988 წელს (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 125). ამჟამად, წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარში აქტიურად მიმდინარეობს მართლმადიდებლური ღვთისმსახურება.

წალენჯიხის ფერისცვალების ტაძარს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისით. ტაძრის სიდიადე და უნიკალურობა მეტყველებს ქვეყანაში მაღალი კულტურისა და გემოვნების დონეზე, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძეგლის შესახებ ვრცელი მასალის აღნიშვნა.

ტაძრის აგების თარიღის შესახებ რამდენიმე აზრი არსებობს. პირველი, ვინც ტაძრის აშენების შესახებ თარიღს გვაწვდის, მარი ბროსეა. მკვლევარი მიიჩნევდა, რომ წალენჯიხის ტაძარი ვამეყ დადიანმა ააგო დაახლოებით, 1384-1396 წლებში. მკვლევარი ამ დასკვნამდე წარწერების წაკითხვის შედეგად მივიდა. ის წერს, რომ წარწერებიდან „არცერთი სიტყვა არ მიუთითებს რესტავრაციაზე“ (ბროსე 1851: 18).

ექვთიმე თაყაიშვილი მას არაუგვიანეს X-XI საუკუნეებით ათარიღებს (თაყაიშვილი 1913-1914: 210). ა. მიქავაც ძეგლს X-XI აუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიმუშად მიიჩნევს (მიქავა 1962: 5). ბოლო მონაცემებით, თ. სანიკიძის მოსაზრებით, „წალენჯიხის ტაძრის ხუროთმოძღვრული სტრუქტურის თავისებურებანი სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი XII ს. შუა ათეულ წლებშია აშენებული (სანიკიძე 2008: 23). ტაძრის „სამმხრივი გალერეა მოხატულობის დასრულების შემდეგაა ნაგებობას მიშენებული. გალერეაში გამართული სამარხი ეგვტერები კიდევ უფრო გვიანი და სხვადასხვა დროისაა“ (წალენჯიხა 2011: 6).

ე. თაყაიშვილის აზრით, XIV საუკუნიდან „წალენჯიხა ერთი უმთავრესი საცხოვრებელი ადგილი იყო დადიანებისა. აქ მათ ჰქონდათ სასახლე და საგანძური და ზოგიერთი მათგანნი აქ იმარხებოდნენ. წალენჯიხაში იჯდა ეფისკოპოზი“ (თაყაიშვილი 1913-1914: 14).

წალენჯიხაში იყო საეპისკოპოსო, რომელიც ოდიშის სხვა ეპარქიებთან შედარებით ყველაზე გვიან დაარსებულია. როგორც ჩანს, აქ საეპისკოპოსოს დაარსება ლევან II დადიანის სახელს უკავშირდება. ლევან II დადიანის გარდაცვალებიდან ძალიან მალე (1654 წლის ახლო პერიოდში), წალენჯიხის საეპისკოპოსო გაუქმდა და მან შესაბამისი პატივი და ღირსება დაკარგა“ (კალანდია 2008: 18).

XVII საუკუნის 40-იან წლების დასაწყისში, ლევან II დადიანის გადაწყვეტილებით წალენჯიხაში საეპისკოპოსო კათედრა დაფუძნდა. ეპისკოპოსი ჯერ მიტროპანე ალავერდელი მიტროპოლიტი, ხოლო შემდეგ მწყემსმთავარი ევდემონ ჯაიანი იყო. XVII საუკუნის 70-80-იან წლებში კი – ქრისტეფორე (გაბისონია 2008: 32). 1762 წელს კაცია II დადიანმა წალენჯიხის ტაძარი და „ყოველნივე სამსახურებელნი ეკლესიისანი“ ბიჭვინთის საკათალიკოსოს გადასცა (კაკაბაძე 1921: 26).

წალენჯიხის ტაძრის ფრესკული მოხატულობა შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. იგი შესრულებულია XIV საუკუნეში ერისთავთერისთავისა და მანდატურთუხუცესის ვამეყ დადიანის შეკვეთით (სანიკიძე 2008: 21). აღსანიშნავია, რომ ის ბიზანტიური მხატვრობის ნიმუშია.

წალენჯიხის მონასტერი ქართველი ერის უმვირფასესი საგანძურია. წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთით, დღევანდელი ჩქვალერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს „**ლემამგეს ეკლესია**“. ის დათარიღებულია შუა საუკუნეებით. ლემამგეს მაცხოვრის (ხალხურად „მანცხვარის“) 1845-1919 წლის მეტრიკული ჩანაწერები ფიქსირდება საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში. საბჭოთა დრომდე, ჯვარში (სოფელი ჩქვალერი ადმინისტრაციულად ჯვარის საზოგადოებას ეკუთვნოდა) „ლემამგეს ქირსე-მანცხვარი“ ძლიერ ხატად მიიჩნეოდა. აქ ამაღლების მეორე კვირას „ზვარაკუა“ (მსხვერპლშეწირვა) იცოდნენ. მეორე დიდი ხატობა გიორგობა იყო, რომელსაც 10 ნოემბერს აღნიშნავდნენ (მაკალათია 1941: 367). საბჭოთა პერიოდში აქ ღვთისმსახურება შეწყდა. XX ს. 80-იანი წლების დამლევს სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით ტაძარი აღადგინეს; პოსტსაბჭოთა პერიოდში, 1999 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ ლემამგეს ეკლესია მაცხოვრის შობის სახელზე აკურთხა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 158). აქ წირვა-ლოცვა აღდგა.

ჯვარზენის წმინდა გიორგის ეკლესია – საგეთიოს ჯვარზენის „ჯგეგე“ – წმინდა გიორგი – ძეგლთა დაცვის სააგენტოს სპეციალისტების მიერ დათარიღებულია XI საუკუნის დასაწყისით (საქართველოს კულტურული... 2022). ჯვარზენში, „სოფლის სასაფლაოსთან არის ტრიკონქის ტიპის ეკლესიის ნაშთები“ (ჭითანავა 2010: 369). საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მონაცემებით, 1914 წლის აღწერით, „ჯვარზენის წმინდა გიორგის ეკლესია ქვისა, მრევლმა 1871 წელს აიგო. აღნიშნული პერიოდისთვის აქ იყო ხის სამრევლო და მოქმედებდა ორკლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც სწავლობდა 115 ვაჟი და 10 ქალი (სეა. ცსა. ფონდი 489, ანაწერი 1). 1923 წელს ეკლესია დახურეს, ხოლო 1936 წელს დაანგრეს. დღეს აქ ტაძრის ნანგრევებია. „ჯგეგეს“ ნანგრევებს მოსახლეობა დიდი მოწიწებით ეთაყვანება. კვირაობით ტაძრის ნაშთებთან დადიან მორწმუნეები და სანთლებს ანთებენ.

მდინარე ენგურის მარცხენა და მდინარე მაგანას მარჯვენა ნაპირზე, წყალგამყოფთან, **გუბანში შემორჩენილია გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევები**. აქვე არის მომცრო ზომის სალოცავი.

გუბანის ეკლესიის ტერიტორია ი. ქარდავას ეზო-კარის შემადგენელი ნაწილი იყო, თუმცა ბოლო პერიოდში ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიამ შეისყიდა ეს ადგილი და აქ ამჟამად დედათა მონასტერია.

ნაეკლესიარია შემორჩენილი ენგურჰესის მიდამოებში, ხუდონის ნასოფლარზე. **ხუდონის მაცხოვრის** სახელობის ეკლესიის მეტრიკული წიგნების 1845-1915 წლების ჩანაწერები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (საქართველო-იმერეთის სინოდის...).

სოფელ ჭალეში, **ეწერფერდის წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია** დათარიღებულია მე-17 საუკუნით. 2000 წელს ტაძარი აღადგინეს. აქ ყოველწლიურად, სატაძრო დღესასწაულზე იკრიბება სოფლის მოსახლეობა და აღევლინება წირვა-ლოცვა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 165).

სოფელ მუჟავას სამონასტრო კომპლექსი, ეკლესია საფორტიფიკაციო-საკულტო ტიპის კომპლექსი მდებარეობს მდინარე ოლორის მარცხენა ნაპირზე, მაღალ კონცხზე (ჭითანავა 2010: 385). ძეგლი დათარიღებულია შუა საუკუნეებით (საქართველოს კულტურული... 2022). დღეისათვის შენობის ნანგრევებია შემორჩენილი.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ შედგენილ ძეგლთა ნუსხაში აღნიშნულია სოფელ მუჟავაში, მდინარე ოლორის მარცხენა ნაპირზე, მაღალ კონცხზე არსებული არქიტექტურული კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში **ეკლესიის ნაშთებიც** შედის (საქართველოს კულტურული... 2022). მკვლევარი პ. გაბისონია აღნიშნავს, რომ აქ, საანთიოს უბანში დარბაზული ეკლესიის ნანგრევები და კოშკის ნაშთია შემორჩენილი (გაბისონია 2009: 23).

მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ჭალეში **ეწერფერდის „ჩეოხვამე“** (თეთრი ეკლესია, სალოცავი) მდებარეობს. ის წმინდა კვირიკე და ივლიტას სახელობის ერთნავიანი დარბაზული ეკლესიაა რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სააგენტოს მონაცემებით დათარიღებულია გვიან შუა საუკუნეებით (საქართველოს კულტურული... 2022).

სოფელ ფახულანში შემორჩენილია არქიტექტურული კომპლექსი ეკლესიისა და კოშკების ნაშთით. მდინარე ოლორის მარცხენა და მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეს, შესართავთან მაღალ გორაკზე, მდებარეობს შემოზღუდული ციხის ნაშთები.

ნაციხარის აღმოსავლეთ ნაწილში არის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევებიც (ჭითანავა 2010: 389). საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ აღრიცხულ ძეგლთა სიაში შესულია სოფელში არსებული არქიტექტურული კომპლექსის ეკლესია. ფახულანში XIX ს. და XX საუკუნის I ოცწლეულში იყო მთავარანგელოზის ეკლესია.

სოფელ საჩინოში, მდინარე ინწირას მარჯვენა მხარეს, შემადლებულ ბორცვზე ძველ ნაეკლესიარზე აღდგენილი **წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა**. ამ ადგილს ადგილობრივები „გაშფერდს“ და „ცაცხვის ფერდს“ ეძახიან (ჭითანავა 2010: 364).

საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ნაგურუში მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის **ნაეკლესიარი** (საქართველო-იმერეთის სინოდის...). ერთნავიანი ნაგურუს ეკლესია მკვლევარ დ. ჭითანავას მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა („მიქამგარიოს“) სახელობის ეკლესიად აქვს მოხსენებული. მკვლევარის თქმით, ის ჩიქოვანების კარის ეკლესია იყო (ჭითანავა 2010: 366).

ზუგდიდი-ჯვარის ავტომაგისტრალის გასწვრივ სოფელ ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, პალურის უბანში მდებარეობს **შვერილაფსიდიანი ეკლესია**. ლიის სოფლის ცენტრშია **წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარიც**. 2007 წელს ნაეკლესიარზე საფუძველი ჩაეყარა წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობას, რომელიც 2013 წელს დამთავრდა, ნაგებობა 2016 წელს ეკურთხა და მას ეწოდა ერთსულოვნების ტაძარი (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 174).

სოფელ ეწერში, **ლეციმინტიეს უბანში** არის **წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარი – „ბუჭიეს საყდარი“**. ერთნავიანი, დარბაზული ეკლესიის ნანგრევები სასაფლაოს ტერიტორიაზეა (ჭითანავა 2010: 390). ის ბუჭიე (ბუჭუ) აფაქიძის იყო.

ობუჯის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სოფელ ობუჯის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით. შემორჩენილია სამრეკლო და მთავარანგელოზის ეკლესიის კედლის მცირე ნაშთები. სამრეკლოს წინ არის ნაგებობის საძირკვლის კვალი. „მიქელგარიო ქიაჩი“ თავისი სიძლიერით ცნობილი იყო სამეგრელოსა და აფხაზეთში. აქ ხატის დღეობა იმართებოდა 15 აგვისტოს და დიდძალი ხალხი მიდიოდა სალოცავად (მაკალათია 1941: 370).

სოფელ ობუჯში შემორჩენილია სამესხიოს **ნაეკლესიარი**. „სამესხიოს უბანში მდგარა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია“ (ჭითანავა 2010: 344). მოსახლეობა მას

ნოჯიხურსაც უწოდებს და მოიხსენიებს წმინდა ადგილად. სოფელში, მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მონასტრის ნაშთებიცაა შემორჩენილი (საქართველოს კულტურული... 2022).

ობუჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯაღირაში მდებარეობს ციხე-კომპლექსის ნაშთები. აქვეა ჯაღირას ციხის ჯვარცმის სახელობის ეკლესია. ჯაღირას მაცხოვრის ჯვარცმის სახელობის ეკლესიის 1845-1916 წლების მეტრიკული წიგნები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში (საქართველო-იმერეთის სინოდის...).

ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს სქურის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია, რომელიც დათარიღებულია შუა საუკუნეებით (საქართველოს კულტურული... 2022). ტაძარი 2014-2016 წლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სააგენტოს დაფინანსებით აღადგინეს. დღეს იქ მამათა მონასტერია.

სოფელ ჯგალში, მდინარე კიკონიას ხეობაში, მარჯვენა მხარეს დაცულია შუა საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიის ნანგრევები. ხეობაში არის ასევე, „მთავარანგელოზის“ ნაეკლესიარი (საქართველოს კულტურული... 2022); ხოლო, ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლეთკანთში, ჯ. კვარაცხელიას სახლის წინ შემორჩენილია ნაეკლესიარი.

სოფელ მიქავაში, ლეღვინჯილეს უბანში შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები რომელიც, მ. ლვინჯილიას კარმიდამოშია მოქცეული.

ამჟამად საბჭოთა დრომდე აშენებული სასულიერო ხასიათის ძეგლებიდან ზოგიერთი აღდგენილია. ისინი საქართველოს საპატრიარქოს ზუგდისა და ცაიშის ეპარქიის შემადგენლობაში შედის და აქ ყოველკვირეულად, ან განსაკუთრებულ საეკლესიო დღესასწაულებზე, მიმდინარეობს წირვა-ლოცვა. ზოგიერთი ეკლესიის მხლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, მაგრამ მოსახლეობა სალოცავად მაინც მიდის იქ, მაგალითად, ჯვარზენის წმინდა გიორგი, სოფელ ობუჯში, სამესხიოს უბანში მდებარე „ნოჯიხური“ და სხვა.

ზოგიერთ შემთხვევაში ნაეკლესიარებს ადგილობრივები ინტერესის დასაკმაყოფილებლად სტუმრობენ, სკოლის მოსწავლეები ექსკურსიით მიდიან და ნახულობენ ისტორიულ ძეგლებს.

გ) პოსტსაბჭოთა პერიოდში აგებული ტაძრები

მუნიციპალიტეტში არის პოსტსაბჭოთა პერიოდში აშენებული ტაძრები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს სიაში არ არის წარმოდგენილი. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონატრები ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის შემადგენლობაში შედის. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაზე 2023 წელს გამოცემული წიგნის მონაცემებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პოსტსაბჭოთა პერიოდში ახალაგებული 17 ტაძარია.

სოფელ მუჟავაში 2002 წელს ეკურთხა მუჟავას წმინდა გიორგის ტაძარი, რომელიც სოფლის მცხოვრებთა ინიციატივით ძველი ხის ეკლესიის ადგილზე აშენდა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 159).

2002 წელს სოფელ ობუჯში, მთავარანგელოზთა სახელობის ძველი ეკლესიის ადგილზე დაიწყო მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის მშენებლობა. 2018-2019 წლებში ტაძარში დაიგო იატაკი და შეილესა კედლები. ტაძარი მოქმედია და იქ მიმდინარეობს წირვა-ლოცვა. აქვე შენდება საკვირაო სკოლა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 171).

ქალაქ ჯვარის უბან ოჭანეში წმინდა ნინოს მონასტრის ტერიტორიაზე 2003 წელს დაიწყო წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძრის მშენებლობა. ტაძარი 2011 წელს ეკურთხა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023:).

სოფელ ჯგალში, ცენტრში მდგარა წმინდა გიორგის სალოცავი, რომელიც კვარაცხელიების „ჯინჯი ხატი“ (ფუძე სალოცავი) იყო. 2004 წელს დაიწყო ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა და 2007 წელს დასრულდა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 155).

2004 წელს წალენჯიხის უბან მაზანდარაში საფუძველი ჩაეყარა წმინდა ნინოს ჯვარგუმბათოვან ტაძარს; ნაგებობის მშენებლობა და კეთილმოწყობა 2013 წელს დასრულდა; ეკლესია 2016 წელს ეკურთხა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 168).

2005 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში, ჯვარზენის უბანში მცხოვრებლებმა, კერძო პირისგან შეიძინეს რვაწახნაგოვანი შენობა-ნაგებობა, კეთილმოაწყვეს და ტაძრად გადააკეთეს. ტაძარი ყოველთა წმინდანთა სახელობისაა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 153).

სოფელ ლიაში, ძველი ხის ეკლესიის ადგილზე, 2007 წელს დაიწყო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 2016 წელს ეკურთხა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 174).

2010 წელს ქალაქ ჯვარში ეკურთხა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „მსწრაფლშემსმენელის“ ტაძრის საძირკველი. ტაძრის კეთილმოწყობა დასრულდა 2021 წელს და ამავე წლის 27 თებერვალს ეკურთხა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 150).

2011 წელს სოფელ მიქავაში, ლეჯოლოხეს უბანში, ლაზარეს აღდგინების დღესასწაულზე საფუძველი ჩაეყარა წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარს. 2014 წელს ტაძარი ეკურთხა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 169).

2015 წელს სოფელ ლიაში, მახარიას უბანში არსებულ წმინდა თამარ მეფის სახელობის მონასტერში საფუძველი ჩაეყარა მენელსაცხებლე დედათა სახელობის ტაძრის მშენებლობას, რომელიც 2021 წელს დასრულდა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მშენებარე ტაძრებიც, რომლებშიც წირვა-ლოცვა არ ტარდება.

წალენჯიხის სოფელ ეწერის (სააფაქიოს) წმინდა ნინოს გუმბათოვანი ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1999 წელს (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 203).

2000 წელს დაიწყო ქალაქ წალენჯიხის მთავარანგელოზთა ტაძრის მშენებლობა. მშენებლობა დასრულებულია, მაგრამ ტაძარი მოქმედი არ არის (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 205).

2003 წელს ძველი ეკლესიის ადგილზე დაიწყო საჩინოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მშენებლობა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 197).

სოფელ საჩინოს ნაგურუს უბანში შენდება წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელსაც საფუძველი 2019 წელს ჩაეყარა.

2020 წელს დაიწყო ქალაქ წალენჯიხის უბან სასარიოს წმინდა ცოტნე აღმსარებლის ტაძრის მშენებლობა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 204).

სოფელ ლიის უბან მახარიაში მონაზონმა აკვესიმამ თავის ეზოში ააგო წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი, რომელიც ჯერ-ჯერობით დაუსრულებელია (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 211). სოფელ ფახულანის ცენტრში კი, შენდება წმინდა

მიქაელისა და წმინდა გაბრიელის სახელობის ტაძარი (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 198).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე მონასტერია. ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალ სოფელ სქურში არის მამათა მონასტერი. სქურში სამონასტრო ცხოვრება XVII საუკუნის ცნობებით ფიქსირდება, თუმცა XVIII საუკუნეში შეწყდა. მამათა მონასტერში 2006 წელს სამონასტრო ცხოვრება კვლავ აღდგა (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 181)

ქალაქ ჯვარის უბან ოჭანეში წმინდა ნინოს დედათა მონასტერი ეკურთხა 2011 წელს. მონასტრის ტერიტორიაზეა წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარი (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 187).

სოფელ ლიაში, მახარიის უბანში ფუნქციონირებს თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტერი. მონასტრის მშენებლობა დასრულდა 2014 წელს, ხოლო ეკურთხა 2015 წელს (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 189).

2022 წელს ჯვარში გუბანის დედათა მონასტერი გაიხსნა. მონასტრის ტერიტორიაზე „უძველესი ქართული მონასტრის ნაშთებია“ (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია 2023: 192).

აღნიშნული მონასტრების საცხოვრებელი სახლები XX საუკუნის 90-იანი და XXI საუკუნეს განეკუთვნება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების უმეტესობა ფუნქციონირებს. ისტორიულ ძეგლებთან ერთად, აქ ახალაშენებული სასულიერო დანიშნულების ნაგებობებიც არის. საბჭოთა დრომდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხის ეკლესიები იყო. მაგალითად, 1871 წლამდე ჯვარზენის წმინდა გიორგის ეკლესია ხის იყო; ხით იყო ნაგები ლექარდეს მაცხოვრის, ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესიები. პოსტსაბჭოთა პერიოდში რწმენის თავისუფლებას მოყვა ახალი სააღმშენებლო სამუშაოების დაწყება. თანამედროვე ტაძრების შენობები ახალი ტექნოლოგიების გამოყენებითაა ნაგები. პოსტსაბჭოთა პერიოდში აგებულ ტაძრებში, თითქმის ყველგან, რეგულარულად მიმდინარეობს წირვა-ლოცვა და მორწმუნე მრევლი ესწრება ღვთისმსახურებას.

დ) საფორტიფიკაციო ნაგებობები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის საფორტიფიკაციო ნაგებობები. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს 2022 წლის მონაცემებით შედგენილ სიაში შესულია 22 უძრავი ძეგლი. ჩვენს მიერ განხილული საერო დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ინფორმაცია მოვიძიეთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს მონაცემები შედარებულია 2022 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მოწოდებულ სიებთან და ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და ძეგლთა დაცვის საკითხებში უფროსი სპეციალისტის ზურაბ სამუშიას მიერ წალენჯიხის მერისადმი წარდგენილ ანგარიშის ტექსტთან.

ქალაქ წალენჯიხიდან ორი კილომეტრის დაშორებით შემორჩენილია „ნაჯიხური“. ძეგლთა დაცვის სააგენტოს აღრიცხული აქვს წალენჯიხის ტაძრის გალავანი და სასახლის ნაშთები (საქართველოს კულტურული... 2022).

წალენჯიხის უბან მაზანდარაში არის ციხის ნაშთები. ადგილს „ნაჯიხურეს“ უწოდებენ (საქართველოს კულტურული... 2022).

ლუღერას უბანში, ქალაქ წალენჯიხიდან დაახლოებით 2 კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს ნანგრევი „ნაჯიხური“ (საქართველოს კულტურული... 2022).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიაში, მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს „დიდა ქირსე“ – კომპლექსი, ციხე-სიმაგრის, ეკლესიის ნაშთები, კოშკები (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი 2022).

ჯვარში, ჩრდილოეთით, ომუნეს უბანში, გორაკზე მდებარეობს გვიან შუა საუკუნეებით დათარიღებული „ომუნეს კოშკი“/„ომუნეს ჯიხა“ (საქართველოს კულტურული... 2022).

ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლესალეს უბანში მდებარეობს ლესალეს ციხესიმაგრე. გერმანელი მეცნიერის, იენის უნივერსიტეტის პროფესორ, ანიგრეტ პლონტკესთან და მის ასისტენტებთან ერთად ქართველი არქეოლოგები აქტიურად მუშაობდნენ ლესალეს ციხის მიდამოებში. აქ 2018 წლიდან მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები. გერმანულ-ქართულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მნიშვნელოვან არტეფაქტებს მიაკვლია (სამუშაო 2020).

ჯგალში, სქურის მიდამოებში შემორჩენილია ციხე-სიმაგრის ნაშთი, კოშკის ნანგრევები. მდინარე კიკონიას ხეობაში არის ნაეკლესიარები (საქართველოს კულტურული... 2022). მკვლევარ პ. გაბისონიას ეს ძეგლი აღრიცხული აქვს და აღნიშნავს: „თარზენის ქედის ძირას აღმართული იყო თლილი ქვით ნაგები ორსართულიანი კოშკი, რომელსაც „გეთოლს“ უწოდებდნენ. „გეთოლი“ გასასვლელს ნიშნავს. 1943 წლისთვის „გეთოლის“ კოშკის ზედა სართული ყოფილა ჩამონგრეული, თუმცა გზის მშენებლობის დროს კოშკი მთლიანად აუღიათ“ (გაბისონია 2009: 13).

სოფელ **მედანში**, **ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე**, არის ციხე-სიმაგრის ნაშთი. აქ შემორჩენილია კოშკი I-ის და კოშკი II-ის ნანგრევები (საქართველოს კულტურული... 2022).

სოფელ მუჟავაში შემორჩენილია რამდენიმე თავდაცვითი ნაგებობა; ესენია: საგეთიოს ციხე-კოშკი (საქართველოს კულტურული... 2022), რომელიც მდებარეობს საგეთიოს უბნის ზემოთ, მაღალ თხემზე, მდინარე ოლორის მარცხენა მხარეს (ჭითანავა 2010: 384). ჩხაპელკის მთის თხემზე, მდინარე ოლორის მარჯვენა ნაპირზე შემორჩენილია ციხე-კოშკის ნაშთი (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი 2022). მდინარე ოლორის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილია თავდაცვითი ტიპის, კომპლექსის მრგვალი კოშკის ბუდე.

სოფელ საჩინოში, კუხემის უბანში, **„ენწერ ფერდად“** წოდებულ ადგილას მდებარეობს „მამუკიას ჯიხა“ (საქართველოს კულტურული... 2022). დ. ჭითანავა ამ ციხესთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ციხე მცირე ფართობზეა გაშლილი და რიყის ქვითაა ნაშენი“ (ჭითანავა 2010: 365). პ. გაბისონიას კვლევით, ციხე თავად აფაქიძეებს ეკუთვნოდათ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ციხის მიდამოებში თავადი ლევან აფაქიძე ცხოვრობდა, რომელიც მამუკიას შთამომავლად მიიჩნეოდა (გაბისონია 2009: 28). ო. სოსელიას აღნიშვნით, თავადი აფაქიძეები „ზემო სამეგრელოში ორ ციხესიმაგრეს ფლობდნენ: ერთს – საჩინო-ჯვარის საზღვარზე, მეორეს – კუხეში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მამუკიას“ ციხესიმაგრეს („მამუკიაში ჯიხა“, „მამუკიაში ჯიხურ“-ს) ეძახის“ (სოსელია 1990: 166).

სოფელ ფახულანში, მდინარეების, ოლორისა და ტებენეს შორის ტერიტორიაზე არის **ტებენეს ციხე-სიმაგრე** და ნაეკლესიარი. ამავე სოფელში, მდინარე ენგურის მარჯვენა და მდინარე ოლორის მარცხენა შესართავთან, გორაზე, დიდ ფართობზე

მდებარეობს ციხის ნაშთები (საქართველოს კულტურული... 2022). ფახულანში მკვლევარ პ. გაბისონიას აღნიშნული აქვს: ციხე-სიმაგრის ნაშთი სქვამაიას მთაზე; მის აღმოსავლეთ ნაწილში – ეკლესიის ნაშთი; ციხე-დარბაზის კომპლექსის ნაშთი მდ. ოლორის მარცხენა ნაპირზე, მთის პლატოზე; კოშკის ნანგრევები მდინარეების ოლორისა და ტებენას შუა; ციხე-კოშკის ნანგრევები წყოუშში, მდ. ბურდონდალის სათავესთან, ბორცვზე (გაბისონია 2009: 18-21).

სოფელ ობუჯში, ჯადირას უბანში, მდინარე ჭანისწყლის მარცხენა ნაპირზე, მაღალ ბორცვზე, დგას ჯადირას ციხე-სიმაგრე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და კულტუროლოგების მხრიდან საჭიროებენ შესწავლას, გამაგრებასა და მიხედვას.

ე) ეთნოგრაფიული ძეგლები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა გეოსაინფორმაციო სისტემის უძრავი ძეგლების/ობიექტების საბაზისო მონაცემების სიაში შეტანილია ეთნოგრაფიული ძეგლები: ოდა სახლი და წისქვილი სოფელ ობუჯში, ნიკოლოზ შენგელაიას სახლ-მუზეუმში; მარნის შენობა სოფელ ჭალეში, შ. აკობიას კარ-მიდამოში (ამჟამად კანკიები მოსახლეობენ); ოდა სახლი შ. აკობიას კარ-მიდამოში; კანთში, ძ. კვარაცხელიას კარ-მიდამოში მდგარი ოდა სახლი.

მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელიც ეთნოგრაფიულ ყოფას ასახავს, მკირფასი ძეგლია ანთროპოლოგებისთვის. აქ იკვეთება წარსულსა და თანამედროვეობას შორის არსებული კულტურული ურთიერთდამოკიდებულება. წარსულში არსებულ დასახლების ფორმას, ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს და ადამიანების გემოვნებას ნათლად წარმოაჩენს ძველი სახლი, ტრადიციული სამეურნეო ნაგებობები, რომლებიც მეურნეობის სახეების, ძირითადი სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად შენდებოდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამეურნეო ძეგლებიდან აღსანიშნავია: სოფელ ობუჯში დანიელ ფიფიას კარმიდამოში არსებული მარანი ორნამენტებით (ჯვრებით გაფორმებული); სოფელ ლესალეში გოგი კვარაცხელიას

ბეღელი; წალენჯიხის სოფლებში შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის ოდა სახლები ორნამენტებით, რომლებიც მეცნიერულად შესასწავლი და აღსარიცხია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო უნდა დაინტერესდეს აქ არსებული ეთნოგრაფიული ძეგლებით (საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები), რომელთა უმეტესობა ხისაა. მათზე შეიმჩნევა ტრადიციული არქიტექტურული ორნამენტების განვითარების მაღალი დონე. ფასადები ძირითადად ჯვრის, ბორჯღალის და ფრინველის ფორმის ორნამენტებით არის გაფორმებული. წარსულში „ქრისტიანობის ძირითადი იდეის ხორცშესხმისათვის განსაკუთრებული მხატვრული მეტყველება იყო საჭირო. ორნამენტი, ფიგურულ გამოსახულებასთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული ქრისტიანული ხელოვნების განვითარებაში, რომლის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ქვეყნის საერთო კულტურული აღმავლობის ფონზე (მაჩაბელი 2021: 281). კვლევისას გასათვალისწინებელია სამშენებლო ხელოვნების საკითხები; სახლებს აქაურ ოსტატებთან ერთად, ძირითადად აშენებდნენ ლაზები, ორსართულიან ხის სახლებს კი – რაჭველები. სოფელ ობუჯში მესხიების ოდა სახლი ლაზი ხელოსნების აშენებულია. სახლი დამშვენებულია სხვადასხვა სახის ორნამენტით.

მუნიციპალიტეტში მუზეუმები წარმოდგენილია ხის ოდა სახლებით: **ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმი** წალენჯიხაში, **ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი** სოფელ ობუჯში, **ტარასი კვარაცხელიას სახლ-მუზეუმი** სოფელ ნაკიფში (მუზეუმს აქვს ტრადიციული მეგრული ხის ჭიშკარი), **ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმი** სოფელ ჩქვალერში, **კალისტრატე სალიას სახლ-მუზეუმი** სოფელ მედანში, **ბიძინა ხუბუტიას სახლ-მუზეუმი** ქალაქ ჯვარში, **დანიელ ფიფიას საცხოვრებელი ოდა სახლი**, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ აქვს მუზეუმის სტატუსი, მაგრამ იქ არსებული პირადი ნივთებისა და ინტერიერის გათვალისწინებით, იმსახურებს შესაბამისი სტატუსის მინიჭებას.

ვ) სხვა მატერიალური და ბუნების ძეგლები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მატერიალური კულტურული ძეგლების გარდა, მდიდარია ბუნების ძეგლებით, რასაც მუნიციპალიტეტისთვის უდიდესი კულტურული და მატერიალური ღირებულება აქვს. აღნიშნული ობიექტები გავლენას ახდენს ეთნოგრაფიულ ყოფაზე, სოციალური ღირებულებების ცვლილებებზე და თანამედროვე ყოფის შესწავლისთვის მათ უდიდესი მნიშვნელობა

აქვს. მაგალითად, ენგურჰესის თაღოვანმა კაშხალმა შეცვალა აქ მცხოვრები ადამიანების პროფესიული და კულტურული ფონი დროთა განმავლობაში, შეიცვალა დასახლების ფორმა, საცხოვრებელი ნაგებობები. სხვა სოფლებთან შედარებით, კაშხლის მშენებლობამ და აქ სხვა ეროვნების ადამიანების დასახლებამ განაპირობა ტრადიციების ცვლილებები.

ქალაქ ჯვარში არსებულ ენგურჰესის თაღოვან კაშხალს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი 2015 წელს მიენიჭა. ენგურჰესის უდიდეს ტურისტულ პოტენციალს მუნიციპალიტეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქალაქ ჯვარში, მდინარე მაგანაზე მაგანას ვანტური ხიდია აგებული, რომელიც გამოირჩევა უნიკალურობით (სამუშია 2020). ჯვარის ხიდი საბჭოთა პერიოდში, 1929-1932 წლებში შენდებოდა (მანია 1965: 2).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 1963 წელს ენგურჰესის მშენებლობისას გამოყოფილმა ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მდინარე ერისწყლისა, მდინარე ენგურის და მათ შენაკადთა ხეობებში გამოავლინა კარსტული წარმოშობის გამოქვაბულები, ქვის ხანის ადამიანის საცხოვრებლები, ჯვარში, ლიაში, ეწერფერდში, ფახულანში, ჭალეში, მუჟავაში, ჯვარზენში, ეწერში, ჩქვალერში აღმოჩნდა ქვედა პალეოლითის ძეგლები (გრიგოლია 1979: 57). არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაგრძელებელია.

სოფელ ჩქვალერში არსებულ ინწირას კანიონს, წინა პერიოდთან შედარებით, უამრავი ტურისტი სტუმრობს. ასევე, სქურში არსებული ლანდშაფტი და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი აპირობებს აქ ფესტივალების გამართვის შესაძლებლობას, რასაც მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლების სასაფლაოებზე ყველგანაა საფლავის ქვები. საფლავის ქვები მემორიალური კულტურის ნაწილია. როგორც ე. ნადირაძე აღნიშნავს, იგი „წარმოადგენს ზოგადქართული კულტურულ-ისტორიული კვლევის ნაწილს. ესაა დაკრძალვის წესების დინამიკა, საფლავის ინვენტარი, ქრონოლოგია, კლასიფიკაცია და მასზე ასახული სიმბოლო-ნიშნები“ (ნადირაძე 2013: 3). სოფლებში, ბოლო პერიოდში, საფლავებზე დგამენ გარდაცვლილთა ფერადი სურათებით გაფორმებულ მემორიალურ ქვებს. საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა

პერიოდშიც გავრცელებული იყო შავ-თეთრი ფოტოები. საბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარდაცვლილთა სახელის უკვდავსაყოფად ჭირისუფალი საფლავზე ქანდაკებას დგამდა. აქ არსებულ ყველა სასაფლაოზე საფლავის ძეგლები დღესაცაა. საბჭოთა პერიოდში პოპულარული იყო საფლავის ქვებზე ლექსების მიწერა. გარდაცვლილი ადამიანების საფლავებზე ზოგჯერ დღესაც არის პოეტური მინაწერები.

საბჭოთა დროს მასიურად იგებოდა შენობის ტიპის ძეგლები. ასეთი მემორიალური ძეგლები დღესაც იდგმევა, მაგრამ იშვიათად. ყველა სასაფლაოზე შესამჩნევია ეკლესიის, სახლის, აკლდამის ფორმის შენობები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბჭოთა დრომდე არსებული საფლავები ცოტაა შემორჩენილი. საფლავის ძეგლებად გამოყენებულია ქვაჯვრები. ე. ნადირაძე აღნიშნავს, ქვაჯვრები *„ერთობ დამახასიათებელია ქრისტიანული ქვეყნებისთვის და ეს წესი უშუალოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და მისი კულტურის გამოვლინებად წარმოგვიდგება. ქვაჯვართა გამოყენება საფლავის ძეგლებად ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის ფართო ფენისთვის.“* (ნადირაძე 2001: 130-133).

სასაფლაოებზე არის მომცრო ზომის რკინის ჯვრებიც. გვხვდება ლოდები. საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, კუხეშის უბნის სასაფლაოზე არსებული „კუბოქვა“ აფხაზეთიდან, ოჩამჩირის რაიონიდან ჩამოუტანიათ ურმით. ქვაზე მინაწერია – „1895 წელი“. ლოდზე გამოსახულია ვერძი, ჯვარი და ადამიანი გრძელი ჩოხით. სასაფლაოებზე შემორჩენილია „მატურის“ ფორმის ძეგლები – ფეხზე მდგომი, ვერტიკალური ფორმის საფლავის ქვები. სოფელ ჩქვალერში, ლეშამგეს ეკლესიის ეზოში არის XX საუკუნის 30-იანი წლების საფლავი, რომელიც ფეხზე მდგომი ქვის მატურის ფორმის ძეგლია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბევრია გადახურული საფლავები. საფლავის გადახურვა სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაცაა დამახასიათებელი. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ქონდეს: მაღალი ტენიანობა, ხშირი წვიმები და ნესტი, რომლისგანაც ჭირისუფალი იცავს საფლავს, ასევე, ჭირისუფლის ხშირი სიარული საფლავზე და ის დიდხანს დაყოვნება, განსაკუთრებით ახალგაზრდა მიცვალებულის საფლავზე დიდხანს ჩერდებიან მგლოვიარე მშობლები

და ნათესავები, ამიტომ მათი მხრიდან პრაქტიკული საჭიროებაც მოითხოვდა საფლავის გადახურვას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მემორიალურ-მონუმენტური ძეგლები. მათი ძირითადი ნაწილი საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, ნაწილი კი – პოსტსაბჭოთა პერიოდშიც აიგო. ამჟამად საბჭოთა ეპოქის ძეგლებისადმი დამოკიდებულება სოციალური მხრიდან იცვლება და მათი თავდაპირველი ფუნქცია იკარგება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეორე მსოფლიო ომიდან შინმოუსვლელთა მემორიალები დგას ქალაქ წალენჯიხაში, ქალაქ ჯვარში, სოფლებში: ობუჯი, ნაკიფუ, მიქავა, ჯგალი, მედანი, საჩინო, ჩქვალერი, მუჟავა, ქალე, ფახულანი, ლია, ეწერი, ხუდონის თემის სოფელ ხოკოში. ისინი საბჭოთა პერიოდშია აგებული. შინმოუსვლელთა ხეივნებია ჯვარში, ობუჯში და ეწერში. საბჭოთა დროს შინმოუსვლელთა ძეგლებთან და ობელისკებთან ყოველი წლის 9 მაისს ტარდებოდა „ტრადიციული დღესასწაული“ სახელწოდებით „არვინ არაფერი არ არის დავიწყებული“ (სეა. სრა. ფ. 69, ა. 1, ს. 157). დღეს მსგავსი სახის შეკრებები აღარ იმართება. შინმოუსვლელთა მემორიალები თითქმის უფუნქციოდაა.

საბჭოთა დროს აგებული მემორიალურ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველი წლის 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ღონისძიებები ტარდებოდა. ქალაქ ჯვარში, ყოველი წლის 9 მაისს საზოგადოება იკრიბებოდა შინმოუსვლელთა მემორიალთან. იგონებდა ომში დაღუპულ წინაპრებს. მათთვის პატივის მიგების მიზნით იმართებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიება, რომელსაც მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. ასეთი შეკრებები ძალიან იშვიათია. პოსტსაბჭოთა პერიოდში, შინმოუსვლელთა მემორიალთან შეკრებამ დაკარგა აქტუალობა. ბოლო პერიოდში, ზოგიერთ მემორიალთან 9 მაისს მღვდელი მიდის და იხდის პარაკლისს.

საბჭოთა ეპოქაში, ჯვარის თემის „გამქრალ“ ხუდონის სოფელ ხოკოში დაიდგა მეორე მსოფლიო ომიდან შინმოუსვლელთა მემორიალი. აქ საბჭოთა პერიოდში და შემდეგაც, ყოველი წლის 9 მაისს ომში დაღუპული ხუდონელი მეზრძოლის ხსოვნის პატივსაცემად იკრიბებოდნენ. ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა ხუდონის მკვიდრი ისააკ ქარდავა. მისი გარდაცვალების შემდეგ შეკრების მასშტაბურობამ იკლო. ამჟამად ხოკოში ცალკეული ადამიანები თავიანთი წინაპრების ხსოვნისადმი პატივის

მისაგებად მიდიან. ამ ძეგლებმა დღესდღეობით ფუნქცია დაკარგა. როგორც ქ. ხუციშვილი აღნიშნავს: „საბჭოთა პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემების მსხვერევამ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში და მათ შორის საქართველოშიც, საზოგადოების სოციალური და კულტურული სტრუქტურის ყველა ელემენტის ცვლილება გამოიწვია. ძველი ღირებულებების ცვლილებამ, მათი სიმბოლოების ცვლილების აუცილებლობა გააჩინა“ (ხუციშვილი 2021: 198). დღესდღეობით, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვება მხოლოდ მელიტონ ქანთარიას ბიუსტთან აღინიშნება 9 მაისს და სავარაუდოდ, ისიც მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ მელიტონ ქანთარია წარმოშობით წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან იყო და ამასთან, სკოლის ეზოშია დასაფლავებული.

2001 წელს ქალაქ ჯვარში, ჯვარზენის უბანში დაიდგა საბჭოთა კავშირის გმირის **მელიტონ ქანთარიას ბიუსტი** და მოეწყო სკვერი. ფაშიზმზე გამარჯვების დღე მუნიციპალიტეტში მელიტონ ქანთარიას საფლავთან აღინიშნება. მერიის და საკრებულოს თანამშრომლები ყვავილებით ამკობენ საფლავს და ბიუსტს. ღონისძიებაში მონაწილეობენ წალენჯიხის სამუსიკო ანსამბლი „ბედინერა“ და მოსწავლეები. ღონისძიებებს ორგანიზატორობას ჯვარის კულტურის სახლი უწევს.

საბჭოთა დროს არის აგებული სამეგრელოში 1856-1857 წლების გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელის **უტუ მიქავას ძეგლი**, რომელიც წალენჯიხის ცენტრში დგას; **შინმოუსვლელი ჯარისკაცის ძეგლი** ქალაქ ჯვარში; **ლეო ქიაჩელის ბიუსტი** სოფელ ობუჯში; აკადემიკოს **ეგნატე ფიფიას ბიუსტი** სოფელ ჩქვალერში; პოეტ **ვლადიმერ უბილაფას ბიუსტი** სოფელ ჭალეში. ქალაქ ჯვარში, მეორე სკოლის ეზოში დგას მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქალის, პარტიზანი **ზოია რუხაძის ძეგლი**.

1990 წელს ქალაქ წალენჯიხაში და სოფელ ობუჯში **მოეწყო 9 აპრილის სკვერები**.

2009 წელს ქალაქ წალენჯიხაში დაიდგა **ტერენტი გრანელის ბიუსტი**. აქვე არის მისი მუზეუმი.

2013 წელს აღმართეს წალენჯიხის მონასტერში დაკრძალული სამეგრელოს მთავარ **ლევან II დადიანის ბიუსტი**.

2015 წელს გერმანიის სახელმწიფოს ხელშეწყობით ჩამოიტანეს **ბერლინის კედლის ფრაგმენტი**, რომელიც განთავსებულია ქალაქ ჯვარის ცენტრში.

2019 წელს წალენჯიხაში გაიხსნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას ბიუსტი და ხეივანი**.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მოზაიკური ძეგლები. ქალაქ ჯვარის მეორე საბავშვო ბაღის კედელი დამშვენებულია მოზაიკური ფილებით. ჯვარზენის უბანში, კულტურის სახლის წინ არსებული შადრევანი მორთულია მოზაიკური ფილებით. შადრევანს რესტავრაცია გაუკეთდა და საზეიმოდ გაიხსნა 2022 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე და დაიწყო ფუნქციონირება. კულტურის სახლის წინ, შადრევანთან გაიხსნა ვიოლონჩელოს მონუმენტი.

წალენჯიხაში, ტერენტი გრანელის პარკის შესასვლელში დგას ტერენტი გრანელის ნახატების რეპროდუქცია მეტალში, პოეტისავე სახელწოდებით: „თბილისი“ და „სამსონ კვირკველია“. მესამე მონუმენტს წალენჯიხელებმა შეარქვეს „მერანი“.

მუნიციპალიტეტში ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ბუნებრივი ძეგლები და ადგილებია:

- ტობავარჩხილი და ეგრისის ქედის ხედები;
- მდინარე ინწირას ჩანჩქერები, კანიონი და ვოკლუზი;
- ყვირას მასივი – „ცოტნე დადიანის მღვიმე“, „ქუაქანცალი“, „დემიშ ფოქვა“;
- სქურის მინერალური წყალი და მისი მიმდებარე ტყის მასივი;
- მდინარე წისქვილარას ხეობა;
- მდინარე მაგანას ხეობა და ჩანჩქერები შენაკადებზე;
- სოფელ მუჟავაში მდინარე ოლორის სათავე და მუჟავას ჩანჩქერი;
- ტებენეს კასკადები სოფელ მუჟავას უბან ნაშამგუში;
- სოფელ ფახულანში, მდინარე ოლორის შენაკადზე არსებული ადგილი – „ოგურგინჯე“ და ჩანჩქერები;
- მდინარე ჭანისწყლის ხეობა;
- ენგურის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიები;
- ოხაჩქუეს და თეკენაშის მთებში სააგარაკე ადგილები.

ამ ადგილების გამოყენება შეიძლება რეკრეაციულ ზონად და საფეხმავლო ტურიზმის განვითარების საშუალებად. ჩვინარეს ტყეში შეიძლება მომზადდეს ტურისტული ბანაკები, ბავშვთა გასართობი-შემეცნებითი სივრცე. ამის საშუალებას

იმღევა მდებარეობა და ბუნებრივი ლანდშაფტი. ქალაქ ჯვართან, ადგილ „ოქაქალაის“ ტურისტული დანიშნულებით გამოყენებას საშუალებას მისცემს ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს ნახონ და შეიგრძნონ სამეგრელოს მთის სოფლების სილამაზე და ბუნების მიმზიდველობა.

საფეხმავლო ტურიზმს სამეგრელოს მთებში და დასახლებულ ადგილებში დიდი პოტენციალი აქვს. ტობავარჩხილი, ინწირას ჩანჩქერი, ქუაქანცალია, სოფლების: ჩქვალერის, მუჟავას, მედანის ტერიტორიები აქ მცხოვრებ მოსახლეობას საშუალებას მისცემს ტურისტებს გააცნონ ადგილობრივი ტრადიციები, მიაღებინონ მონაწილეობა კულინარულ პროცესში, უნიკალური მეგრული ტრადიციული საკვების მომზადებასა და დაგემოვნებაში.

ტურიზმის განვითარებისთვის კარგი იქნება, თუკი ნავით სეირნობის შესაძლებლობა იქნება მდინარე ინწირაზე, ჭანისწყალზე. მდინარეები უსაფრთხოა და შესაბამისი აღჭურვილობითა და გიდის დახმარებით ნავით სეირნობის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ დაინახონ ამ მდინარეების ხეობათა სილამაზე და ისიამოვნონ.

ადგილობრივმა მთავრობამ სოფელ ჩქვალერში მცხოვრებთ, შინამრეწველობის ტრადიციის მქონე ოჯახებს ხელი უნდა შეუწყოს, რომ არ დაივიწყონ ქუდების, ნაბდების ქსოვა, უნიკალური საკრავი ინსტრუმენტის – ლარჭემის დამზადება და მასზე დაკვრა. კარგი იქნება, ამ სოფლებში მოეწყოს საკვირაო სკოლა, ან არსებულ საჯარო სკოლებთან ტრადიციული შინამრეწველობის შემსწავლელი ცენტრები.

ყურადღება უნდა მიექცეს კურორტ სქურის განვითარებას, უნიკალური სასარგებლო თვისებების მქონე წყლის ათვისებას და გამოყენებას. შეიძლება დასასვენებელი კურორტების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა და გამოყენება.

ყოველივე ამის პოპულარიზაციისთვის კარგი იქნება ინფორმაციული ბუკლეტების დამზადება, სადაც რუკაზე დატანილი იქნება ძეგლები, მათი მოკლე აღწერა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უამრავი კულტურული დანიშნულების ძეგლია. ეკონომიკური თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტში არსებულ ბუნებრივ თუ ადამიანის ხელით შექმნილ მატერიალური კულტურის ძეგლებს, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგი იქნება, თუკი ქალაქებში: ჯვარში და წალენჯიხაში ტურისტულ სააგენტოებს ეყოლებათ ღია

ავტობუსები ტურისტებისთვის, რომელთა მარშრუტიც სხვადასხვა მატერიალურ ძეგლს მოიცავს და აჩვენებს ადამიანებს მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და შეუქმნის კომფორტს.

ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლები აღსარიცხია და შესასწავლია, რაც შესაძლებელს გახდის მათ გამოყენებას მოსახლეობის სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესების დასაკმაყოფილებლად და განსავითარებლად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალრიცხოვანი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ბუნების ძეგლების მხარის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისთვის გამოსაყენებლად მნიშვნელოვანია ტურიზმისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის, მომსახურების ადგილების შექმნა და ამის რეკლამირება.

თავი V. საქორწინო ტრადიციები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ა) ქორწინება - ზოგადი ანთროპოლოგიური მიმოხილვა

ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომლის შედეგადაც იქმნება ოჯახი. ქორწინება განმარტებულია, როგორც „ქალ-ვაჟის შეუღლება კანონიერი გაფორმებით“ (ქეგლ 1986: 457). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია კი ქორწინებას განმარტავს, როგორც „საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კანონით ან ჩვეულებით ნებადართულ კავშირს ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (ქსე 1986, 551). საქართველოს კონსტიტუციით, „ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30). ქორწინების ინსტიტუტი ასევე წესრიგდება სამოქალაქო კოდექსითა (მუხლი 1106) და საქართველოს კანონით სამოქალაქო აქტების შესახებ (მუხლი 48). საქართველოში დღეისათვის ქორწინება ფორმდება სამოქალაქო წესით და ჯვრისწერის რიტუალით. საბჭოთა პერიოდში ჯვრისწერა აკრძალული იყო და მას იშვიათად ფარულად ასრულებდნენ. პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც რელიგია კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანების ცხოვრებაში, საქორწინო ციკლის აუცილებელი ნაწილი გახდა ჯვრისწერის საიდუმლოს შესრულება.

მექორწინე წყვილს სამოქალაქო ვალდებულების გარდა, ჯვრისწერიდან და შემდგომ, ნათლობიდან გამომდინარე რელიგიური ვალდებულებებიც აკავშირებდათ, რომელიც თანდათან სოციალურ ვალდებულებად, ტრადიციად იქცა და გახალხურებული სახით დამკვიდრდა ყოფაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გავეცანით ამჟამინდელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების ეკლესიების XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის მეტრიკულ წიგნებს. მათი დამუშავების შედეგად შემდეგი სურათი იკვეთება: მღვდელი მედავითნესთან ერთად აღასრულებდა ჯვრისწერის

საიდუმლოს. მექორწინე წყვილს ჰყავდათ ქორწინების თავმდებნი და მოწმეები. მედავითნეები საეკლესიო ქორწინებას არეგისტრირებდნენ საეკლესიო მეტრიკულ წიგნებში¹⁴. ამის შემდეგ ქორწინება ითვლებოდა კანონიერად. წყვილს მღვდელი ჯვარს სწერდა ძირითადად სიძის სოფელში ან საცხოვრებელ უბანში არსებულ ეკლესიაში. მაგალითად, ლეშამგეს მაცხოვრის ეკლესიაში 1883 წლის 18 იანვარს დაქორწინდნენ „აზნაური ათანასე იესეს ძე ჭანტურია, 36 წლის და ოჩამჩირის მაზრის რეჩხის წმინდა ნიკოლოზის სამრევლოსა შინა მცხოვრები გლეხის ძურგუ ციკოლიას ასული კესარიონ, 21 წლის“ (სეა. ცსა. ფ. 489, ა. 6, ს. 126). 1886 წლის 26 იანვარს ლეშამგეს მაცხოვრის ეკლესიაში დაქორწინდნენ „აზნაური ივანე ძორგოს ძე შამუგია, 42 წლის და კირცხის მცხოვრები აზნაურის ქუითარი ხვიტიას ასული ნინო, 20 წლის“ (სეა. ცსა. ფ. 489, ა. 6, ს. 129). იშვიათად ჯვრისწერა ხდებოდა პატარძლის სოფელშიც ან საგვარეულო-საუბნო სალოცავში. მაგალითაც, 1900 წლის 13 ივლისს ლეშამგეს მაცხოვრის ეკლესიაში დაქორწინდნენ „ზუგდიდის უეზდის ხორშის საგვასალიოს წმინდა გიორგის ეკლესიის სამრევლოს შინა მცხოვრები სტუდენტი ტიფლისის სასულიერო სემინარიისა მიხაილ სტეფანეს ძე გვასალია, 23 წლის და ლეშამუგეს სოფლის მაცხოვრის ეკლესიის სამრევლოს შინა მცხოვრები, მღვდლის ავქსენტი იოსავას ასული ანტისა, 15 წლის“ (სეა. ცსა. ფ. 489, ა. 6, ს. 143). ჯვრისწერის შემდეგ მღვდელი ან მედავითნე მეტრიკულ წიგნში ჩაწერდა შეუღლებულ წყვილს, ქორწინების თავმდებთ (მეჯვარეები) და მოწმეებს. მაგალითად, სოფელ ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ 1861 წლის 8 მაისს დაქორწინდნენ „აზნაური როსტომი კვიკვინას ძე გურიელი, 24 წლის და პუპუნა უჩანას ასული. თავმდებნი სასიძოს მხრიდან: ყამურზა გიორგის ძე ჩიქოვანი და ივანე ფიფია. სასძლოს მხრიდან: ეგნატე თოდუა და პავლე გელენგია“ (სეა. ცსა. ფ. 489, ა. 6, ს. 1492). ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესიაში 1854 წლის 7 მაისს დაქორწინდნენ „გლეხი ლექსია ჭატურია, 39 წლის და დოდო საბაიას ასული, 36 წლის. თავსდებნი სასიძოს მხრიდან იესე კვარაცხელია და ჯოტო ტურავა, სასძლოს მხრიდან: ბეჩუ ქარაია და ვატატი კვარაცხელია“ (სეა. ცსა. ფ. 489, ა. 6, ს. 1057). წალენჯიხის

¹⁴ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის საეკლესიო მეტრიკულ წიგნებში ჩანს ეს ფაქტი. ლეშამუგეს მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკული წიგნები 1871-1915 წწ. ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე: 114-158. ჯვარზენის წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერები 1882-1887 წწ. ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 825-830. 1889-1902 წწ. ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 870-883.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების მეტრიკული წიგნებიდან ირკვევა, რომ მეჯვარეებიც და მოწმეებიც მეტწილად, მამაკაცები იყვნენ. მეტრიკულ წიგნებს ეკლესიებს აძლევდა საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველი სინოდის კანტორა¹⁵.

ჯვრისწერის რიტუალისა და ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, წყვილი ერთმანეთის მიმართ იძენდა სხვადასხვა სახის უფლება-მოვალეობას. ტრადიციადქცეული, საუკუნეების განმავლობაში სოციუმში დამკვიდრებული წესები მექორწინე წყვილის მხრიდან მთელ რიგ ვალდებულებებს და მათ დაცვას მოითხოვდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში, ასეულობით ეკლესია-მონასტერი დაიხურა. აიკრძალა მღვდელმსახურება. საეკლესიო ქორწინება შეიცვალა „საბჭოურით“. ქორწინება რეგისტრირდებოდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის (მმაჩი) ბიუროებში. ჯვრისწერა მხოლოდ ფარულად, იშვიათად თუ მოხდებოდა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან ჯვრისწერის რიტუალის ჩასატარებლად მიდიოდნენ აფხაზეთის ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში სამოქალაქო ქორწინება 1995 წლის კონსტიტუციით განისაზღვრა. ამავე დროს, კონსტიტუციით აღიარებულ იქნა ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყანაში. ამჟამად მართლმადიდებელი წყვილი სამოქალაქო ქორწინების პარალელურად, საეკლესიო წესის დაცვით ჯვარს იწერს ეკლესიაში. თანამედროვე ეპოქაში, წყვილი ჯვრისწერის ადგილს სურვილისამებრ არჩევს. ტრადიციების გარკვეულმა ნაწილმა, რომლებსაც სოციუმში დიდი ადგილი ეკავა საბჭოთა პერიოდამდე მექორწინე წყვილის უფლება-მოვალეობებისა და ვალდებულებების განსაზღვრაში, პოსტსაბჭოთა პერიოდშიც მოაღწია. მათი გათვალისწინებაც ხდება სამოქალაქო და საეკლესიო კანონების პარალელურად.

¹⁵ მაგალითისთვის ჩვენ შეგვიძლია მოვიტანოთ ერთ-ერთი მეტრიკული წიგნიდან აღნიშვნა: „ზუგდიდის მაზრა, „მეტრიჩესკის“ წიგნი მიცემული საქართველოს იმერეთის უწმინდესის მმართველი სინოდის კანტორითგან, ჯვარის სოფლის წმიდის გიორგის ეკლესიისა შინა ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღლებულთა და გარდაცვალებულთასა 1848 სა წლისათვის“ სეა. ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 726.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, ჩვენ ქორწინებასთან დაკავშირებულ წესებს და ტრადიციებს განვიხილავთ რეტროსპექტულად, ვინაიდან, ეს ინსტიტუტი, ცნობილია, რომ მუდმივად იცვლება. როგორც მკვლევარი ნანა აბულაძე აღნიშნავს, „ქორწინება, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის საზოგადოებრივი ყოფიერებით ისტორიულად შეპირობებულ ურთიერთობას წარმოადგენდა, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა და ვითარდებოდა“ (აბულაძე 2017, 15). წყვილთა შეუღლებას ქორწილამდე და ქორწილის შემდეგაც ყოველთვის თან ახლდა სხვადასხვა რიტუალი. ამას აღნიშნავს მკვლევარი გ. გოცირიძე: „ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებები ისე, როგორც საოჯახო ურთიერთობების ფორმები, შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. წყვილთა შეუღლება არა მხოლოდ ბიოლოგიური აქტია, არამედ საზოგადოების ცხოვრებაში მას გარკვეული სოციალური ფუნქცია აკისრია, ოჯახის შექმნისა და ფორმირებისთვის აუცილებელი“ (გოცირიძე 2010, 296).

ქორწინების რიტუალის ელემენტები დროს უძლებს და სახეცვლილად, მაგრამ, როგორც წესი, ის მაინც რჩება სოციუმში. დღეს ქორწინებასთან დაკავშირებულმა ტრადიციებმა, როგორც საბჭოთა პერიოდამდელმა, ისე, საბჭოთა დროს არსებულმა, მნიშვნელოვნად შეიცვალა სახე.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, ქორწინების დროს უცვლელი რჩება ამ პროცესთან დაკავშირებული აკრძალვები. აკრძალვები ეხება საგვარეულო და სანათესაო წრეებს, ასევე, ზოგჯერ, არამონათესავე სხვადასხვა გვარს, რომლებსაც საბჭოთა ხანამდე და საბჭოთა პერიოდშიც ჰქონდათ საქორწინო დამაბრკოლებელი და ამკრძალავი გარემოებები; დღესაც აქტიურად იცავენ ტაბუირებული ფაქტორებით გამოწვეულ აკრძალვებს. საქორწილო სუფრა დროსთან ერთად იხვეწება და თანამედროვე ინფრასტრუქტურას და გამოწვევებს ერგება, თუმცა, შედარებით უცვლელი რჩება ქორწილში სტუმრების რაოდენობა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საბჭოთა პერიოდამდე და საბჭოთა დროსაც, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა პერიოდში, დიდმასშტაბიანი ქორწილები სასურველად და აუცილებელად მიიჩნევა.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში დაიკარგა ქორწინებასთან დაკავშირებული ბევრი ტრადიციული რიტუალი. ეს პროცესი მკვლევარებს შესწავლილი აქვთ. დღეს აღარ მიმართავენ სხვადასხვა სახის სარიტუალო პრაქტიკას,

თამაშობებს, ცეკვა-სიმღერებს. სუფრის „სეფაში“ გაშლის ტრადიციამ თანამედროვე პერიოდში გადაინაცვლა რესტორებსა და დარბაზებში, თუმცა 1990-იან წლებში და 2000-იანების დასაწყისში „სეფაში“ ქორწილის გამართვის ტრადიცია ჯერ კიდევ არსებობდა. ამის მიზეზი იყო ა) ხარჯების შემცირების სურვილი, ბ) შესაბამისი ინფრასტრუქტურის არასაკმარისობა. საქორწინო სუფრის გაშლა „სეფაში“ იშვიათად დღესაც ხდება.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, 1990-იან წლებში გავრცელებული იყო საბჭოთა დროს მკაცრად აკრძალული ქალის მოტაცების ფაქტები, რაც ამჟამად ხდება და სოციუმის მხრიდან დაგმობილია. სახელმწიფო მხრიდან კი, რასაკვირველია, კანონდარღვევად მიიჩნევა. 1990-იან წლებში ტრადიცია იყო პატარძლის შეძლებული ნათესავის სახლში მიყვანა და ქორწილამდე იქ დარჩენა, რაც დღეს აღარ ხდება. ახალდაქორწინებულები არჩევენ სამოგზაუროდ წასვლას. ამ ჩვევის მოშლა განაპირობა ა) ცხოვრების დონის გაუმჯობესებამ, ბ) საზღვრების გახსნამ და სხვა ქვეყნებში მოგზაურობის შესაძლებლობამ, გ) მემარჯვენე შეხედულებების გაძლიერებამ – კოლექტივიზმის იდეისადმი ერთგულების შერყევამ.

საბჭოთა პერიოდამდე და საბჭოთა დროს ქორწინებასთან დაკავშირებული ტრადიციები მეცნიერებს მეტ-ნაკლებად გამოკვლეული აქვთ. სამეგრელოში საქორწილო ჩვევები და რიტუალები ეთნოგრაფიულ მასალაზე და სხვადასხვა საისტორიო წყაროზე დაყრდნობით გამოიკვლია ნ. ანთელავამ (ანთელავა 2005); ისტორიულ სამეგრელოში ქორწინების ტრადიციას და წესებს ეხება მკვლევარი ლ. გაბისონია, რომელმაც შეისწავლა სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობა და სამართალი (გაბისონია 2005). ზეპირსიტყვიერი, ფოლკლორული მასალების ანალიზის შედეგად სამეგრელოში საქორწილო წეს-ჩვეულებები გამოიკვლია ნ. აბულაძემ (აბულაძე 2017¹); ქორწილი და საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში შეისწავლა ნ. ხარჩილავამ (ხარჩილავა 2005); საქორწინო რიტუალები და წესები დაფიქსირებული აქვთ თ. სახოკიას (სახოკია 1956), ს. მაკალათიას (მაკალათია 1941, 2017), ნ. აბაკელიას (აბაკელია 1999), დ. შავიანიძეს (შავიანიძე 2015) და სხვებს. ზოგადად სამეგრელოში, კონკრეტულად კი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული ქორწინებასთან დაკავშირებული ჩვეულებების ანთროპოლოგიური კვლევა პოსტსაბჭოთა პერიოდში არ მომხდარა. წალენჯიხის

მუნიციპალიტეტის სოფლებში დღეს არსებული საქორწინო ჩვეულებების შესწავლა აუცილებელია, რადგან მთიანი სამეგრელოს ყოფისთვის დამახასიათებელი საკითხების კვლევა სხვა მხარეების შესწავლისთვისაც მნიშვნელოვანია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიულ ველზე შეკრებილი მასალა ცხადყოფს, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ქორწინებასთან დაკავშირებული ტრადიციები მნიშვნელოვნად, მაგრამ აკრძალვებთან დაკავშირებულმა ტაბუირებულმა ურთიერთობებმა თითქმის უცვლელად მოაღწიეს დღევანდელობამდე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქორწინების წინაპირობებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე გავლენა მოახდინა 1990-იან წლებში არსებულმა კრიმინოგენულმა ვითარებამ, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, ცხოვრების დაბალმა დონემ.

ბ) ქორწინების ამკრძალავი და დამაბრკოლებელი გარემოებები

საზოგადოებაში, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანებს შორის ურთიერთობები წესრიგდება სამართლებრივი გზით და ჩვეულებითი ნორმებით. გვარებიც, როგორც ადამიანთა მონათესავე გაერთიანებები, ერთმანეთთან გვარშიდა ურთიერთობებს ამავე წესით არეგულირებენ. ჩვენი მიზანია საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – სამეგრელოში – წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გვარების მაგალითზე, ქორწინების ამკრძალავი და დამაბრკოლებელი გარემოებების შესწავლა.

ქორწინების აკრძალვა (ხშირად მას მოიხსენებენ როგორც ქორწინების ტაბუ) ბევრი მეცნიერის ინტერესის საგანი ყოფილა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქორწინება ერთი გვარის წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც სისხლით ნათესაობა აკავშირებთ, თითქმის ყველა ქვეყანაში აკრძალულია. ეს წესი მსოფლიოში სხვადასხვა საზოგადოებებს ახასიათებს, თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ქორწინების ტრადიცია მხოლოდ ამაზე არ არის დამოკიდებული და მისდევნ ისეთ ტრადიციებსაც, რომლებიც წინაპართაგან მომდინარეობს და მისი დაცვა თანამედროვე ეპოქაშიც გრძელდება. მაგალითად, ნავაჰოს ხალხში არსებული საქორწინო წესები შეისწავლეს კენეტ მორგანმა (Morgan 1979), მალკოლმ ქარმა, კეტრინ სპენსერმა და დორიან ვულიმ (Carr, Spencer, Woolly

1939). მარშალის კუნძულებზე მცხოვრები საზოგადოებები შეისწავლა რობერტ კისტმა, მიხაილ რინკიევიჩმა (Kiste, Rynkovich 1976). ამ საზოგადოებებს აქვთ მარტივი ნათესაობის სისტემა და, შესაბამისად, მარტივია მათი საქორწინო წესებიც. თუმცა, მათ ტრადიციაშიც არსებობს ეგზოგამიის წესი. მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოებებს არ აქვთ რთული ნათესაობის სისტემა, ტრადიციულად, ქორწინებას კრძალავენ სისხლით მონათესავე საერთო გვარში. კისტემ და რინკიევიჩმა განმარტეს, თუ რას ნიშნავს ეგზოგამია და ახსნეს, თუ როგორ გამოიხატება ის მარშალის კუნძულებზე მცხოვრები ორი ხალხის მაგალითზე. ეგზოგამიით ისინი აღნიშნავენ ნორმებს, რომლებიც თეორიულად კრძალავს ქორწინებას ერთი სოციალური კატეგორიის მქონე ხალხებში. მარშალის კუნძულებზე მცხოვრებლებში, ისევე როგორც ბევრ სხვა ხალხში, ისინი განასხვავებენ ორი სახის სისხლისმიერ ნათესაობას: „ერთი გვარის წარმომადგენლები, რომელთანაც ქორწინება აკრძალულია და ამავე გვარის წარმომადგენელი, რომელთანაც ქორწინება დასაშვებია და მისაღებიც კი“ (Kiste, Rynkovich 1976, 209). ქარმა, სპენსერმა და ვოლიმ განიხილეს წინამორბედი მკვლევრების ჩანაწერები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ აქ „ქორწინების აკრძალვა არსებობდა ბიძაშვილებს და დეიდაშვილებს შორის (parallel cousins), რომლებიც ნათესაობის კონტექსტში განიხილებოდნენ, როგორც და-ძმები და ასევე დეიდაშვილს და მამიდაშვილს შორის (cross-cousins) (Carr, Spencer, Wolly 1939, 246). კენეტ მორგანმა ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ნავაჰოს ხალხში „მცირე გვარს შიგნით ქორწინება საერთოდ არ ხდება, ან იმდენად უმნიშვნელოა, რომ სტატისტიკაში არ აისახება“ (Morgan 1979, 159). მან ასევე აღნიშნა, „სოციუმის დაშლის შემდეგაც კი დავასკვნით, რომ კონკრეტულ დიდ გვარს, რომელიც დაიშალა, არ აქვს ქორწინების ტრადიცია ერთმანეთში, რადგან ისინი თავს საერთო ჯგუფს მიაკუთვნებენ. ეგზოგამიის ნიშანიც სწორედ ესაა — ერთ დიდ ჯგუფში შემავალი პატარა-პატარა წევრების ერთობლიობა“ (Morgan 1979, 159). გვარების ნათესაობის სხვა ფორმები განიხილა ბერნარდ ჩაპაიმ. მან აღნიშნა, რომ რთულ, განვითარებულ საზოგადოებაში ხშირად ურთიერთობები განისაზღვრება არა მხოლოდ სისხლიერი ნათესაობით, არამედ კულტურული კატეგორიებითაც (Chapais 2014, 751).

ბრიტანელი მკვლევრის, ბერტრან რასელის დაკვირვებით „სქესთაშორის ურთიერთობები იმ საზოგადოების ნორმების მიხედვით რეგულირდება, რომელიც

მიღებულია მოცემულ საზოგადოებაში და იცავს პიროვნების უფლებას ურთიერთობის ამ სფეროში. სწორედ ამიტომ, სქესთაშორის დამოკიდებულების მორალური ნორმების არცერთი სისტემა არ შეიძლება იქნას მიღებული, ან უარყოფილი საკმარისი საფუძვლისა და კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წესების შესწავლის გარეშე“ (რასელი 2020, 11-13). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ნათესაური სისტემა და გვარშიდა ურთიერთობები გაცილებით რთულია და მხოლოდ ბიოლოგიურ, სისხლით ნათესაობის მოცემულობაზე არაა დაფუძნებული. კულტურული კონსტრუქცია ნათესაობის სისტემაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც ასევე განაპირობებს ქორწინების აკრძალვის წესების ფორმირებას. ჩვენ ვხედავთ საქორწინო შეზღუდვებს არა მხოლოდ სისხლისმიერ ნათესაობასა და გვარს შორის, არამედ ადამიანებს შორის, რომელთაც სისხლისმიერი ნათესაობა არ აკავშირებთ.

ქორწინების ამკრძალავ და დამაბრკოლებელ გარემოებებთან დაკავშირებით კვლევა ჩავატარეთ სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქორწინების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა ყოველთვის იყო, მექორწინე გვარებს შორის ტაბუირებული ურთიერთობების აღბათობის გამორკვევა. ამკრძალავი და დამაბრკოლებელი გარემოებების ობიექტური საფუძველი წარმოშობილია საბჭოთა პერიოდამდე, მას იცავდნენ საბჭოთა პერიოდში და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც აქტიურად იცავენ წინაპართაგან გადმოცემულ აკრძალვებს. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციულმა პროცესებმა და გლობალიზაციამ ტრადიციების რღვევა გამოიწვია, ოჯახები ცდილობენ შთამომავლობას გადასცენ ინფორმაცია მკაცრად დადგენილი ტაბუირებული ურთიერთობების შესახებ. მართალია, ხშირად ამ აკრძალვის მიზეზი არ ახსოვთ, მაგრამ თავად ფაქტი, რომ კონკრეტულ გვარებს შორის ქორწინება მკაცრად აკრძალულია და აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში მექორწინე წყვილი დაისჯება (მათი წარმოდგენით, „ზებუნებრივი“ ძალების შედეგად), ეს ნამდვილად ახსოვთ, რასაც შთამომავლობას საკმაოდ ეფექტურად აჯერებენ და წესებსაც იცავენ კიდევ.

ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოვიძიეთ გვარები, რომლებსაც ერთმანეთთან ნათესაობა არ აკავშირებთ, თუმცა ერთმანეთზე არ ქორწინდებიან. მასალის მოსაძიებლად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ეთნოგრაფიის მეთოდი.

ვერბალური ინფორმაციის მიღება მოხდა უშუალოდ ინტერვიუს პროცესში. ქორწინების აკრძალვის მიზეზების კვლევა მოხდა მეორეული ანალიზისა და დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

საქორწინო ურთიერთობებს საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, ფეოდალურ ხანაში არეგულირებდნენ საერო და საეკლესიო სამართალის ნორმებით. ამავე დროს, უმნიშვნელოვანესი იყო ჩვეულებითი სამართლის წესების დაცვა, რაც ამ საკითხზე ხალხში არსებულ რწმენა-წარმოდგენებს, წეს-ჩვეულებებს ეფუძნებოდა.

ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით, ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნეოდა დასაქორწინებლის სულიერი მდგომარეობა (სამართალი ვახტანგ მეექვსისა 1981: 250). ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ძველ საქართველოში ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნეოდა მცირეწლოვნობა და საცოლქმროთა როგორც სულიერი, ისე ხორციელი ნათესაობა (ჯავახიშვილი 1984: 266). ეთნოლოგი ილია ჭყონია მთიულეთის მაგალითზე აღნიშნავდა, რომ გვარსახელებში ნიშანდობლივი ჩანს ერთი ძირიდან წარმოშობა-წარმომავლობა, რაც, თავის მხრივ, მოგვარეთა შორის ქორწინებას შეუძლებელს ხდიდა, მაშინაც კი, როცა ისინი ტერიტორიულად დაცილებულნი იყვნენ (ჭყონია 1955: 19).

ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გიორგი ნადარეიშვილი აღნიშნავდა, რომ შუა საუკუნეებში ქორწინებას არეგულირებდა საეკლესიო სამართალი. საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, სისხლითი ნათესაობის მეშვიდე ხარისხში ქორწინება აკრძალული იყო (ნადარეიშვილი 1971: 67).

მკვლევარი მზია ბექაია აზუსტებს ნათესაობის სახეებს და აღნიშნავს, რომ საქართველოში ნათესაობა ძირითადად სამი სახის იყო – სისხლითი (წარმოშობა), მოყვრობითი (ცოლისა და ქმრის მხარეების ნათესაობა) და ხელოვნური (ნათლობა, ძუძუმტეობა, დამძობილება და სხვ.). პირველ რიგში აღიარებულად ითვლებოდა და დღესაც ასეა, რომ საქართველოს ყველა კუთხეში მოქმედებდა ეგზოგამიის წესი, ე.ი. საქორწინო პარტნიორები სხვადასხვა გვარისა უნდა ყოფილიყვნენ (ბექაია 1981: 28).

ნუგზარ ანთელავას გამოკვლევით, სამეგრელოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ეგზოგამია დაცული იყო აგნატურ ნათესაობაში შვიდი, ხოლო კოგნიტურში - ოთხი თაობის ფარგლებში (ანთელავა 2005:

35). ჩხოროწყუმში, ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, მიიჩნეოდა, რომ შვიდი თაობის შიგნით „ზისხირ ზისხირს ქობირუნსია, ციანსია“ (სისხლი სისხლს რომ „შეხვდება“, ყივისო“). სამეგრელოში, ქორწინება იკრძალება ბების მოგვარესთანაც.

ნათესავთა ქორწინების აკრძალვაზე მკვლევარი ნანა აბულაძე აღნიშნავს: „ნათესავთა ქორწინება ძველთაგანვე იყო აკრძალული. ასეთ კავშირს ეკლესია კრძალავდა და ერისკაცისთვისაც მიუღებელი იყო. XIX საუკუნეში ნათესავთა შორის ქორწინებისთვის დაწესებული იყო სასჯელი, რომელსაც ადგილობრივი სახელწოდებით „გიშახორაფა“ ეწოდებოდა, რაც გადასახლებას, გამეცებას ნიშნავს“ (აბულაძე 2020: 155).

გარდა ნათესაობით განპირობებული აკრძალვებისა ანუ ეგზოგამიისა, ქორწინების დამაბრკოლებელი სხვა გარემოებებიც არსებობდა ძველ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ქორწინება იკრძალებოდა „სწორფერებსა“ (ბალიაური 1991: 33) და „წაწლებს“ შორისაც (მაკალათია 1925: 3).

სამეგრელოშიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, „ერთი სოფლისა და ხატის ყმები ქალ-ვაჟის შეუღლებას ერიდებოდნენ და უფრო სასურველი იყო ქალის სხვა სოფელში გათხოვება“ (მაკალათია 1941: 260). აკრძალული იყო დედის გვარის ქალის შერთვა (აბაკელია 1999: 305).

გეოდალურ ხანაში ყურადღება ექცეოდა საცოლქმრო წყვილის სოციალურ სტატუსს. ქორწინება დაბალ და მაღალ წოდებათა გვარიშვილებს შორის შეუძლებელი იყო (ჯავახიშვილი 1984: 267). ასევე, ყურადღება ექცეოდა რელიგიას: დასაქორწინებელნი ერთი რჯულისა უნდა ყოფილიყვნენ (დიდი სჯულის კანონი 1987: 334).

საბჭოთა პერიოდამდე ქორწინება აკრძალული იყო ხელოვნურად დანათესავებულთა შორისაც, მაგალითად – შეფიცულთა შორის. „სამეგრელოში აკრძალული იყო („ვაშინერს“) გამზრდელის, ძიძის – „ძიძისქუაშ“ ნათესავისა და გვარიშვილის, ძმად, დად, დედად თუ მამად მიღებულ – „ჩაფილის“ (შეფიცულის) ნათესავისა და მახლობლის შერთვა. არ ირთავდნენ აგრეთვე შვილობილის – „სქუალაფირის“ გვარისას და ნათესავს“ (მაკალათია 1941: 260). ქორწინება იკრძალებოდა მოყვრებს შორისაც (ტერმინი - კერძ-მოჯგურობა (კერძ-ნათესაობა) (ანთელავა 2005, 35). ლ. მელიქიშვილის განმარტებით, „მოყვრობითი ნათესაობა

გულისხმობს წყვილთა ოჯახების დაახლოებას, რომელთა შორის ეგზოგამია დაცულია შვიდ თაობაზე“ (მელიქიშვილი 1986: 7).

სამეგრელოში, ზოგიერთ გვარსახელში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ქორწინების აკრძალვის მიზეზი იყო და დღესაც არის ადათობრივი სამართლის შედეგად მიღებული განაჩენი – „გინოჩამა“ (ხატზე გადაცემა). არის მაგალითები, როდესაც აკრძალვის მიზეზმა ლეგენდის სახით მოაღწია დღევანდელობამდე ან სულაც მხოლოდ სიტყვის „ვაშინერს“ — აკრძალულის ძალით შემოინახა სოციუმმა. ასეთ აკრძალვებს საზოგადოება საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც ი. დოლიძე აღნიშნავს, „ადათობრივი სამართლის ერთ-ერთი ნიშან-თვისება ის არის, რომ იგი წარმოადგენს საუკუნეობრივი ტრადიციით დაცულსა და განმტკიცებულ სამართლის ფორმას. ამასთან ეს ფორმა გაცილებით უფრო მტკიცე და უცვლელია, ვიდრე მოქმედი სამართლის სხვა რომელიმე წყარო. ადათი ინარჩუნებს თავის სახელს საუკუნეთა განმავლობაში“ (დოლიძე 1960: 11).

სამეგრელოში არსებული ტრადიციის მიხედვით, გვართა შორის ქორწინების აკრძალვის დროს გამოიყენება ცნობილი ტერმინი – „ვაშინერს“ („შინა“ ნიშნავს ხსენებას, -ვა უარყოფის ნიშანია), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ისეთ საქციელს, რისი ხსენებაც კი არ შეიძლება. ეს იგივეა რაც „ტაბუ“, აკრძალული რამ (სახოკია 1956: 72). ზოგადად, ტერმინი „ტაბუ“ აღნიშნავს რეალურ ან მაგიური ცრურწმენის ნიადაგზე წარმოქმნილ აკრძალვას (ჯორჯანელი 1977: 46). „ვაშინერს“ გულისხმობს ყველა იმ აკრძალულ მოქმედებას და საგანს, რომელთა ხსენებას და შესრულებას შეუძლია ადამიანსა და მის ოჯახს უბედურება მიაყენოს (მაკალათია 1941: 335).

გვარებს შორის ქორწინების აკრძალვების კვლევისას მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალებმა ცხადჰყო, რომ ამჟამად საზოგადოება საკმაოდ კონსერვატიულია, ანუ ისტორიულად არსებული ნორმები სოციუმის მეხსიერებაში მკვეთრად არის დაცული და დღემდე აქტუალურია. ეს საკითხი, კონკრეტულად ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, ამ რაკურსით ჯერჯერობით არ გაშუქებულა სამეცნიერო ლიტერატურაში. გამომდინარე იქიდან, რომ ეთნოგრაფიული მახასიათებლები საკმაოდ მკვეთრად იცვლება, ამ მხრივ დღეს არსებული რეალობის დაფიქსირება მნიშვნელოვნად და საჩქაროდ მიგვაჩნია, რადგან რამდენიმე

წელიწადში შეიძლება, ღირებულებების ცვალებადობასთან ერთად, სრულიად სხვაგვარი ვითარება იყოს.

ქორწინების გამომრიცხველი გარემოება იყო „გინოჩამა“, ანუ ხატზე გადაცემა. ხატზე გადაცემა – „გინოჩამა“ ხალხური სამართალია, საუკუნეების მანძილზე შექმნილი, პრაქტიკაში დამკვიდრებული. „გინოჩამა“ მეგრელთა შორის მართლმსაჯულების აღსასრულებლად საკმაოდ გავრცელებული იყო და მიეკუთვნება ადათობრივი და ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთ ტიპს. „გინოჩამას“ – „ხატზე გადაცემას“, როგორც სასჯელის ცალკეულ სახეს, ქართულ ჩვეულებით სამართალში ეხება მკვლევარი გია დავითაშვილი. ის აღნიშნავს, რომ „დაწყველის, როგორც სასჯელის გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა ხატზე გადაცემა“, როგორც სამეგრელოში, ისე სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში (დავითაშვილი 2011: 490). სამეგრელოში „ხატიშა გინოჩამა“ - ხატზე გადაცემა „დამნაშავის გამოვლენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ საშუალება იყო“ (დავითაშვილი 2003: 60). „გინოჩამა“, როგორც ხალხური სამართლის ფორმა სამეგრელოში, ჩვენც შევისწავლეთ ეთნოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად შესრულებული ნაშრომის ფარგლებში.

„გინოჩამა“ როგორც თავისი შინაარსით, ასევე გამოხატვის ფორმებით უძველესი სოციალური ყოფიდან მომდინარეობს. ამ პრაქტიკაში გაერთიანებულია ხალხური რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც ქრისტიანულ წესებთან არის შერწყმულ-შეთვისებული და ერთიანობაში ქმნის ერთ მთლიან სისტემას და მოქმედებს როგორც ხალხური სამართლის ნაწილი. „გინოჩამა“ არის ადამიანის ხატზე გადაცემა რაიმე დანაშაულისათვის. მას აქვს შესრულების წესი და რიგი. ეს წესი ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ისტორიულად, ხატზე გადაცემა შეიძლება მომხდარიყო: ქრისტიანული წმინდანის ხატზე, ხეზე, სამჭედლოში, წყალზე, წისქვილში, ტაძრის კედლებზე, მიწაზე და სხვა.

სამეგრელოში „გინოჩამა“ იყო ქორწინების აკრძალვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. „გინოჩამის“ ინსტიტუტი მოსახლეობის მახსოვრობაში კარგადაა შემონახული. იშვიათად, მაგრამ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც თანამედროვე ყოფაშიც მიუმართავთ სამართლის ამ ფორმისთვის. „გინოჩამა“, როგორც ძველ დროში არსებული სამართლის ფორმა, ხალხის ყოფაში მტკიცედ იყო

დამკვიდრებული, მხარდაჭერილი და აქტუალური, რასაც ვერ ვიტყვით თანამედროვეობაზე.

„გინოჩამილი“ ანუ გადაცემული გვარები ერთმანეთს მტრობდნენ და მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა წყდებოდა „გინოჩამის“ გასანეიტრალებელი პრაქტიკების ჩატარებამდე, თუმცა ამის შემდეგაც „გინოჩამილ“/გადაცემულ გვარებს შორის ქორწინების დაშვება თითქმის არ ხდებოდა. მხარეები შთამომავლობას გადასცემდნენ მათ შორის მკაცრად ტაბუირებული, აკრძალული („ვაშინერს“), დაუშვებელი საქორწინო კავშირის შესახებ ინფორმაციას, რისი დაცვაც, მართლაც საუკუნეებს უძლებდა. დღეს „გინოჩამის“ კვალი ჩანს ცალკეულ გვარებს შორის ქორწინების აკრძალვაში. მთხრობელებს ხშირად, არ ახსოვთ, თუ რა იყო მიზეზი „გინოჩამისა“ და რა ფორმითაა წარსულში „გადაცემული“ ესა თუ ის გვარი, მაგრამ მეხსიერებაში შემორჩენილია პირობა, რომ გადაცემულმა გვარებმა ერთმანეთზე არ უნდა იქორწინონ; აკრძალვის მიუხედავად, თუ იქორწინეს, უბედურება შეემთხვევათ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ჩვენს მიერ ჩაწერილი ინფორმაციის მიხედვით, ამ მიზეზით ქორწინების აკრძალვის მაგალითებია ლუკავებსა და მიქავებს, ლუკავებსა და ღვინჯილებს, აბულაძეებსა და მოლაშხიებს, კვარაცხელიებს და ჩანგელიებს, არქანიებს, გოგობიებსა და ბულიებს, კაკაჩიებსა და შენგელაიებს შორის არსებული ტაბუირებული ურთიერთობები. ეს გვარები დღესაც იცავენ ქორწინების ტაბუს და ერთმანეთზე არ ქორწინდებიან.

ქორწინების გამომრიცხველი გარემოებაა კონკრეტული გვარის კონკრეტულ „გამნარყთან“ „ხვამათი“ ანუ ლოცვით დაკავშირება. სამეგრელოში გვარი იყოფა რამდენიმე „გამნარყად“ ანუ მოდგმად. „გამნარყი“ მცირე სოციალური წრეა. დიდი გვარის შემთხვევაში, ერთ გვარს რამდენიმე „გამნარყი“ აქვს, რომელიც შემოიფარგლება დაახლოებით, 4-6 თაობის წარმომადგენლით. მაგალითად, მთიან სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში, ცხოვრობენ არქანიები. მათ გვარში გამოიყოფა რამდენიმე „გამნარყი“: სქვამკოჩის, ლეჯკოჩის, ბებელიას, ქვაცას, ტვეფეს, ბოჩოლას. ბებელია არქანიას „გამნარყი“, ანუ ამ მოდგმის არქანიები არ ქორწინდებიან კაკუბავებზე და ჯობავებზე, არქანიების მხოლოდ ამ მოდგმასთან დაკავშირებული ისტორიის გამო.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ბებელიას შთამომავლების სამ სოციალურ წრეზე, ქირსეშეიას, ბადირიასა და ქიჩოლიას „გამნარყზე“, ანუ დანაყოფზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია ჩაწერილია ჩვენს მიერ სოფელ მუჟავაში. ბებელიას ეს სამი შტო აფხაზეთში მცხოვრებ კაკუბავებთან ერთად, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, იხდის დღეობას¹⁶. აფხაზეთიდან კაკუბავებს მიჰყავთ ხარი მუჟავაში. ბებელიას შთამომავალ არქანიებს და ოქუმელ კაკუბავებს ჯვარის წმინდა გიორგის (ჯგეგე) ეკლესიის ნანგრევებთან მიაქვთ შესაწირავი (ხარის გულ-ღვიძლი, ზედაშე და სალოცავი პურები), შემდეგ, კი ბრუნდებიან მუჟავაში და აღნიშნავენ დღესასწაულს დიდი სუფრით (ციმინტია 2020: 604).

კაკუბავების და არქანიების ეს კონკრეტული გამნარყი საუკუნეებია პირნათლად ასრულებს დღეობის გადახდის ვალდებულებას. დღეობის გადახდის ვალდებულებას უკანასკნელ ხანებში გამოაკლდა ჯობავების გვარი, თუმცა ეგზოგამიის წესი დაცული აქვთ. შესაბამისად, კონკრეტული გვარის სხვა გვარის კონკრეტულ შტოსთან „ხვამათი“ დაკავშირება ქორწინების გამომრიცხველი გარემოება გახდა დროთა ვითარებაში.

ქორწინების გამომრიცხველი გარემოება — ერთი ხატის ყმოზა დაფიქსირებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზუჯში. აქ მცხოვრები ფიფიები და მესხიები ერთმანეთზე არ ქორწინდებიან. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ნოჯიხურში“ ისინი ერთი ხატის მსახურნი ყოფილან და ერთმანეთისთვის ძმოზა და და-ძმოზა შეუფიცნიათ. ასეთივე მაგალითი გვაქვს წალენჯიხის მოსაზღვრე სოფელ ჯიხაშკარში. აქ მცხოვრები შენგელიები და ზარანდიები ყოველ წელიწადს, აღდგომის მესამე დღეს აღნიშნავენ საგვარეულო ლოცვას – „ქეჯვარობას“. ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში, საშენგელიოს უბანში მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის პატარა საყდარი, რომელსაც ჯეგე-მისარონის, მისარონ კარის ან მისარონის „ოხვამეს“ (სალოცავს) ეძახიან. აღდგომის მესამე დღეს აქ ლოცულობენ შენგელიები და ზარანდიები. მლოცველთა შორისაა ერთი ოჯახი მეზონია და ერთი ოჯახი ყურწუა. დღესასწაულისთვის თადარიგს რამდენიმე თვით ადრე იჭერენ. იმ ადგილას, სადაც ჯეგე-მისარონის სახელობის წმინდა გიორგის ეკლესია დგას, ინახება სია, სადაც

¹⁶ წინათ, დღეობაში გალის რაიონის სოფელ რეჩხში მცხოვრები ჯობავებიც მონაწილეობდნენ. ბოლო დროს, მათ გარკვეული მიზეზების გამო, თავი გაითავისუფლეს ამ დღესასწაულში მონაწილეობის ვალდებულებისგან.

ჩამოწერილია 24 კაცის სახელი და გვარი. გადმოცემის თანახმად, ეს ის ხალხია, ვინც ერთმანეთს ძმობა შეჰფიცა და დათქვა, რომ ყოველ წელს წმინდა გიორგისთვის ღორი შეეწირათ. ლოცვის ანუ „ხვამას“ დაწესების მოტივი უცნობია, თუმცა ამ დღეობას საუკუნეების განმავლობაში ასრულებს შენგელიას და ზარანდიას გვარი და მტკიცედ იცავს წინაპართა დადგენილ ეგზოგამიის წესს. ამ დღეობის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვეთ ეთნოგრაფიული მასალის შეგროვების პროცესში.¹⁷

ქორწინების დამაბრკოლებელი, მაგრამ არა გამომრიცხველი გარემოება სოციალური უთანასწორობაა. ამის მაგალითი დავაფიქსირეთ სოფელ ობუჯში მცხოვრებ სონგულიებსა და შენგელაიებს შორის. მათ შორის ქორწინების აკრძალვის მიზეზი, სავარაუდოდ, წარსულში წოდებრივი უთანასწორობაა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, სონგულიები შენგელაიების „მოინალეები“, ანუ მსახურები ყოფილან. ეთნოლოგი დავით ჭითანავა ამ ორ გვარს შორის ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად შვილად გაზრდასაც ასახელებს (ჭითანავა 2020: 191).

გვარსახელებს შორის საქორწინო ურთიერთობები ტაბუირებულია საერთო წარმომავლობის ხსოვნის მიზეზითაც. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლიაში და ქალაქ წალენჯიხაში მცხოვრები სამელიების მხრიდან მიღებული ინფორმაციით, სამელიები არ ქორწინდებიან მელიებზე. გადმოცემით, ისინი ლაზები არიან. მათი თავდაპირველი გვარი მელია ყოფილა, შემდეგ კი -სა წინსართი დაუმატებიათ და სამელიები გამხდარან.

საერთო წარმომავლობის ხსოვნა აქვთ უბილავეებს, ვიბლიანებს და უგულავეებს. ზუგდიდში მცხოვრები ელზა უბილავასგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ლეგენდის თანახმად, ჩერქეზეთიდან საქართველოში სამი ძმა ჩამოსულა. სამივე დაქრილი ყოფილა. მათ თავშესაფარი ამჟამინდელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის ტერიტორიაზე უთხოვიათ. მოსახლეობამ ძმები შეიფარა და სოფელ ჭალეში დაუსახლებიათ. ერთი ძმა ჭალედან გურიაში წასულა და იქ უგულავა გამხდარა. მეორე ძმა ჯვარის ტერიტორიაზე დატოვეს და მისცეს გვარი უბილავა. მესამე ძმა კი სვანეთში გადავიდა და გახდა ვიბლიანი. სოფელ ჭალეში მცხოვრებ უბილავეებს ახსოვთ, რომ სვანი ვიბლიანები მათთან ხშირად სტუმრობდნენ.

¹⁷ ვრცლად იხილეთ იოსებ შენგელიას მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული ნაშრომი „სარიტუალო პრაქტიკის ტრანსფორმაციის პროცესი სამეგრელოში“, თბილისი 2018.

წინაპრებისგან უბილავებს მტკიცედ აქვთ გაცნობიერებული, რომ არ უნდა დაქორწინდნენ ვიბლიანებზე და უგულავებზე, რადგან ერთი სისხლის და ერთი წარმომავლობის არიან. მათ შორისაც საერთო წარმომავლობის ხსოვნა ქორწინების დამაბრკოლებელ, მაგრამ არა გამომრიცხველ გარემოებად მიიჩნევა, რადგან ცალკეული შემთხვევები ქორწინებისა მაინც არსებობს.

ქორწინების გამომრიცხველი გარემოებებია ქრისტიანული ნათლობა და მეჯვარეობა. გვარებს ფაქტები ზოგჯერ ბუნდოვნად ახსოვთ, მაგრამ ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ დანამდვილებით არსებობდა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ ეგიები. 2022 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით დაფიქსირებულია 12 სული ეგია. ეგიები არ ქორწინდებიან თვალთვაძეებზე. ამ ორ გვარს შორის ეგზოგამია მკაცრად არის დაცული. სავარაუდოდ, აკრძალვა ქრისტიანული რელიგიით დანათესავების მიზეზით არის გამოწვეული. საარქივო მონაცემებით, „1880 წლის 20 ივლისის დაქორწინდნენ აზნაური თეიმურაზ ივანეს ძე თვალთვაძე და აზნაური დულხან, კვიკვინია ეგიას ასული. თავსდებნი: ივანე და კერამდუხუ ეგიები“ (სეა. ცია. ფ. 489, ა. 6, ს. 999). მომდევნო წლებში ეგიებს თვალთვაძეები დაუნათესავდნენ ნათლობის გზით: „1891 წლის 29 ივლისის აზნაურ პავლე ვატაიას ძე ეგიას და ნატალია გაბრიელის ასულს შეეძინათ გაბრიელი. მიმრქმელი: მაქსიმე ნიკოლოზის ძე თვალთვაძე“ (სეა. ცია. ფ. 489, ა. 6, ს. 1478).

საარქივო მონაცემებით დასტურდება ეგიასა და თვალთვაძის ქორწინება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის სისხლისმიერი ნათესაობა არ ყოფილა. თუმცა, მოგვიანებით მოხდა მათი დანათესავება ნათლობის გზით. ქრისტიანული რელიგია სულიერ ნათესაობას ხორციელზე მაღლა აყენებს (დიდი სჯულის კანონი 1987: 330). სოციუმის მეხსიერებაში ნათლად არის შემორჩენილი ამ ორ გვარს შორის ქორწინების აკრძალვის ფაქტი, თუმცა მიზეზი – არა.

ასეთივე ვითარებაა ძვაბავებსა და ფურთუხიებს შორის. მთხრობელთა თქმით, „ძვაბავა ფურთუხიას არ მოიყვანს და ფურთუხია - ძვაბავას. ზვიად ჟორჟის ძე ძვაბავას თქმით: „ფურთუხიეფ ჩქიმიანეფ რენა“ (ფურთუხიები „ჩემიანები“ არიან)“. სავარაუდოდ, მედანში მცხოვრებ ძვაბავებსა და ფურთუხიებს შორის ეგზოგამია ქრისტიანული გზით დანათესავების შედეგია. საარქივო მონაცემებით დგინდება მათი

სულიერი ნათესაობის ფაქტები: 1871 წლის ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერში დაფიქსირებულია, რომ „7 ოქტომბერს დაქორწინდნენ გლეხი უჩანა გვამის ძე ფურთუხია და მარიამ მახუს ასული. თავსდებნი: მახუ, პავლე და ტოტია ფურთუხიები, ჯაბე ძვაბავა (სეა. ცია. ფ. 489, ა. 6, ს. 771). „1871 წლის 7 ნოემბერს დაქორწინდნენ გლეხი თეიმურაზ შუკოს ძე ძვაბავა და როდა კოჩას ასული. თავსდებნი: პახუ ძვაბავა და პავლე ფურთუხია“ (სეა. ცია. ფ. 489, ა. 6, ს. 771). ამ შემთხვევაში ნათესაობა მეჯვარეობის გზით შემდგარა. სავარაუდოდ, მეჯვარეები შვილებსაც მოუნათლავდნენ დაქორწინებულ წყვილს და ნათესაობა ნათლობითაც განმტკიცდებოდა. ნ. აბულაძის აღნიშვნით, „ჯვრისწერის ცერემონიაში მეჯვარეს, ანუ მეგრულად „მეგურგინე მორდიას“, რომელსაც მეგრელები ნათესაობის წრიდან ირჩევდნენ, მეტად საპასუხისმგებლო მისია ჰქონდა. შემდგომ იგი პირველი შვილის ნათლიაც ხდებოდა და ოჯახები ნათელ-მრონითაც უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ეს კავშირი ქრისტიანული მოძღვრებით მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო კავშირი იყო და დღესაც ასეა“ (აბულაძე 2020: 155). ეგიების მსგავსად, ფურთუხიებსა და ძვაბავებს ქორწინების აკმაღლის ფაქტი, ეგზოგამია აქვთ შემორჩენილი, მიზეზი კი არ ახსოვთ, თუმცა საარქივო მასალებით ეს დგინდება.

ქორწინების დამაბრკოლებელი, თუმცა არა ამკრძალავი გარემოებაა „მანგიორობა“ და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები. „მანგიორობა“ (მაგივრობა) სამეგრელოში გავრცელებული პრაქტიკა იყო, რომელიც ოჯახის წევრის მიერ გარდაცვლილის ნაცვლად სხვა, მასთან დაახლოებული ადამიანის „მაგივრად დაკავებას/მიჩნევას“ გულისხმობდა. ძირითადად მიცვალებულის „მაგივრად“ ირჩევდნენ ისევ თავიანთ ნათესავს, ან ოჯახის ახლობელს. ამასთან, დასაშვები იყო ოჯახის სხვადასხვა წევრისთვის ერთი და იგივე მიცვალებულის „მაგივრობა“ გაეწია სხვადასხვა ადამიანს. ეს პრაქტიკა, მართალია, შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გავრცელებულია სამეგრელოში და კონკრეტულად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტშიც. ამ ტიპის დანათესავება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებაა მიიჩნეოდა, თუმცა იგი თაობებზე არ გადადიოდა და მხოლოდ ოჯახების იმ თაობის წარმომადგენლებით შემოიფარგლებოდა. ასევეა დღესაც.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გვართა შორის ქორწინების გამომრიცხველი გარემოებები სამეგრელოში იყო და არის ადამიანთა შორის ჩვეულებითი სამართლით

რეგულირებული შემთხვევები: „გინოჩამა“ (ხატზე გადაცემა); ერთი ხატის ყმოზა; ქრისტიანული წესით დანათესავება; თუმცა ეს უკანასკნელი არ ვრცელდება დიდ გვარებზე და ტაბუ მხოლოდ მცირე სოციალურ შემოიფარგლება. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები იყო: საერთო წარმომავლობის ხსოვნა; „მანგიორობა“; ხსოვნა წარსულში სოციალური უთანასწორობის შესახებ. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ გვარებს შორის არსებულ ქორწინების შეზღუდვაში გამოვლენილია სოციალური მხრიდან წარსულში ჩვეულებითი სამართლისა და რელიგიური ნორმების დაცვის სიმტკიცე.

გ) ქორწინების წინაპირობა, ქორწილი და ქორწილის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

ქორწილთან დაკავშირებულ ყველა ჩვეულებას დიდი ყურადღება ექცევა მკვლევართა მხრიდან, რადგან, ისტორიულად, „საქორწილო რიტუალი თავისი მრავალფეროვნებით ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს – სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობას, საოჯახო ყოფას, სამეურნეო საქმიანობას და სულიერ კულტურას – პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდებოდა“ (იველაშვილი 1987: 108). ასევეა დღესაც, საქორწინო რიტუალები მორგებულია თანამედროვე გამოწვევებს, სოციალურ, კულტურულ-რელიგიურ და ეკონომიკურ ყოფას. საქორწინო წეს-ჩვეულებები შეიძლება სამ ძირითად ნაწილად დავყოთ: წინასაქორწილო პერიოდი, ქორწილი და ქორწილის შემდგომი პერიოდი. თითოეული ნაწილი შეიცავს მრავალ ელემენტს (მელიქიშვილი, იველაშვილი 2010: 5).

საბჭოთა დრომდე და საბჭოთა დროსაც ქორწინების წინაპირობა შეიძლება გამხდარიყო გარიგება, სიყვარული, „მინოხუნაფა“, მოტაცება (მოტაცება საბჭოთა დროს ძალიან იშვიათად ხდებოდა). გარიგებას ძირითადად მშობლების დაინტერესება ჰქონდა საფუძვლად და მაქანკალი ცდილობდა შესაფერისი ოჯახები დაეკავშირებინა ერთმანეთთან. ქორწინების მიზეზი მეტწილად ქალ-ვაჟის სიყვარულიც იყო. ამ შემთხვევაში ისინი თვითონ წყვეტდნენ, ვისთან ერთად შეექმნათ ოჯახი. „მინოხუნაფა“ – ქალის დასმა ვაჟის ოჯახში, უკიდურესი ფორმა იყო. ქორწინების წინაპირობა – მოტაცება ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა და მას ცალკე შევხებით. ამ გზით შექმნილი ოჯახები დღესაც მრავლადაა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში. 1990-იან წლებში მოტაცებით ოჯახის შექმნა საკმაოდ გავრცელებული ფორმა იყო.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, 1990-იან წლებშიც ქალის მოტაცება ცოლად შერთვის მიზნით ხშირად ხდებოდა. ნ. აბულაძე აღნიშნავს, რომ „მოტაცების გზით ქალის დასაკუთრება საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩვეულებრივ წესს წარმოადგენდა და საყოვეთაო მოვლენა იყო მსოფლიოს უმეტესი ხალხისთვის“ (აბულაძე 2017¹: 160). მოტაცება საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ყოველთვის არსებობდა, თუმცა, ხშირი არ ყოფილა. ის სამეგრელოშიც ცოდნიათ საბჭოთა პერიოდამდე. როგორც თედო სახოკია წერს, „მეგრელთა საქორწილო წესებს რომ ვეცნობით, ჩვენს თვალწინ გადაიშლება სულ უძველესი ფორმა ცოლ-ქმობისა: მოტაცება საცოლესი“ (სახოკია 1956: 83). საბჭოთა კავშირში ეს ჩვევა ძალიან იშვიათ მოვლენად იქცა. თითქმის აღარ მიმართავდნენ საცოლე ქალის მოტაცებას, მაგრამ ომმა, სოციალურად მძიმე ვითარებამ 1990-იან წლებში ქვეყანაში, კვლავ დაამკვიდრა ეს ჩვევა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესების გამო ადამიანები კვლავ მიუბრუნდნენ ამ მეტად საძრახის საქციელს და ხშირი გახდა საცოლე ქალის მოტაცება. დღეს, ქალის მოტაცება აღარ ხდება და მომტაცებელი, ისევე როგორც სხვა დანაშაულებების ჩამდენი, ისჯება კანონით (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 150¹). ნიშნობით ქალის გათხოვება ძალიან იშვიათი იყო.

სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, საველე მასალის, სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო მონაცემების საფუძველზე, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში, სამეგრელოში მოქმედი საქორწინო წეს-ჩვეულებები საფუძვლიანად გამოიკვლია ნუგზარ ანთელავამ. სხვა დანარჩენ წესებთან ერთად, მას შესწავლილი აქვს ქორწინება საცოლის მოტაცების, ძალადობით დათავისებისა და მორალური იძულების გზით. მკვლევარი გამოყოფს მოტაცების ოთხ ფორმას: 1. „გენტხაფილი ხვამილაფა“ (თავდასხმითი მოტაცება, ან უბრალოდ „გენტხაფა“ (თავდასხმა) – მოტაცება ძალადობით და მისი ვარიაციები – „გინოტყურაფა“ (გადმოტყუება) და „გითოტყურაფა“ (გატყუება); 2. „გითოტყობუა“ – მოტაცება საცოლესთან შეთანხმებით ამ უკანასკნელის მშობლების დაუკითხავად ან სურვილის წინააღმდეგ; 3. „რჩქინელი ხვამილაფა“ (წინასწარ შეცნობილი მოტაცება) – მოტაცება

ორმხრივი შეთანხმებით ე.ი. მოტაცების ინსცენირება; 4. „ფიოშით ხვამილაფა“ ან „ფიოშით ყუნაფა“ („ფიოშით მოტაცება“, „ფიოშით წაყვანა“) – ეს იყო ფეოდალურ ურთიერთობათა წიაღში შობილი მოტაცების ფორმა, რომელიც გარკვეული საქორწინო ვალდებულებების შეუსრულებლობით ან ქორწინებაზე ფეოდალის უარით იყო გამოწვეული და ამ უკანასკნელისაგან გაქცევას, ყმის წაგვრასა და სხვა ფეოდალის განკარგულებაში გადასვლას გულისხმობდა“ (ანთელავა 2005, 79).

პოსტსაბჭოთა პერიოდში მოტაცების სხვადასხვა მოტივების განზოგადება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაგალითზეც შეიძლება. მოტაცების ზემოთ ჩამოთვლილი სახეებიდან პოსტსაბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებობდა „გენტხაფილი ხვამილაფა“ (თავდასხმითი მოტაცება). ჯვარში ჩაწერილი მასალის მიხედვით, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ცოლობაზე თანხმობა მოხდა იძულების გზით, სახლში შევარდნით, იარაღების გამოყენებით და მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრებზე დამუქრებით, ქალის უარის მიუხედავად, იძულებით წაგვრით. მსგავის სახის მოტაცების ფორმა იშვიათია. მკვლევარ ნანა აბულაძეს აღნიშნული აქვს ქალის დანიშვნის ფორმა ტყვიის გამოყენებით (აბულაძე 2017, 13). იარაღის შემადგენელი ნაწილის – ტყვიის ფიგურირება ნიშნობაში ქალის დათავისების, უპირატესობის გამოხატულება ისტორიულადაც ყოფილა. „პატარა სასძლოს ტყვიას სასთუმალთან უდებდნენ. ტყვია იხმარებოდა ქალის მოზრდილ ასაკში დანიშვნის დროსაც“ (აბულაძე 2017, 28). ჩვენ ჩავიწერეთ რამდენიმე შემთხვევა ქალის მოტაცებისა ქუჩიდან, მომტაცებელთა მხრიდან იძულებით ავტომანქანაში ჩასმა და ნათესავთან გადამალვა. ამ სახის მოტაცებაში მონაწილეობდნენ ვაჟის ნათესავები და მეგობრები. ნუგზარ ანთელავა აღნიშნავს მომტაცებელთა დაქირავების შემთხვევებებსაც (ანთელავა 2005: 80). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, 1990-იან წლებში ჩვენ მომტაცებელთა დაქირავების შემთხვევა არ დაგვიფიქსირებია.

მოტაცების მეორე ფორმაა – „გინოტყურაფა“ ან „გითოტყურაფა“ ანუ, ქალის გატყუება ოჯახიდან „მოსყიდულის“ მეშვეობით. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს საცოლედ არჩეულის ნათესავი ან მეგობარი. ქალის გატყუება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილიდან ხდება „მოსყიდული“ ადამიანის მეშვეობით, ზედმეტი ხმაურისა და შეხლა-შემოხლის გარეშე. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ამ სახის

მოტაცების ფორმა გავრცელებული იყო პოსტსაბჭოთა პერიოდში. დღეს წყვილთა ნაწილი სწორედ ამ სახით მოტაცების შედეგადაა დაოჯახებული.

ჩვენ დავაფიქსირეთ ასევე „გითოტყობუა“ (გაპარვის) ფორმა, როდესაც მოტაცება ხდებოდა საცოლესთან შეთანხმებით. ამ შემთხვევაში მშობლები უარობდნენ ქალის გათხოვებას კონკრეტულ მამაკაცზე და ქალი მომტაცებელთან შეთანხმებით, გაიპარებოდა და მომტაცებელი მას ახლო ნათესავთან გადამალავდა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ამ სახით დაქორწინება ბოლო დრომდე ხდებოდა. დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა, როცა ქალები მშობლებითვის არასასურველ მამაკაცზე თხოვდებიან „გინოტყობუას“ გზით. თანამედროვე პერიოდშიც იშვიათად, მაგრამ მიმართავენ ოჯახის შექმნის მიზნით „გინოტყობუას“ ფორმას.

ჩვენ დავაფიქსირეთ „რჩქინელი ხვამილაფას“ (წინასწარ გამოცხადებული, ცნობილი მოტაცება) მაგალითებიც. ამ შემთხვევაში ორივე მხარემ იცოდა მოტაცების შესახებ. მკვლევარი ნ. ანთელავა ამ მოტაცების მიზეზად ხარჯების თავიდან აცილებას ასახელებს, თუმცა „რჩქინელი ხვამილაფას“ შემთხვევები, რომლებიც პოსტსაბჭოთა პერიოდში დაფიქსირდა საკვლევ მუნიციპალიტეტში, საქორწილო ხარჯების აცილების მიზნით არ მომხდარა. ისე როგორც სხვა შემთხვევაში, ქორწილი, მზითვეი და სხვა ვალდებულებები, რაც სოციალური ფუნქციის ჩვეულებაა, შესრულდა.

რაც შეეხება მეოთხე ფორმას – „ფიოშით ხვამილაფა“ „ფიოშით ცუნაფა“ (ფიოშით მოტაცება, ფიოშით წაყვანა), რომელიც ფეოდალის უარითაა გამოწვეული და წყვილის ამ უკანასკნელისგან გაქცევას და სხვა ფეოდალთან მიკედლებას გულისხმობდა, რა თქმა უნდა, პოსტსაბჭოთა პერიოდში არ ფიქსირდება, რადგან ეს ფორმა მოტაცებისა ფეოდალურ სამეგრელოშია დაფიქსირებული და მას არათუ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ საბჭოთა სივრცეშიც ვერ შევხვდებოდით.

მოტაცების გზით ქალის ცოლად შერთვის მიზეზი 1990-იან წლებში ხშირად იყო ქალის ოჯახის წინააღმდეგობა: ძირითადად ვაჟის ოჯახის დაწუნება მატერიალური კეთილდღეობის, საზოგადოებაში ვაჟის ღირსეული სახელის არქონის გამო, წარსულში ვაჟისა და ქალის მშობლების, ან ოჯახების უთანხმოება. ისტორიულადაც, როგორც მ. ბექაია აღნიშნავს, „საქორწილო წყვილის შერჩევა მთელი სერიოზულობით ხდებოდა. პიროვნების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან პირველ რიგისად მიიჩნეოდა პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, უფროსებისადმი

პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა და კარგი გარეგნობა – და მაინც წინათ საქორწინო წყვილის შერჩევისას მთავარი იყო ოჯახების ავკარგიანობა, ჩამომავლობის პატიოსნება და ჯანმრთელობა“ (ბექაია 1981: 29).

დღეს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ სანათესაო წრეს, რამდენად ძლიერია ოჯახი და როგორი მყარი და შეკრულია მისი სანათესაო წრე. ორივე მხარე, ქალის და ვაჟის ოჯახები დაინტერესებულნი არიან სოციალურად ძლიერი და საზოგადოებაში მიღებული სანათესაო წრის არსებობით. ქალის ოჯახის მხრიდან ვაჟის დაწუნების ერთ-ერთი მიზეზი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, პოსტაბჭოთა პერიოდში სწორედ მისი სანათესაო წრეც შეიძლება ყოფილიყო, რაც ხდებოდა მიზეზი ქალის მოტაცებისა. მოტაცებული ქალი ვაჟს მიყავდა მატერიალურად შეძლებული ნათესავის ოჯახში. ასეთი ნათესავის სახლში მიჰყავდათ შეთანხმებით დაქორწინებულიც. ახალდაქორწინებულები ნათესავის სახლში ქორწილამდე რჩებოდნენ. სამურზაყანოში ამ ტრადიციას ერქვა „განშე დოხუნაფა“ – სხვაგან დასმა (ხარჩილავა 2005, 61). ის ოჯახი, სადაც მომტაცებული ქალს წაიყვანდა, არასოდეს არ იყო იმ სოფელში, საიდანაც ქალი გაიტაცეს; ამით ცდილობდნენ მშობლებისთვის ხელი შეეშალათ, მიეგნო მოტაცებულისთვის. 1990-იან წლებში კომუნიკაცია რთული იყო, მობილური ტელეფონები და ინტერნეტი არ არსებობდა, ამიტომ მოტაცებულ ქალს მშობლები და მისი ნათესავები იოლად ვერ მიაგნებდნენ.

ამჟამად ქალის მოტაცება აღარ ხდება. სამართალდარღვევისა და შესაბამისი სასჯელის თავიდან აცილების მიზეზით, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების გამო მოტაცებით ცოლს არ ირთავენ. ახალი თაობისთვის მიუღებელი გახდა ქალის მოტაცება და რაიმე სახის იძულება ცოლად შერთვის მიზნით.

ოჯახის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი იყო „მინოხუნაფა“. პოსტაბჭოთა პერიოდში ქალის ცოლად მოყვანა იშვიათად ხდებოდა მორალური იძულების გზით, რაშიც იგულისხმება – „მინოხუნაფა“ (დასმა): „მშობლების მიერ მორალურად ხელყოფილი ქალიშვილის მიყვანა პატივამყრელის ოჯახში, რის შედეგადაც ის ამ უკანასკნელის ცოლი ხდებოდა“ (ანთელავა 2005: 101). ოჯახის შექმნის კიდევ ერთი ფორმა იყო „დოხუნა“ (დასმა) – ქალის მისვლა ვაჟის სახლში და თავის გამოცხადება ოჯახის რძლად. ჩვენ ეს ფორმა პოსტაბჭოთა პერიოდში არ დაგვიფიქსირებია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, პოსტსაბჭოთა პერიოდში, ისევე როგორც საბჭოთა დროს, არსებობს მზითვის ინსტიტუტი. მზითევი ქორწინებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი იყო საბჭოთა დრომდე. ძველ დროში ქალის გამზითვებასთან დაკავშირებით ნანა აბულაძე აღნიშნავს, რომ „მეგრული ჩვეულებით, ქალიშვილის დედებს, შვილი ათი წლის რომ გაუხდებოდათ, ბატებს უყიდნენ და ამწყემსვინებდნენ. ისინიც ფრინველს დილით ადრე მირეკავდნენ წყლის პირას და საღამოს უკან გამორეკავდნენ, ასე რომ, ყველა გლეხის ქალი თავის სამზითვო ქვეშაგების სამზადისს ადრიდანვე იწყებდა. ყველა ოჯახი როდი ახერხებდა ამას, ამიტომაც იდგა მზითვის საკითხი ასე მტკივნეულად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეგრული შაირი: „ძღაბი ჯგირი ვორექ მარა, ბზითი მუთა მაპალუუ“ (გოგო კარგი ვარ, მაგრამ მზითევი არ გამაჩნიაო)“ (აბულაძე 2019: 81). აღსანიშნავია, რომ ბატის ბუმბულისგან ქვეშაგებს ამზადებდნენ, რომელიც მზითვის ნაწილი ხდებოდა და ბატების მწყემსვაც ბავშვობიდანვე ამ ფუნქციით ხდებოდა – გოგონას თავისი მზითევი ადრიდანვე უნდა მოემზადებინა.

სამეგრელოში სიძეს ევალეობოდა საპატარძლოს მამისთვის მიეტანა ძვირფასი საჩუქრები, რათა ქალი ცოლად წაეყვანა (ლამბერტი 1938: 82). ამიტომ, ქალის ოჯახიც დაინტერესებული იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი ვაჟისთვის დაეკავშირებინა ქალიშვილის ბედი. ს. მაკალათიას ცნობით, „ძველად სამეგრელოში ცოდნიათ ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნა, რასაც „ონწეში იკოდგუმა“-ს უწოდებდნენ. მას აწყობდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლებს ერთმანეთის ხათრი და სიყვარული ჰქონდათ და სურდათ დანათესაება“ (მაკალათია 2017: 4)

ქორწინების ერთ-ერთი გავრცელებული წინაპირობა სამეგრელოში გარიგებით ქორწინება იყო. მკვლევარი ნანა აბულაძე გარიგებით ქორწინებასა და მაჭანკლის ინსტიტუტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ქორწინების წინაპირობები შეცვალა დრომ. მაჭანკალმა დაკარგა ფუნქცია და ძირი შეერყა გარიგებით ქორწინებას, რის შედეგადაც მზითვი, ანუ ვაჟის მატერიალური დაინტერესება, უკანა პლანზე გადავიდა. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიყვარულს და ახალგაზრდები შინაგანი სამყაროს კარნახით ქმნიან ოჯახებს (აბულაძე 2019: 82). ველზე შეკრებილი მასალის მიხედვით, დღეს ოჯახის შექმნისას წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მატერიალურ მდგომარეობას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. მზითევი სხვა

დანიშნულებით დღესაც არსებობს; მზითვის სახეები დადგენილი არაა და დამოკიდებულია ოჯახის შესაძლებლობებსა და სურვილზე. ქალის ოჯახს გათხოვილ შვილთან მიაქვს გარკვეული სახის საყოფაცხოვრებო ნივთები. გათხოვილ ქალიშვილს მშობლები უძრავ ქონებასაც ჩუქნიან. სურვილის მიუხედავად, სოფლებში ახალდაქორწინებული წყვილის დამოუკიდებელ ოჯახად, ცალკე ცხოვრების შესაძლებლობა ნაკლებია. შესაბამისად, ისინი უფროს თაობასთან ერთად ცხოვრობენ, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს დასახლების ფორმა და საცხოვრებელი სახლების ტიპი. დიდ კარმიდამოში, თანამედროვე სახლებში არაა რთული რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრება.

ქორწილის მნიშვნელოვანი ნაწილი – საქორწილო სუფრა სამეგრელოში, ისევე როგორც სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, მასშტაბურობით ხასიათდება.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქორწილო სუფრა განსხვავდება გვიანფეოდალური პერიოდის წვეულებისგან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ხანიდან მაღალი სოციალური წრის შესახებ მოგვეპოვება ინფორმაცია, ხოლო გვიანფეოდალური ხანიდან დაბალი ფენის შესახებაც გვაქვს ცნობები.¹⁸

XVII საუკუნეში მოღვაწე იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი მეგრული საქორწილო სუფრის მასშტაბებთან დაკავშირებით წერს, რომ „როცა სასიძო-სარძლო ქორწინების ასაკში მოვლენ, აცნობებენ ყველა მეგობრებს და ნათესავებს და დანიშნავენ ქორწინების დღეს. ყველა ცდილობს, რომ ქორწილში დიდი ამბით გამოცხადდეს და მრავალი მხლებელი ჰყვანდეს“ (ლამბერტი, 1938, 85). მისივე ცნობით, როდესაც ეკლესიაში ჯვრისწერა დასრულდებოდა „ყველანი დიდი სიამოვნებით და სიხარულით მიდიან სახლში, რათა დიდი ნადიმი გადაიხადონ. ყველანი დასხდებიან. კაცები ერთ მხარეზე და ქალები – მეორეზე. მეფე-დედოფალი დასხდებიან გამოჩენილ და საპატიო ადგილზე: მეფე კაცების მხრით და დედოფალი ქალების მხრით. ჩვეულებრივ აგრე გაატარებენ მთელ ღამეს ჭამაში, სმაში და სიმღერაში“ (ლამბერტი 1938: 86). მართალია, ლამბერტი ზუსტ ან დაახლოებით

¹⁸ შუა საუკუნეებში ლხინის და სხვადასხვა სახის სუფრების მოწყობასთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ სტატია N. Phiphia, K. Tsiminitia. Commensality in the Age of David Agmashenebeli and Queen Tamar. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XVII, თბილისი, 2021, გვ. 354-360

რიცხვს არ ასახელებს სტუმრების რაოდენობისა, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ მეგრელები ქორწილში „მრავალი მხლებელის“ ყოლას ცდილობდნენ.

მოგზაური ჟან შარდენი, მეგრელთა საქორწილო სუფრასთან დაკავშირებით წერს, რომ მეგრელები სუფრას „უსხდებიან თავიანთი რანგის მიხედვით. სვამენ, ჭამენ, მღერიან და ასე ლხენით ატარებენ მთელ დღეს და შემდეგ ღამეს, ვიდრე ისე არ დათვრებიან, რომ დამჯდარნიც ვეღარ იკავებენ თავს. ჩვეულებრივად საქორწინო ლხინი გრძელდება სამი ან ოთხი დღე“ (შარდენი 1975: 175).

დასავლეთ საქართველოში, სხვადასხვა კუთხეში არსებული ტრადიციის მიხედვით შესაძლებელია საერთო სურათის აღდგენა, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო საქორწილო სუფრა სამეგრელოში. ეთნოგრაფიული ჩანაწერებით, ლეჩხუმში „ქორწილში აუცილებლად იმართებოდა ღვინის სმაში შეჯიბრი. სასიძოს და საპატარძლოს მაყრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. დიდი სახელი იყო თუ თამადის მოადგილე თამადაზე მეტს დალევდა, მას საჩუქრად გოჭის თავს აძლევდნენ“ (მამარდაშვილი 2006: 29). წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ქორწილის სუფრაზე სმაში შეჯიბრება დღესაც იციან. გამარჯვებულ მსმელს, თამადას ან მის მოადგილეს თხას ჩუქნიან. სასაჩუქრე ძღვნად თხის გამოყენება სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგის – მეთხევეობის განვითარებით არის გამოწვეული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქებშიც (წალენჯიხა, ჯვარი) ქორწილის სუფრა დიდი მასშტაბით ტარდება. ასე იყო საბჭოთა დროს და საბჭოთა პერიოდამდეც. შეიძლება ითქვას, რომ საქორწილო სუფრის მასშტაბი პოსტსაბჭოთა პერიოდშიც არ შეცვლილა. 21-ე საუკუნეში საქორწილო წვეულების სტუმრების რაოდენობის ცოტათი შემცირება შეიმჩნევა, რასაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს.

თედო სახოკიაც აღნიშნავს, რომ „მეგრელი ცდილობს, რაც შეიძლება დიდის ამბით და ზეიმით გადაიხადოს ქორწილი. ამისთვის არ ზოგავს არც ხარჯსა და აღარც შრომას. მეგრულ ქორწილში, სულ უკანასკნელი, 100-200 კაცი იყრიდა თავს. ქორწილში მსახურთა როლებს მეზობლები კისრულობენ და, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ“ (სახოკია 1956, 90). ეს უნდა ასახავდეს საბჭოთამდელ და ადრეულ საბჭოთა კავშირში არსებულ რეალობას.

ეთნოგრაფიულ ველზე ჩაწერილი ერთი ისტორია, რომელიც „ბუხუიაშ დიარას“ (ბუხუიას სუფრის) სახელწოდებითაა ცნობილი, სწორედ დიდმასშტაბიან ქორწილზე მიუთითებს. საბჭოთა მმართველობის დამყარებამდე, მაშინდელი სტატუსით სოფელ ლექარდეში, ლემანიეს უბანში ბუხუია მანიას გადაუხდია ხალხმრავალი ქორწილი – „დიარა“. ინფორმანტთა თქმით, საქორწილო სუფრაზე „გამვლელ-გამომვლელსაც“ ეპატიუებოდნენ. მასპინძელი ბუხუია სტუმრებს ჯიხვის ხორციტ გამასპინძლებია. ქორწილი რამდენიმე დღე გაგრძელდებოდა.¹⁹ ბუხუია მანიას მასშტაბური და ძვირფასი „დიარას“ – სუფრის შესახებ დღესაც არსებობს ინფორმაცია – იგი არამხოლოდ შთამომავლებმა, არამედ კოლექტიურმა მეხსიერებამაც შემოინახა. ჯვარში დიდი სუფრის სინონიმად იყენებენ ფრაზას – „ბუხუიაშ დიარას“, ხოლო დიდი სუფრის დასასრულის აღსანიშნავად იტყვიან ხოლმე: „გეთუუა ბუხუიაშ დიარაქ“ (დამთავრდაო ბუხუიას სუფრა).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში დიდმასშტაბიანი ქორწილები საბჭოთა პერიოდშიც ხდებოდა. პრესაში იბეჭდებოდა სტატიები ხალხმრავალ ქორწილებსა და ქელებზე. ადგილობრივ გაზეთში – „კომუნიზმის დროში“ გამოქვეყნებულ წერილებში დაგმობილი იყო ფართომასშტაბიანი ქორწილები. 1970 წელს გაზეთში „კომუნიზმის დროში“ გამოქვეყნდა უცნობი ავტორის სტატია სახელწოდებით: ეს კულტურაა თუ უკულტურობა? ტექსტი ასეთია:

„ქართველი ხალხი ოდითგანვე განთქმულია პურმარილიანობით, სტუმარ-მოყვარეობით, საქორწილო და სხვა წეს-ჩვეულებათა სიღამაზით. მაგრამ, იმას რასაც შევხვდებით ჩვენს ახლანდელ ქორწილებში, საერთო არ აქვს ჩვენი ერის საუკუნივან ტრადიციასთან. მინდა მოგიტხროთ ერთ ქორწილზე, რომელზეც დასწრება მომიხდა. იგი ჩატარდა ერთ ოჯახში რომელიც მეზობლებში კულტურულად ითვლება. ამ ქორწილზე იმიტომაც მინდა მოგიტხროთ, რომ ჩვენში, ახლა ყველა ქორწილი ასე ტარდება.

შემოდგომის ღამე იყო. 700 ადგილიანი სეფა 170 მეტრზე გადაეჭიმათ. ეზოში უამრავი მეზობელი ფუსფუსებდა. ისინი „მომსახურენი“ იყვნენ. „ყველაფერი რიგზეა“ – ამბობდნენ ისინი, მაგრამ მასპინძელი რომელიც დიდიხანი ემზადებოდა ამ ამბისათვის, მაინც ნერვიულობდა.

დილას როცა მზე თოხისტარზე იყო, დამთავრდა სმა. ვიცი, მოიგო თამადამ. თამადას სამიოდე კაცი მიათრევდა. უარეს დღეში იყვნენ მისი მოადგილეები. მეორე დღეს ხმა გავარდა, რომ

¹⁹ ამის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული აქვს გვანჯი მანიას. იხ. მანია გ. კარლო მანია „ბუხუიაშ დიარა“. გამომცემლობა „მაგანა“ ქ. ჯვარი ძაბიას ქ. #1. სტამბა შპს „აბევეა“, სანკტ-პეტერბურგი 2017.

მასპინძელს საჩუქრის სახით შვიდი ათასი მანეთი მოსვლიათ. ამბობენ, ახლო ნათესავთა და მეგობართა მცირერიცხოვანი წვეულება უფრო კარგი და სასიამოვნოა, ვიდრე ხუთასკაციანი ქორწილები, მაგრამ ზოგიერთი მას იმისთვის მართავს, რომ ფული დააგროვონ“. ავტორი ამ მიზნით ქორწილის ღრეობისთვის დამსგავსებას ამორალურად მიიჩნევს და სტატიას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ეს ხომ იგივე მათხოვრობაა! ნუთუ ეს არის ჩვენი ტრადიცია?“ („კომუნიზმის დროში“ 1970, #37).

სტატიაში ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, საბჭოთა დროს, დიდი მასშტაბით გამართულ საქორწილო წვეულებისა და სუფრაზე მოქცევის წესებისადმი. მართლაც, საბჭოთა დროს ქორწილებში სტუმრების რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ ამის მიზეზი დრო, ეპოქის შეცვლა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა გახდა.

ადგილობრივ გაზეთში ქვეყნდებოდა სტატიები ხალხმრავალ ქელებზეც: „ქელები ქორწილს დავამსგავსეთ. არიქა სტუმარი მოდის, ტოლუმბაში ვინ არისო, – გაიძახიან. ჩვენს წინაპრებს კარგად ქონდათ ეს საქმე მოგვარებული. ქელები ასე გადაჭარბებული არ იცოდნენ“ (მანია 1960: #101).

1976 წელს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ სხვა მანკიერებებთან ერთად, ბრძოლა გამოუცხადა „წარსულის გადმონაშთებს“ 1975 წელს მიღებული დადგენილების „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საფუძველზე. ხელისუფლებამ აკრძალა ხალხმრავალი ქორწილები, ჭირის სუფრები – ქელები და სხვა (შველიძე 2021: 276). ამის წინაპირობა და გამოძახილი იყო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გაზეთში ხალხმრავალ ქორწილებთან და ქელებთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც არ ითვალისწინებდა ქორწილში სტუმართა რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებულ მითითებებსა და მოწოდებებს. საბჭოთა დროს სტუმართა რაოდენობის ზრდას განაპირობებდა სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ადამიანების დასაქმება, ხალხმრავალი შრომითი კოლექტივების შექმნა და ამით გამოწვეული სანაცნობო-სამეგობრო წრის ზრდა.

პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ქორწილის სუფრა დიდმასშტაბიანია. სტუმრების რაოდენობა 200-დან 400-500 კაცამდე მერყეობს, რაც დამოკიდებულია სანათესაო და

სამეგობრო წრის სიდიდესა და ურთიერთობებზე. ეთნოგრაფიული გამოკითხვით, 1990-იან წლებში დაფიქსირდა 700 და 900 კაციანი ქორწილებიც. უკანასკნელ პერიოდში კი ძირითადად 200-300 კაციანი სუფრები იშლება. 1990-იან წლებში და 2000-იანების დასაწყისში, მიუხედავად ეკონომიკური სიდუჭირისა, ოჯახები დიდ საქორწილო წვეულებას მართავდნენ. ბოლო პერიოდში პანდემიამ და კორონა ვირუსის გავრცელებამ შეაფერხა დიდმასშტაბიანი სუფრები. პანდემიის პერიოდში კანონი ითვალისწინებდა ადამიანთა შეკრების შეზღუდულ რაოდენობას. თუმცა, პანდემიის დასრულების და შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, კვლავ იმართება ხალხმრავალი ქორწილები.

ტრადიციულად და დღესაც, საქართველოში ქორწილთან დაკავშირებული პურობები „პიროვნების ცხოვრებაში დიდი დღესასწაულის იერს ატარებდა. ამ სუფრაზე ხდებოდა მექორწინეთა ნათესავების და ახლობლების ორი კოლექტივის გაცნობა-დაახლოება. ეს ის წრეა, რომელიც შემდეგ ქმნის საზოგადოებრივ აზრს კონკრეტული ოჯახის შესახებ“ (ბექაია 1980: 161). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის საქორწილო სუფრას უდიდესი ფუნქცია აქვს. აქ ერთმანეთს იცნობენ ნეფე-დედოფლის უახლოესი ადამიანები და იზიარებენ ახლადშექმნილი ოჯახის ბედნიერებას, ერთობიან, მხიარულობენ, ისვენებენ.

საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც, დაახლოებით 2010-იან წლებამდე, საქორწილო სუფრები „სეფაში“ იმართებოდა. უკანასკნელ ხანებში, საბანკეტო დარბაზების და რესტორნების ქსელის შექმნამ გაამარტივა სუფრების გაშლისათვის საჭირო რესურსების მოპოვება. ოჯახის წევრები, მეზობლები, რომლებსაც ტრადიციულად, ევალეობდათ მოემზადებინათ საქორწილო სუფრისთვის საჭირო კერძები და უზრუნველყოთ ესთეტიური მხარე, სხვა სტუმრებთან ერთად, თავს იყრიან კეთილმოწყობილ დარბაზებში. თანამედროვე პერიოდში სტუმრებს ეპატიჟებიან მოსაწვევი ბარათებით ან მიმპატიჟებლის, ახლობელი, ძირითადად მამაკაცის, გაგზავნით დასაპატიჟებელ ადამიანთან (მეგრული გამოთქმაა ასეთი: „ორაგადმა მი გუტეს“? (სათქმელად ვინ გაუშვებს?). ბოლო წლებში ქორწილში იწვევენ კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით (ტელეფონით, Facebook-ის მეშვეობით gif-ების და პოსტერების გაგზავნით და ა.შ.).

ქორწილში, ისევე როგორც ქელებში, ნათესავებმა საბჭოთა დრომდე, საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც იცოდნენ და იციან ფინანსური შემწეობა. დახმარება არც ძველ დროში ყოფილა უცხო, ვალდებულებაც კი იყო. ტრადიციული საქორწილო ეკონომიკური ვალდებულებები ვრცლად განხილული აქვს ნუგზარ ანთელავას (ანთელავა 2005, 141).

საბჭოთა კავშირის დამყარების შემდეგ ზოგიერთმა ტრადიციულმა საოჯახო და საქორწინო ჩვევამ, რომელიც ქორწილის შემდეგ სრულდებოდა, ნელ-ნელა დაკარგა ყოფაში აქტიური გამოყენების ფუნქცია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალეში დავაფიქსირეთ რიტუალი, რომელიც დაკავშირებულია პატარძლის, როგორც ოჯახის ახალი წევრის ამავე ოჯახის მიცვალებულისთვის პატივის მიგებასთან. რიტუალი ტრადიციულ ჩვევებს ეხება და პოსტსაბჭოთა პერიოდში არ სრულდება.

გარდაცვლილთა სულებზე ზრუნვას საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და მათ წყალობას, შემწეობას სთხოვდნენ. სამცხე-ჯავახეთში წესად იყო „თუკი პურის ცხობის პროცესს ვინმე უცხო შეესწრებოდა, ან პურის წაღების დროს გზაში ვინმე შეხვდებოდა ადამიანს, შემხვედრს აუცილებლად ახალგამომცხვარ პურს მიაწვდიდნენ. თუ ეს უკანასკნელი იუარებდა პურის აღებას, პურის წამლები ან მცხოვრები იუკადრისებდა და ამბობდა: „ჩვენ ხომ მკვდრის პატრონები ვართ, აიღე, დაგვლოცეო“. ამის შემდეგ უარი როგორღა შეიძლებოდა. კაცი იძულებული იყო ახალი გამომცხვარი პური აეღო და მიმწოდებლის მიცვალებულისთვის შენდობა ეთქვა“ (ხოსიტაშვილი 1983: 131).

ქორწილის შემდგომ პერიოდში, მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალები საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში სრულდება. ეს იმდენად გავრცელებული ტრადიცია ყოფილა, რომ ვანო ხაჯაბეგოვს დახატული აქვს ნეფის ცეკვა მამის საფლავზე (თოფჩიშვილი, გვიმრაძე 2017: 221). წინაპართა საფლავზე პატარძლის გაყვანა იცოდნენ როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც.

საქორწილო ცერემონიალში დიდი ადგილი ეკავა ნაყოფიერება-ბარაქიანობასთან დაკავშირებულ რიტუალებს. მასში პატარძლის როლი მთავარი იყო სიძის ოჯახში შესვლისას. მაგალითად, კახეთში პატარძალს ნეფის ოჯახში შესვლისთანავე შეიყვანდნენ მარანში და ღვინოს დააღვინებდნენ, თუშეთში კი

„პატარძალი შეჰყავთ „საფუარში“, სადაც ლუდი ან კოდი იდგა. იქვე დაკლავენ საკლავს (ცხვარს) და პატარძალს დაალოცინებენ სუფრას“ (მაჩაბელი 1978: 110).

ქორწინების დროს მიცვალებულისთვის განსაკუთრებული პატივის მიგების ფაქტი ფიქსირდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტშიც. სოფელ ჭალეში მცხოვრები 104 წლის ინფორმანტის, ნელი ეგნატეს ასულ ქუხილავას თქმით, ქმრის ოჯახში შესვლის დღეს დედამთილმა ოჯახის მიცვალებულების სულის მოსახსენებლად სანთელი და საკმეველი დაანთებინა²⁰.

მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალები ხშირად ნაყოფიერებასთან, ოჯახის კეთილდღეობასთან არის კავშირში. სოფელ ჭალეში ჩაწერილი რიტუალი, ჩვენი აზრით, წარსულში არსებული რწმენა-წარმოდგენების ნაშთია. ის შესაძლოა იყოს კერის შემოვლის ფუნქციის ერთ-ერთი სახეცვლილი წესი, რომელიც გამრავლებასთან და ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული. ეს რიტუალი, ჩვენი აზრით, სინთეზია წინარექრისტიანული და ქრისტიანული წესებისა. დღეს მსგავსი რიტუალი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში და სამეგრელოს სხვა ადგილებში არ ფიქსირდება. თუმცა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩაწერილი მასალის მიხედვით, თანამედროვე ყოფაში, თუკი პატარძალს ქორწილის შემდეგ ახალ ოჯახში შესვლისას, პირველად მიცვალებულთან დაკავშირებულ სუფრაზე მოუწევს წასვლა, კარგის ნიშანია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ოჯახის შექმასთან დაკავშირებული სამივე ეტაპი, წინასაქორწინო, ქორწილი და ქორწილის შემდგომი პერიოდი და მასთან დაკავშირებული რიტუალები, პოსტსაბჭოთა პერიოდში სრულიად განსხვავებულია ძველ დროსთან შედარებით. თანამედროვე ყოფამ, ცხოვრების დონის ამაღლებამ, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ, გამარტივებულმა კომუნიკაციამ განაპირობა ისტორიულად არსებული რწმენისა და წარმოდგენების გაქრობა. ამაში დიდი როლი შეასრულა მართლმადიდებელურმა ეკლესიამ. დღეს ქორწილთან დაკავშირებული რიტუალები ქრისტიანული წესების დაცვით ეკლესიაში სრულდება. ქორწილის მოწყობის ფორმა ინდივიდუალურია და მორგებულია თანამედროვეობას.

²⁰ რიტუალი აღწერილია დისერტაციაში მიცვალებულთან დაკავშირებულ საკითში.

თავი VI. დღეობები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში

ხალხურ დღეობებს დიდი ადგილი უჭირავთ ერის სულიერ კულტურაში. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში კანონიკური ქრისტიანული დღესასწაულების გარდა აღინიშნებოდა და დღესაც აღინიშნება ხალხური დღეობები. ბევრი ქრისტიანული დღეობის აღნიშვნის ფორმა და რიტუალი გახალხურებულია. სამეგრელოში იცოდნენ საჯარო და საოჯახო ღოცვების შესრულება.

ქართული ხალხური დღესასწაულები, *„როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ეროვნული ენერგიისა და ხალხის შემოქმედებითი უნარის გამოხატულებაა“* (რუხაძე 1980: 3), ამიტომაც მათი შესწავლა მნიშვნელოვანია. ეთნოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლინდება ეთნოსის კულტურული ღირებულებები. კვლევის მიზანია სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ხალხური დღესასწაულების შესწავლა, პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებული დღესასწაულების დაფიქსირება და ადამიანების ყოფაში მათი როლის გაანალიზება. კვლევა ჩატარებულია გამოკითხვის მეთოდით, ზოგჯერ, მონაწილე დაკვირვების მეთოდის გამოყენებით. სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო მონაცემების გაანალიზებით, შედარების მეთოდის გამოყენებით ვეცადეთ, გაგვეანალიზებინა პოსტსაბჭოთა პერიოდში დღეობების მნიშვნელობა სოციალურ ცხოვრებაში.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქებსა და სოფლებში საუკუნეების განმავლობაში აღინიშნებოდა კანონიკური ქრისტიანული დღესასწაულები და ხალხური დღეობები. რეგიონული მნიშვნელობის დღესასწაულები ტარდებოდა ჯვარის წმინდა გიორგისა და წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრებში, სადაც ჩადიდდნენ მლოცველები სამეგრელოს სხვა ადგილებიდან, ლეჩხუმ-სვანეთიდან, გურია-იმერეთიდან, აფხაზეთიდან.

საბჭოთა პერიოდში ხელისუფლებამ გააუქმა ეკლესია-მონასტრები, აიკრძალა რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. ქრისტიანულ ნათლობების ნაცვლად ტარდებოდა „კომუნისტური, კომკავშირული ნათლობები“, როდესაც ახალშობილთ პარტიული, რევოლუციური ბელადების სახელებს არქმევდნენ. გაჩნდა ისეთი პირსახელები, როგორიცაა: „ავრორა“, „კოლექტივიზაცია“, „ლესტანი“, „მელსი“ და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ, რომლითაც ისედაც აკრძალულ რელიგიურ დღესასწაულებთან ერთად, მკვეთრად შეიზღუდა ხალხმრავალი ქორწილებისა და ქელებების ჩატარება (შველიძე 2021: 276). ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხმრავალ ქორწილში მონაწილეობის გამო დაუსჯიათ პატარძალი.

აღსანიშნავია, რომ დღესასწაულების მასშტაბების შეზღუდვა საბჭოთამდელ პერიოდამდეც ხდებოდა, რის შესახებაც XX საუკუნის დასაწყისიდან ინფორმაციები იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

1915 წელს გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორს მღვდელმა ამბაკო ჯავახიამ სოფელ ნახურცილავოს მცხოვრებთა სურვილით მისწერა წერილი: *„უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის რომელიმე მახლობელ ნომერში მოგვითავსოთ შემდეგი განცხადება: - ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ სული წმინდის მოფენის დღესასწაული (აღდგომის ორმოცდამეათე დღეს), რომლის დღესასწაულობაც იცოდნენ სოფ. ნახურცილოუს მცხოვრებთ თავის განაჩენით, 8 ივლისიდან 1914 წლისა მოსპეს, რომელთა მონდომებითაც ვაცხადებ, ხსენებულ დღეს მათ არავითარი დღეობა არ ექნებათ“* (ჯავახია 1915: 4).

ამავე გაზეთში 1915 წელს გამოქვეყნდა იმერეთის სოფელ მუხურას მცხოვრებთა სურვილი დღეობის გაუქმებაზე: *„ს. მუხურაში (იმერეთის მაზრა) ვიცით ოთხი კაი დღე: ტეხისობა, ოქონობა, გიორგობა და ამაღლება, მაგრამ ვინაიდან წელს ქვეყნიერება ომის ალშია გახვეული, რის წყალობითაც ოჯახს ვერ შევხვდებით, რომ მწუხარება არ იყოს შეპყრობილი, კაი დღის ხარჯებს ზარალისა და ხალხის ნივთიერი დაქვეითების მეტი არა მოაქვს რა, ამისთვის ამ სოფლის სამი ეკლესიის მრევლმა, 29 მარტს ყრილობაზე ერთბაშად გადასწყვიტა, რომ ზემოთ აღნიშნულს კაი დღეების ხარჯებს თავი გაანებოს და არავითარი მზადება არ იქონიოს. ს. მუხურას სამი ეკლესიის მრევლის მინდობით მღვდელი გალ. აბესაძე“* (აბესაძე 1915: 4). იმ დროს ასეთი განცხადებები ხშირად ქვეყნდებოდა.

როგორც ირკვევა, დღეობების ფართოდ აღნიშვნის შეზღუდვა საბჭოთა პერიოდამდე დაწყებულია და ამისი მიზეზი მატერიალური და პოლიტიკური ვითარებაც ყოფილა.

XX საუკუნეში დღესასწაულების აღნიშვნის შემცირების სხვა მიზეზებიც შეიძლება დავასახელოთ. ერთ-ერთი ასეთი მიზეზია არატრადიციული ხალხმრავალი დასახლებების, სამრეწველო ცენტრების, დაბების, ქალაქების შექმნა-ჩამოყალიბება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამის მაგალითებია ენგურჰესის მშენებლობა, ქალაქების, ჯვარის და წალენჯიხის ფორმირება. დასახლებების სტატუსის ცვლილებასთან ერთად, კონკრეტულად ურბანულ ცენტრად გახდომასთან დაკავშირებით, მოსახლეობას გაუჩნდა დეროგაციული დამოკიდებულება ხალხური დღეობებისადმი, რაც საბჭოთა ხელისუფლების გავლენით კიდევ უფრო გაძლიერდა.

სამეგრელოში ნებისმიერ რიტუალს, რომელიც უფლის, ღვთაების, წმინდანის ან ადამიანის მიმართ სრულდება და შეიცავს ლოცვის ელემენტებს ეწოდება „ხვამა“, რაც იგივე ლოცვაა/გამოლოცვაა. *მეგრული ლოცვის ერთ-ერთი სახეა „დუნაპირი“/დაპირებული, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ დათქმულის, შეპირებულის შესრულებასთან. „დუნაპირს“ ასრულებდა როგორც ერთი ადამიანი, ოჯახი, ასევე გვარი და მთელი სოფელიც* (ფიფია, ციმინტია 2017: 429). წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩაწერილი მასალის მიხედვით, გამოვყავით რამდენიმე სახის „ხვამა“ ანუ ლოცვა. ესენია: 1. კალენდარული/ყოველწლიური საოჯახო „ხვამა“; 2. „დუნაპირი“, ანუ დანაპირები, რომელსაც აღნიშნავს ცალკეული ოჯახი, სანათესაო, ან ერთი საერთო საქმის შემსრულებელ ადამიანთა ჯგუფი; 3. გვარის ან თემის „ხვამა“.

მეგრული ხალხური კალენდარული დღეობები ძირითადად ქრისტიანულ კალენდარულ დღეობებს ემთხვეოდა. ოჯახები სხვადასხვა საჭიროებისთვის ატარებდნენ ლოცვებს, ღმერთს, ამა თუ იმ ღვთაებას, წმინდანს ადამიანის, საქონლის, ფრინველის წყალობასა და გამრავლებას შესთხოვდნენ. ასეთი სალოცავები იყო: „ჟინიში ხვამა“, „თერდობა“, „ბოსლობა“, „საჯგეგო“, „მობენება“, „ისკიოდობა“, „გალენიშ ორთა“, „ოცაშხურე“, (მაკალათია 1941: 310, 316, 319, 320, 329-330), „თუთაშხა/ორშაბათ ბედინერი“, „ცემჰვას ლოცვა“, „გალენიში ორთა“, „მულურჯულობა“, (ჭანტურია 1982: 213-214-215-222). იხდიდნენ ფუძის სალოცავს – „კაპუნობა“/„დოდგიმირი, „ფუძემ ოხვამერი“, „ოთუთაშხურე“ (მაკალათია 1941: 307-309-313), იხდიდნენ ასევე შიმშილისგან თავდაცვისთვის საჭირო ლოცვებს – „ტიანობა“ (მაკალათია 1941: 311); ღვთაებებს შესთხოვდნენ დოვლათს და კეთილდღეობას – „გაძლიკობა“, „სკიბუმ ოხვამერი“, „ლუმუმ ოხვამერი“, „ჟურზენიშ ოხვამერი“,

(მაკალათია 1941: 312-331; სიჭინავა 2000: 66-74), „შვეითული“ (მაკალათია 1941: 320), „ლომის სალოცავი“ (ჭანტურია 1982: 214). სხვადასხვა სტიქიური უბედურებებისგან, ნადირიგან, ბოროტი ძალებისგან დაცვას და შველას შესთხოვდნენ წმინდანებს – „შურუბუმობა“, „განალინი“, „ბორიაშ ოხვამერი“, „ძიძავა“, „გორგოთობა“, „კოხინჯობა“ (მაკალათია 1941: 325-331), „კოხობა“/„კოხომინჯობა“/„მოხვაობა“ (ჭანტურია 1982: 222). საოჯახო ლოცვები სრულდებოდა სხვადასხვა დაავადებების – ბატონების, დამწვრობის, ნაღრძობისა თუ სხვა არასასურველი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად და განკურნების მიზნით, ასეთი ლოცვები იყო: „ნაფრა“, „გუნია“ (ჭანტურია 1982: 216-223), „წყარიშ გოჭოფუა“ (მაკალათია 1941: 324-325).

სხვადასხვა პროფესიისა თუ ხელობის ადამიანები, ოჯახები, ჯგუფები თავიანთი საქმიანობის მფარველ ღვთაებებს შესთხოვდნენ შემწეობას და ყოველი წლის გარკვეულ დროს იხდიდნენ ლოცვას (მეფუტკრეები – „ჯგერაგუნას“, მჭედლები – „ხეხუნჯობას“). ზოგიერთ სალოცავს სპეციალური საზედაშე ქვევრი/„ლაგვანი“ ჰქონდა მიჩნეული მარანში, მაგალითად: „საღმთო-საღორნთო“-ს, „საოცოდინარო“-ს, „სანწყელო“-ს (მაკალათია 1941: 315-317-321) „სამგარიო“ (ჭანტურია 1982: 209, მაკალათია 1941: 323), „აიობა“ (ჭანტურია 1982: 220). მეგრელებს ჰქონდათ ქალის სალოცავებიც: „სადაბადო“, რომელსაც სპეციალური ქვევრი ჰქონდა (მაკალათია 1941: 323). „საადგილო“/საარდგილო, „ბორსობა“, „ბარბალობა/ბარბაღე“ (ჭანტურია 1982: 212-220-221). საოჯახო დღესასწაულების გარდა, იცოდნენ სათემო, საგვარეულო დღეობების გადახდა. ასეთი დღეობები ოჯახებს გარეთ, ძირითადად სალოცავებთან სრულდებოდა და დიდმასშტაბიანი იყო („თემიშ ხვამა“, „იენა ლატალიში“/საიანოშო“, „სოფელიშ, თემიშ ხვამა“ (მაკალათია 1941: 323-324-330). მეგრული საოჯახო დღეობები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

მეგრული კალენდარული საოჯახო და სათემო დღეობები აღწერილი აქვთ სერგი მაკალათიას, აკაკი ჭანტურიას, ცალკეული სალოცავები და ღვთაებათა როლი ყოფაში შესწავლილი აქვს ნ. თოფურიას, ნ. აბაკელიას და სხვებს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტრადიციული სახით „ხვამა“ დღეს იშვიათად სრულდება. რამდენიმე ლოცვამ შეინარჩუნა პირვანდელი სახე. უმეტესად შემორჩენილია „დუნაპირის“ ხვამა და ისიც თანამედროვე მოთხოვნებზეა მორგებული: ხდება ისე, რომ ერთი და იგივე „მახვამერი“/მლოცველი „დუნაპირს“

მხოლოდ ერთჯერადად ასრულებს. „დუნაპირი“ ყოველწლიურად, ერთჯერადად ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ შესასრულებელი რიტუალია. სოცუმის გადაწყვეტილებით, ზოგჯერ „ხვამა“ საეკლესიო წესებით და ტრადიციული ხალხური შეკრების ფორმით სრულდება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ველზე შეკრებილი ინფორმაციის მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ აქ თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა ღია ან დახურული მარანი და მარანში სალოცავი ქვევრები. კარმიდამოში, რომელიც შთამომავლებს წინაპრებისგან გადაეცათ, შემორჩენილია სალოცავი ქვევრები; ხანში შესულ ადამიანებს ახსოვთ, რომ მათი წინაპრები პერიოდულად იხდიდნენ ლოცვებს ძირ სახლში („ჯინჯ ცუდეს“).

სოფელ საჩინოს ლეარდიეს უბანში მცხოვრებ მურმან ეგნატეს ძე ფიფიას საოჯახო ლოცვისთვის ორი ქვევრი აქვს განკუთვნილი: „საღორნთო“ და „სამიქამგარიო“. ის ადრე „საღვთო“-საც ლოცულობდა. „საღორნთო“ ლოცვას კვირას, აღდგომას იხდის. შესაწირავი მამალი ან ინდაურია, ხოლო, „სამიქამგარიოს“ – აღდგომის შემდგომ, ორშაბათ დღეს, გოჭით ლოცულობს. ადრე ამ ლოცვისთვის შესაწირავი ხბო იყო დათქმული. ამჟამად კი, რამდენიმე წელია, გოჭით ლოცულობს. მლოცველის თქმით, ხვამის დღეებში სახლიდან გასვლა არ შეიძლება სანამ შესაწირავი ცხოველის ან ფრინველის ხორცი არ შეიჭმევა. იმ დღეს მლოცველი მშვიდი, ლაღი და მხიარული უნდა იყოს. სუფრა უხვი პროდუქტით უნდა გამოირჩეოდეს, თუმცა, სალოცავ მაგიდაზე მხოლოდ შესაწირავის ხორცი უნდა იყოს. ინფორმანტის თქმით: „შხვა ზისხირის მონტინა ვეშლებე“/ სხვა რამისთვის სისხლის მოდენა ანუ დაკვლა არ შეიძლება. სადღეგრძელოებიც მრავალფეროვანია, მაგრამ არ შეიძლება მიცვალებულების ხსენება.

ლეღვინჯილეს უბანში (სოფელი მიქავა) ცხოვრობენ მურზას, ჩაგუს, სესიასა და ცაკვას „გამნარყი“ (შთამომავალი) ღვინჯილიები. აქაური ორდენ ბაგრატის ძე ღვინჯილია სამი ქვევრით/„ლაგვანით“ ლოცულობს. ის იხდის „ორშაბათის“/„ოთუთაშხური“ ხვამას“, „გვარიშ ხვამას“ (მხოლოდ შვილებისა და შვილიშვილების სახელზე) და ცალკე, ერთ-ერთი შვილიშვილის სახელზე ლოცულობს „ლაგვანით“ (სალოცავი ქვევრი), რომელიც „დუნაპირის“ (დაპირებულის) ხასიათს ატარებს და წელიწადში ერთხელ, ბავშვის დაბადების დღეზე ტარდება.

„ოთუთაშურს“ ღვინჯილიას ოჯახში იხდიან წელიწადის რომელიმე ორშაბათ დღეს; სავალდებულოა იყოს ხსნილი. მარხვის დროს ამ ლოცვის გადახდა არ შეიძლება. სალოცავისთვის კლავენ ოთხფეხა ცხოველს: გოჭს ან თიკანს. მისი წინაპრები ამ დღეს საკლავს უცოლო მამაკაცს („ბენ კოჩის“) აკვლევინებდნენ.

სერგი მაკალათიას ორშაბათის სალოცავი მოხსენებული აქვს როგორც „ფუძემოხვამერი დო თუთაშხა ბედინერი“, ანუ „ოთუთაშურე“. მას მეგრელები დიდმარხვაში ასრულებდნენ, ახალმთვარის ორშაბათ საღამოს. დღე აუცილებლად ორშაბათი უნდა ყოფილიყო. შესაწირავი სამარხვო იყო. დიასახლისი აცხოვდა სხვადასხვა ფორმის კვერებს: თხუნელის, ქორის გამოსახულებით. ლოცვის რიტუალი ღამე სრულდებოდა. ოჯახის უფროსი მამაკაცი კერასთან მარტო ლოცულობდა. ლოცვის დასრულების შემდეგ დღეობის გადახდის რიტუალი გრძელდებოდა და მასში მონაწილეობდა ოჯახის ყველა წევრი, განურჩევლად სქესისა და ასაკისა (მაკალათია 1941: 313-315).

ზემოთ დასახელებული ორი რიტუალის (ო. ღვინჯილიას მიერ ჩატარებული და ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი რიტუალები) სახელწოდება ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ გადახდის დღე და შესრულების წესი – არა! კალენდარული საოჯახო ლოცვის სახელწოდება პოსტსაბჭოთა პერიოდში მლოცველმა ორდენ ღვინჯილიამ შესაძლებელია თვითონ დაარქვა, ან მისი წინაპრები ინდივიდუალური გადაწყვეტილებით ორშაბათი დღის სალოცავს ამგვარ სალოცავს ეძახდნენ. როგორც მთხრობელი ამბობს, ამ დრომდე, მის ოჯახში ორშაბათი დღის სალოცავისთვის სხვა, უცოლო მამაკაცს უნდა შეეწირა შესაწირავი და ლოცვის რიტუალი მას უნდა ჩატარებინა.

ახალგაზრდა მამაკაცის მიერ ლოცვის ჩატარების მაგალითები ჩვენ ჩავიწერეთ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალეში. აქ მცხოვრებ ინფორმანტთა, დაზი გვეგვეს ძე შონიას (1943 წ. დაბადებული) და ჟორა შუდას ძე ქუხილავას (1941 წ. დაბადებული) თქმით, „მახვამერად“ /მლოცველად დადიოდნენ აკობიასა და შონიას ოჯახებში. მთხრობელებს არ ახსოვთ თუ რა სახელწოდების ლოცვაზე დადიოდნენ და რომელ დღეებში. დაზი შონიას თქმით, ძმები ბოდლო, შალიკო და მამია აკობიები მას ყოველ თვე ეძახდნენ მლოცველად: *„სამი ძმა და ორი და იყვნენ. მლოცველად რომ დამიძახეს მე მეოთხე კლასში ვიყავი. სკოლის დამთავრებამდე მათთან დავდიოდი.*

რამდენი თვეცაა იმდენი ქვევრი ჰქონდათ დამარხული. ყოველ თვე მეძახდნენ. ოჯახის წევრები იკრიბებოდნენ. ჭურის წინ ცოცხალ ცხვარს, ზოგჯერ თხას, ძროხას შემოვატარებდი. ყველაფერი ყავდათ, ძალიან ძლიერი, შეძლებული ოჯახი იყო. ჯანჯუხას და ტილისკვერს მაძლევდნენ სხვასთან რომ არ წავსულიყავი“.

ჟორა ქუხილავა შონიების „მახვამერი“ (მლოცველი) იყო: „ორი ძმა ლოცულობდა, არჩილ და კოლია შონიები. 12 წლის ვიყავი რომ დამიძახეს. ათი წელი მაგათთან დავდიოდი მლოცველად, წელიწადში – 4-5 ჯერ. თვე და დღე არ მახსოვს. ისინი მეძახდნენ და მე მივდიოდი. რასაც მეტყოდნენ, იმას ვაკეთებდი. მამალს, ქათამს, ძროხას, ხბოს, ცხვარს კლავდნენ. ისინი მეუბნებოდნენ, რა უნდა მეთქვა. გამეორება მრცხვენოდა, ყოველთვის ძალიან მორიდებული ვიყავი. სკოლა რომ დავამთავრე, მერე არ ვილოცებოდი“.

მთხრობელების ცხნობით, ჭალეში აკობიას და შონიას ოჯახებს უფროსი მამაკაცი ადრე გარდაცვლიათ. სამეგრელოში საოჯახო ლოცვები უნდა აღასრულოს ოჯახში უფროსმა მამაკაცმა, რომლის გარდაცვალების შემდეგ ლოცვის რიტუალის გადახდის ვალდებულება უფროს შვილზე გადადის. ამ შემთხვევაში ძმებს ახალგაზრდა მამაკაცი („ბენ კოჩი“), ბავშვი ჰყავდათ მლოცველად შერჩეული. როგორც ირკვევა, ოჯახის უფროსი მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ, მლოცველად მცირეწლოვან, სხვა გვარის წარმომადგენელს იწვევდნენ. ორდენ ღვინჯილიას წინაპარი „ორშაბათის ლოცვას“ ამ წესით ასრულებდა, მაგრამ დღეს წესი შეცვლილია და ის თვითონ კლავს შესაწირავს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ოჯახის უფროსი გახდა. ლოცვის შემსრულებელმა თავად გადაწყვიტა, სჭირდებოდა თუ არა მას სხვა მლოცველი. დღეს ორდენ ღვინჯილია თვითონაა ოჯახის უფროსი მამაკაცი და წინაპართაგან გადმოცემული წესის მიხედვით, ლოცვის შესრულების ვალდებულებაც მას ეკისრება, რადგან ცხოვრობს ძირ სახლში/ჯინჯ ეუდეს.

ეთნოლოგ ნინო აბაკელიას გამოკვლეული აქვს „ოდუდია სამგარიოს“ ლოცვა, რომელსაც ძველი სტილით ახალი წლის ორშაბათ დღეს ატარებდნენ. ამ სალოცავს ასევე, ეძახდნენ „დიდ ოხვამერს“ (დიდ დალოცავს), ან „თუს (გოჭი) ოხვამერს“. ლოცვას ოჯახის უფროსი ატარებდა. მკვლევარის ცნობით, „მლოცველის გარდაცვალების შემთხვევაში, მის სალოცავზე ლოცვის ჩასატარებლად მიდიოდა სხვა, გარეშე კაცი, ე.წ. „ბენი კოჩი“. „ბენი“ ნიშნავს თავისუფალს, უშვილოს, ბერწს, ამ

შემთხვევაში, ლოცვისგან თავისუფალ კაცს, რომელსაც ჯერ არ ულოცია და რომელიც ერთი ან სამი წლის განმავლობაში ილოცება იმ ოჯახში. შეთანხმების მიხედვით, ერთი, ან სამი წლის შემდეგ სალოცავს გადაულოცავენ ოჯახის ერთ-ერთ წევრს, ჩვეულებრივ – უფროს ვაჟს (აბაკელია 1985: 200). ამ მასალის მიხედვით, ლოცვა, რომელსაც ღვინჯილების ოჯახის უფროსი ყოველ წელიწადს, ორშაბათს ატარებდა „ოდუდია სამგარიო“/„დიდი ოხვამერი“/დიდი სალოცავია. მას არ აქვს კავშირი ტრადიციულ, მარხვაში ჩასატარებელ კალენდარულ „ორშაბათის ლოცვასთან“. დღეს, პოსტსაბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქავაში ღვინჯილების ოჯახში ტარდება „ოდუდია სამგარიო“.

სოფელ მიქავაში მცხოვრები ჟორა ილიას ძე მოსიძე აღდგომიდან კვირაცხოვლობამდე, „დიდ თანაფასა“²¹ და „ჭიჭე თანაფასა“²² შუა, რომელიმე დღეს იხდიდა საოჯახო ხვამას, სახელწოდებით „ფშუ დო ვაფშუ“ (მახსოვს და არ მახსოვს). სალოცავი საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს მხოლოდ ერთ გვარში, გულაიას გამნარყთან (შთამომავალი) დავაფიქსირეთ. ეს ლოცვა დავიწყებული ცოდვების მოსანანიებლად იყო განკუთვნილი. ამ საოჯახო სალოცავისთვის მოსიძეებს სახლში ცალკე „ლაგვანი“ (ქვევრი) ჰქონდათ და განსაკუთრებულად ლოცულობდნენ. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, პაგანიზაციის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. ქრისტიანულ რელიგიაში შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთი შვიდგზის ზეთის ცხებაა, რომელიც აღდგომის მარხვის პერიოდში ტარდება ქრისტიანთა სულისა და ხორცის განსაკურნებლად. ამ დროს მორწმუნეებს მიეძღვნებათ დავიწყებული ცოდვები. შესაძლოა, რომ მოსიძეების გვარმა სახლში „ფშუ დო ვაფშუს“ (მახსოვს და არ მახსოვს) სახელწოდებით „ხვამა“ ტაძარში მსახურების არარსებობის მიზეზით, საოჯახო ლოცვად აქციეს. მოსიძეების ოჯახში ამ ლოცვას ბოლო დრომდე იხდიდნენ. დღეს ისინი აღარ იხდიან არცერთ საოჯახო ლოცვას.

მეგრული საოჯახო ლოცვების ჩამონათვალში სერგი მაკალათიას „ფშუ დო ვაფშუ“-ს სახელწოდებით ლოცვა არ დაუფიქსირებია, თუმცა გვხვდება სალოცავი „საუცოდინაროს“ სახელწოდებით. მეცნიერის ცნობით, „საუცოდინაროს ჰქონდა საკუთარი ქვევრი, რომელსაც არავინ არ უნდა გაჰკარებოდა. ლოცვას ასრულებდნენ

²¹ „დიდი აღდგომა“, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული ქრისტიანული კალენდრის მიხედვით.

²² „პატარა აღდგომა“, კვირაცხოვლობა.

ნაადგომევს. დღე და რიცხვი მას განსაზღვრული არ ჰქონდა, არჩევანი ოჯახის უფროს მამაკაცზე იყო დამოკიდებული. საუცოდინაროს ერთ წელიწადს გოჭით ან ბატკნით იხდიდნენ, მეორე წელიწადს კი – თევზით. დილით, ოჯახის უფროსი დიასახლისი გამომცხვარ კვერებს მუხის ხესთან წაიღებდა, დაიჩოქებდა და წარმოთქვამდა: „იცი და არ იცი, სძალო მადლო, გთხოვ, თუ რამე შევცოდე და დავაშავე ჩემი უცოდინრობით შეგვაძლებინეო შენი ლოცვაო“. ოჯახის უფროსი მამაკაციც უცოდინრობით ჩადენილი ცოდვების მიტევებას ითხოვდა (მაკალათია 1941: 317). შინაარსით ზემოთ აღნიშნული ორივე ლოცვა მსგავსია. ადამიანებმა, რომლებსაც ახსოვდათ შვიდგზის ლოცვის ჩატარების რიტუალი და მისი მნიშვნელობა, ოჯახებში გადაიტანეს ლოცვის ჩატარების წესი. ლოცვა გახალხურდა. მას პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ასრულებდნენ, მაგრამ, დროსთან ერთად, მისი ჩატარების ვალდებულება ოჯახმა მოიხსნა. დღეს ამ რიტუალს აღარ ატარებენ. ამის მიზეზი მლოცველის ღრმად მოხუცებულობაა და მისი შთამომავლების მხრიდან საოჯახო ლოცვის ჩატარებისადმი ინტერესის დაკარგვა, მოუცლელობა ან მლოცველის ვალდებულების აღებაზე უარის თქმაა. დიდი გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქრისტიანულმა ეკლესიამაც.

სოფელ მუჟავაში ვალიკო კარლოს ძე შონიას აქვს სამჭედლო. მას ეს ხელობა წინაპრებისგან უსწავლია. მჭედელი ძირითადად ჭედავს სამეურნეო იარაღებს (თოხი, ბარი), ცხენის დასაჭედ ლურსმნებს და სხვა. სამჭედლო სახლის წინ არის გამართული. მჭედელი შობას/„ქირსეს“ და „კალანდობას“ ახალ წელს შორის პერიოდში, ძირითადად 7 იანვარს, ახალი სტილით შობა დღეს, კვირას იხდის „ხვამას“/ლოცვას სახელწოდებით – „ხვამა-წირუა“. მთხრობელი აღნიშნავს: *„ღმერთს შევთხოვ მომცეს ენერგია, ჯანმრთელობა, იმის ძალა, რომ მრავალი წელი ვიყო მლოცველი. შევძლო წინაპრების დანატოვარის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობის ღირსეულად ტარება“*. ლოცვის რიტუალის ჩასატარებლად მლოცველს სჭირდება სამი სანთელი – ერთს თავზე ხელის წრიული მოძრაობით გადაივლებს სამჯერ; დანარჩენი ორი მიმაგრებულია სამჭედლო ქურაზე. ერთი სანთლის შემოვლებისა და ლოცვის სიტყვების დასრულების შემდეგ მლოცველი რიტუალს კვლავ იმეორებს მეორე სანთლით, შემდეგ – მესამე სანთლით და ერთი და იმავე სიტყვებს წარმოთქვამს. იქვე, ხონჩაზე დევს შესაწირავი: ღორის თავი, ერთი დიდი და ორი პატარა სანთელი, სამი

ჭიქა ღვინო და სამი პატარა ხაჭაპური. ლოცვის ჩატარების პროცესში სამჭედლოს კარი ღია უნდა იყოს. შიგნით მხოლოდ მჭედელი იმყოფება. სხვა ადამიანის, მათ შორის – ოჯახის წევრების დასწრება არ შეიძლება. ვალიკო შონიას თქმით, სამჭედლო განსაკუთრებულად წმინდა ადგილია. მჭედელი სამჭედლოს ილორს ადარებს: „*თენა ილორშე მოურს*“ (ეს (სამჭედლო) ილორიდან მოდის). აქ ხდება ლოცვა, დამნაშავის გადაცემა, ანუ „გინოჩამა“. ინფორმანტის თქმით, მასთან მოდიან „გინოჩამის“ /გადაცემის თხოვნით. ამ სამჭედლოში „გინოჩამა“ მომხდარა, მაგრამ ახლა მჭედელი სასტიკი უარით ისტუმრებს მთხოვნელებს და ეუბნება, რომ ხატზე გადაცემა ძალიან ცუდი შედეგების მომტანი იქნება. სამჭედლოში ხდება, ასევე „გამოლოცვა“. როგორც მთხრობელი აღნიშნავს, „*გინოჩამილს შეულებ ქუმორთას დო გაგთიხვამას*“ (გადაცემულს შეუძლია მოვიდეს და გამოილოცოს).

სერგი მაკალათიას ცნობით, 31 დეკემბერს მეგრელები ასრულებდნენ ხელ-მხარის სალოცავს – „სახეხუნჯოს“. „ხეხუნჯობას“ განსაკუთრებით მჭედლები ასრულებდნენ და იხდიდნენ „ოჭკადურეშ ოხვამერს“ (სამჭედლოს ლოცვა). ლოცვას მჭედელი მარანში ამ ლოცვისთვის განკუთვნილ ქვევრთან ან სამჭედლოში ასრულებდა და ამას ესწრებოდნენ მხოლოდ მამაკაცები. „ხეხუნჯობისთვის“ დაკლავდნენ გოჭს და გამოაცხოვდნენ კვერებს (მაკალათია 1941: 322). მჭედელთა მფარველად წმინდა სოლომონი ითვლებოდა (კაკაბაძე, ჯალაბაძე 1979: 92). წმინდა სოლომონის დაწესებული ლოცვა ახალი წლის წინა დღეს, ყოველ წელს სრულდებოდა. „უფროსი მჭედელი ამზადებს საკლავს – გოჭს, განატებს („დედოს“) და ორ კვერს, ამასთანავე – სანთელს, საკმეველს და ზედაშეს. ყოველივეს დაალაგებდნენ ტაბაკზე, რომელსაც მჭედელი თავისი ვაჟების თანხლებით წაიღებდა სამჭედლოში. ის შვილებს გრდემლის წინ დააჩოქებდა, თავზე სანთელ-საკმეველს გადაავლებდა და დაამწყალოებდა წმინდა სოლომონს“ (რეხვიაშვილი 1964: 153).

მჭედლის მიერ ჩატარებული რიტუალი – „სახეხუნჯო“, რომელსაც თანამედროვე მეგრელი მჭედელი „ხვამა-წირუას“ უწოდებს, ხელ-მხარის სალოცავია. ამას ადასტურებს ტექსტი, რომელსაც ის წარმოთქვამს. ამჟამად ლოცვას არავინ ესწრება. მჭედელი არც წმინდა სოლომონს ახსენებს. პოსტსაბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სამჭედლოები თითქმის არაა.

მუნიციპალიტეტში ჩვენ დავაფიქსირეთ რამდენიმე მჭედელი. მათგან სამჭედლოს ლოცვას მხოლოს მუჟავაში, შონიას გვარის წარმომადგენელი ასრულებს.

„დუნაპირი“/დანაპირები. სამეგრელოში დანაპირები, ანუ „დუნაპირის“ ლოცვა რამდენიმე სახით ტარდება. ის შეიძლება იყოს საოჯახო სალოცავი, რომლისთვისაც ხშირად, ქვევრსაც გამოყოფენ. ზოგჯერ სპეციალურ ქვევრში საზედაშე ღვინოს არ აყენებენ, მაგრამ ყოველწლიურად გარკვეული სახის შესაწირავით ლოცულობენ. შესაძლებელია „დუნაპირი“ მასშტაბურ, დიდ ლოცვად, „ხვამად“ გადაიქცეს და მასში რამდენიმე გვარის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„დუნაპირის“ ლოცვა ტარდება ღმერთის, ღვთაების ან წმინდანის მიმართ მადლობის გადახდის მიზნით. ზოგჯერ სურვილის, სათხოვარის დადებითად ასრულებისთვის წინასწარ უხდიან ზებუნებრივ ძალებს სამადლობელ „დუნაპირს“. პოსტსაბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა ტენდენცია სოციალისტური, ერთი კოლექტივის წევრთა მიერ საერთო საქმის წარმატებით შესრულების შემდეგ, ერთჯერადად, სამადლობელი დანაპირები ლოცვის, „ხვამის“ ჩატარებისა.²³

სოფელ მიქავაში მცხოვრები ორდენ ღვინჯილია შვილიშვილის სახელზე, ვაჟის დაბადების დღეზე იხდის „დუნაპირს“. ამ დღეს კლავს წიწილას, თიკანს ან გოჭს. ხშირად, შვილიშვილის სახელზე გაკეთებულ „დუნაპირის“ ლოცვას, მლოცველი ამთხვევს გვარის „ხვამას“/ლოცვას. მისი თქმით, ლოცვის რიტუალზე არავის ეპატიჟებიან; თუ ვინმე შემოსწრებული მოვა, მას შეუძლია დაესწროს; სხვა შემთხვევაში, არავის დაპატიჟებენ. სუფრას მარანში, „ტაბაკზე“ (ტაბლა, პატარა მაგიდა) გაშლიან, დაილოცებიან და შესაწირავ საკვებს მიირთმევენ. ამ სახით საგვარეულო ლოცვები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში დღეისათვის იშვიათად ტარდება.

„დუნაპირის“ შესრულების საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა სოფელ მუჟავაში. აქ ცხოვრობენ არქანიები. მათ გვარში გამოიყოფა რამდენიმე „გამნარყი“ (სქვამკოჩის, ღეჯკოჩის, ბებელიას, ქვაცას, ტვეფეს, ბოჩოლიას). ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ბებელიას შთამომავლების სამ სოციალურ წრეზე: ქირსეშიას, ბადირიასა და ქიჩოლიას „გამნარყზე“, ანუ დანაყოფზე. ბებელიას ეს სამი შტო აფხაზეთში, გალის რაიონის

²³ „ხვამა“/ლოცვა ორი სახის არსებობს: „ოხვამერი“ და „დუნაპირი“. მათ შორის განსხვავებისთვის დაწვრილებით იხ. ფიფია, ციმინტია 2017.

სოფელ ღუმურიშში მცხოვრებ კაკუბავებთან²⁴ ერთად, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იხდის ხვამას/დღეობას. წინათ დღეობაში გალის რაიონის სოფელ რეჩხში მცხოვრები ჯობავებიც მონაწილეობდნენ. ბოლო დროს, მათ, გარკვეული მიზეზების გამო, თავი გაითავისუფლეს ამ დღესასწაულში მონაწილეობის ვალდებულებისგან.

კაკუბავებს აფხაზეთიდან ხარი მიჰყავდათ მუჟავაში (ამჟამად, ენგურისპირას არსებული სირთულეების გამო ისინი ხარს ზუგდიდში იძენენ). ბებელიას შთამომავალ არქანიებს და ოქუმელ კაკუბავებს ჯვარის წმინდა გიორგის (ჯგეგე)²⁵ ეკლესიის ნანგრევებთან მიაქვთ შესაწირავი (ხარის გულ-ღვიძლი, ზედაშე, სალოცავი პურები), შემდეგ, კი ბრუნდებიან მუჟავაში და დღესასწაულს დიდი სუფრით აღნიშნავენ.

თქმულების მიხედვით, მუჟავაში მცხოვრებმა ბებელია არქანიამ დაღუპვას გადაარჩინა სამურზაყანოელი (სოფელი ღუმურიში) კაკუბავების და ჯობავების (სოფელი რეჩხი) წინაპრები. ტყვეთა სყიდვის დროს გაუტაცნიათ ორი ძმა კაკუბავა და ერთი ჯობავა. გამტაცებლებს ისინი ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაუმალავთ, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მშიერ-მწყურვალნი ყოფილან.

მუჟავადან სოფელ ჩქვალერში, დასთან მიმავალ ბებელია არქანიას ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიასთან („ჯგეგე“) არსებულ წყაროსთან შეუსვენია. უცებ მას დატყვევებულთა ყვირილის ხმა გაუგია: ისინი დახმარებას ითხოვდნენ. ბებელიას წმინდა გიორგისთვის შემწეობა უთხოვია, სასწაულებრივად ტაძრის კარი გაუღია და სამივე სამურზაყანოელი გადაურჩენია.

ტყვეობიდან გათავისუფლებულთ დიდი ხნის მოუწესრიგებლობის გამო, გრძელი წვერი ჰქონიათ და ფიზიკურად დაუძლურებულნი ყოფილან. ბებელია არქანიას ისინი ჯვარის ერთ-ერთ უბანში – ნაკაში (ლექარდე) არსებულ გამოქვაბულში გადაუმალავს, ნათესავის დახმარებით მოუსულიერებია, შემდეგ კი, სოფელ მუჟავაში,

²⁴ პროფესორ პაატა ცხადაიას მიერ ველზე ჩაწერილი და გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, ღუმურიშში მცხოვრები კაკუბავები სათურქოდან გამოქცეული სამი ძმის - მეგრელების - შთამომავლები ყოფილან (ცხადაია, ჯოჯუა 2003: 246).

²⁵ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში არის წმინდა გიორგის „ჯგეგეს“ ეკლესიის ნანგრევები. ტაძარი XX ს.-ის 20-იანი - 30-იანი წლების საბჭოთა ანტირელიგიური „ლაშქრობის“ დროს დაუნგრევიათ. ს. მაკალათია ამ ეკლესიასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „*ჯგეგე ითვლებოდა ძლიერ ხატად რომელიც არქანიებს მოუტაციათ სვანეთიდან (მესტიიდან). იმ ადგილს, სადაც ეკლესია იყო აგებული, ეწოდება „ჯვარზენი“*“ (მაკალათია 2006: 435).

თავის სახლში წაუყვანია; სრულად გამოჯანმრთელების შემდეგ ბებელიას სამივე ენგურის გაღმა, გალში წაუყვანია.

დალუპვას გადარჩენილი კაკუბავები, ჯობავები და მათი შთამომავლები დაპირდნენ ჯვარის „ჯგეგეს“ - ჯვარის წმინდა გიორგის სალოცავს, რომ მადლიერების ნიშნად, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მას შესწირავდნენ ხარს და წმინდა გიორგის შემწეობით, მათ გადამრჩენელ ბებელია არქანიას „გამნარყთან“/შთამომავლებთან ერთად ამ დღეს იდღესასწაულებდნენ: საგანგებო „ხვამას“ - ლოცვას ჩაატარებდნენ. ამის შემდეგ კაკუბავების და არქანიების გვარი დღემდე იხდის სამადლობელ ლოცვას „დუნაპირს“.²⁶

ლოცვის რიტუალის ჩატარების დღე არცერთ ქრისტიანულ დღესასწაულს არ ემთხვევა. კაკუბავები არქანიებთან შეთანხმებით, თვითონ წყვეტენ, როდის ჩაიყვანენ შესწირავ ხარს მუჟავაში. ამ დღეობას ლოცვის გადახდის პირობის დათქმის დროიდან არ ჰქონია მკაცრად დადგენილი სალოცავი დღე. დღესასწაულს ტრადიციულად ხალხური წესით ატარებენ.

კაკუბავებს ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიაში მიაქვთ სანთლები დღესასწაულში მონაწილე მათი გვარიშვილებისა და იმათი სახელითაც, ვინც ვერ დაესწრო ამ კონკრეტულ დღესასწაულს.

მთხრობელთა თქმით, კაკუბავები დღეობის დასრულების შემდეგ ბრუნდებოდნენ აფხაზეთში. ისინი შეიძენდნენ ხბოს მომავალი დღეობისთვის. სამსხვერპლოდ მიჩნეულ ხარს „თავისუფლად“ ზრდიდნენ. არ შეიძლება მისი დაკოდვა, მის მიმართ უდიერი მოქცევა. მთხრობელთა თქმით, საბალახოდ გაშვებულ ცხოველს ნადირი არ ეკარებოდა.

დღეისათვის, სოფელ ღუმურიშში მცხოვრები კაკუბავები, თბილისში მცხოვრებ კაკუბავებთან ერთად, სამსხვერპლო ცხოველს ზუგდიდში იძენენ, რადგან საოკუპაციო, ეგრეთწოდებული საზღვრის გადალახვა და სამსხვერპლო ცხოველის – ხარის სამეგრელოში გადმოყვანა გართულებულია.

თანამედროვე ყოფაში, შეიმჩნევა დღეობის გაფართოებისკენ მისწრაფება. თუკი ადრე, გალის რაიონიდან რამდენიმე კაცი ჩადიოდა არქანიებთან დანაპირების

²⁶ ვრცლად იხილეთ ციმინტია ქ. ერთი საგვარეულო დღეობის სოციალური პრაქტიკა. კრ. საერთაშორისო კონფერენცია არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები 2019, თბილისი 2020. გვ. 602-607. <https://archive.gov.ge/ge/sametsniro-publikatsiebi/saertashoriso-konferentsia-2019-1>

შესასრულებლად, დღეისათვის გაცილებით მეტი კაკუბავა სტუმრობს მათ. არქანიების და კაკუბავების გვარების წარმომადგენლებს სურთ ერთმანეთთან დაახლოება, ამიტომ, ბოლო წლებში დღეობას უფრო მასშტაბურად აღნიშნავენ.

საუკუნეების წინ დაწესებული სამადლობელი ლოცვა დღემდე სრულდება.²⁷ საგვარეულოს წარმომადგენლები, რომელთაც ნათესაობა არ აკავშირებთ, ამ დღესასწაულმა ერთმანეთს დააკავშირა, დაახლოვა და დაამოყვრა. მათ შორის კავშირი იმდენად დიდია, რომ ამ გვარებს შორის ქორწინება აკრძალულია, „ვაშინერს“ - ტაბუირებულია. კაკუბავებისა და არქანიების ასეთ ურთიერთობას ხელი ვერ შეუშალა XX ს-ის 90-იან წლებში საქართველოში, აფხაზეთში მომხდარმა ტრაგედიამ, ათასობით ადამიანის დაღუპვამ და აფხაზეთიდან ათიათასობით მცხოვრებლის გამოდევნამ, რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების სამხედრო ძალების მხრიდან აფხაზეთ-სამურზაყანოსა და დანარჩენ საქართველოს შორის შექმნილმა „კედელმა“, რომელსაც საოკუპაციო სამხედრო ძალები იცავენ.

პოსტსაბჭოთა პერიოდში „დუნაპირის“ ლოცვამ ახლებური სახე მიიღო. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, ერთი კოლექტივის წევრი ადამიანები, რომელთაც საერთო საქმე აკავშირებთ, სხვადასხვა წარმომავლობის მიუხედავად, ერთჯერადად იხდიან საერთო ლოცვას – „დუნაპირს“, ის არ არის ყოველწლიურად ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ შესასრულებელი ვალდებულება.

მაგალითად, ქალაქ ჯვარში არსებული ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის თანამშრომლები საქმის წარმატებით შესრულების შემდეგ, ყოველთვის იხდიან „ხვამას“/„დუნაპირს“, რომელიც სამადლობელი ლოცვაა. კომპანიის უფროსი მადლიერების ნიშნად შეკრებს თანამშრომლებს, „ხვამის“ დღეს დანიშნავს და სწირავს ძირითადად თხას. ამგვარ ლოცვას ასრულებს ყოველი საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ, ასევე, თანამშრომლების მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებისას, ან რაიმე გასაჭირიდან „გამოსვლის“ შემთხვევაში.

ზემოთაღწერილი შემთხვევა პოსტსაბჭოთა პერიოდში დანაპირის/დუნაპირის ახალი სახის „ხვამის“, ლოცვის – დღესასწაულის დაფუძვნება-დამკვიდრების

²⁷ მთხრობელთა თქმით, ერთ-ერთი არქანიას ოჯახში ინახებოდა წერილი, სადაც ეწერა ამ ლოცვის დაწესების მიზეზები. თუმცა, ამ წერილს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ.

მაგალითია. ადამიანები, რომლებსაც წინაპართაგან შემორჩენილი აქვთ ხსოვნა სამადლობელი ლოცვის გადახდის აუცილებლობის შესახებ, ამას მტკიცედ იცავენ. „ხვამა“ გახდა ადამიანების დაახლოების, ერთ „ოჯახად“ შეკვრა-შეკავშირების საშუალება.

ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დუნაპირის ლოცვა უფრო გავრცელებულია, ვიდრე კალენდარული საოჯახო ან საგვარეულო, სათემო ლოცვები.

„გვარიშ ხვამა“ /გვარის ლოცვა. გვარს საქართველოში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სამეგრელოში საგვარეულო დღეობები ძირითადად ტაძრებთან აღინიშნებოდა. მას ერთი ან რამდენიმე გვარი ერთად იხდიდა. ასეთ საჯარო საზოგადო დღეობას მეგრელები „ჯარალას“, „ჯარალუას“ ეძახდნენ. *„დღეობა – ჯარობა ერთ „განსაზღვრულ ადგილას“, უფრო რომელიმე ხატის (სალოცავის) კარზე იმართებოდა, სადაც თავს იყრიდნენ აღნიშნულ სალოცავთან ტრადიციით, წეს-ჩვეულებითა და რწმენა-შეხედულებით დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე „გვარის“ კაცები, მათი მიმდგამი ნათესავები, მოკეთენი, სტუმრები და ყველა მოსურნენი“* (რეხვიაშვილი 1969: 116). „ჯარალუა“ ძირითადად საგვარეულო ლოცვებისას ხდებოდა, რაც სოცუმის ერთიანობის გამოხატულება იყო და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ერთობის შეკვრა-დაახლოებისთვის.

სამეგრელოში, ყველა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გვარებს თავიანთი სალოცავები ჰქონდათ. ყველა გვარს ჰქონდა თავისი ხატის დღეობა. ამ დღეს იკრიბებოდნენ საგვარეულო სალოცავში. სადაც იხდიდნენ საგვარეულო ლოცვას. მაგალითად, სოფელ ჯიხაშკარში შენგელიები და ზარანდიები იკრიბებოდნენ, დღესაც იკრიბებიან და მოედანზე იხდიან საგვარეულო ლოცვას „ჯეგე მისარონობას“ – მისარონ-კარის ლოცვას (მაკალათია 1941: 304). ასეთივე ლოცვა ყოფილა სოფლებში: ჯუმითში, ნოქალაქევში (მაკალათია 1941: 301 - 305).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩაწერილი მასალის მიხედვით, სოფელ მიქავაში, ლედვინჯილეს უბანში მცხოვრები ღვინჯილიების სალოცავი იყო წმინდა ბარბარეს ეკლესია, რომელიც ხისგან იყო ნაგები. კომუნისტებმა ტაძრის შენობა სკოლად გადააკეთეს, ამიტომ ეს სალოცავი აღარ არსებობს. ნაეკლესიარზე არის

უზარმაზარი ცაცხვისა და ჭადრის ხეები, რომელთაზეც ღვინჯილიები საჭიროებისას შესაწირით მიდიან. წმინდა ბარბარეს სალოცავ ადგილზე ლოცულობენ სოფელ მიქავაში მცხოვრები ჯოღოხავეები და მიქავეებიც. ლეგენდის თანახმად, აქ ჭადრის ხის შიგნით ჯვარია. გორაზე მოსახლეობას ჯვარი აღუმართავს; ამ ჯვართან ჭადარი გაზრდილა და ჯვარი შიგნით მოუქცევია. ამ ადგილზე, ჭადრის ხესთან, წმინდა ბარბარეს „ნაოხვამუს“ (ნაეკლესიართან) ბავშვები „გუთახვამშა“ (გამოსალოცად) დღესაც მიჰყავთ. ასრულებენ დანაპირებ ლოცვებს, ანთებენ სანთლებს, მიჰყავთ შესაწირავი ცხოველი (ცხვარი) ან ფრინველი (ქათამი), ასევე ყრიან ხურდა ფულს.

სოფელ ჩქვალერში იყო რამდენიმე სალოცავი, სადაც სოფლის მოსახლეობა ლოცულობდა: „ზინდკარი“ ფიფიების სალოცავი იყო, „ლაფარიაში“ ფიფიები, ლომიები, ბოხუები და ქუხილავეები ლოცულობდნენ, „მოცინარეში“ – შეროზიები და ფიფიები. „ჭყონიოხვამეში“ მიდიოდნენ შეროზიები და გვილავეები. ეს სალოცავები აკაკი ჭანტურიასაც აქვს აღნიშნული (კალანდია 2006: 158), თუმცა დღეს სალოცავი ადგილები ტყედაა ქცეული, მაგრამ მოსახლეობამ იცის და ახსოვს აღნიშნული სალოცავები.

სოფელ ობუჯში მცხოვრები ფიფიებისა და მესხიების სალოცავი „ნოჯიხურში“ ყოფილა. დღეს ეს ადგილები მიტოვებულია და ტყედ არის ქცეული. მოსახლეობა იქ აღარ დადის.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საგვარეულო ლოცვების მასშტაბები შემცირდა. სოფელ ნაკიფში ცხოვრობენ აბულაძეები და მოლაშხიები. ადრე ეს ორი გვარი ერთად იხდიდა საგვარეულო ლოცვას. პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ ორ გვარს შორის საგვარეულო ლოცვის ერთად გადახდის ვალდებულება შეწყდა. 17 დეკემბერს, ბარბარობა დღეს, აბულაძეები თავიანთი გვარის სალოცავზე, პატარა გორაზე არსებულ ცაცხვის ხესთან სანთლებით, ლობიანებით და საკმევლით მიდიან. სამარხვოდ გაწყობილი ხონჩა ყველა ოჯახს სალოცავ ხესთან სათითაოდ მიაქვს. ოჯახის უფროსი მამაკაცი წმინდა ბარბარეს შესთხოვს ოჯახის კეთილდღეობას, ანთებს სანთლებს და იქ მისულ მოგვარეებთან ერთად აღნიშნავს საგვარეულო ლოცვას.

სოფელ მიქავაში მცხოვრები ორდენი ღვინჯილია სამი საოჯახო ლოცვიდან ერთ-ერთს – გვარის სალოცავს ასრულებს. ამ სალოცავისთვის ქვევრი აქვს მიჩნეული.

მლოცველი ლოცულობს სამი ცალი კვერით, საქონლის გულ-ღვიძლითა და ნეკნებით („კვრდაში“). ლოცვას მხოლოდ ვაჟები და ვაჟის მხრიდან შვილიშვილები ესწრებიან. ქალიშვილის შვილების დასწრება არ შეიძლება, რადგან ისინი სხვა გვარის წარმომადგენლები არიან. ამ სალოცავის დღეს გაშლილ სუფრაზე სხვებიც შეიძლება მიიწვიონ, მაგრამ ლოცვას მხოლოდ ამ ოჯახის წევრი ღვინჯილები ესწრებიან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საგვარეულო ლოცვების ახალი, განსხვავებული სახე ჩამოყალიბდა. 2000-იანი წლების დასაწყისში, თბილისში წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ხელმძღვანელობით ილოცებიან საგვარეულოები. ამ პროცესს ამზადებენ საგვარეულოების წარმომადგენლები, რომლებიც აფუძნებენ თავიანთი გვარების გაერთიანებებს. ცალკეული გვარები აწერინებენ საგვარეულო ხატებს, ქმნიან საგვარეულო სიმბოლოებს და საპატრიარქოში წარსდგებიან დასალოცად.

დალოცვის შემდეგ გვარიშვილები სადღესასწაულო ტრაპეზზე იკრიბებიან. ისინი ერთმანეთთან ურთიერთობას ამის შემდეგაც აგრძელებენ. ხვდებიან ყოველ წელიწადს ან რამდენიმე წელში ერთხელ, ურთიერთობენ სოციალური ქსელებითაც.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოლაშხიების გვარი 2016 წლის 12 ივნისს ეკურთხა. მათ დააწერინეს წმინდა გიორგის საგვარეულო ხატი. მას შემდეგ მოლაშხიები ყოველი წლის 12 ივნისს იკრიბებიან სხვადასხვა ადგილზე და აღნიშნავენ გვარის დალოცვის დღეს. მასალის ჩაწერის წელს (2020), მათი გვარი შეიკრიბა ზუგდიდში, დადიანების სასახლის ეზოში არსებულ ეკლესიაში და იქ გადაიხადეს პარაკლისი.

გვარის ლოცვებს იხდიან სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც. სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოცხოში მცხოვრები ინჯგიების გვარის წარმომადგენლები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, მონაცვლეობით იკრიბებიან ოჯახებში და კლავენ მოზვერს. იგივე ტრადიცია აქვთ ჯოჯუებს. ასეთივე ლოცვებს ატარებენ მარტვილის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში გავრცელებული გვარებიც. 2 აგვისტოს ნაჭყებიები სოფელ კურზუში იხდიან დიდმასშტაბიან საგვარეულო ლოცვას, სახელწოდებით – „ქეჯვარობა“, ელიობა, „ნაჭყებიეფიში ხვამა“ (ილორი 2021, 4-17 აგვისტო). სოფელ ნაფიჩხოვოში 21 სექტემბერს პაპავები და გოგუები იხდიან საგვარეულო ლოცვას.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგვაზაოში მცხოვრებ რევებს საერთო წინაპრის სახლში აქვთ სალოცავი ქვევრი ჩამარხული, სადაც ყოველ აღდგომის დღეს, კვირა დღეს, ღოცულობენ „რევების ხვამას“ ანუ რევების ღოცვას. მთხრობლის, ბუთხუზი ომარის ძე რევას ცნობით, გასაბჭოების შემდეგ რევებს შეუწყვეტიათ გვარის ღოცვა. 1990-იან წლებში კვლავ აღადგინეს ღოცვა; ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შეიძინეს ქვევრი, რომელიც სპეციალურად საგვარეულო ღოცვისთვის განკუთვნილი საზედაშე ქვევრის ადგილზე ჩაფლეს და მღვდლის მეშვეობით ადგილი საგანგებოდ აკურთხეს. მლოცველი გვარში უხუცესი მამაკაცია. ილოცებიან ცხვრით, მამლით, ხუთი ცალი ყველიანი პურით (ხაჭაპური). ღოცვის შემდეგ შლიან სუფრას. დღეობის გადახდა ოჯახებში მორიგეობით ხდება.

სოფელ სერგიეთში მცხოვრებ აბრახამიები ილოცებოდნენ სოფელ სერგიეთში „სერგიეთის გოლა“/„აბრახამიეფიშ გოლა“, იგივე „აბრახამიეფიშ ნაოხვამუ“ (ცხადია 2004) ადგილზე. აღდგომას და შობას ოჯახები ღოცულობენ აბრახამიების სალოცავში მამლით და სამი კვერით. მლოცველი გვარში უხუცესი მამაკაცია. ამ დღეს სხვა საკლავსაც კლავენ, მაგრამ ის „ოხვამერად“/სალოცავად არ მიიჩნევა.

საგვარეულო ღოცვებს იხდიან სოფელ ლეხაინდრაოში მცხოვრები გელაგები, სოფელ კურზუში – კიკიანები, მანტუები, სოფელ ბანძაში მცხოვრები კონტუაძეები.

მარტვილის მუნიციპალიტეტში ჩაწერილი მასალის მიხედვით, იმ გვარებმა, რომლებიც დღეს გვარის ღოცვას იხდიან, პოსტსაბჭოთა პერიოდში აღადგინეს საგვარეულო ღოცვები. ინფორმანტთა თქმით, საბჭოთა დროს მათი წინაპრები საგვარეულო ღოცვას არ იხდიდნენ. თუ როდისაა მათი წინაპრების მხრიდან ღოცვა შეწყვეტილი – უცნობია.

საგვარეულო ღოცვების სიხშირე და მასშტაბურობა სამეგრელოს ყველა მუნიციპალიტეტში თითქმის ერთნაირია. სავარაუდოდ დიდმასშტაბიანი ღოცვების გადახდის შეწყვეტას ყველგან საერთო მიზეზი ჰქონდა: მატერიალური მდგომარეობის შესუსტება, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს ასეთი დღესასწაულების აკრძალვა, „მავნე ტრადიციად“ გამოცხადება, ინდუსტრიული განვითარება და ადამიანების დასაქმება. დღეს კი, პოსტსაბჭოთა პერიოდში გვართა გაერთიანებების, შეკრების და დალოცვის იდეა საქართველოს ეკლესიამ გამოთქვა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გვარებიც იკრიბებიან, აარსებენ

საგვარეულო ორგანიზაციებს და ილოცებიან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ.

ხალხურ დღეობებზე, რიტუალების შესრულებისას, შესაწირავად ხშირად იმ პროდუქტებს იყენებდნენ, რომელთა გამრავლებასაც ამა თუ იმ წმინდანს სთხოვდნენ და რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო ადამიანების არსებობისთვის. ღვთაებას, წმინდანს სწირავდნენ ყველაზე ძვირფასს. საწესო-სარიტუალო პურები, სამსხვერპლო ცხოველი, ზედაშე, ხშირად, მიესადაგება მეურნეობის იმ ფორმას, რომელიც განვითარებული იყო ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „დუნაპირის“ დროს შესაწირავად ხშირად იყენებენ ხარს, თხას ან გოჭს.

სამეგრელოში ხარის სიმბოლოს დიდი მნიშვნელობა ქონდა. არსებობდა მთავარანგელოზის სახელზე წმინდა ფურის – „პატენიას“ „დაყენების“ წესი. წმინდა ხარები სამეგრელოში ფიგურირებენ წმინდა გიორგისთან დაკავშირებულ რიტუალებში (აბაკელია 1997: 18). ამიტომაც, რომ სოფელ მუჟავაში არსებული არქანიებისა და კაკუბავების ლოცვისთვის დადგენილი სამსხვერპლო ცხოველია ხარი.

სამსხვერპლო ცხოველად მთის სამეგრელოში ხშირია თხა. როგორც ნ. აბაკელია აღნიშნავს, „საქართველოში ამინდის ღვთაების ერთ-ერთ ზოომორფულ ემბლემას თხა წარმოადგენდა. თხა ემბლემაა ახალგაზრდა ნაყოფიერების ღვთაებისა, რომელიც ყოველწლიურად შეიწირება ვენახში ყურძნის კრეფის დროს“ (აბაკელია 1993:97-107). არქანჯელო ლამბერტი წერს, რომ როდესაც მეგრელებს წვიმის შეწყვეტა სურდათ, თხოვნით მიმართავდნენ წმინდა ელიას და შესწირავდნენ თხას (ლამბერტი 1938: 154). საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, გვალვადელგმასთან დაკავშირებით ელიასთვის (წმინდა ილიასთვის) მთავარი შესაწირავი თხა იყო. გარდა ამისა, მთის სამეგრელოში თხა გავრცელებული წვრილფეხა („ჭიფეშურდგუმა“) ცხოველია, ამიტომაც „დუნაპირის“/დანაპირების ლოცვის შესრულებისას ხშირად მას შესწირავენ.

ღორის სიმბოლოს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა ქართულ ტრადიციაში ახალი წლისა და საგაზაფხულო ციკლის დღეობებში. სამეგრელოში ღორი ან გოჭი ეწირებოდა სხვადასხვა სალოცავს. ქართულ ტრადიციაში ღორს, როგორც სამსხვერპლო ცხოველს ნ. აბაკელიას აღნიშვნით, „დიდი ადგილი ეკავა

ზამთრისა და საგაზაფხულო დღეობათა სერიაში. დასავლურ-ქართულ ტრადიციაში, ადგილობრივი რწმენის მიხედვით, იგი ეძღვნება: იესო ქრისტეს, წმ. სოლომონს, მთავარანგელოზებს მიქაელსა და გაბრიელს, წმინდა გიორგი მოისარს, წმ. ბასილის. ეს ის შემთხვევაა, როცა სოლარული სიმბოლო ეწირება სოლარულ პერსონაჟებს. წამყვანი მნიშვნელობა ამ სიმბოლოსი არის ნაყოფიერება“ (აბაკელია 1997: 205).

მამალი ფიქსირდება დასავლეთ საქართველოში აგრარულ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ რიტუალებში. ის, როგორც შესაწირავი, ამ დროს, ხშირად, სარიტუალო პრაქტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. სამეგრელოში ელიობა დღეს ყანაში ატარებდნენ მოსავლის სიუხვესთან დაკავშირებულ რიტუალს, სადაც შესაწირავი მამალი იყო (რუხაძე 1976: 159). მამალი შეიწირებოდა ოჯახის ბარაქისა და მიწის მოსავლის გადიდების მიზნით არსებულ დღეობებზე. ჯ. რუხაძის აღნიშვნით, „მამალზე, როგორც განაყოფიერების ძალის მქონე ფრინველზე, წარმოდგენა უნდა მიუთითებდეს ამ ფრინველისა და მიწის კავშირზე. მზის ღვთაების ფუნქციის მქონე მამალს დედამიწის სიმბოლური აღორძინება უნდა გამოეწვია. მამლის კავშირი აგრარულ მეურნეობასთან მზის თაყვანისცემისა და მიწათმოქმედების კულტურის განუყრელი კავშირის სახით იყო გააზრებული“ (რუხაძე 1976: 161). მამალი მთვარის ღვთაების ფრინველად ითვლებოდა (ჯავახიშვილი 1979: 99). ის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში გამოიყენებოდა თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ, სახადით დაავადებულების სამკურნალოდ (ბარდაველიძე 1941: 39). ამიტომ მამალის გამოყენებას შესაწირავად დიდი ხნის ფესვები აქვს.

ღვთაებებისთვის უმნიშვნელოვანესი შესაწირავი იყო ღვინო. „ოხვამერი“/სალოცავი ღვინო, ზედაშე, რომელსაც მეგრელები ამა თუ იმ დღეობაზე შესაწირავად იყენებდნენ, მთელს საქართველოში ღვთაებისთვის საყოველთაოდ გავრცელებული შესაწირავი იყო (თოფურია 1985: 120). სამეგრელოში, მარანში, „ოხვამერ“ (საზედაშე) ქვევრთან, როგორც ვიწროდ, ოჯახის წევრები, ისე მთელი პატრონიმია, „თურის“ და „დინოს“ წევრები, ერთად იკრიბებოდნენ და ცალკეული ღვთაებებისადმი დანიშნულ დღეს ლოცვას აღავლენდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ (ჭითანავა 2022: 12). თითქმის ყველა დღეობა, რომელსაც მეგრელები აღნიშნავდნენ, სრულდებოდა „ოხვამერის“, შესაწირავი ღვინის გამოყენებით. ზოგიერთ მხარეში,

ზედაშედ მიჩნეული იყო არა მხოლოდ ღვინო, არამედ ნათავედი არაყიც (საწესო-სარიტუალო შესაწირავი) (გუჯეჯიანი 2010: 36). სამეგრელოში ზედაშე მხოლოდ ღვინო იყო. დღესაც, ყველა სადღესასწაულო და მიცვალებულთან დაკავშირებულ რიტუალებში ღვინო ფიქსირდება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეობის შესრულებისთვის განკუთვნილი სასმელი არის ღვინო, თუმცა საზედაშე ქვევრი ყველა ლოცვას არ აქვს. ლოცვის ატრიბუტებია სანთელი, ხშირად საქონლის გულ-ღვიძლი, ხაჭაპურები, კვერები. ლოცვისთვის საჭირო სამსხვერპლო ცხოველი და ზედაშე იგივეა, რაც იყო ისტორიულად; ისინი არ შეცვლილა. შესაწირავი ატრიბუტების უცვლელად დარჩენის მიზეზი კი პრაქტიკულია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ზოგიერთი დღეობის მასშტაბები შემცირდა და საოჯახო დღეობად იქცა. ამის მაგალითია გვარის ლოცვა. თუ ადრე მთელი საგვარეულო გვარის დალოცვის რიტუალს ერთად ესწრებოდა, ახლა ცალკეული ოჯახები იხდიან გვარის ლოცვას და ამ ლოცვაში იგივე გვარის სხვა ოჯახები არ მონაწილეობენ. შესაძლებელია, ამის მიზეზი ოჯახების გაყოფაა. ადრე, საბჭოთა დრომდე, ერთი ბაბუიშვილები ერთ დიდ ოჯახში ცხოვრობდნენ და რამდენიმე ძმის შთამომავალი საგვარეულო ლოცვას ერთად იხდიდა. დღეს ასე არაა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში გაჩნდა დღესასწაულების ახალი ან ტრანსფორმირებული სახეები. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივით ტარდება გვარების დალოცვები, რაც ამ გვარებისთვის დღესასწაულის დაფუძნების საფუძველი გახდა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ძველ დროსთან შედარებით, შემცირდა ხალხური ტრადიციული საოჯახო დღეობები. გვარების შეკრებას და „დუნაპირის“ შესრულებას ადამიანის სოციალიზაციისა და ზეზუნებრივი ძალებისადმი პატივის მიგების მოთხოვნილება განაპირობებს. ძირითადად იხდიან „დუნაპირს“ და „გვარიშ ხვამას“ (საგვარეულო ლოცვებს). ხალხური დღეობების გაქრობა საბჭოთა დროს დაიწყო და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც გრძელდება. საზოგადოებაში ეკლესიის ფუნქციის აღდგენის შემდეგ იზრდება საეკლესიო დღესასწაულების ჩატარების პრაქტიკა.

თავი VII. გარდაცვალებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ისტორიულად არსებულ სახეს იცვლის და თანამედროვე ცხოვრების პირობებს ერგება. ადამიანის გარდაცვალება ოჯახისთვის და ახლობელი ადამიანებისთვის მძიმე განსაცდელია, ამიტომ მიცვალებულის დაკრძალვასთან და გლოვის წესებთან დაკავშირებული წარმოდგენები და რიტუალები ხშირად, დაკავშირებულია ზებუნებრივ, არაამქვეყნიულ ძალებთან.

მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები რელიგიის ადრეული ფორმებიდან იღებს დასაბამს და ყველგან ძირითადად ერთ მიზანს ემსახურება – გარდაცვლილთა სულებზე ზრუნვას, როგორც მათი, ისე საკუთარი კეთილდღეობის მოპოვების მიზნით, რადგანაც, ადამიანების წარმოდგენით, სულები მონაწილეობენ როგორც ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო, ისე სოციალური მნიშვნელობის მქონე საქმეების მოწესრიგებაში (ოჩიაური 1987: 5-33).

საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, მათ შორის, სამეგრელოშიც და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიცვალებულებს განსაკუთრებულად დიდ პატივს სცემდნენ. გ. ჩიტაია აღნიშნავს, რომ „ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში განსაკუთრებული სისრულითა და მრავალფეროვნებით წარმოდგენილი იყო მიცვალებულის კულტი. ის უამრავი წეს-ჩვეულებები, რომლებიც მიცვალებულთან არის დაკავშირებული, ძირითადად გამომდინარეობს სულის უკვდავებისა და მისი ძალის ზებუნებრივობის რწმენიდან. მეორე მხრივ, მასში წინაპრის გაღმერთების ელემენტებია ჩაქსოვილი“ (ჩიტაია 2001: 213).

სამეგრელოში ადამიანის გარდაცვალების მიზეზებთან დაკავშირებით სხვადასხვა წარმოდგენა ჰქონდათ. ამ მოვლენას უმთავრესად ხატებს, სალოცავებს და ზებუნებრივ ძალებს მიაწერდნენ. მათი რწმენით, ადამიანს დაბადებისთანავე ბედი შუბლზე მიეწერებოდა და რაც ეწერა, ის დაემართებოდა. გარდაცვალების მიზეზს ხშირად „გინოჩამით“ /ხატზე გადაცემით ხსნიდნენ (სახოკია 1956: 112-115). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში შეკრებილი მასალის მიხედვით, აქ დღესაც სჯერათ ადამიანის ბედისწერის; გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივი სიკვდილის

რწმენაც არსებობს, მაგალითად – მძიმე ფიზიკური ავადმყოფობა. ადრე ავადმყოფობას ხატისგან დამიჯეუებას, წყევლას, ოჯახის წევრის უსამართლო საქციელს მიაწერდნენ. ასეთივე რწმენა იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც. მკვლევარ ნ. მინდაძის ცნობით, „მთიელთა წარმოდგენით, ავი სულები დაავადებას იწვევდნენ იმ შემთვევაშიც, თუ მათ წინაშე ესა თუ ის პიროვნება რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა“ (მინდაძე 1981: 74).

საბჭოთა პერიოდამდე სამეგრელოში იცოდნენ მომაკვდავი ავადმყოფის ზიარება. თედო სახოკიას ცნობით, „სიკვდილის წინ იხმოვენ მღვდელს მომაკვდავის საზიარებლად. უზიარებელი ვინც მოკვდება მისი სული საუკუნო სატანჯველში იქნებაო“ (სახოკია 1956¹: 119). ეს ტრადიცია საბჭოთა დროს აღარ სრულდებოდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში, მორწუნე ადამიანების ოჯახებში მღვდელს იხმოვენ ავადმყოფის საზიარებლად. საბჭოთა დროს დავიწყებული წესი დღემდე საყოველთაოდ აღდგენილი არაა. ამჟამად ეკლესია დაინტერესებულია ადამიანების ჩვევებში მართლმადიდებლური, ქრისტიანული წესი დომინანტური იყოს.

სამეგრელოში, როდესაც ადამიანი გარდაიცვლებოდა, მწუხარების გამოსახატავად იცოდნენ კივილი, თმების გლეჯა და პირისახის დაკაწვრა (მაკალათია 1941: 282). სოფელში მცხოვრებთ კივილით აგებინებდნენ ადამიანის გარდაცვალებას. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „როგორც კი ავადმყოფი სულს განუტევეს, მეგობრები და მეზობლები დიდის კივილ-ჟივილით მოვარდებიან. მათი კივილი შორს გაისმის და მეზობლები რომ გაიგონებენ, ყველანი მიატოვებენ თავიანთ საქმეებს და მორბიან“ (ლამბერტი 1938: 62).

მეგრელებს ცოდნიათ გლოვის უკიდურესი ფორმებით გამოხატვა: „*იყო შემთხვევა, რომ მოტირალ ქალს ხუთი-ექვსი კაცი ძლივს ამაგრებდა, იგი თავ-პირს იგლეჯდა, სახეზე სისხლი სდიოდა და ხელში ბლუჯად ეჭირა დაგლეჯილი თმები. ასეთი სცენა ხალხს ატირებდა. მიცვალებულის ამგვარი დატირება თავმოსაწონად ითვლებოდა. ძიძა და მისი შვილები სატირალში ფეხ-შიშველი მიდიოდნენ, ტანისამოსს პირუკუდმა იცვამდნენ და მწუხარების ნიშნად პირისახეს იკაწრავდნენ*“ (მაკალათია 1941: 283). დატირების ეს ფორმა რომელიც სერგი მაკალათიას მთხრობელებისგან ჩაუწერია, დღეს არაა შემორჩენილი.

საბჭოთა დრომდე, როგორც XIX ს. და XX საუკუნის პირველ ოცწლეულის მეტრიკული ჩანაწერებიდან ჩანს, სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიცვალებული, როგორც წესი, იკრძალებოდა სამი დღის ვადაში. ასეთივე წესი იყო საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში. მიცვალებულს ძირითადად ასაფლავებდნენ სოფლის, უბნის ეკლესიის ეზოში. გარდაცვლილს მღვდელი აუგებდა წესს და მის გარდაცვალებას წიგნში აღნიშნავდა მედავითნე ან მღვდელი.

მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალები, ისევე როგორც სხვა წეს-ჩვეულებები, დროსთან ერთად იცვლება. უცვლელი რჩება მიცვალებულის პატივისცემა. სამეგრელოში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, რელიგიისა და ტრადიციის გავლენით, სჯერათ, რომ სული უკვდავია და საიქიოში გადასული ადამიანის სული იქედან მფარველობს ოჯახს და მის ახლობლებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმოდგენით, როგორც ნ. მინდაძე აღნიშნავს, „მიცვალებულის სულს შეეძლო როგორც დაავადებების გამოწვევა, ისე ავადმყოფისთვის გარკვეული დახმარების გაწევა“ (მინდაძე 1981: 83).

საბჭოთა დროს, როდესაც ეკლესია და სამღვდელოება არ მონაწილეობდა მიცვალებულთან დაკავშირებულ რიტუალებში, სხვადასხვა ქცევა ჭირისუფლის მხრიდან ხალხში შემორჩენილი მისტიურ წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული. დღეს ცდილობენ, ყველაფერი ჩაატარონ ქრისტიანული წესების დაცვით. პოსტსაბჭოთა პერიოდში, მიცვალებულთან დაკავშირებულ შეხედულებებში და დაკრძალვის წესში დიდია ქრისტიანული რელიგიის გავლენა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძაღლის ყმუილი ავისმომასწავებლად მიიჩნევა იმ ოჯახისთვის, სადაც მძიმედ ავადმყოფია. ასეთივე რწმენა იყო უდროო დროს მამლის ყვილზე (სახოკია 1956¹: 112). ადამიანის გარდაცვალებას კივილით ამცნობენ მეზობლებს, რაც მეგრელების ტრადიცია იყო და დღესაც შენარჩუნებულია. ასაკოვანი ჭირისუფალი გულზე ხელის ცემით და სხვადასხვა მოქმედებით ცდილობს თავს მიაყენოს ფიზიკური ზიანი; ამიტომ მას ახლობლები აკავებენ. ახალგაზრდები ტირილით და მოთქმით გამოხატავენ მწუხარებას. მამაკაცები შეცხადების ისტორიულ ფორმებს არ მიმართავენ.

მიცვალებულს გარდაცვალებისთანავე გამოუცვლიან სამოსს და ჩააცვამენ ღამაზად. ისტორიულად ამ რიტუალის ჩამტარებელს „მარწინალი“ ანუ გამპატიოსნებული ერქვა. იყვნენ „დახელოვნებული მარწინალები“. ისინი მიცვალებულს თვალებს უხუჭავდნენ, პირს მოუკუმავდნენ, თმას და წვერ-ულვაშს დაუვარცხნიდნენ, ხელებს გულზე ჯვარედინად დაუწყობდნენ (სახოკია 1956¹: 120). დღეს „მარწინალის“ ფუნქციას მეზობელი, ოჯახის ახლობელი ან ნათესავი ასრულებს; რამდენიმე ადამიანი ცდილობს მიცვალებულის გაპატიოსნებას. იცოდნენ მიცვალებულის დაბანაც. ეს ქრისტიანული წესია: *„მიცვალებულის ცხედარს სიკვდილისთანავე განბანენ, ამასთან, განბანვა უნდა შეეხოს სხეულის ყველა ნაწილს. იგი აღესრულება გარდაცვლილის ცხოვრების უბიწოებისა და სულიერი სიწმინდის ნიშნად, იმისთვის, რათა აღდგომისას შეძლოს სიწმინდით წარსდგეს უფლის წინაშე“* (დაკრძალვის მართლმადიდებლური წესი 2010: 47). ცდილობენ გარდაცვლილი ადამიანი მოუწესრიგებელი არავინ ნახოს; შემდეგ გაასვენებენ მისაღებ, ფართო ოთახში, ძირითადად – მეორე სართულზე; სარიტუალო მომსახურების ოფისში შეუკვეთავენ ჩასასვენებელ მაცივარს და დასაფლავების დღემდე მიცვალებულს იქ ტოვებენ.

მიცვალებულის ჭირისუფალთაგან ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. თუ მიცვალებული მამაკაცია, თავთან ზის დედა, მეუღლე კი ფეხთან დგას. შუაში დგანან დედმამიშვილები და უახლოესი ნათესავები. ჭირისუფალი მამაკაცები გარეთ ეზოში, ან სახლის აივანზე დგანან.

ყველამ იცის მისამძიმრების წესი. სამძიმარზე მისულები, ჭიშკარს რომ მიუახლოვდებიან, ქალები წინ დადგებიან, მამაკაცები კი – ასაკის მიხედვით, ორ-ორად. წინ მიმავალ ახალგაზრდა ქალს მიაქვს ყვავილი, ასაკოვანი კი მოთქმით შედის ეზოში. ისინი გვერდს აუვლიან გარეთ მდგომ მამაკაცებს და შედიან ოთახში, თავს დახრიან ნეშტის წინაშე, მიუსამძიმრებენ ჭირისუფალ ქალებს. ქალები შემოუვლიან მიცვალებულს, მამაკაცები კი მიცვალებულის წინ დახრიან თავს. შემდეგ გადიან ჭირისუფალ მამაკაცებთან და ჩამოართმევენ ხელს. ქალები შიგნით ბრუნდებიან და ცოტახნით დასხდებიან იმ ოთახში, სადაც მიცვალებულია. გარკვეული დროის გასვლისა და სხვა ხალხის შესვლის შემდეგ, წესების დამცველად გამოყოფილი ქალი, რომელიც სპეციალურად „მიონგარაფუს გერე“/შემტირებლის „თანამდებობა“ უჭირავს

და „გილმანგარალი“ ჰქვია, მოუბოდიშებს იქ მყოფთ და გარეთ გასვლას სთხოვს. შემპატიჟებელი ეზოში მყოფთ სუფრასთან მიიწვევს²⁸.

„მოიგარაფუს გერნა“/მისამძიმრების წესების დამცველის თანამდებობა საპატიოდ მიიჩნევა, ამიტომაც მას საგანგებოდ არჩევენ. ის ოჯახის ახლობელი, გამორჩეული, ოჯახისთვის პატივსაცემი ქალია. ის აწესრიგებს ყვავილებს და ყურადღებას აქცევს სამძიმარზე მისულთა ნაკადს, რათა ბევრმა ადამიანმა არ გამოიწვიოს ქაოსი. იქ ყველაფერი ორგანიზებულია.

სამეგრელოში „გუმოჭყუდური“ /გათხოვილი ქალები ნათესავის დასატირებლად ქმრის ნათესავებთან და მეზობლებთან ერთად მიდიან. რაც მეტი ადამიანი მიყვება „გუმოჭყუდურს“, მით მეტი სახელია მისთვის და მისი ქმრის ნათესავებისთვის. ერთი ქალის შესვლა სამძიმარზე წესი არაა. მას რამდენიმე ადამიანი უნდა მიყვებოდეს.

გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ძალიან დიდ დახმარებას უწევენ მეზობლები. სამეგრელოში ეზო-კარის მოწესრიგების დიდი კულტურა არსებობს, რომელმაც დღემდე მოაღწია. მეგრელისთვის დიდ სირცხვილად ითვლება მოუწესრიგებელი კარ-მიდამო. იმ ოჯახში, სადაც მიცვალებული ასვენია, ეზო-კარის მოუწესრიგებლობა მეზობლების სირცხვილად მიიჩნევა. მთის სამეგრელოს სოფლებში შეკრებილი მასალის მიხედვით, მეზობლები ჭირისუფალს ეხმარებიან სახლის და ეზოს მოწესრიგებაში. მათი შეხედულებით, „ღურელს ასკვამენა“ (მიცვალებულს ალამაზებენ), რათა სამძიმარზე მოსულ ხალხს სუფთად დახვდეს ჭირისუფლის საცხოვრებელი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიცვალებულს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, ზოგჯერ – მეშვიდე დღესაც კი ასაფლავებენ. თუ ოჯახის წევრი შორს მყოფობის გამო, ვერ ახერხებს ამ ვადაში ჩასვლას, მაშინ დაკრძალვის თარიღს შესაბამისად „გადაწევენ“. დაკრძალვის დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი – ე.წ. „გეკულა დღაღეფი“. მიცვალებულს არ დაკრძალავენ ოჯახის ცოცხალი წევრის დაბადების დღეს.

²⁸ ხშირად ქელების სუფრა მთელი დღის განმავლობაშია გაშლილი. სუფრას შლიან გარდაცვლილი ადამიანის ან მეზობლის სახლის ეზოში და ქელებში შემპატიჟებლის „თანამდებობის“ არსებობაც ამ საჭიროებითაა გამოწვეული

გარდაცვალების ამბავს ახლობლებსა და ნათესავებს აგებინებენ საერთო ნათესავები და ახლობლები, ნაცნობები. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებმა (ტელეფონი, ინტერნეტი) „მაგინაფალის“ ანუ შემტყობინებელის საჭიროება მოშალა. საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც, ბოლო დრომდე არსებობდა „მაგინაფალი“, ანუ „შემაცხადაფალი“, ადამიანი, რომელსაც დაავალებდნენ გარდაცვალების ამბავი შეეტყობინებინა მიცვალებულის ახლობლებისთვის.

სამეგრელოში პოსტსაბჭოთა პერიოდში აღარ ფიქსირდება მოზარეები. ისინი საბჭოთა დრომდე და საბჭოთა პერიოდშიც იყვნენ: „ორი გუნდი, სოფელელთაგან შემდგარი, ჰგალობს სამგლოვიარო მარშს, რომელსაც „ზარი“ ჰქვია, რაც ნიშნავს საშინელებას, უბედურებას. ზარს უსიტყვოდ გალობენ, ისმის მხოლოდ ერთი გაგრძელებული ვაი, ვაი“ (სახოკია 1956¹: 123). იყვნენ, ასევე მომტირლები, ანუ მოთქმით დამტირებლები („მათვალარეფი“). მიცვალებულს დასტიროდნენ მოთქმით, მეგრულ ენაზე ამას „თვალუა“ ჰქვია. დღესაც იციან თვალუა. მდედრობითი სქესის ოჯახის წევრები და უახლოესი ადამიანები „გიოთვალანა“ /მოთქმით დასტირიან მიცვალებულს. სამეგრელოში ქალიშვილზე იტყვიან „ჩქიმ მანგარალ რენია“ (ჩემი დამტირებელი არისო). საკადრისი დატირება სახელად ითვლება დღესაც. კარგ დამტირებელს სოციალური აღნიშნავს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მთელს სამეგრელოში, ახლობელი ადამიანის გარდაცვალების დროს იცავენ მარხვას. ხორცის ჭამა სირცხვილად ითვლება. მიიჩნევა რომ, თუ მიცვალებულის ახლობელი ხორცს მიირთმევს, ის პატივს არ სცემს მას. მარხვის დაცვის ვალდებულება აქვთ მეზობლებსაც.

სხვა ისტორიულ – ეთნოგრაფიულ მხარეებში დღეს არ იციან მარხვის შენახვა. ქელების სუფრაზე მყოფთ უმასპინძლებიან ხორცით, თუმცა, ადრე, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს, ფშავში სანამ მიცვალებულს მიწას არ მიაბარებდნენ, მთელი სოფელი უქმობდა. მიცვალებულის დამარხვის დღეს კი ხალხი მარხულობდა: „ამ დღეს სჭამენ ცერცვის, ლობიოს ან ოსპის საჭმელს“ (ვაჟა-ფშაველა: 1961: 13). სავარაუდებელია, რომ მთელს საქართველოში ჭირისუფალი მარხულობდა. მარხვა გლოვის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დაცვა სამეგრელოშია შემონახული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ქელებზე გასამასპინძლებელი პროდუქტებია: ლობიო, კომბოსტოს მწნილი, ტკბილი ფლავი, ხაღვა, ფხალი, თევზი,

და სხვა სამარხოვ კერძები. 90-იან წლებში და ბოლო დროშიც მიღებული იყო ყველით და ხაჭაპურით გამასპინძლებაც, განსაკუთრებით – დაკრძალვის დღეს. გარდაცვალების დღიდან დაკრძალვამდე, ყოველდღე იმართება სუფრა. სამძიმარზე მოსულ ხალხს ეპატიჟებიან სახლში ან ეზოში გამართულ სეფაში.

პოსტსაჭოთა პერიოდში, დაკრძალვის დღეს ქელებს მართავენ სპეციალურ დარბაზებში, რესტორნებში. ხშირად ოჯახებში, ეზოში გაშლილ ქელების სუფრას ემსახურებიან დაქირავებული ადამიანები.

საბჭოთა პერიოდში, ხალხმრავალ ქელებს მთავრობა კრძალავდა. გამოიცა დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (შველიძე 2021: 276). მეგრელებმა ქელებში ადამიანების რაოდენობის დასაფარად დაიწყეს ე.წ. „კაზარმების“ (გრძელი დამხმარე ნაგებობა), სარდაფების მშენებლობა, სადაც ქელების სუფრას გამართავდნენ და გარეშე პირი იქ მყოფ ადამიანთა რაოდენობას ვერ ხედავდა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხალხმრავალი ქელები იმართება. დავაფიქსირეთ 500, 600 კაციანი ქელებიც. ქელების სუფრაზე მყოფთა მინიმალური რაოდენობა, ალბათ, 200 კაცია.

ხშირად, დაკრძალვის დღეს ქელები მთელი დღის განმავლობაში იმართება. შეარჩევნ სტუმრების სეფაში „მიმყვან“, „დამპატიჟებელ“ ადამიანებს, რომლებიც ამ მოვალეობას მთელი დღის განმავლობაში ასრულებენ.

სამძიმარზე მისული უახლოესი ადამიანები დაკრძალვის შემდეგაც ბრუნდებიან ქელებში. ამას ეძახიან „დუნორთ“-ს/დაბრუნებულს. უკანასკნელ პერიოდში მთელი დღის განმავლობაში სამძიმარზე მისული ადამიანების გამასპინძლების წესი იცვლება.

მიცვალებულს გაასვენებენ ნაშუადღევს. ამ დროს ახლობლები, ნათესავები, „სამოხიოს“ წევრები, ყველანი, კიდევ ერთხელ, საბოლოოდ გამოეთხოვებიან მიცვალებულს. ოთახში, სადაც მიცვალებული ასვენია, რჩებიან მამაკაცები, რომლებიც ატარებენ გამოსვენების წესს: ოთახის კარებს დაკეტავენ, კუბოს სამჯერ მიატრიალებენ მარჯვენა მხრიდან და საგანგებოდ ჩაკეტილ კარს სამჯერ მიატყამენ. ამ დროს იცოდნენ ასევე, ეზოში ხის მოჭრა. მარტვილში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ამტვრევნ ფანჯრის მინას.

მიცვალებულის სახლიდან გასვენებისას, ახალგაზრდები ყვავილებს გაიტანენ, რადგან არ შეიძლება მათი სახლში დატოვება. ძალიან იშვიათად, იცინა ერთი, განსაკუთრებულად ლამაზი ყვავილის გამორჩევა და სახლში დატოვება ორმოცამდე. ინფორმანტთა თქმით: „ჯვეშო ხოლო უჩქედეს, მარა ვაშინერს, ყვავილქ ოკო ვადოსქიდას“ (ძველადაც იცოდნენ, მაგრამ არ შეიძლება, ყვავილი არ უნდა დარჩეს სახლში). ცუდის ნიშანია მიცვალებულის სურათის დამტვრევა.

მკვლევარი გიორგი ნიორაძე მიცვალებულის გამოსვენებისას შესრულებულ წესებს უძველესი ტრადიციით არსებულ სულებთან დაკავშირებული შეხედულებებით ხსნის. „ძველ დროში, როდესაც დარწმუნებული იყვნენ, სული გვამთან არისო და რომ სული მიცვალებულის სახლიდან გასვენების შემდეგ უკანვე არ დაბრუნებულიყო, სახლის კედელს გაანგრევდნენ და ამ განგრეულ კედელში გაიტანდნენ მიცვალებულს. შემდეგ მაშინვე კედელს ამოაშენებდნენ და სრულიად დაიმედებულნი იყვნენ, რომ სული სახლში შემოსვლას ვერ მოახერხებდა, რადგან გზა ესპობოდა. ამავე შეხედულებით აიხსნება ფანჯრის მინის გატეხა, ღობის გარღვევა, ხის მოჭრა და სხვა. ყველაფერს ამას მიმართავდნენ, რომ სულისთვის გზა აეზნიათ უკან დაბრუნების შემთხვევაში“ (ნიორაძე 2010: 318). მკვლევარი ფანჯრის დამტვრევას კედლის გარღვევის თანამედროვე ვარიანტად მიიჩნევს და ხარჯების შემცირებას უკავშირებს (ნიორაძე 2010: 319).

პოსტსაბჭოთა პერიოდში ხის მოჭრა და ფანჯრის მინის გატეხვა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში აღარ ხდება; შემორჩენილია კუბოს კარებზე მიჯახების წესი. მთხრობელები ამ ტრადიციის არსს ვერ ხსნიან, მაგრამ ჩვეულებისამებრ ასრულებენ.

მიცვალებული ძირითადად მეორე სართულზე ასვენია. ჩამოსვენებისას მას ეზოში, მაგიდაზე დაასვენებენ, გამოეთხოვებიან მოთქმით, წააქცევენ მაგიდას რომელზეც დაასვენეს მიცვალებული. შემდეგ ახლობლები, ნათესავები, მეზობლები ნეშტს ქუჩაზე წაასვენებენ. პროცესიას წინ ბავშვი ან ყველაზე ახალგაზრდა ადამიანი მიუძღვება მიცვალებულის სურათითა და სანთლით ხელში (უკანა გზაზე იმავე პიროვნებამ სურათი უნდა შეაბრუნოს და ისე წაიღოს). მის უკან მიდიან ბავშვები ყვავილებით ხელში. მათ მიჰყვებიან ჭირისუფალი ქალები (ზოგჯერ მიცვალებულს უკან მიჰყვებიან კივილითა და ტირილით ჭირისუფალი ქალები); მიცვალებულის

სასახლის თავსახურავი მიაქვთ მამაკაცებს; თავსახურავის უკან მიცვალებულს მოაბრძანებენ და მას მიყვება ხალხი.

სასაფლაოზე მისულები მიცვალებულს კვლავ გამოემშვიდობებიან. ზოგჯერ, თან ჩააყოლებენ „საჭირო“ ნივთებს; იციან საპნის, სავარცხლის, სიგარეტის (მწეველს), ტელეფონის და სხვა ნივთების ჩაყოლება, ბოლო ხანებში იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება მობილური ტელეფონის „გატანება“.

მესაფლავეები მიცვალებულს ჩაასვენებენ საფლავში და იქ მყოფნი მიწას აყრიან. მესაფლავეები (აუცილებლად მამაკაცები) თვითონ გამოთქვამენ მესაფლავეობის სურვილს. გავრცელებულია შეხედულება, რომ ცხოვრებაში მამაკაცი სამჯერ მაინც უნდა იყოს მესაფლავე, რაც მადლიან საქმედ მიიჩნევა.

დასაფლავების შემდეგ, ჭირისუფალი და პროცესიის მონაწილენი ბრუნდებიან სახლში ან რესტორანში გაშლილ ქელების სუფრაზე, რომელსაც ემსახურებიან „მოინალები“ (მსახურები). ეზოში გაშლილ სეფაში „მოინალები“ მეზობლები იყვნენ, ბოლო წლებში ხშირად სუფრას დაქირავებული პერსონალი ემსახურება. სუფრას მესაფლავეების მოსვლისას იწყებენ. ირჩევენ თამადას, რომელიც ღვინით იტყვის მიცვალებულის შესანდობარს, მოიხსენებს ოჯახის წინაპრებს, ახლად გარდაცვლილს, ადღეგრძელებენ ჭირისუფალს და ანუგეშებენ ოჯახს. ქელების სუფრა დიდხანს არ გრძელდება. სუფრის დასრულების შემდეგ იციან საკვების დარიგება იქ მყოფი ადამიანებისთვის.

ოჯახის წევრები და ახლობლები გლოვის ნიშნად ატარებენ შავი ფერის სამოსს. საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდში იცოდნენ მიცვალებულის სურათის მიზნევა სამოსზე, რასაც დღესაც იშვიათად აკეთებენ. ოჯახის წევრი უახლესი ნათესავი მამაკაცები ორმოცის გასვლამდე წვერს ატარებენ.

გარდაცვალებიდან მე-9 დღეს იციან „კილეშ განწყუმური“ (მკლავის გახსნა). ამ დღეს, მეგრელთა რწმენით მიცვალებული მკლავს ჩამოწევს. დ. შავიანიძის ცნობით, „მიცვალებულის გასვენებიდან მე-3 დღეს პირს გაუხსნიან. პირის გახსნის რიტუალი ათავისუფლებს მეზობლებს, შორეულ ნათესავს, ყველას, გარდა ახლო განაყოფისა და ოჯახის წევრისა, ხორცის არჭამის ვალდებულებისგან“ (შავიანიძე 2015: 172). მკლავის გახსნის დღეს ჭირისუფალი სასაფლაოზე გადის, პატარა სუფრას შლის. ქრისტიანული მართლმადიდებლური წესების მიხედვით, „მეცხრე დღე აღინიშნება, რათა

ანგელოზთა ცხრა დასის ლოცვითა და მეოხებით, გარდაცვლილის სული წმინდანებთან განწესდეს. მეცხრე დღეს, როდესაც სულს უკვე ეუწყა რა ელის ღვთის სამსჯავროზე, იგი უკვე მესამედ წარსდგება ღვთის წინაშე და საბოლოო განაჩენს მოისმენს“ (მიცვალებულის გაპატიოსნების... 1998: 24). გარდაცვალებიდან ორმოცი დღის („ჟარნეჩი“) გასვლის შემდეგ იციან დიდი სუფრის გაშლა. კლავენ ცხვარს. დიდი სუფრით აღნიშნავენ ასევე გარდაცვალებიდან ერთი წლისთავს.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში იცოდნენ „თავდამარხვა“: სიცოცხლეშივე დაიტირებდნენ თავიან თავს. „სიცოცხლეში „თავდამარხვას“ მიმართავდნენ ისინი, ვისაც მემკვიდრე არ ჰყავდა, ანდა ოჯახის უფროსებს იმედი არ ჰქონდათ, რომ სიკვდილის შემდეგ მათ სახელზე „რიგს“ გამართავდნენ“ (გიორგაძე 2005: 5). „თავის დასამარხავად“ ისევე ემზადებოდნენ, როგორც ჩვეულებრივ, გარდაცვალების დროს. გაშლიდნენ სუფრას და ეპატიჟებოდნენ იმათ, ვინც ქელებში უნდა ყოფილიყო. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩვენ მსგავსი ჩვეულება არ დაგვიფიქსირებია, თუმცა დავაფიქსირეთ რამდენიმე შემთხვევა (ქალების მხრიდან) საფლავის ქვის წინასწარ დამზადებისა. დაქვრივებული ადამიანი საფლავის ქვაზე თავის სურათს და დაბადების თარიღს გამოსახავს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც არამხოლოდ მემკვიდრის გარეშე დარჩენილ, არამედ, მემკვიდრის მყოფ ადამიანსაც, დასამარხი ფული ჰქონდა შეგროვებული.

გარდაცვლილის ოჯახს ახლობლები მატერიალურად ეხმარებიან. საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდში მიღებული წესია „ინოქარუა“ (ჩაწერა). ახლობელს დაავალებდნენ შემოწირული ფულის სპეციალურ რვეულში ჩაწერას სახელისა და გვარის მითითებით.

დღეს „ინოქარუა“ ურბანულ ცენტრებში იშვიათად ხდება, თუმცა, სოფლებში ისევე ხშირია. ამის მიუხედავად, ახლობლები მაინც ეხმარებიან ოჯახს ფულადი სახსრებით. „ინოქარუას“ წესმა რიგ შემთხვევებში ფორმა შეიცვალა: ფულს კონვერტში დებენ და შემწირველის სახელსა და გვარს კონვერტზე აღნიშნავენ. ეს მიღებული წესია ყველგან.

მკვლევარი დარეჯან დვალი-დემეტრაძე ერთმანეთს ადარებს გერმანიასა და საქართველოს შორის მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. ის

აღნიშნავს, რომ „ახლობლებსა და ნათესავებს საქართველოშიც და გერმანიაშიც შეუძლიათ გარდაცვლილის ოჯახს ფულადი დახმარება გაუწიონ“ (დვალ-დემეტრაძე 2012: 56).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში დღესაც იციან „მანგიორის“ იგივე „ჩაფილის“ – მაგიერის დაყენება. ოჯახის წევრი მისთვის სასურველ ადამიანს სთხოვს გახდეს გარდაცვლილის მაგიერი. მაგიერად დაყენების შემდეგ, მას და გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ერთმანეთთან გარკვეული სახის ნათესაური ვალდებულებები აკავშირებთ. ადრე მაგიერობის მთხოვნელს მაგიერი მოაჭრიდა თმას და შეჰფიცავდა მაგივრობას. ამ რიტუალით გარდაცვლილის მაგიერი ხდებოდა „ჩაფილი“.

მიცვალებული ოჯახის მფარველად და შემწედ მიიჩნეოდა. მის სახელზე აკეთებდნენ საკურთხს, განსაცდელის დროს შესთხოვდნენ შემწეობას, ყოველთვის იხსენიებდნენ ქორწილებში და ლხინის სუფრებში.

მიცვალებულის კულტი ფიგურირებს პატარძალთან, ოჯახის ახალ წევრთან დაკავშირებულ შეხედულებებშიც.

ჩვენ მიერ სოფელ ჭალეში ჩაწერილი რიტუალი ეხება პატარძლის ზიარებას ოჯახის მიცვალებულის კულტთან და გარდაცვლილთა სულების მომადლიერებას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალეში მცხოვრები 104 წლის ნელი ეგნატეს ასული ქუხილავას თქმით, ქორწილის დღეს, როდესაც ის ქმრის ოჯახში მიიყვანეს, დედამთილმა ცალკე ოთახში შეიყვანა, სადაც ოჯახის მიცვალებულების სახელზე სუფრა იყო გაშლილი. მან, როგორც ოჯახის ახალმა წევრმა, სანთელი დაუნთო ოჯახის მიცვალებულებს და პატივი მიაგო. ეს რიტუალი საჭირო იყო მიცვალებულთა სულის მოსამადლიერებლად. მთხრობელის თქმით, „ღურელეფ მიმარდნანია“/მიცვალებულები გვემადლიერებიან-ო.

სანთელი და „საკმეველი“ მიცვალებულების სუფრაზე მხოლოდ პატარძალს დაუნთია. ბებიას, ოჯახის უფროს ქალს მიცვალებულებისთვის მიუმართავს: „ბებიქ უწუ ღურელეფს, თენეფიშ ცხოვრებაქ ჯგირო იცუასია“ – ბებიამ უთხრა მიცვალებულებს, ახალდაქორწინებულების ცხოვრება კარგად წარიმართოსო.

ქორწინებისას მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალები ფიგურირებს საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. მაგალითად,

გურიაში იცოდნენ პატარძლის წაყვანა ოჯახის მიცვალებულების საფლავზე მათი სულისთვის პატივის მისაგებად. ასე იცოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც.

სოფელ ჭალეში ჩაწერილი მასალა გულისხმობს რწმენას მიცვალებულის ზებუნებრივ ძალაზე, რომელიც მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. „ხალხური რელიგიური შეხედულებით, მიცვალებულთა სულებს გააჩნდათ ძალა, ზეგავლენა მოეხდინათ ადამიანთა ცხოვრებაზე – შეეძლოთ ხელი შეეწყოთ მიწის მოსავლიანობისა თუ მოუსავლიანობისათვის, პირუტყვის გამრავლებისა თუ გაწყვეტისათვის, ოჯახის კეთილდღეობის დამკვიდრებისათვის ან პირიქით. ამის გამო ადამიანებს საჭიროთ მიაჩნდათ მათი გულის მოგება“ (გიორგაძე 1987: 67).

საქართველოს ყველა ეთნოგრაფიულ კუთხეში ადრესაგაზაფხულო, საშემოდგომო აგრარულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრაქტიკას თან ახლდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალები. ადამიანი ყველა მის საკეთილდღეო საქმიანობას უკავშირებდა წინაპრებს და წინაპართა სულების კეთილდღეობის მოპოვებას ცდილობდა. დღეს ასეთი რიტუალები მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ ქრისტიანული წესით დადგენილ დღეებში ტარდება.

პატარძლის, როგორც ოჯახის ახალი წევრის შესვლა მიცვალებულების საკურთხის ოთახში და მათთვის პატივის მიგება შესაძლოა, ძველად, კერასთან არსებულ ტრადიციებთან იყოს დაკავშირებული. სამეგრელოში პატარძალს კერას შემოატარებდნენ ხოლმე. თედო სახოკიას ცნობით, „პატარძალი სახლის შუაგულზე გამართულ კერას სამჯერ შემოუვლის, ხელს მოჰკიდებს კერას ზემოდან დაკიდებულ რკინის საკიდელას (ლარჭა); მერე კერის პირას ჩამოჯდება, როგორც უცხო ადამიანი, რომელიც უნდა გაეცნოს ახალ სახლს, ოჯახის ახალ ნათესავებს. შემდეგ პატარძალი სახლის კუთხეებს მიმოივლის, მიმოაბნევს ღომის მარცვლებს – გამრავლების სიმბოლოს, და დოქით წყალს მოასხამს მიწაზე დაბნეულ მარცვალს (სახოკია 1956: 100).

ადრეული პერიოდიდან კერას არამხოლოდ სამეურნეო, არამედ, საკულტო დანიშნულებაც ქონდა. ამას მოწმობს როგორც ეთნოგრაფიული, ასევე, არქეოლოგიური მასალა. მაგალითად, მარნეულის რაიონის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის ხრამის დიდი გორის არქეოლოგიური გათხრის დროს აღმოჩნდა კერები. „შენობის ერთ-ერთ კერაში აღმოჩნდა თიხის ფიგურები და ნაცარში

ჩალაგებული უმი თიხის მრგვალი და ოვალური მოყვანილობის კერები, რომელთა სარიტუალო მნიშვნელობა უეჭველია. ცნობილია კერების განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობა ძველ კულტურებში როგორც ოჯახის კეთილდღეობისა და გამრავლების განსახიერებისა“ (დლონტი, ჯავახიშვილი, კილურაძე 1973: 6). ოჯახის ახალი წევრის ზიარება მიცვალებულის ტაბლასთან, შესაძლოა, სიმბოლურად, უკავშირდებოდეს ნაყოფიერების ქალღმერთისთვის განკუთვნილი რიტუალის სახეცვლილ ფორმასაც. პატარძალი ქალია, ოჯახში ახალი წევრი, რომელმაც ახალი სიცოცხლე უნდა მოავლინოს, ახალი წევრები უნდა შესძინოს ოჯახს. ამიტომაც, შესაძლებელია ეს რიტუალი დაკავშირებული იყოს ნაყოფიერების ქალღმერთთანაც, რომელიც ძველ საქართველოში მზესთან იყო დაკავშირებული. მზის სიმბოლოების გამოსახვა კერაზე როგორც მდედრობითი სქესის უძველესი ღვთაებისა, ცნობილია არქეოლოგიური და ფოლკლორული მასალითაც. მაგალითად, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლის, ხიზანაანთგორის კერა, კიკვიძის აღნიშვნით, „იტევს მზის, „დიდი დედის“ და დედამიწის კულტს. მისი ბორდურის ლესილობაში დატანილია ხორბლის მარცვლები, რაც კიდევ ერთი საბუთია კერის ნაყოფიერების კულტთან კავშირისა“ (კიკვიძე 1975: 25).

ზემოთაღნიშნული რიტუალი, ჩვენი აზრით, სინთეზია არქაული, წინარექრისტიანული და ქრისტიანული წესებისა. დღეს მსგავსი რიტუალი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში და სამეგრელოს სხვა ადგილებში არ ფიქსირდება, თუმცა, ამისი კვალი უნდა იყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩაწერილი მასალა, რომლის მიხედვით, თუკი პატარძალი ქორწილის შემდეგ, ქელებში ან გასვენების სუფრაზე მოხვდება, კარგის ნიშანია („ჯგირმა უჩქ“).

მიცვალებულთან დაკავშირებული შეხედულებები პოსტსაბჭოში პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა. საბჭოთა პერიოდამდე და შემდგომაც არსებული პატრონიმული სასაფლაოები, სადაც ერთი „თურის“ (თვისი) წარმომადგენლები ერთად საფლავდებოდნენ, დღეს აღარაა. პოსტსაბჭოთა პერიოდში, ახალ სასაფლაოებზე სხვადასხვა გვარის ადამიანებს ერთმანეთის გვერდით კრძალავენ. შეცვლილია გლოვის ფორმა. არ სრულდება სამგლოვიარო ზარი. მეგრული მოთქმით ტირილი აქა-იქ, უფროსი თაობის ადამიანებთან თუ შემორჩა. მიცვალებულის საიქიო ცხოვრებაზე ზრუნვა გამოიხატება ქელების, „მკლავის გახსნის“, ორმოცის,

წლისთავის, საკურთხევის გამართვის ტრადიციით. მიცვალებულისთვის ნივთების ჩატანების პრაქტიკა შეიცვალა მიცვალებულის ნივთების გასხვისებით. მიცვალებულის სულზე ზრუნავენ გაცემით, სხვების დაპურებით, წირვებისა და პარაკლისების აღვლენით. ყოველივე ეს მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის გავლენით მოხდა. მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და საწესო სუფრები იმართება ქრისტიანული წესის მიხედვით. პოლიტიკურმა ცვლილებებმა და საზოგადოებაში ქრისტიანული რელიგიის როლის ზრდამ განაპირობა მღვდლის მონაწილეობა მიცვალებულთან დაკავშირებულ რიტუალებში და საეკლესიო წესების დამკვიდრება.

თავი VIII. ურბანიზაცია-დეურბანიზაცია-რეურბანიზაციის პროცესი ჯვარის დასახლების მაგალითზე

ჯვარი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. მოსახლეობის რაოდენობით, ქალაქ წალენჯიხის შემდეგ, მეორე ადგილზეა. ოფიციალური მონაცემებით, აქ ცხოვრობს 2631 კომლი და 9670 სული. ჯვარის ურბანიზაცია საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად მოხდა. სხვადასხვა პოლიტიკურმა, სოციალურმა თუ ეკონომიკურმა ფაქტორმა, რომელიც ურბანიზაციასთანაა დაკავშირებული, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯვარზე, სოციალურმა, კულტურასა და ცხოვრების წესზე.

ურბანიზაცია არის უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული, სოციალური ფენომენი მსოფლიოში, იმდენად, რამდენადაც, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ქალაქებში. ურბანიზაცია, როგორც შეუქცევადი ისტორიული პროცესი, დღესაც აქტუალურია და მკვლევართა ინტერესს იწვევს. თეორეტიკოსები ურბანიზაციას განსაზღვრავენ, როგორც მიგრაციის შედეგს და მოსახლეობის ბუნებრივად ზრდის ურთიერთქმედებას. ის ასევე არის რეკლასიფიკაციის შედეგი (ურბანული სტატუსის მინიჭების მექანიზმი ყოფილი სოფლებისთვის და ქალაქების მიმდებარე ტერიტორიებისთვის). რურალური ცხოვრების სტილიდან ურბანულ სტილზე გადასვლას განაპირობებს ეკონომიკური მოდერნიზება, ინდუსტრიალიზაცია და მოსახლეობის დემოგრაფიული მატება (Peykovska 2019:180).

ერთ-ერთი განმარტებით, ურბანიზაცია გულისხმობს მოსახლეობის მზარდ პროპორციას იმ ადგილებში, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ურბანული. ურბანიზაციის პროცესი რურალური დასახლებიდან ურბანულსკენ მოსახლეობის მიგრაციის შედეგია. მსგავსი სახის მიგრაციები ამცირებს რურალურ მოსახლეობას და ზრდის ურბანულს. ამ სახის მიგრაცია ურბანიზაციისა მთავარი მიზეზია. აქედან გამომდინარე, ურბანულ სექტორში, რურალურ სექტორთან შედარებით, წარმოიშობა მზარდი მოსახლეობა, და სწორედ, ეს არის ურბანიზაცია (Dyson 2011: 36).

ჯვარის ურბანიზაციის პროცესს სხვადასხვა ფაქტორი უწყობდა ხელს, მაგრამ უმთავრესი ენგურჰესის მშენებლობა იყო, რომელმაც დააჩქარა ამ ტერიტორიის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა

კავშირის დაშლას სხვადასხვა ადგილებიდან, მათ შორის საქართველოს საზღვრებს გარედან ჯვარში საცხოვრებლად და სამუშაოდ ჩამოსული მოსახლეობის გადინება მოჰყვა. შეიძლება ითქვას, რომ ჯვარმა ჯერ ურბანიზაცია განიცადა, შემდეგ კი – დეურბანიზაცია, თუმცა, დეურბანიზაციის პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე მოხდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დასახლება ჯვარში. ჯვარის მოსახლეობა დღესაც განიცდის ინდივიდუალურ მიგრაციას, ძირითადად – უცხოეთში.

ჯვარის ურბანიზაციის პროცესის და დღევანდელი ვითარების შესწავლა გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ ქალაქი მდებარეობს საკვლევ – წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. ქალაქ ჯვარმა განიცადა ურბანიზაციის და დეურბანიზაციის აშკარა პროცესი, რაც არ შეხება მუნიციპალიტეტის ცენტრს – წალენჯიხას. ქალაქ წალენჯიხის მოსახლეობის უმრავლესობა იყო ამავე ტერიტორიის მკვიდრი. მდებარეობის გამო ამ დასახლებას მიენიჭა რაიონული, მუნიციპალური ცენტრის სტატუსი. ჯვარშიც ცხოვრობდნენ ადგილობრივები, მაგრამ აქ მოსახლეობის უფრო მრავალრიცხოვანი რაოდენობა ჩავიდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან. შესაბამისად, ქალაქ ჯვარის სპეციფიურმა ხასიათმა - ურბანიზაცია-დეურბანიზაცია-რეურბანიზაციის პროცესმა კონკრეტულ ტერიტორიაზე განაპირობა ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება ამ დასახლების.

კვლევისთვის გამოვიყენეთ საქართველოს ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ არქივებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, კერძო პირებთან დაცული ოფიციალური დოკუმენტები, ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებული ინფორმაცია. საკითხი გამოკვლეულია დოკუმენტების ანალიზის, ლიტერატურის დამუშავებისა და ინტერვიუების მეთოდის გამოყენებით, ინდუქციის მეთოდის გათვალისწინებით.

ჯვართან დაკავშირებულ კვლევაში განხილულია საქართველოში ქალაქების წარმოქმნის ზოგადი პროცესი, საბჭოთა დრომდე, საბჭოთა დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდში ჯვარის გარდაქმნის პროცესები სოფლიდან – ჯერ დაბად, შემდეგ – ქალაქად. ასევე, მისი მნიშვნელობა ქვეყნისთვის.

საქართველოში ქალაქების არსებობა უძველესი დროიდან დასტურდება. არქეოლოგი ანდრია აფაქიძე აღნიშნავდა, რომ „ქალაქი და ქალაქური ცხოვრება საკაცობრიო ცივილიზაციის უმაღლესი მახასიათებელია. ქალაქწარმოქმნის ძლიერ პროცესებს უნდა უკავშირდებოდეს სახელმწიფოებრობის ჩასახვა-ფუძედება საქართველოში“ (აფაქიძე 1999: 3). ანტიკური ხანის ისტორიის მკვლევარი მ. ინაძე აღნიშნავს, რომ, „ჩრდილოეთ კოლხეთის მიწა წყალზე (კავკასიონის მთიანეთსა და რიონისპირეთს შორის) ძვ. წ. VIII-VII სს-დან ნათლად იკვეთება ყველა პირობა საქალაქო ცივილიზაციის განვითარებისათვის. აღნიშნულ პერიოდში ქალაქები ვითარდებოდა იმ ტერიტორიაზე, სადაც თავმოყრილი იყო მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოება“ (ინაძე 1999: 9).

შუა საუკუნეებში ქალაქის შექმნას დიდწილად ხელოსნობის სხვადასხვა დარგის და ვაჭრობის განვითარება განაპირობებდა. ევროპაში ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ქალაქების განვითარება სამრეწველო საწარმოების და სავაჭრო ადგილების ირგვლივ ხდებოდა. მკვლევარ ვ. ჯაოშვილის მოსაზრებით, „კაპიტალიზმის დროს მოხდა რადიკალური ცვლილებები ქალაქების განვითარებაში. წარმოების ახალმა ურთიერთობებმა შექმნა ხელსაყრელი პირობები ქალაქების დაწინაურებისთვის. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელი შეუწყო ინდუსტრიული წარმოების დაჩქარებულ განვითარებას. გაჩნდა ქალაქები; ქარხნების მშენებლობამ განაპირობა სხვადასხვა ადგილიდან მოსახლეობის თავმოყრა იმ ტერიტორიაზე, სადაც ესა თუ ის ქარხანა ფუნქციონირებდა, რასაც მოჰყვა დემოგრაფიული ზრდა და ქალაქის ტიპის დასახლების წარმოშობა“ (ჯაოშვილი 1978: 12).

საბჭოთა დროს ბევრი ქალაქი გაჩნდა საქართველოში, რაც სხვადასხვა სახის სამეწარმეო-სამრეწველო საქმიანობამ განაპირობა. საქართველოში ურბანიზაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა და ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნებისგან განსხვავებით, სოციალისტურ ქვეყნებში ურბანიზაცია მიიჩნეოდა, როგორც დაგეგმილი პროცესი. დაგეგმილი იყო არა მხოლოდ ეკონომიკა, არამედ – დასახლებაც. ეს ყოველივე ამ ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის მთავარ კონცეფციას შეესაბამებოდა (Musil 1980: 7). ურბანიზაცია, როგორც ადამიანების ერთი დასახლებული პუნქტისკენ სწრაფვისა და აქ დასახლების პროცესი (Urbanization, Britannica) განვითარდა ზემო სამეგრელოს

მთის სოფელ ჯვარშიც. ისევე როგორც ბევრ სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, საბჭოთა კავშირში, 1926-1975 წლებში, დაახლოებით 50 წელიწადში, 42%-ით გაიზარდა ურბანული პოპულაცია (Musil 1980: 49). ამ პერიოდს ემთხვევა ჯვარის ტერიტორიაზე მოსახლეობის ზრდაც.

დასავლეთ საქართველოში სოფლის ტიპის დასახლებების ქალაქებად გარდაქმნა ძირითადად, მრეწველობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ვ. ჯაოშვილის აღნიშვნით, „ადრე, ვიდრე ჭიათურაში მრეწველობა ჩაისახებოდა, აქ მხოლოდ პატარა სოფელი იყო. ჭიათურის მცირერიცხოვანი მოსახლეობა მაშინ, უმთავრესად, მდინარე ყვირილის მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდა“ (ჯაოშვილი 1959: 35). ასე იყო ქალაქ ზესტაფონის შემთხვევაშიც. ზესტაფონის ჯერ დაბად და შემდეგ ქალაქად ქცევას ხელი შეუწყო აქ საწარმოების არსებობამ. ზესტაფონთან დაკავშირებით მკვლევარი ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, რომ „*ზესტაფონში იყო ანანოვის ღვინის ქარხანა; 1908 წელს ზესტაფონთან ახლოს აშენდა პატარა ქარხანა, რომელიც სოიოსაგან და რკოსგან ყავას ამზადებდა. პროდუქცია დიდი რაოდენობით იყიდებოდა როგორც შორაპნის მაზრის, ისე რუსეთის ბაზარზე. მიუხედავად ამისა, ზესტაფონში სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი კვლავ მევენახეობა რჩებოდა; მისი ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავლებში დიდად ჭარბობდა მრეწველობისას. საბჭოთა პერიოდში შედგა ხუთწლიანი გეგმები და პირველ ხუთწლედში საფუძველი ჩაეყარა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას*“ (ჯაოშვილი 1991: 30). რაც აქ ქალაქწარმოქმნის განმაპირობებელი იყო. საბჭოთა პერიოდის ურბანიზაციისთან დაკავშირებით ბ. კომახიძე შენიშნავს, რომ: „*საბჭოთა მოდერნულ ეპოქაში ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობის პარალელურად აქ გაჩნდა მუშათა ახალი საცხოვრებლები, შეიქმნა ახალი ქარხნები. ქარხნებმა წარმოქმნა დასახლებები, რომლებიც ივსებოდა ძირითადად სოფლიდან მიგრირებული მუშების ხარჯზე და შესაბამისად, ქალაქის შემოგარენის „რურალურიდან“ ურბანულისკენ განვითარების პერსპექტივებს 1980-იან წლებამდე უსახავდა*“ (კომახიძე 2019: 30).

საქართველოში სამთამადნო მრეწველობის უძველესი ადგილებია ჭიათურა (მანგანუმის წარმოება) და ტყიბული (ქვანახშირის წარმოება). გ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ამ ორი სამრეწველო ობიექტის მუშათა კადრის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი თითქმის ერთნაირად მიმდინარეობდა. ორივე საწარმოში

დაკავებული მუშათა დიდი ნაწილი ძირითადად სოფლური ხასიათის ცხოვრებას ეწეოდა. შემდგომში, როდესაც ტყიბული და ჭიათურა ქალაქებად გადაიზარდნენ, უშუალოდ ქალაქში მცხოვრები მუშებისათვის სოფლის მეურნეობამ დაკარგა დამხმარე მნიშვნელობა“ (ჯავახიშვილი 1971: 49).

ჯვარის ურბანული განვითარებაც ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ განაპირობა, რასაც აქ ქალაქის ტიპის დასახლების გაჩენა მოჰყვა. შედეგად, მოსახლეობის საქმიანობაში სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა შემცირდა და საქმიანობის მთავარი დარგი მშენებლობა გახდა, რასაც მოჰყვა ეკონომიკური და პროფესიული სიახლეები.

ჯვარის ტერიტორიაზე დასახლება ქვის ხანის პერიოდიდან დასტურდება. არქეოლოგებმა საინტერესო ნივთები აღმოაჩინეს დაბა ჯვარის მიდამოებში, კონკრეტულად, *„ენგურჰესის კაშხლის ზემოთ, მდინარე ეცის ხეობაში მიგნებულია ქვის ხანის სადგომები, ნასახლარები, რკინის წარმოების ნაშთები და სხვა“* (მიქავა: 1965: 4). ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც აქ საქმიანობდა ენგურჰესის მშენებლობის დაწყებიდან, გათხარა ჯვარის მიდამოებში არსებული მაქსანიას გამოქვაბული. აღმოჩენილი მასალის მიხედვით, აქ, როგორც ჩანს, ელინისტურ ხანაში ფუნდუკი იყო (ბერაძე 1967: 208). ირკვევა, რომ ჯვარი ოდითგანვე უკავშირდებოდა სხვა რეგიონებს.

ადრეულ პერიოდში ჯვარი იყო სოფელი, სამაზრო ცენტრი, დაბა. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ის საისტორიო საბუთებსა და სხვა წყაროებში ხშირად იხსენიებოდა. ამ დასახლებულ პუნქტზე წერდნენ მოგზაურებიც.

ჯვარის დაარსების ყველაზე გავრცელებული ლეგენდა ქრისტეს მოციქულს, ანდრია პირველწოდებულს უკავშირდება (ჯვარელი 1888: 11).

1888 წელს გაზეთ „მწყემსში“ გამოქვეყნებული სტატიიდან ირკვევა, რომ „1875 წელს ამ სოფლის მკვიდრნი მთავრობის განკარგულებით გაიყო ორ საზოგადოებად და მდინარე ენგურის გაღმა მხარეს ეწოდა გაღმა-ჯვარი, ანუ ჭალის საზოგადოება“ (ჯვარელი 1888: 11).

ჯვარში სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებას ეწეოდნენ. აქ, როგორც მთის სოფელში, განვითარებული იყო მეცხოველეობა, შინამრეწველობა, მოჰყავდათ სიმინდი. ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, ჯვარში „ცხოვრობენ

მველებურად; ხვნა-თესვის გარდა ისინი მისდევენ შინაური საქონლის მოშენებას და ზოგან მეფუტკრეობასაც, რასაც ადგილ-მდებარეობა ძლიერ ხელს უწყობს (ჭანტურია 1896: 770).

ჯვარის შემადგენლობაში შედიოდა ხუდონის თემი, რომელის ტერიტორიაც ენგურჰესის მშენებლობის დროს დაიტბორა და დღეს ამ ადგილის უდიდესი ნაწილი მოქცეულია წყალქვეშ. ი. ქარდავას აღნიშვნით, „ხუდონი ძველი ჯვარის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ცალკე სოფლად ჩამოყალიბდა 1932 წელს მდინარეების მაგანასა და ენგურის ხეობაზე დასახლებული პატარა სოფლების გაერთიანებით“ (ქარდავა 2011: 15). ხუდონის თემი დაახლოებით თორმეტ სოფელს მოიცავდა აქ მცხოვრები, დაახლოებით სამასზე მეტი კომლით. ჯვარის შემადგენელი ნაწილი, ერთ-ერთი უბანი იყო დღევანდელი სოფელი ჩქვალერი.

ჯვარის დასახლება ისტორიულად მნიშვნელოვანი გზების გასაყარზე მდებარეობდა. ის აკავშირებდა საქართველოს სამ რეგიონს: სამეგრელოს, აფხაზეთს და სვანეთს. ჯვარის სტრატეგიულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც, 1639 წლის 29 მაისს რუსეთის მეფე მიხეილმა „სადადიანოს ქვეყანაში მეფე ლევანთან“ სამეფო სიგელით გაგზავნა მღვდელი პავლე ზახარიევი და თარჯიმანი ფედოტ ელჩინი. ელჩები ჩრდილო კავკასიიდან სვანეთის გავლით ჩასულან სოფელ ჯვარში, იქედან კი – სამეგრელოს სხვა დასახლებულ პუნქტებში (გამახარია 2014: 271).

ჯვარის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობაზე მიუთითებს მეცხრამეტე საუკუნეში ჯვარის მაზრის არსებობა. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა (1846-1853 წწ.) ოდიშ-ლეჩხუმი დაყო რვა მაზრად. ერთ-ერთი იყო ჯვარის მაზრა, რომელშიც შედიოდა შემდეგი სოფლები: ჯვარი, ხუდონი, ღია, ნაგუროუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, წალენჯიხა, ობუჯი, ზუმი, ჯუმიტი, ლეწურწუმე, ალერტი, გურპემი, ნამიკოლოუ, თამაკონი, ჟინოთა, ლეცავე, წაჩხურუ, კურზუ, ხანწკი, ოცინდალე, ჭოდა, მუხური, ლექარჩე, ნაკიკიანო, ნაჯაგოუ, ახუთი, სავეკუო, ლეგერსამე, დოშაკი, კიწია, მოიდანახე, ნოღა (მეუნარგია 1939: 112). ზემოთაღნიშნული სოფლები ამჟამად წალენჯიხის, მარტვილის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შედის.

ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის გზა ზემო სვანეთისთვის საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან ხელსაყრელი დამაკავშირებელი გზაა. ამის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილიც მიუთითებდა. მკვლევარი 1910 წელს ლეჩხუმში არქეოლოგიური ექსპედიციის ჩანაწერებში აღნიშნავდა, რომ „*სვანეთში ორი გზა მიდის: ერთი ლეჩხუმიდან, ქალაქ ცაგერიდან, ჯერ ქვემო სვანეთში, ცხენის წყლის ანუ სადადიანოს სვანეთში, შემდეგ ლათფარის ზეკარით ანუ უღელტეხილით ზემო სვანეთში ანუ ენგურის სვანეთში. ამ გზით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ ზაფხულში; სხვა დროს გზა შეკრულია დიდი თოვლის გამო. მეორე გზა მიდის სამეგრელოდან, სოფელი ჯვარიდან მდინარე ენგურის ნაპირით, სადადეშკელიანო სვანეთში, და შემდეგ თავისუფალ სვანეთში. ეს გზა საუკეთესოდ ითვლება და დიდის გაჭირვებით მისვლამოსვლა აქედან ზამთარშიაც წარმოებს*“ (თაყაიშვილი 2017: 18). მეცნიერი ჯვარი-სვანეთის დამაკავშირებელი საფოსტო გზის არსებობაზეც მიუთითებს. 1913 წლის გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებული ინფორმაციით, „სვანეთის ფოსტა ცაგერიდან გადმოაქვთ, რადგანაც ახალი გზის გაკეთება უკვე სრულდება“ (ხუბუტია 1913: 4). ამდენად, ჯვარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაწინაურებას ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სწორედ მისი მდებარეობა განსაზღვრავდა.

ჯვარში არსებული ბუნებრივი სასარგებლო წიაღისეულისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობების გამო შენდებოდა სხვადასხვა სახის საწარმოები. 1907 წელს გაზეთი „ისარი“ ახალ ამბებში იუწყებოდა, რომ „ზუგდიდის მაზრაში, სოფელ ჯვარში აღმოაჩინეს საუცხოო მადანი ცემენტისა, რომელიც ინჟინრების სიტყვით, თვისებით გაცილებით ჯობნის ნოვოროსიისკის ცემენტს. გარდა ამისა, ჯვარი რკინის გზიდან ახლოს, 15 ვერსის მანძილზე. ის მამული, კი სადაც მადანია აღმოჩენილი, ეკუთვნის ალექსანდრე შამუგიას“ (ისარი 1907 #220). საბჭოთა პერიოდში ენგურჰესის მშენებლობის ინერტული მასალებით მომარაგება ჯვარის და რუხის კარიერებიდანაც ხორციელდებოდა (აკიშბაია, სართანია 2006: 181).

ჯვარის ხელსაყრელ მდებარეობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ, როდესაც საქართველოში ქალაქის ქარხნის ასაგებ ტერიტორიად ზუგდიდის მაზრის სოფლებიდან უნდა შერჩეულიყო ჯვარი ან შამგონა, უპირატესობას ჯვარს აძლევდნენ (კომუნისტი #85, 1927). ენგურის ხეობაში ქალაქის ქარხნის აშენების დასასაბუთებლად გაზეთი „კომუნისტი“ აღნიშნავდა, რომ სატყეო მასალის იოლად

მოზიდვისა და სატრანსპორტო კავშირის იოლად დამყარების მიზეზით ჯვარში ხელსაყრელი პირობები იყო ქარხნის ასაგებად (კომუნისტი #108, 1927). ამიტომ საექსპერტო კომისიამ ქარხანის ასაშენებელ ადგილად მოიწონა სოფელი ჯვარი და არა სოფელი შამგონა. საექსპერტო კომისიის დასკვნთ: „სოფელ ჯვარში, რომელიც მდებარეობს სვანეთის საზღვართან, ქარხნის აგება შლის ახალ პერსპექტივებს ამ კუთხის ასაღორძინებლად. ამ რაიონიდან 7-8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ტყვარჩელის საქვანახშირო რაიონი, აქვე მოიპოვება გოგირდის ალმადანის მადნები და ამ ადგილას შესაძლებელი გახდება მდინარე ენგურზე ჰიდრო-ელსადგურის აგება. ამ რაიონში ქაღალდის ქარხნის აგებით გაწეული ხარჯები ანაზღაურდება 1-2 წლის განმავლობაში“ (კომუნისტი 1927 #117). ეს ყოველივე ჯვარის უდიდეს პერსპექტივაზე მიუთითებდა, რამაც რკინიგზის გაყვანის აუცილებლობამდე მიიყვანა სახელმწიფო. მიუხედავად ზემოთაღნიშნული ცნობებისა, ჯვარი ამ პერიოდისთვის ურბანულ სივრცედ არ ქცეულა.

სოფელ ჯვარს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო თვალსაზრისითაც. 1965 წლის გაზეთში „კომუნისტის დროში“ გამოქვეყნებულია სტატია, საიდანაც ვგებულობთ, რომ „ომის წლებში ჯვარის ხიდი, როგორც სამხედრო ხიდი, საჭურველით და სურსათით ამარაგებდა კავკასიის ფრონტს. ომის პირველი დღეებიდან უკანასკნელ ხანამდე ხიდზე იდგა შამხანა მომარჯვებული ჯარისკაცი. ომის წლებში სოფელში დაბანაკებული სამხედრო ნაწილები იცავდნენ მას დივერსანტებისგან“ (მანია 1965: 2). 1993 წელს აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნისას, ლტოლვილებმა ჯვარის გავლით შეძლეს დანარჩენ საქართველოს რეგიონებში ჩასვლა. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი ომის დროს ჯვარის გზის გავლით რუსი სამხედროები გადაადგილდებოდნენ სვანეთის მიმართულებით. ჯვარიდან ჭუბერამდე რუსეთის ჯარი იდგა. ამის შესახებ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაც“ იუწყება (საქართველოს რესპუბლიკა 2008 # 152).

ჯვარში ენგურჰესის მშენებლობა დაიწყო 1961 წლის 9 მარტს. ენგურზე მომუშავეთათვის აშენდა 70900 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. შეიქმნა დასახლებები. ყველა დასახლებას ჰქონდა საბავშვო ბაგა, ბაღი, სასადილო, კლუბი, მაღაზია და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულება.

ექსპლუატაციაში შევიდა 30 კილომეტრი რკინიგზის ხაზი ზუგდიდი-ჯვარის მიმართულებით (ენგურის ჩირაღდანი 1966 #1).

ენგურჰესის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯვარის განვითარებისთვის. მას შემდეგ, რაც აქ დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, დასახლება მრავალრიცხოვანი გახდა. სასოფლო საბჭო გადაიქცა სადაბო საბჭოდ. აქტიურად მიმდინარეობდა ჯვარის ურბანიზაცია. ენგურჰესის მშენებლობის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმებიდან კარგად ჩანს ჯვარის მშენებლობისა და განსახლების პროცესი. აღნიშნული ფილმები სოფლის განახლების, უდიდესი პერსპექტივების ნათლად გადმოცემისთვის ძვირფასი წყაროა.

1964 წელს მაისში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯვარის დაბად გამოცხადების შესახებ (კომუნიზმის დროით 1967 #38). ჯვარი საზოგადოების განვითარებასთან და მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად იძენდა ახალ-ახალ დატვირთვას. დაბა დღითი დღე ვითარდებოდა და ამის შესახებ გაზეთებშიც აქტიურად იწერებოდა: „დაბა ჯვარი, ახალი გზები, ახალი სახლები, ახალი დაწესებულებები, დაბა, რომელიც მალე ქალაქად იქცევა“ (ფიფია 1965: 2).

1967 წელს გაზეთში „კომუნიზმის დროით“ გამოქვეყნდა ჯვარის სადაბო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ქანთარიას წერილი, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ „დაბა ჯვარში ორი საკოლმეურნეო არტელი, ენგურჰესის მშენებელთა დასახლებები, სამი საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის სახლებია. ქართველო, რუსი, უკრაინელი, სომეხი, ბელორუსი, აზერბაიჯანელი, საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ხალხის ათასობით წარმომადგენელი მუშაობს ძველი „ლაკადის“ მიწაზე“ (ქანთარია 1967: 2).

1963 წელს ლაჯანურჰესის მშენებლობაზე ფინური სახლები დაშალეს და ჯვარზენის დასახლებაში ჩაიტანეს. ბარაკებისა და კოტეჯების გადატანამ ხელი შეუწყო ჯვარზენის უბანში მოსახლეობის ზრდას. დაიწყო აქტიური საქმიანობა ენგურჰესზე მომუშავეთათვის საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად (შარტავა 2014: 49-50-53). მშენებლობის პროცესი ასახულია დოკუმენტურ ფილმში: „ენგურჰესის მშენებლობა“. აქ ჯვარში არსებული დასახლება მოხსენებულია, როგორც ჰიდრომშენებელთა მთავარი ბანაკი. ფილმში მოთხრობილია, რომ ის ტერიტორია,

სადაც ენგურჰესის მშენებელთა სახლები აშენდა, ადრე დაუსახლებელი ყოფილა. ენგურჰესის მშენებლობამ კი განაპირობა აქ საცხოვრებელი კორპუსების აგება (სეა. 2-674; 2-1807). ამის შესახებ რაიონული გაზეთიც იტყობინებოდა: „ჯვარზენის დასახლების ერთ-ერთი კუთხის, ძველი „მულურონის“ გაუვალ ტყეებში მანქანები დადიან: „მაზები“, „ზილები“, „გაზები“ (ფიფია 1965: 3). მალე, აქ ფინური სახლების ნაცვლად აშენდა სამსართულიანი, ოთხსართულიანი, ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსები. ყველა დასახლებაში იყო ცენტრალური გათბობა (შარტავა 2014: 184). უბნებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. დაიწყო ქუჩების კეთილმოწყობა. ენგურჰესის მშენებლებს ჯვარზენში ჰქონდათ ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის სათამაშო მოედნები (ქობალია 1966: 1).

1970 წლისთვის ენგურზე ქალაქის ტიპის 11 დასახლება იყო, სადაც 33 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ენგურჰესს ემსახურებოდა 7 სკოლა (3 საშუალო და 4 რვაწლიანი), 10 საბავშვო ბაღი, 7 კლუბი, ერთი 75 საწოლიანი საავადმყოფო და 5 სამედიცინო პუნქტი (ენგურის ჩირაღდან 1970 #43).

ჯვარის ჯვარზენის უბანში არსებული სკოლა მიჩნეული იყო „ყველაზე ინტერნაციონალურ სკოლად“ (ჭანტურია, იოზაძე 1968: 3).

გაზეთ „ენგურის ჩირაღდანში“ 1966 წელს გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, კაშხალმშენის სამმართველოში 1966 წლის 12 ივნისს ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 22000 ამომრჩეველს. ესენი იყვნენ *„ქართველები, აფხაზები, რუსები, ბერძნები, უკრაინელები და ათეულობით აზერბაიჯანელი, სომეხი, ბელორუსი, თათარი, ჩუვაში, ბაშკირი, პოლონელი, მოლდაველი. სულ ცხრამეტი ეროვნების წარმომადგენელი მივიდა უბნის საარჩევნო ყუთთან“* (შანავა 1966: 1). 1967 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნებულ ჯვარზენის დასახლების ფოტოსთან არსებულ მინაწერზე აღნიშნულია, რომ ენგურჰესის მშენებლობის დაწყებამ „სრულიად შეუცვალა იერი ჯვარზენის მიწას და ახლა, აქ ოცდაცხრა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს“ (ენგურის ჩირაღდან 1967 #9).

საბჭოთა დროს ქალაქი ჯვარი საერთაშორისო შეხვედრების და ფესტივალების ადგილი იყო. 1987 წელის 11 ივლისს ქალაქ ჯვარში ჩატარდა საბჭოთა და ინდოელი ახალგაზრდობის მეგობრობის ფესტივალი. ქალაქ ჯვარის ახალგაზრდულ კაფეში ინდოელ სტუმრებს დახვდნენ ენგურჰესის კულტურის სახლის ბავშვთა ვოკალურ-

ინსტრუმენტული ანსამბლის „ენგურის“ წევრები. მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიება (ხასაია 1987: 1-2).

ჯვარში მოსახლეობის ზრდამ განაპირობა იმ მოთხოვნილებების ზრდაც, რაც აუცილებელია ახალი სოციალური ფორმირებისთვის. გაუმჯობესდა მოსახლეობის ეკონომიკური ვითარება, აშენდა ბაგა-ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის სახლები, კინოდარბაზები, კლუბები და სხვა. ზოგადად ურბანიზაცია, ვ. ჯაოშვილის აღნიშვნით, „იწვევს ახალი ტიპის პროფესიების მუდმივ გაჩენას, რაც ამავე დროს, შესაბამისი პროფესიების პროფესიონალების გაჩენას განაპირობებს“ (ჯაოშვილი 1978: 199). ჯვარშიც გაჩნდნენ ახალი პროფესიის წარმომადგენლები: ავტომემკეთებლები, მშენებლები, ინჟინრები, ზეინკლები, შემდუღებლები, ელექტრომემონტაჟეები, ზეინკალ-სანტექნიკოსები, დურგლები, და სხვა. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე აშენდა ქვის სამტვრევი საამქრო, ჯვარის ბეტონის ქარხანა, მუშაობდა ჯვარის კარიერი. ჯვარის ხრეშისა და კირის კარიერის მარაგი იძლეოდა საშუალებას მიეღოთ ძალიან მაღალი ხარისხის ბეტონი (შარტავა 2014: 181). ჯვარში ამოქმედდა ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის სახერხი ქარხანა, მექანიკური საამქრო, ლიმონათის ჩამოსასხმელი ქარხანა.

ჯვარის ტერიტორიაზე, მდინარე ენგურზე დამონტაჟებული იყო ოქროს მოპოვებისთვის გამოყენებული მცურავი გემი – **დრაგა**. ამ უჩვეულო მცურავი ქარხნის საშუალებით მოიპოვებდნენ ინერტულ მასალას (შარტავა 2014: 61). ჯვარში მუშაობდა მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც ინფორმაციას აწვდიდა თბილისის ამინდის ბიუროს (შენგელაია 1966: 4). სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებზე მოთხოვნამ განაპირობა ენგურჰესის მშენებლობის ბაზაზე პროფტექნიკური სასწავლებლების გახსნა. 1967 წელს ჯერ აფხაზეთში გაიხსნა გალის და საბერიოს პროფტექნიკური სასწავლებლები, შემდეგ კი, ჯვარში – საბერიოს #46 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლის ფილიალი. აქ ეუფლებოდნენ პროფესიას ავტომემკეთებლები, ელექტრიკოსები, კალატოზები, მეყალიბე-მებეტონეები, მკერავები და სხვა (ოდიშარია 1970: 4).

1966 წლიდან ენგურჰესის მშენებლებს ჰქონდათ საკუთარი, ორენოვანი – ქართულ და რუსულ ენებზე გამომავალი გაზეთი „ენგურის ჩირაღდანი“. ყველა სამმართველოს ჰქონდა კედლის გაზეთი. ჩამოყალიბდა სპორტული კოლექტივები.

მათთვის შეიქმნა სპეციალური სავარჯიშო მოედნები. მშენებლებისთვის დაარსდა ბიბლიოთეკაც.

უნდა აღინიშნოს ქალების როლი ქალაქის მშენებლობაში. ქალების აქტიურ ჩართულობაზე გაზეთი „ენგურის ჩირაღდანი“ ხშირად წერდა (ჭანტურია 1967: 1). აქ არსებობდა საგზაო მშენებლობის სამმართველოს პირველი უბნის ქალთა ბრიგადაც (ქადარია 1967: 4). ენგურჭესზე 1968 წლისთვის დასაქმებული იყო 1500-ზე მეტი ქალი, მათ შორის იყვნენ მებეტონეები, მებათქაშეები, მღებავები, მძღოლები, ასფალტის დამგებნი (ენგურის ჩირაღდანი 1968, #16). ქალი იყო ასევე, წალენჯიხის რაიონული საბჭოს დეპუტატიც, რომელიც ჯვარში ენგურჭესის მშენებლობაზე ჩამოვიდა და ენგურის გადახიდვის უშუალო მონაწილე იყო (ნიკოლაძე 1968: 2). ენგურჭესზე 23 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციიდან ხუთს ქალი ხელმძღვანელობდა, მათ შორის იყვნენ ქართველი ქალებიც (გარდავა 1976: 3). ენგურჭესის მშენებლობაში მონაწილეობდნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოტორისტები და საბაგირო გზის ოპერატორი ქალებიც (ნიკოლაიშვილი 1973: 3).

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსის მატება, დასახლების გაფართოება, აქ საწარმოო, სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარება იყო წინაპირობა იმისა, რომ ჯვარს 1981 წელს ქალაქის სტატუსი მიენიჭა (სოფლის ცხოვრება 1981 #181). ენგურჭესის მშენებლობა და აქ ენერგეტიკული „გიგანტის“ ამოქმედება ჯვარის ქალაქფორმირების უმთავრესი ფაქტორი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჯვარში სამუშაოდ ჩამოსული ქართველებისა და უცხოელების წასვლამ, აფხაზეთში ომმა და ოკუპირებული ტერიტორიიდან მოსახლეობის შემოსვლამ ცვლილებები გამოიწვია ჯვარის, როგორც ინდუსტრიული ქალაქის განვითარებაში. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდომარეობამ განაპირობა ჯვარში მოსახლე, ენგურჭესზე მომუშავე ქართველი და უცხოელი მოსახლეობის ქალაქიდან, ქვეყნიდან წასვლა და მათი აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობით ჩანაცვლება.

მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, აფხაზეთის ომმა, სამხედრო ფორმირებების თარეშმა ჯვარზე ძალიან დიდი გავლენა იქონია. უარყოფითი კუთხით შეეცყო ქალაქის ინფრასტრუქტურას, გაიძარცვა და გაპარტახდა საწარმოო და

ადმინისტრაციული შენობები, მოიშალა რკინიგზა. თითქმის ჩაკვდა კულტურული საქმიანობა. ჯვარის მოსახლეობა მძაფრად განიცდიდა უარყოფით რადიკალურ ცვლილებას და ამის შესახებ გაზეთებშიც ქვეყნდებოდა. ერთ-ერთი სტატიაში აღწერილია 1990-იან წლებში ჯვარში არსებული სიტუაცია: „ჯვარი – ენგურჰესელ ჰიდრომშენებელთა ქალაქი – ერთ დროს საყოველთაოდ ცნობილი, აყვავებული, დღეს საშინლად გაოხრებულ-გაპარტახებულია. ამჟამად აქ არ მუშაობს არცერთი საწარმო, დაწესებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა ფაქტობრივად გაუქმებულია, მოსახლეობის თითქმის 99 პროცენტი უმუშევარია. ქალაქში შეიძლება იყოს 2-3 დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელებმა შეძლეს (ასე თუ ისე!) შენობა-ნაგებობების, ინვენტარის გაუქურდავად და გაუპარტახებლად შენარჩუნება. ერთი ასეთი დაწესებულება სპორტკლუბია“ (ზაალიშვილი 1994: 6). ამ პერიოდში ქალაქში ჩატარდა სპორტული ფესტივალი „სპარტაკიადა“. ჯვარის ქუჩებში სარეკლამო ფურცლები, აფიშები იყო გაკრული სპორტული შეჯიბრებების შესახებ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში. შეიქმნა „ჯვარის კულტურისა და სულიერი აღორძინების ფონდი“.

ჯვარის დიდი პრობლემა იყო უმუშევრაც. ენერგეტიკოსთა ქალაქს შუქი არ მიეწოდებოდა. 2004 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით, „ენერგეტიკოსებს დენი არ აქვთ“, სწორედ ამაზე მოუთხოვრებდა მკითხველს. ჯვარში მიტინგები ტარდებოდა ენერგიის მისაწოდებლად. მოსახლეობა აპროტესტებდა უმუშევრას: „ხალხო, მონები ვართ?! ენგურჰესი ჩვენ ავაშენეთ, ენგურჰესს ჩვენ ვამუშავებთ, ლამის მთელი საქართველო ჩვენს მიერ გამომუშავებული ენერგიითაა, ჩვენ კი შუქი არ გვაქვს“ (ქუხილავა 2004: 4).

მძიმე ყოფაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ჯვარის მიმდებარე სოფლები ითხოვდნენ მთის სოფლის სტატუსის მინიჭებას. პრესაშიც ეხმაურებოდნენ ამ ფაქტს. სტატიის ავტორი ოდიკ ქუხილავა სიტყვებით წერს: „ჯვარში მკაცრი ზამთარი იცის. აქ მთის კლიმატია. მიუხედავად ამისა, ჯვარმა, ისე როგორც უფრო იქით, მთებისაკენ მდებარე ჩქვალერმა, მუჟავამ, ჭალემ მთის სტატუსი ვერა და ვერ მოიპოვეს. ეს იმიტომ, რომ მთავრობის წევრები ჯვარში მხოლოდ ზაფხულში ჩამოდიან – ხუმრობენ ჯვარელები“ (ქუხილავა 2004: 4).

ჯვარელები აქტიურად ცდილობდნენ ქალაქში კულტურული ცხოვრების აღორძინებას. ომისშემდგომი მძიმე ვითარების მიუხედავად, ქვეყნდებოდა წერილები მათ სატკივარსა და მიზნებზე. 1996 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ო. ქუხილავას ინტერვიუ „ჯვარის კულტურისა და სულიერი აღორძინების ფონდის“ დამფუძნებლებთან. ისინი სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო პოლიტიკის დარეგულირებას მოითხოვდნენ. 1990-იან წლებში *„ჯვარში გაპარტახებასა და გაჩანაგებას გადაურჩა მხოლოდ გაზეთის რედაქცია. როცა ასე თუ ისე მიწყნარდა ნგრევის პერიპეტეიები, გამოიჩინა, რომ გაზეთ „ჯვარის მოამბის“ რედაქცია ერთადერთი ორგანიზაციაა ქალაქში (შეიძლება რეგიონშიც), რომელსაც ინვენტარიზაციის ჩატარებისას ერთი კაპიკის საღირსი არაფერი დაჰკლებია“* (ქუხილავა 1996: 3). ჯვარში ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სხვადასხვა სახის დანაშაულებების მიზეზით გაიძარცვა და გაპარტახდა დაწესებულებები და ინფრასტრუქტურა.

2000 წელს The World Development Report მიხედვით, ღარიბთა რიცხვი 1987-1998 წლებში მსოფლიოში 25 მილიონით გაიზარდა. სიღარიბის ეს დრამატული ზრდა გარკვეულწილად სწორედ ყოფილი საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობის გადატაკებით იყო განპირობებული“ (სულუხია 2007: 37). ქალაქ ჯვარის მოსახლეობის, ისევე როგორც აქ მოსულ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემაც სწორედ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რამაც ქალაქ ჯვარის ურბანულ განვითარებაზე უარყოფითი შედეგი იქონია და პოსტსაბჭოთა პერიოდში მოხდა მისი ნგრევა, გაჩანაგება, გამარცვა.

ჯვარში დასახლებული აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობა გალის რაიონიდანაა. 1990-იან წლებში ისინი ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად, მძიმე ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდნენ. ამის შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ცნობაც მიუთითებს: „დაბა ჯვარში განსახლებული ლტოლვილები, რომელთა 90 პროცენტი გალის რაიონის მცხოვრებლები არიან, საკვები პროდუქტების ნაკლებობას განიცდიან“ (საქართველოს რესპუბლიკა 1994 # 187). ჯვარში დევნილები აფხაზეთის თითქმის ყველა რაიონიდან მოვიდნენ: გალი, გულრიფში, სოხუმი, გუდაუთა, გაგრა. აქ დასახლდა ენგურჰესის მშენებლობის დროს ხუდონის თემიდან გასახლებული მოსახლეობა. ხუდონის სასოფლო საბჭოდან

გადასახლებულები ძირითადად ცხოვრობდნენ ოჩამჩირისა (სოფელი კოჩორა, კვიტოული) და სოხუმის (სოფელი შრომა) რაიონებში. მათ განსაკუთრებულად მძიმე ბედი ერგოთ, რადგან 1950-60-ან წლებში მოუწიათ გადასახლება, მშობლიური სახლების დატოვება, წლების შემდეგ კი ისევ უკან, ჯვარის ტერიტორიაზე დაბრუნება. ხუდონელთა შთამომავლებიდან დაახლოებით 60 ოჯახი ქარდავას გვარის წარმომადგენელი ჩავიდა ჯვარში. აქვე დასახლდნენ გორდულაშვილები, ფიფიები, ჭანტურიები, გოგოხიები, ქუხილაშვილები, ბულისკირიები, ჯახაიები, ყოლბაიები.

1998 წელს ჯვარში დაფიქსირებული იყო 7000-მდე დევნილი. ამ წელს, გალში განახლებული კონფლიქტის გამო, ჯვარის ტერიტორიაზე ოხაჩქუესა და ჩვინარეს ტყეების გავლით მოხდა ე.წ. „დევნილთა მეორე ტალღის“ ჩასვლა. ჯვარში ადგილობრივებისგან შემდგარი იყო მაშველთა ჯგუფები, რომლებიც დევნილებს მთებიდან გადმოსვლაში ეხმარებოდნენ.

ჯვარში ჩასულ დევნილებს აქ დახვდათ გაპარტახებული საცხოვრებელი ბინები. მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ჯვარში დარჩენილები შეშის არქონის გამო შლიდნენ ინფრასტრუქტურას, იატაკს, კარებს. დევნილებს ჯვარის ტერიტორიაზე საცხოვრებელს კომუნალური მეურნეობის სამსახური ან ნათესავები სთავაზობდნენ.

სიღარიბისთვის თავის დაღწევის მიზნით, ჯვარში ჩამოსახლებული იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა ემიგრაციაში, ძირითადად რუსეთში წავიდა. 1990-იან წლებში რუსეთში წავიდნენ არამხოლოდ დევნილები, არამედ – ადგილობრივებიც. მოსახლეობის მიგრაცია უცხოეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო პოსტსაბჭოთა ქალაქებისთვის. თანამედროვე გლობალიზაციისა და თბილისის ურბანული ტენდენციების შესწავლის საფუძველზე, ურბანისტ თ. სულუხიას აღნიშვნით, „სიღარიბისა და უმუშევრობის ზრდამ, სოციალური უთანასწორობისა და პოლარიზების გაღრმავებამ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის უდიდესი მასისთვის შექმნა მძიმე საცხოვრებელი პირობები. ამავე დროს, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წარმატებულმა განვითარებამ და სახელმწიფოთა შორის ადამიანთა მზარდი გადაადგილების საშუალებამ პირობები შეუქმნა საქართველოდან ადამიანთა გადინებას დასაქმების ძიებისა თუ განათლების მიღების მიზნით“ (სულუხია 2007: 38). ჯვარიდან მოსახლეობის ნაწილი თბილისშიც გადასახლდა. აღსანიშნავია ის

ფაქტი, რომ არც ადგილობრივებს და არც აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, რომელიც ჯვარში დასახლდა და შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, ჯვართან კონტაქტი არ დაუკარგავს.

ქალაქ ჯვარის მოსახლეობა ცდილობდა ჯვარის ცალკე მუნიციპალიტეტად გამოყოფას. 2014 წელს ჯვარისა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა მოსახლეობამ მუნიციპალური ავტონომიის მოთხოვნით მთავრობას მიმართა და ინიციატივის პარლამენტში წარდგენა ითხოვა. მოსახლეობა მართავდა აქციებს ჯვარის სოფლების, ლიის, ფახულანის, ჭალის, მუჟავის, ეწერის და ჩქვალერის წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან გამოყოფის და ცალკე, დამოუკიდებელი ჯვარის მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბებას უჭერდა მხარს (livepress 2014). წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან გამოყოფასა და დამოუკიდებელი ერთეულის შექმნაში ქალაქ ჯვარის მოსახლეობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გამოსავალს ხედავდა. ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის მოთხოვნას ხელი 12 000-მდე მკვიდრმა მოაწერა. ამ ინიციატივას უარყოფითად შეხვდნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე. ჯვარის მუნიციპალურ ერთეულად ჩამოყალიბების წინადადებას საკრებულოს სხდომაზე ცხრამეტი დეპუტატიდან ოთხმა წევრმა მისცა ხმა. ჯვარის მუნიციპალიტეტის გამოყოფის იდეას მხარი არ დაუჭირა საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ (ღია საზოგადოების ფონდი 2014).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ორი ქალაქია, წალენჯიხა და ჯვარი. ჯვარს არ აქვს ადგილობრივი თვითმმართველობა, თუმცა, ადგილობრივების სურვილი, ჰყავდეთ მერი და ბიუჯეტს თავად განაგებდნენ, დიდია.

ქალაქი ჯვარი სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტია საქართველოში. ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი არამხოლოდ ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა, არამედ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი დატვირთვის მქონე ობიექტია. ეს არის ერთადერთი ადგილი, რომელიც პოლიტიკურად დაპირისპირებულ აფხაზებსა და ქართველებს ერთმანეთთან აკავშირებს და ათანამშრომლებს. ამისი მნიშვნელობა ორივე მხარეს აქვს გააზრებული.

ჰესი განლაგებულია საქართველოს სამი მუნიციპალიტეტის: წალენჯიხის, მესტიისა და გალის (აფხაზეთი) ტერიტორიაზე. წყალსაცავი მდებარეობს

წალენჯიხისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში; თაღოვანი კაშხალი და 15 კილომეტრიანი სადაწნეო გვირაბის 10 კილომეტრიანი მონაკვეთი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა; გვირაბის 5 კილომეტრი და ძალოვანი კვანძი (ტურბინა გენერატორი, ღია ქვესადგური და სხვა) – გალის რაიონში. აქვეა ვარდნილჰესი I წყალსაცავით და ჰესი შენობებით. ქონების 100 პროცენტის მესაკუთრეა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. ვარდნილჰესი I ქართული კომპანიაა და მისი ქონების 100% არის ენგურჰესის ადმინისტრაციის განკარგულებაშია. 2022 წელს ჩვენს მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე ვარდნილჰესების დათვალიერებისა და იქ დასაქმებულ ადამიანებთან გასაუბრების შემდეგ, გავარკვეეთ, რომ მუშაობის პროცესი ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზე უსაფრთხოა.

ჰესზე დასაქმებული ადამიანების უმრავლესობა ქართველია. გალის რაიონის ტერიტორიაზე მუშაობენ აფხაზებიც. ყველა საექსპლუატაციო და სარემონტო სამუშაოებს აწარმოებენ ქართველები და უცხოური კომპანიებიდან მივლინებული თანამშრომლები. ენგურჰესისა და ვარდნილჰესის თანამშრომლებს სპეციალური საშვების საშუალებით შეუძლიათ დაუბრკოლებლად გადასვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ჰესის ნაწილში მომუშავეების უმრავლესობა გალში მცხოვრები ქართველები არიან, თუმცა, აქ ასევე მუშაობენ წალენჯიხის, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ადამიანები, რომელთა გადაყვანა ყოველდღიურად ხდება ენგურჰესის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებით. ზუგდიდიდან გალის რაიონში, ყოველ სამუშაო დღეს 60-70 ადამიანი გადადის ჰესზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად. მხარეებს შორის არსებობს სიტყვიერი შეთანხმება, რომ ერთმანეთს მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს ენგურჰესისა და ვარდნილჰესის უსაფრთხო ექსპლუატაციაში. აფხაზების მხრიდან ეს ძირითადად გამოიხატება ადმინისტრაციულ ქმედებებში (ნებართვების გაცემა პერსონალზე და უცხოელ სპეციალისტებზე, ენგურჰესისა და ვარდნილჰესის ტვირთების უსაფრთხო გადატანაზე პირობით საზღვარზე).

ენგურჰესის თანამშრომლებისთვის აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხვედრის ოფიციალური გზა არის სოფელი რუხის გავლით, ენგურის ხიდი. სარემონტო სამუშაოების დროს დროებით იხსნება გამშვები პუნქტი მდინარე ერისწყალზე.

აუცილებლობის შემთხვევაში, შეთანხმების შედეგად, დიდი გაბარიტების მქონე ტვირთის გადატანა ხდება ამ პუნქტის გავლით.

ენგურჰესის თანამშრომლები არ სარგებლობენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში არსებული ფეხით გადამსვლელთათვის შექმნილი პუნქტით. ამით ძირითადად გალის რაიონის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობს. ჰესზე მომუშავე ქართველებსა და აფხაზებს აქვთ კარგი, მეგობრული ურთიერთობა. ისინი მშვიდობიანად თანამშრომლობენ.

ამდენად, ენგურის ამ უნიკალური აგებულების ჰესს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობისთვის. ის ქართველებისა და აფხაზების დამაკავშირებელი ერთადერთი ობიექტია. რეინტეგრაციის პროცესში მისი მნიშვნელობა აუცილებლად აღსანიშნავია.

2022 წლის 17 იანვარს გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი შპს „ენგურჰესს“, სს „ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ და შპს „ენგურის ატრაქციას“ შორის. ხელშეკრულება ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის ტურისტული პოტენციალის ათვისებას, მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებას ითვალისწინებს, რაც საზოგადოების ცნობიერების გაზრდას, ტურისტული ნაკადების მიზიდვასა და ძველის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

ენგურჰესისა და მიმდებარე ტერიტორიის განვითარების საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შეიქმნას: **ადმოჩენათა ცენტრი** (საექსპოზიციო და სამუშაო სივრცის ადმინისტრაციული შენობის ფარგლებში მოწყობის, ასევე, ტურისტული მარშრუტისა და საექსპოზიციო სივრცის ტექნიკური მომსახურების მიზნით, შპს „ენგურჰესმა“ გამოყო ადმინისტრაციული შენობის პირველი ორი სართული); **ავტობუსის ტური** (მოიცავს ენგურის თაღოვანი კაშხლის საინჟინრო ღირსშესანიშნაობებს, ტექნიკურ სივრცეებს); **გადასახედი ბაქანი; ბეიზი და ბანჯი ჯამფინგი; პარაპლანისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა; საბაგირო, ზიპლაინი; გალერეა გვირაბი; წყლის სპორტი; პანორამული ლიფტი; საკონცერტო სივრცე; გზები** (თანამშრომლობის მემორანდუმი 2022).

ქალაქ ჯვარს აქვს უზარმაზარი ტურისტული პოტენციალი. აქ არის არა ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. მდინარე მაგანაზე გადებულია თითქმის ერთი საუკუნის ისტორიის მქონე ვანტური ხიდი, რომლის მშენებლობაც 1929-32 წლებში

მიმდინარეობდა; ასევე უამრავი ბუნებრივი რეკრეაციული ზონა და მოსასვენებელი ადგილი.

ბოლო პერიოდში, ცხოვრების დონის გაუმჯობესებამ, ტურისტების შემოსვლამ, რომლებიც ჯვარის გავლით სვანეთში მიდიან, ბიზნესმენებს ქსელური მაღაზიების გახსნის საშუალება მისცა. რეაბილიტირდა კულტურის სახლი, გაიხსნა პარკები; ქალაქში ფუნქციონირებს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სივრცეა.

ქალაქში არის საბჭოთა დროს აშენებული 58 საცხოვრებელი კორპუსი, მათ შორის: 3 სართულიანი 30 კორპუსი 545 საცხოვრებელი ბინით; 4 სართულიანი 10 კორპუსი 268 საცხოვრებელი ბინით; 5 სართულიანი 14 კორპუსი 801 საცხოვრებელი ბინით; 9 სართულიანი 4 კორპუსი 216 საცხოვრებელი ბინით. ჯვარის საცხოვრებელი კორპუსების აგება ენგურჰესის მშენებლობის პერიოდში მოხდა და მას შემდეგ ახალი არ აშენებულა. საბჭოთა დროს „ქალაქებში უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების პრაქტიკულად არარსებობა მეტად აადვილებდა ურბანული გარემოს რეკონსტრუქციისა და განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების მუდმივ ამოცანას“ (სულუხია 2007: 70). პოსტსაბჭოთა პერიოდში, შეკეთდა და გალამაზდა ზოგიერთი საცხოვრებელი კორპუსის ფასადი.

ქალაქში არის ოთხი საჯარო სკოლა, ხუთი საბავშვო ბაღი, ორი პოლიკლინიკა, ერთი ამბულატორია, მრავალდარგოვანი კოლეჯი, სასწრაფო დახმარების ცენტრი, პოლიციის ქვეგანყოფილება, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლა, სპორტული კომპლექსი სარბენი ბილიკებით, მძლეოსნური სექტორებით და 50 მეტრიანი 9 ბილიკიანი საცურაო აუზით, საჭიდაო დარბაზი, ყოფილი საავადმყოფო-სტაციონარი 40 საწოლზე, სადაც ფუნქციონირებდა ქირურგიული, თერაპიული და სამშობიარო განყოფილებები. ქალაქში არის ათეულობით სავაჭრო ობიექტი, რესტორანი სარიტუალო დარბაზით, რამდენიმე აფთიაქი, პურის საცხობები, კომუნალური მომსახურების და წყალმომარაგების სერვის ცენტრები, ბაზარი, ორი მოქმედი ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია, ოჭანეს და გუბანის დედათა მონასტრები.

ჯვარში არის სსიპ კოლეჯი „ლაკადა“. 1983 წელს საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი გაიხსნა წალენჯიხის მინიციპალიტეტის სოფელ ფოცხო-ეწერში. სასწავლებელმა 1992 წელს შეიცვალა მისამართი და დღემდე ფუნქციონირებს ქ. ჯვარში. 1992 წელს ის იყო ქ. ჯვარის სასწავლო-საწარმოო კომბინატი; 1993-94 წლებში კი – მრავალდარგოვანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 ოქტომბრის და განათლების სამინისტროს 1995 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებებით გადაკეთდა მრავალდარგოვან კოლეჯად, რომლის რეორგანიზების შედეგად 2007 წელს დაფუძნდა სსიპ ჯვარის პროფესიული სწავლების ცენტრი. 2011 წლიდან – ცენტრს ეწოდა პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, 2019 წლიდან მისი სახელწოდებაა – სსიპ კოლეჯი „ლაკადა“.

კოლეჯი „ლაკადა“ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლებელია. აქ ხორციელდება შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები, როგორებიცაა: ინჟინერიის, ჯანდაცვის, სამშენებლო და ხელოვნების მიმართულებები. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა დიპლომი (სრა, ფ. # 156).

ქალაქში 80-მდე შიდა გზაა; მათი უმეტესობა გრუნტის საფარიანია, თუმცა ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს გზების მოასფალტება.

ჯვარში არ არის თანამედროვე პირობებისთვის შესაფერისი საზოგადოებრივი მომსახურების სხვადასხვა სივრცე: ბანკები, კვების ობიექტები (კაფე). მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა; საჭიროა სასმელი წყლით 24 საათიანი მომარაგება, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება, ყველა ქუჩის ასფალტის საფარით დაფარვა.

ჯვარს საჭიროდება ეკონომიკური სიახლეები, უცხოური ინვესტიციები, ერთობლივი საწარმოები, საფინანსო ორგანიზაციები, ტრადიციული გამოყენებით ხელოვნების ნიმუშების წარმოება-გაყიდვა, მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობის და ბუნების ძეგლების აღრიცხვა, კეთილმოწყობა.

ჯვარი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მაღალმთიანი ქალაქია. მისი დასახლების განვითარებას ხელი შეუწყო გეოგრაფიულმა პირობებმა. ჯვარის წყალუხვი, მდინარისპირა ადგილზე, ბუნებრივი რესურსებით მდიდარ არეალში და რამდენიმე მხარის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მდებარეობამ განაპირობა მისი შერჩევა ენგურჰესის მშენებლობის ადგილად.

გრანდიოზული ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობისთვის აუცილებელი გახდა მუშახელის – ათასობით ადამიანის ჩასახლება. მოსახლეობის მასშტაბურ ზრდას მოჰყვა ქალაქის ტიპის დასახლების შექმნა: აიგო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები, ამოქმედდა სამრეწველო საწარმოები, რკინიგზის ხაზი, სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, პროფესიული სასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო ობიექტები, შეიქმნა თვისობრივად ახლებური, ქალაქისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურა.

1964 წელს სოფელი ჯვარი ოფიციალურად დაბად გამოცხადდა, 1981 წელს კი მას ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

ჯვარი რაიონული დაქვემდებარების ქალაქია, რომელსაც მართავს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი. აქ ადმინისტრაციის აქცენტი გადატანილია მოსახლეობის ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებისა და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენ. ქალაქში ვერ ხერხდება მოქალაქისთვის საჭირო ყველა სოციალური სერვისის სრულად უზრუნველყოფა. ქალაქი არ გამოირჩევა სამრეწველო საქმიანობითაც. ჯვარში მოსაწესრიგებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხიც.

შეიძლება ითქვას, რომ ჯვარი საბჭოთა დროს შექმნილი ქალაქია, რომლის პოსტსაბჭოთა პერიოდში, ქალაქად დარჩენის ფაქტორიც გახდა მოსახლეობის რეურბანიზაცია, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ადამიანების დასახლებით მოსახლეობის გაზრდა და ენგურჰესის აქტიური ფუნქციონირება. ქალაქ ჯვარის მთავარი ქალაქფორმირებითი ობიექტი არის ენგურჰესი. როგორც საბჭოთა დროს ენგურჰესი გახდა ქალაქის წარმოშობის მთავარი ფაქტორი და მისი ძირითადი ფუნქციის განმსაზღვრელი, პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ენგურჰესი ქალაქის არსებობის და განვითარების უმთავრესი პირობაა. როგორც ცნობილია, „ქალაქის შექმნის

მთავარი ფაქტორია მრეწველობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მეცნიერება, კულტურა“ (საღარიშვინი 2004: 83). ენგურჰესის მშენებლობა და შემდეგ მუდმივი ფუნქციონირება გახდა ჯვარის ყველაზე მნიშვნელოვანი მაურბანიზებული ფაქტორი.

დღევანდელი ქალაქი ჯვარი, შეიძლება ითქვას, რომ სიმბიოზია საქალაქო და სასოფლო ცხოვრებისა. აქ მოსახლეობის ნაწილი ქალაქური წესით ცხოვრობს, ნაწილი – სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა, ზოგი კი - ორივეს.

დასკვნა

პოსტსაბჭოთა პერიოდში ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასახლება თანამედროვე გარემოზე მორგებული გახდა. საბჭოთა პერიოდში ისტორიულად არსებული დასახლების ფორმა ნელ-ნელა შეიცვალა. საბჭოთა დრომდე მოსახლეობა განლაგებული იყო მთებში და გორაკ-ბორცვებზე. საბჭოთა დროს ცხოვრების პირობების, საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესებას მოჰყვა მთიდან შედარებით ვაკე ადგილებში დასახლება. რიგ შემთხვევებში, მეორეხარისხოვანი სამანქანო გზით მთიანი ადგილის დაკავშირებამ ცენტრალურ გზასთან, დასახლების დაბლობ ადგილზე გადატანის აუცილებლობა გამორიცხა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს როგორც მთის დასახლება, ასევე მთისწინა და ბარის დასახლებები. ამ თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის ტერიტორია მრავალფეროვანია. გარდა ამისა, უბნები, საცხოვრებელი სახლები და სამეგრელოსთვის დამახასიათებელი გაშლილი ეზო - კარი განლაგებულია მდინარის ნაპირებზეც.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში შეცვლილია დასახლების მორფოლოგია. მხოლოდ ერთი გვარით დასახლებული უბნები აღარ გვხვდება, რაზეც უდიდესი გავლენა იქონია საბჭოთა პერიოდში კომუნიკაციების გაუმჯობესებამ და ამ მიზნით, მოსახლეობის მიგრაციებმა ერთი-ადგილიდან მეორეზე, ძირითადად – მთიდან შედარებით ვაკე ადგილებისკენ. დასახლებულ უბანს შეიძლება ჰქონდეს ერთი კონკრეტული გვარის სახელწოდება, რაც იმის ნიშანია, რომ ეს ადგილი ერთ დროს ამ გვარის წარმომადგენლებით იყო დასახლებული, მაგრამ დღეს აქ სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ.

საცხოვრებელ სახლები, ძირითადად ქვისგან არის ნაგები. საბჭოთა პერიოდში, ენგურჰესის მშენებლობის დროს, სამშენებლო მასალაზე ხელმისაწვდომობამ შესაძლებლობა მისცა მოსახლეობას, მასიურად აეშენებინათ ბეტონის სახლები, თუმცა, გვხვდება ხის ოდა სახლები, ორსართულიანი ქვისგან და ხისგან ნაგები სახლები, ასევე ე.წ. „ბელეტაჟი“. პოსტსაბჭოთა პერიოდში, საზღვრების გახსნამ და არჩევანის თავისუფლებამ ახალმოსახლეებს საშუალება მისცა, თავიანთი,

ინდივიდუალური მოთხოვნილებებისა და გემოვნების შესაბამისად ააგონ საცხოვრებელი სახლები.

დღეისათვის სამეგრელოსთვის დამახასიათებელი გაშლილი კარ-მიდამო მოიცავს საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, დეკორატიულ, გამწვანებულ ეზოს და საბოსტნე ფართობს, ზოგჯერ – სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობსაც.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები გვარების რაოდენობა საბჭოთა დროს, საბჭოთამდელ დროსთან შედარებით, გაიზარდა. პოსტსაბჭოთა პერიოდშიც სხვადასხვა დასახელების გვარები დასახლდნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქებსა და სოფლებში, რაც განაპირობა ინდივიდუალურმა და შრომითმა მიგრაციებმა. ენგურჰესის მშენებლობამ განაპირობა საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან, ასევე იმდროინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ათიათასობით ადამიანის ჩასვლა, ძირითადად ჯვარის ტერიტორიაზე, რომლებიც სხვადასხვა გვარსახელის მატარებლები იყვნენ. მათმა დიდმა ნაწილმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დატოვა ჯვარი, მცირე ნაწილი კი - დარჩა და განაგრძობს მუნიციპალიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. საქართველოში, 1990-იან წლებში მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას მოჰყვა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის, ათასობით ადამიანის დასახლება მუნიციპალიტეტში და შესაბამისად, გვარსახელთა მატება.

გვხვდება ახალფორმირებული, ორი დასახელების გვარსახელები, რომლებიც ქორწინების შედეგადაა მიღებული. უნდა აღინიშნოს, რომ ორი გვარის ქონა გვიანდელი, ძირითადად პოსტსაბჭოთა პერიოდის მოვლენაა.

კვლევის დროს გამოვავლინეთ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ისტორიულად არსებული გვარსახელები, რომლებიც დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ გვხვდება, თუმცა საარქივო მასალებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირდება. ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა გვარის გაქრობის მიზეზები. კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ გვარის გაქრობის მიზეზები შემდეგია: არაკეთილხმოვანების გამო ევფემისტური ფორმების შექმნა; კონკრეტულ გვარში ქალების შობადობის მატება და მამაკაცების (გვარის გამგრძელებლის) შემცირება, სტიქიური მოვლენები, მიგრაციები და სხვა.

დავადგინეთ, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში გვართან დაკავშირებული პატრონიმული ინსტიტუტი აღარ არსებობს. შემორჩა ტერმინი „თური“, რომელმაც მნიშვნელობა შეიცვალა და ახლობელი ადამიანის აღმნიშვნელია.

მუნიციპალიტეტის სოფლებში შეიმჩნევა გვარების დაყოფა „გამნარყებად“ (ერთი დიდი ბაბუის შვილებს „გამნარყებს“ ეძახიან). დავაფიქსირეთ ტერმინი „ნაყრი“, რომელიც ერთი ოჯახის განაყრების აღმნიშვნელია. ამ ორ ტერმინს შორის უფრო ინტენსიურად გამოიყენება „გამნარყი“ და მას დღემდე გარკვეული სოციალური ფუნქცია გააჩნია.

როგორც დადგინდა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში „სამოხიოს“ (ერთ უბანში, ქუჩაზე მოსახლე ურთიერთვალებულების მქონე მოსახლეობა) მასშტაბები შემცირებულია და ისეთი უფლება-მოვალეობები, როგორიც ისტორიულად ჰქონდათ „სამოხიოს“ წევრებს, დღეს უკვე აღარ აქვთ.

სამეგრელოში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი საბჭოთამდელ პერიოდში მიწათმოქმედება იყო; მთაში უმთავრესად, მესაქონლეობასაც მისდევდნენ. საბჭოთა პერიოდში სოციალიზმზე გადასვლამ, მიწების სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევამ, კოლექტივიზაციამ და ეკონომიკის ახალი სისტემის ჩამოყალიბებამ სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, განაპირობა მეურნეობის ახალი დარგების და კულტურების შემოტანა.

საკვლევ მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობასთან ერთად ყურადღება მიექცა სამრეწველო საქმიანობას. ეკონომიკაზე და ცხოვრების პირობებზე დიდი გავლენა იქონია ენგურჰესის მშენებლობამ. პოსტსაბჭოთა პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ენგურჰესს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური თვალსაზრისით. ცხოვრების პირობების გაუმჯობესება საკვლევ მუნიციპალიტეტში დიდწილად ადრეც იყო და ახლაც არის დაკავშირებული ენგურჰესის მშენებლობასთან და ახლა უკვე – ექსპლუატაციასთან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო წინაპართა მიწების პრივატიზება. დღეს აქ მცხოვრებმა ყველა გვარმა, ოჯახმა იცის, რომელია მისი წინაპრის მიწა და ნელ-ნელა მას ისაკუთრებს. 2024 წელს წალენჯიხაში დაიწყო მიწის სისტემური რეგისტრაცია რასაც, სავარაუდოდ, წინაპრების მიწების მაქსიმალური პრივატიზება მოჰყვება.

ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივი ეკონომიკის ინტეგრირება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან. ნელ-ნელა ვითარდება მეურნეობის ტრადიციული დარგები, მრეწველობა, ვაჭრობა. ეს საქმიანობები კერძო მეწარმეობის გზით ხორციელდება. მუნიციპალიტეტში არის ქართულ-უცხოური ერთობლივი საწარმოების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივა. საქართველოს მთავრობის მიერ 2016-2020-იან წლებისთვის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები აქაც ხორციელდება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის საბჭოთამდელი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების მატერიალური კულტურის ძეგლები. ამათგან უმრავლესობა საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნულ სამსახურს აქვს აღრიცხული. მუნიციპალიტეტში აღრიცხული ძეგლების გარდა, არის აღსარიცხიც. სასურველია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასულიერო, საფორტიფიკაციო ნაგებობების, ეთნოგრაფიული და ბუნების ძეგლების ტურისტული მიზნებისთვის უფრო ფართოდ გამოყენება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ქორწინებასთან დაკავშირებული ტრადიციული ჩვევები დროსთან ერთად იცვლება. სოციალური ურთიერთობების ამ მეტად მნიშვნელოვან ინსტიტუტზე გავლენას ახდენს თანამედროვე ცხოვრებისეული გამოწვევები. საბჭოთა დროს ქორწინებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ძველი რწმენა და ჩვევა დაიკარგა, თუმცა ტრადიციული შეხედულებები მეტნაკლები მდგრადობით თანამედროვე ყოფასაც შემორჩა.

დღეისათვის ქორწინება სამოქალაქო და საეკლესიო წესების დაცვით ხდება, თუმცა სოციუმისთვის საეკლესიო ჯვრისწერა უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ამაზე სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულში პოსტსაბჭოთა პერიოდში, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქორწინების ყველაზე დიდი მაჩვენებელი 2010 წელს იყო – 286, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა ფიქსირდება 2020 წელს – 108 მაჩვენებელი (ქორწინებათა რაოდენობა, სტატისტიკა).

საქორწინო ურთიერთობებში ყურადღება ექცევა ნათესაობის სისტემას და გვარშიდა ურთიერთობებს. ქორწინების რეგულაციები არამხოლოდ ბიოლოგიურ, სისხლით ნათესაობაზეა დაფუძნებული, არამედ, ამ პროცესში კულტურული კონსტრუქციაც ძალიან დიდ როლს თამაშობს და ქორწინების აკრძალვის წესების ფორმულირებაზე ზეგავლენას ახდენს. საქორწინო შეზღუდვები არსებობს არა მხოლოდ სისხლისმიერ ან სულიერ ნათესაებს და გვარებს შორის, არამედ ისეთ გვარებს შორისაც, რომელთაც სისხლისმიერი ნათესაობა არ აკავშირებთ.

ხალხურ დღეობებს დიდი ადგილი უჭირავთ მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. აქ კანონიკური ქრისტიანული დღესასწაულების გარდა, აღინიშნებოდა და დღესაც აღინიშნება ხალხური დღეობები. სამეგრელოში იცოდნენ და, მეტ-ნაკლებად დღესაც იციან, სათემო, საგვარეულო და საოჯახო ლოცვების შესრულება. სამეგრელოში დღესაც სრულდება „ლაგვანთან“/ქვევრთან და ზედაშესთან დაკავშირებული ლოცვები. ზოგიერთი ქრისტიანული დღეობის აღნიშვნის ფორმა და რიტუალი გახალხურებულია და ის სალოცავ ქვევრთან ინდივიდუალურად, ოჯახის ან კონკრეტული ადამიანების მოთხოვნილებებისთვის სრულდება. საოჯახო ლოცვების ერთ-ერთი სახე, „დუნაპირი“/დანაპირები, რომელიც განსაკუთრებულ სათხოვართანაა დაკავშირებული, სრულდება როგორც ყოველწლიურად, ასევე რამდენიმე წელიწადში ერთხელ ან დანაპირების ასრულების შემთხვევაში, მხოლოდ ერთხელ.

სხვადასხვა სახის ხალხური დღეობის აღნიშვნის მასშტაბები დროსთან ერთად იცვლებოდა. დღეობების მასშტაბის შეზღუდვის მიზეზი საბჭოთა დრომდე დაიწყო. საბჭოთა დროს დღეობების შესრულების ტრადიციის შეზღუდვას პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზები ჰქონდა, თუმცა, საოჯახო დღეობები მაინც ტარდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეობების აღნიშვნის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ურბანიზაციაც, არატრადიციული ხალხმრავალი დასახლებების, სამრეწველო ცენტრების, დაბების, ქალაქების შექმნა-ჩამოყალიბება. მაგალითად, ენგურჰესის მშენებლობა, ქალაქების, ჯვარის და წალენჯიხის ფორმირება. ურბანიზაციასთან ერთად, მოსახლეობას გაუჩნდა დეროგაციული დამოკიდებულება ხალხური დღეობებისადმი, რაც საბჭოთა ხელისუფლების გავლენით კიდევ უფრო გაძლიერდა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საოჯახო დღეობების აღნიშვნის პრაქტიკა წალენჯიხის მუნიციპალიტეტს ტერიტორიაზე საგრძნობლად შემცირდა, თუმცა – არ გამქრალა. მეორეს მხრივ, 1990-იან წლებში დაიწყო საგვარეულო დღეობების აღნიშვნის ტრადიციის აღდგენა ან დაარსება. ამას ხელი შეუწყო ქრისტიანულმა ეკლესიამაც. 1990-იან წლებში სოციალური ყოფაში ეკლესიის როლის გაძლიერებამ განაპირობა სასულიერო პირების ჩართულობა საგვარეულო დღეობების აღნიშვნაში. მუნიციპალიტეტში მრავლადაა საქართველოს პატრიარქის მიერ დალოცვილი გვარები, რომლებიც წელიწადში ერთხელ აწყობენ საგვარეულო შეკრებებს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეტ-ნაკლებად შეიცვალა გარდაცვალებასთან და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული შეხედულებები. დღეს აღარ არსებობს პატრონიმული სასაფლაოები. სხვადასხვა გვარის ადამიანებს ერთ სასაფლაოზე, ხშირად გვერდი-გვერდ კრძალავენ. ამის მიზეზი შიდა მიგრაციები და ახალი დასახლებების შექმნაა. შეცვლილია გლოვის ფორმა. სამეგრელოსთვის დამახასიათებელი, მიცვალებულის გლოვასთან დაკავშირებით არსებული მოთქმით ტირილი უფროსი თაობის ადამიანებს შემორჩათ. არ დაგვიფიქსირებია მეგრული სამგლოვიარო ზარი.

მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალები პოსტსაბჭოთა პერიოდში ძირითადად ქრისტიანული ეკლესიის წესების მიხედვით სრულდება, რომლებსაც მღვდელი ასრულებს. იციან მნიშვნელოვანი დღეების სუფრით აღნიშვნა (ქელები, „კილემ განწყუმე“ / მკლავის გახნა (მე-9 დღე), ორმოცი, წლისთავი და სხვა).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯვარის ფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით. აქ საბჭოთა დროს, ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსების გამო, დაიწყო ინდუსტრიული გიგანტის, ენგურჰესის მშენებლობა, რამაც განაპირობა რურალური ტერიტორიის ურბანულ ცენტრად გადაქცევა. ჯვარის ტერიტორიაზე ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროფესიის და ეროვნების ადამიანების დასახლებამ გამოიწვია აქ არსებული სოფლის ჯერ დაბად, შემდეგ კი ქალაქად ფორმირება. შემდეგ მოკლე დროში (1989-1993) მოხდა ტერიტორიის დეურბანიზაცია და კვლავ რეურბანიზაცია. საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა ჯვარში დასახლებული უცხოელების და არა

მხოლოდ უცხოელების, საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან ჩამოსული მოსახლეობის გასვლა ტერიტორიიდან. 1990-იან წლებში, აფხაზეთის დაცემის შემდეგ, მოხდა დევნილი მოსახლეობის ჯვარში დასახლება. ენგურჰესის მშენებლებისთვის აშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა დასახლდა და ჯვარში მოსახლეობა კვლავ გაიზარდა. ჯვარი სასოფლო და საქალაქო ცხოვრების სიმბიოზია. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ქალაქი ძველი ტრადიციების და ინოვაციების სპეციფიური ეკლექტური შერწყმის ნიმუშია.

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი ანთროპოლოგიური ვითარება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დროსთან ერთად იცვლებოდა. ამასთან, შეიძლება ითქვას, მსგავსი ცვლილებები ხდებოდა სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც - ამ მხრივ, საკვლევი მუნიციპალიტეტი ნამდვილად სანიმუშოა. საბჭოთამდელი ყოფა საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა, პოსტსაბჭოთა პერიოდში კიდევ უფრო რადიკალური ცვლილებები დაფიქსირდა. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ მოხდა საბჭოთამდელი ტრადიციების აღორძინება, რომლებიც ზოგჯერ პასიური ფორმით, საბჭოთა პერიოდშიც არსებობდნენ. ტრადიციული ყოფის ნაშთები ხალხის კოლექტიურ მეხსიერებას მაინც შემორჩა და პოსტსაბჭოთა პერიოდში მათ აღორძინებას დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საბჭოთამდელი პერიოდის რიგმა ტრადიციებმა საბჭოთა პერიოდს ვერ გაუძლო და გაქრა. მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ანთროპოლოგიური ყოფა მაინც თავისი ავთენტური, ძირითადად ტრადიციული სახით შემორჩა დღევანდელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

ა) საარქივო მასალები

1. ბარდაველიძე ფ. 68: ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდი, ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდი #68.
2. ბარდაველიძე ფ. 69: ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდი, ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდი #69.
3. საქართველო-იმერეთის სინოდის...: საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის მეტრიკული წიგნები. წალენჯიხა. საქართველოს ეროვნული არქივი. იხ. საძიებელი: <https://archival-services.gov.ge/saeklesio/regions/location/47> ბოლო ნახვა: 16.02.2024
4. სეა. სრა. საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონული არქივი, ფონდი 69, ანაწერი 1, საქმე 157.
5. სეა. ცსა. – საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი #489, ანაწერი #6, საქმე #771
